# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 13 (363) ◆ 1 – 7 აპრილი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ქვეყანას არა აქვს იმის ძალა და უნარი, რომ მოხსნილი კორუმპირებული ხალხი გარიყოს პოლიტიკური ასპარეზიდან...



– როდესაც უკვე ქართველთა ფიზიკურ არსებობასაც დაემუქრა საფრთხე, ერეკლე მეორემ ევროპული მუნდირიც ჩაიცვა, თავზე ჩალმაც დაიხურა და მკერდზე რუსული ორდენიც დაიბნია, ოღონდაც კი გამოსავალი ეპოვა და საიდანმე რეალური დახმარება მიეღო.

– დასავლურ სამყაროში სწორედ ბიზნესი კარნახობს თავის ინტერესებს, არალეგალური ბიზნესის მქონე ქვეყანა კი არის ბანანის რესპუბლიკა...

გვ.3

## „შეიძლება ბეჰემოთებთან და ანაკონდასთან მოჭიდავედაც გამომაცხადონ...“



გვ.7

**მიყვარს კოვბოური სტილი**

ადამიანებმა, რომლებიც ახლა დაობენ, ვინ რა „კალოშით“ მოვიდა პარტიაშიო, სჯობს ის გაიხსენონ, ვის რა ბოტასი ეცვა და როგორი ჩანთით დადიოდა, ან ვის დაჰყავდა მანქანით...

ჟვანიამ უნდა აღიაროს, რომ შეცდა და აჩქარდა. ამის შემდეგ შეიძლება ჩვენი შერიგება.

...გამოდის, პრეზიდენტიც რუსეთის აგენტი ყოფილა. არ ვიცი, რა ალაპარაკებს მამალაძეს... ვფიქრობ, ეშმაკი ჰყავს შეჩენილი.

## ბიჭი მიდის საზღვარგარეთ, ანუ




## როგორ გახდა ჩემი შვილი „ლტოლვილი“ 200 დოლარად...

გვ.6,12

ციბრუტივით დატრიალდა – ხან ერთ კაბინეტში გაუჩინარდებოდა, ხან მეორეში. სულ ბოლოს, დევნილთა დეპარტამენტის უფროსის კაბინეტიდან გამოვიდა, მინისტრის მოადგილის კაბინეტის კარი შეაღო. ათი წუთის შემდეგ გამოვიდა და დერეფნიდან გამიყვანა.

– საქმე გაკეთებულია, მაგრამ უფროსობამ ასე შემოგითვალა, ათასი ჯურის ოხერი და მამაძაღლი გვამოწმებს, ახლაც პროკურატურიდან არიან მოსულები შემოწმებაზე და საზღვარგარეთ გასამგზავრებელი დევნილის მოწმობა თუ უნდა, 200 დოლარი უნდა გადაიხადოსო...

...არითმეტიკული გაანგარიშებით, ეს თანხა რვა წლის განმავლობაში შეადგენს ათეულ მილიონს...

## ამერიკაში ხარება ხარაბაძე მოკლეს...



„მე არ ვიცი, ვინ დავადანაშაულო, ვინ უნდა აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა. ვერაფრით დამიჯერებია, რომ ჩემი ბიჭი აღარ დაბრუნდება, ის ხომ ნამდვილი ანგელოზი იყო, მას მტრები არ ჰყავდა, არც პრობლემები შეუქმნია არავისთვის“.

*როცა ბანდიტები მიხვდნენ, რომ მეტ ფულს ვეღარ მიიღებდნენ, მძევლები დახოცეს და გვამები ტბაში ჩაყარეს.*

გვ.20

*წინასწარი მონაცემებით, კვალი რუსული მაფიისკენ მიდის...*

## ყველა გაიგებს იმ გმირი ბიჭების სახელებს...



**ინტერვიუ „თეთრი ლეგიონის“ მეთაურთან**

– ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ და არ მივცემთ სეპარატისტებს მშვიდი ძილის საშუალებას. უსაფუძვლო არ არის მათი შიში – ეს ზაფხულიც და ყველა მომდევნოც, მათ საბოლოო განადგურებამდე მეტად „ცხელი“ იქნება, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ შეეხება მშვიდობიან მოსახლეობას.

არ კმარა, არც ვიეტნამის ომის დროინდელი ვერტმფრენების ჩუქება ან თუნდაც ორი ან ოთხი ბატალიონის გაწვრთნა.

გვ.5

...ეჭვის საფუძველს მაძლევს ისიც, რომ ამერიკელთა მოკავშირე და ნატოს წევრი თურქეთი ერთი მხრივ ეხმარება საქართველოს თავდაცვის ძალებს, მეორე მხრივ კი, სწორედ თურქების დახმარებით საზრდოობს აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი.

## „მალე დაიწყება ლეიბორისტული პარტიის ანტი-ოლიგარქიული კომიტეტის დასკვნების გამოქვეყნება...“

გვ.7

## ვინ არის ყველაზე გაწონასწორებული ქართველი პოლიტიკოსი?

გვ.35

მკითხველის შეკითხვები

## ვერსია

## რა ჯდება ინფორმაცია ნარკოტიკებით გაძეძგილი თვითმფრინავის შესახებ და რატომ შეიჭრა დავით ზეიკიძე და მისი ხალხი პარლამენტის შენობაში

გვ.10,13

მარტის ბოლოს გავიგე, ოთხ აპრილს აეროპორტში უნდა დაჯდეს თვითმფრინავი, რომელიც ტაჯიკეთიდან მოფრინავს და ევროპისაკენ უჭირავს გეზი, მაგრამ აქ საწვავით უნდა შეივსოს. ამაში კი დიდ ფულს იხდიან, რადგან თვითმფრინავს ნარკოტიკების დიდი პარტია გადააქვს და ხელშეუხებლობის გარანტიაც ხელთ აქვთ, ამ საქმეს, აქ, ჩვენთან, კვირაია აგვარებსო.



„ეგ ისეთი ინფორმაციაა, უმჯობესია თბილისის ზღვაზე ავიდეთ, ნავი დავიქირავოთ და იქ წყალზე, ყველასაგან განმარტოებით მოვითათბიროთ რა გავაკეთოთ“. ზეიკიძეს გაეღიმა და თავის კაბინეტში მიგვიპატიჟა. ვინ იფიქრებდა, რომ სამართველოს უფროსის კაბინეტი ისმინებოდა.


## ახალი!

სატირულ-იუმორისტული ჟურნალი

ფილთაქვა

რამდენი ხანია გულიანად აღარ გაგვიცინია!

სიცილი სიცოცხლეა!


**რას წერენ ჩვენზე:**

## ახალი ომის აჩრდილი დაძრწის

გვ.14

ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, პირველად ის ქართული ნაწილები ამოქმედდება, რომელსაც ახლა ამერიკელები ამზადებენ ვითომდა პანკისის ხეობისთვის. ჩვენი მონაცემებით, მათთან ერთად იმოქმედებს ჩეჩენთა ბანდა გელაევის მეთაურობით. მეორე ეშელონად დაგეგმილია საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ძირითადი ძალები, არტილერია და ჯავშანტექნიკა. დარტყმას ზღვიდან და ზუგდიდის მხრიდანაც მოელიან.

**თქვენ გვემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## კარგად მომზადებული პროვოკაცია

„რუსეთი დიდი პროვოკაციისთვის ემზადება, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები. მათი აგრესიული ანტიქართული გამოხდომები კარგად მომზადებული პროვოკაციაა“, — განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ და დასძინა: „თავდაცვის სამინისტროს აქვს ინფორმაცია, რომ რუსებმა საგუშაგოებზე თავდასხმები თვითონვე დაგეგმეს, რათა ქვეყანაში საბრძოლო მოქმედებები დაეწყოთ და ამერიკელების ჩამოსვლისთვის ხელი შეეშალათ. რუსებს ეს აგრესია უნდა განეხორციელებინათ აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და პანკისის ხეობაში. ეს გეგმა რუსებს კვლავაც აქვთ, რომლის თანახმადაც განხორციელდება თავდასხმების ინსცენირება სამშვიდობოთა ბლოკპოსტებზე, რაც საბაბი იქნება სამშვიდობოებისთვის ცეცხლის გახსნისა და შეტევაზე გადასვლისთვის, ერთი მხრივ, კოდორის ხეობის მიმართულებით, მეორე მხრივ კი საბრძოლო მოქმედებებს დაიწყებენ სამაჩაბლოში მდგარი რუსი სამშვიდობოები.“ დავით თევზაძემ არ გამორიცხა, რომ რუსებმა უკვე შემოიყვანეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსული დივერსიული ჯგუფები და რომ აუცილებელია ამ ინფორმაციების გადამოწმება, თუმცა მეორე დღესვე ოჩამჩირის რაიონში განხორციელებულმა აფეთქებებმა გარკვეულწილად დაადასტურა თევზაძის ვარაუდი. აფეთქდა ე.წ. „ელექტრიჩკის“ ერთი ვაგონი, ოჩამჩირის ვაგზლის შენობა, ბენზინმზიდი. დაიღუპა ერთი და დაიჭრა 15-მდე კაცი.

## ბორისოვი აჭარას „დაიცავს“!

ბათუმის სამხედრო ბაზის მეთაური გენერალი ბორისოვი პირწავარდნილი ანტიქართული განცხადებით გამოვიდა და განაცხადა, რუსეთის ბაზის დარჩენა რეგიონის... უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელიაო(!). მისი თქმით, ბაზის სამხედრო მოსამსახურეთა 64% აჭარელია და თუ იქიდან (საქართველოდან) წამოვლენ ბანდფორმირებები, რომლებიც სოხუმს და სხვა რაიონებს ანადგურებდნენ, ბაზის თითოეული სამხედრო მოსამსახურე დაიცავს თავსაც, საკუთარ ოჯახსაც და... აჭარასაცო(!).

„ბატონო ასლან, თქვენ დიდი ხანია იმყოფებით ისტორიულ ჯოჯოხეთში, ლიპარიტ ბაღვაშსა და შადიმან ბარათაშვილთან ერთად“, — მიმართა აბაშიძეს პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე აჭარის ლიდერის განცხადებების კომენტირებისას!

## ახსნა-განმარტების ნაცვლად ნოტა

ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში შუაღამისას რუსეთის სამშვიდობო ჯარების სალდაფონებმა ხალხი სახლებიდან ქუჩაში გამოყარეს და სროლა ატეხეს. დაიჭრა ერთი მშვიდობიანი მცხოვრები. იმავე ღამეს ოთხმა ნიღბიანმა ბანდიტმა სამეგრელოს ტერიტორიაზე დააყაჩაღა ენგურჰესის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჯონი ჭანია, რომელსაც „ნივა“ წაართვეს და აფხაზეთში გადაიყვანეს. ოფიციალურმა თბილისმა ამ ფაქტებთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობას ახსნა-განმარტება მოსთხოვა, მაგრამ ახსნა-განმარტების ნაცვლად, ანაკლიის ადგილობრივ მოსახლეობას „მოუბოდიშა“ სამშვიდობოების ერთ-ერთმა ოფიცერმა(!). სამაგიეროდ, მოსკოვიდან სხვა სახის „ახსნა-განმარტება“ მიიღეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში: იგორ ივანოვის უწყებამ საგანგებო ნოტაში დაადანაშაულა საქართველოს ხელისუფლება რუსლან გელაევისთვის თავშესაფრის მიცემაში და მისი დაკავება და რუსეთში ექსტრადიცია მოითხოვა! საქართველოს საგარეო უწყებამ ნოტა ქართველ სამართალდამცავ უწყებებს გადაუგზავნა. ქართველი ძალოვნები აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია, სად იმყოფება გელაევი და არც იმაში არიან დარწმუნებულნი, თუ შეძლებენ ოდესმე მის დაკავებას...

## შიდსით დაავადებულებს ვერ მკურნალობენ

საქართველოს შიდსის ცენტრის ახალი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 13 პატიმარი ამ უკურნებელი სენითაა დაავადებული. ცენტრში შიშობენ, რომ შიდსით დაავადებულ პატიმართა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს, რადგან დღემდე 7800 პატიმრიდან მხოლოდ 1400-ია გამოკვლეული. შიდსით ინფიცირებულ პატიმართა უმრავლესობა ამჟამად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია, თუმცა უსახსრობისა და შესაბამისი პირობების არარსებობის გამო მათ მკურნალობა არ უტარდებათ. ამ 13 ავადმყოფი პატიმრიდან ერთი ქალია... საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შიდსით ინფიცირებული პატიმრები არ არიან იზოლირებულნი, რის გამოც მათ სხვა პატიმრებთან დაძაბული ურთიერთობა აქვთ. შესაბამისი სამსახურები ახლა ცდილობენ მათ ყოფა და პირობები შეუმსუბუქონ...

## ვინ მიიღებს 10 მლნ დოლარს?

საოლქო სასამართლოში გაგრძელდა ჟურნალისტ აკაკი გოგიჩაიშვილისა და კულტურის ყოფილი მინისტრის ვალერი ასათიანის სასამართლო პროცესი. ასათიანი გოგიჩაიშვილს ღირსებისა და პატივის შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს და ამტკიცებს, რომ გადაცემა „60 წუთში“ გოგიჩაიშვილის რესპონდენტის, პატიმარ ირაკლი კერესელიძის განცხადებები სიცრუე და ცილისწამებაა. ვალერი ასათიანი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 10 მილიონ დოლარს ითხოვს, მაგრამ შეგებებული სარჩელით 10 მილიონ დოლარსავე ითხოვენ გოგიჩაიშვილი და კერესელიძე. ასათიანის ადვოკატმა სასამართლო კოლეგიის აცილებაც მოითხოვა, რადგან მისი მტკიცებით, მოსამართლე სარჩელი სასამართლოდ დარეგისტრირებამდე მიიღო წარმოებაში, მაგრამ ადვოკატის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა!

## ოლონდ ჯერგენია ჩამოვიდეს

დიდი ხნის „შესვენების“ შემდეგ სოხუმში გაიმართა ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს სხდომა დიტერ ბოდენის თავმჯდომარეობით. ქართული მხრიდან სხდომაში მონაწილეობდნენ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი. ოჩამჩირეში მომხდარი აფეთქებების გამო მოლაპარაკება დაძაბულ ვითარებაში წარიმართა, სადაც განიხილეს 10 აპრილამდე კოდორის ხეობიდან ქართული ჯარის გამოყვანის საკითხი. ქართული მხარე დათანხმდა ჯარის გამოყვანას (აფხაზები სანაცვლოდ ტყვარჩელიდან გაიტანენ თავიანთ შეიარაღებას), მაგრამ ოქმზე ხელი არ მოუწერიათ. სეპარატისტები მოსკოვიდან „პრემიერ“ ჯერგენიას დაბრუნებას ელიან და როგორც დიტერ ბოდენმა განაცხადა, ოქმს აუცილებლად მოეწერება ხელი ოთხ დღეში. კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი ირწმუნება, რომ ქართული ჯარის გასვლის შემთხვევაში ხეობის უსაფრთხოება გარანტირებული იქნება და იქ ჩიტიც ვერ შეფრინდებაო...

## ჯარისკაცები ხელისუფლებას უჩივიან

ლილოს სამხედრო ბაზაზე 1996 წელს დასხივებულ-დაავადებულმა ქართველმა ჯარისკაცებმა ხელისუფლებას უჩივლეს. საქმე ის არის, რომ რადიოაქტიური ნივთიერება „ცეზიუმით“ მოწამლული სამხედროების საზღვარგარეთ მკურნალობის სრული კურსი მთავრობამ ბოლომდე ვერ დააფინანსა, რის გამოც რამდენიმე დასხივებული ჯარისკაცი ევროპის კლინიკებმა უკან გამოისტუმრეს. მეტიც, ერთ-ერთ მათგანს ნოდარ ადუაშვილს, რომელსაც ოპერაციები დღემდე უტარდება, საფრანგეთის ხაზინამ მკურნალობის თანხის გადაუხდელობის გამო უძრავი ქონება და ავტომობილი... დაუყადაღა. მძიმე ვითარებაში არიან სხვა დასხივებული ჯარისკაცებიც. შედეგად, საოლქო სასამართლოში შეტანილ სარჩელში ისინი მიმართავენ ოთხ უწყებას — საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, თავდაცვის სამინისტროს, ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს — და 20 მილიონ ლარს სთხოვენ 11 დაავადებული ჯარისკაცის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. პროცესზე არ გამოცხადდა გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და მოსამართლემაც პროცესი... 20 მაისამდე გადადო(!).

## ან „ჩუქუროვა“, ან გაკოტრებაო...

მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ კატეგორიულად მოითხოვა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში თურქი ინვესტორების შეშვება. პრეზიდენტმა ქარხნის კოლექტივს არჩევანი შესთავაზა — ან თურქული „ჩუქუროვა“, ან ქარხნის გაკოტრებულად გამოცხადება. გაკოტრების შემთხვევაში, შევარდნაძე მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიის, ანუ მიწის ფართობის გაყიდვის, ან ხალხისთვის დარიგების წინადადებით გამოდის. მისი თქმით, ქარხნის დავალიანება დღითი დღე იზრდება და მისი გასტუმრების თავი არავის აქვს, ქარხნის ხელმძღვანელები ძალიან ცუდი ორგანიზატორები გამოდგნენო! რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კი აქციონერთა კრებამ ახალი სამეთვალყურეო საბჭო აირჩია. აქციონერები სახელმწიფოსგან ქარხნის აქციების 20%-ს ითხოვენ. სადღეისოდ, ქარხნის აქციათა 98%-ის მფლობელი ქონების მართვის სამინისტროა.

## დააკავეს ეჭვმიტანილები

აშშ-ის სპეცსამსახურების მოთხოვნით და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს უშიშროებამ ჩეჩენი ეროვნების პირი ისლამ საიდაევი დააკავა თელავში, რომელიც პროფესიით ჟურნალისტი და საქართველოში კავკასიური კომიტეტის დამფუძნებელია. იგი ჩეჩნეთის მეორე ომისას ლტოლვილებთან ერთად შემოვიდა საქართველოში და 2000 წლიდან საქართველოს მოქალაქეა. საიდაევი „ალ ქაიდასა“ და ხატაბთან კავშირშია ეჭვმიტანილი. მასთან ერთად დააკავეს პანკისელი ზურაბ ხანგოშვილი, მათ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე მიუსაჯეს. დაკავებულები კატეგორიულად უარყოფენ ბრალდებებს. მათი ადვოკატი სევდია უგრეხელიძე აცხადებს, რომ აშშ-ის საელჩოს ინფორმაციის გარდა, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცეს ამერიკელებმა, გამოძიებას სხვა არანაირი მამხილებელი მასალა არა აქვს და, შესაბამისად, საელჩოს წერილში მოყვანილი ფაქტები დაკავებისთვის საკმარისი საფუძველი არ არისო...

## გამსახურდიას მომხრეები ერთიანდებიან?!

31 მარტს ქართულმა საზოგადოებამ აღნიშნა 1991 წელს გამართული რეფერენდუმის 11 წლისთავი და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე. კანცელარიასთან შეკრებილმა ექს-პრეზიდენტის მომხრეებმა ისაუბრეს რეფერენდუმის ისტორიულ მნიშვნელობასა და ზვიად გამსახურდიას ღვაწლზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. მიტინგზე გამოსულმა პარლამენტარმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ აჭარის ლიდერის გადაწყვეტილებით, ბათუმის ცენტრალურ ქუჩას ზვიად გამსახურდიას სახელი ეწოდა. მოგვიანებით, ამ თარიღების აღსანიშნავად ცეკავშირის დარბაზში შეიკრიბნენ ეროვნულ ძალთა გაერთიანებაში გაწევრებული პარტიების წარმომადგენლები და ნაციონალური მოძრაობის ლიდერები. ეს უკანასკნელნი გამოვიდნენ ორ ბანაკად გახლეჩილი გამსახურდიას მომხრეთა გაერთიანების იდეით, რაც მათი თქმით, ხელს შეუწყობს ერის კონსოლიდაციას! ზუგდიდშიც აღნიშნეს ეს თარიღები იმ სკვერში, სადაც ზვიად გამსახურდიას ძეგლი დაიდგმება!

## ნოღაიდელი ვეტოს მოითხოვს

საქართველოს ფინანსთა მინისტრმა პრეზიდენტს სთხოვა, ვეტო დაადოს საგადასახადო კოდექსში პარლამენტის მიერ შეტანილ ცვლილებებს. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ეს შესწორება, რითაც პარლამენტმა ავტომანქანების განბაჟება გააიაფა, დაახლოებით 4 მლნ ლარით აზარალებს და შეამცირებს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რის გამოც ფინანსთა სამინისტრო იძულებული გახდება ეს 4 მლნ მოაკლოს კაპიტალდაბანდებებისა და სოციალური ხარჯების გეგმებს. ნოღაიდელმა ისიც თქვა, რომ დეპუტატებმა ისარგებლეს საქართველოში მისი არყოფნით (ნოღაიდელი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ევროპაში) და ფინანსთა სამინისტროს კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეიტანეს საგადასახადო კოდექსში აღნიშნული ცვლილებები. ავტომანქანების მსხვილი იმპორტიორები ნოღაიდელს პირადი ინტერესების ლობირებაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ მისი მინისტრობისას უცხოურ ავტომანქანათა ფირმების 17 წარმომადგენლობიდან საქართველოში 11 დაიხურა სწორედ მისეული საგადასახადო პოლიტიკის გამო. მათივე თქმით, უცხოური მანქანების 50%-ის განბაჟება სამხრეთ ოსეთში ხდება და სჯობს, ნოღაიდელმა ამ პრობლემას მიხედოსო...

## რას ვერ იყოფენ სემეკი და ბასილია?

ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ პრეზიდენტის მრჩეველი თემურ ბასილია მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 150 ათასი დოლარის საკუთარი სურვილისამებრ გადანაწილებაში დაადანაშაულა. სემეკის განცხადებით, მსოფლიო ბანკის სტრუქტურული რეფორმის პროექტიდან ეს თანხა სემეკისთვის გამოიყო. იგი უნდა მოხმარდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოწვეული კონსულტანტების დაფინანსებას, თანამშრომლების გადამზადებას და ტექნიკური საშუალებებით სემეკის უზრუნველყოფას, თანხა გადმორიცხულია, მაგრამ ბასილია არ გვაძლევსო! თემურ ბასილიამ ამ ბრალდებას აბსურდი უწოდა და დაიმუქრა, სემეკის ხელმძღვანელებს პასუხს მოვთხოვო და მარეგულირებელი კომისიის წინა წლების ფინანსური საქმეების შემოწმებაც მოითხოვა. ბასილიას თქმითვე, მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 2002 წლის ტრანში მიზნობრივად არის გაწერილი და მასში სემეკისთვის 150 ათასი დოლარი არ არის გათვალისწინებული, შედეგად არავითარი უფლება არა მაქვს თანხები მოვაკლოთ ჯანდაცვისა და საპენსიო რეფორმას და სემეკს მივცეთო! სემეკის თავმჯდომარემ კი სახელმწიფო მინისტრს მიმართა და საქმეში გარკვევა სთხოვა...

## ტარიფის გაზრდა უსკანდალოდ არ ჩაივლის

საქართველოს მთავრობას მორიგი ულტიმატუმი წაუყენა „ეი-ი-ეს-თელასის“ ხელმძღვანელობამ, რომელიც ქონების მართვის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვს თბოელექტროცენტრალისა და ორთაჭალჰესის „ეი-ი-ეს-თელასის“ საკუთრებაში უფასოდ გადაცემას. ჰესი დღეს „საქგაზის“ მფლობელობაშია და მას რუსული „იტერა“ აკონტროლებს. იმავდროულად, „ეი-ი-ეს თელასი“ მოითხოვს ელექტროენერგიაზე ტარიფის კვლავ გაზრდასაც, რაც აპრილის თვეში მორიგი სკანდალის მიზეზი შეიძლება გახდეს...

## კალაძე ულტიმატუმს ძალაში ტოვებს

საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს შორის თბილისში გამართულ მატჩზე პროტესტის ნიშნად არ ჩამოვიდა „მილანის“ ქართველი ლეგიონერი კახა კალაძე. იგი კვლავ კატეგორიულად მოითხოვს გატაცებული ძმის, ლევან კალაძის გათავისუფლებას. მათი მამა კარლო კალაძე გენერალურმა პროკურორმა მიიღო და დახურულ კარს მიღმა დიდხანს ესაუბრა. იქიდან გამოსული კარლო კალაძე საკმაოდ დაიმედებული ჩანდა. მან აუწყა მასმედიას, რომ ძალოვან სტრუქტურებს ამომწურავი ინფორმაცია აქვთ ლევან კალაძის გამტაცებელთა და მისი ამჟამინდელი ადგილმდებარეობის შესახებ და რომ მალე ლევანის გათავისუფლებას ვიზეიმებთ... გენპროკურორთან კარლო კალაძის კონფიდენციალურ საუბარს მხოლოდ შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების პირველი მოადგილეები დაესწრნენ! ცნობილი გახდა ისიც, რომ ლევან კალაძის საქმეს ამიერიდან საგანგებო საგამოძიებო ჯგუფი გამოიძიებს და ბოლომდე მიიყვანს პროცესს. კარლო კალაძე ძალაში ტოვებს ხელისუფლებისადმი წაყენებულ ულტიმატუმს, რომლის თანახმად თუ 1 მაისამდე არ გაათავისუფლებენ მის შვილს, იგი თავს დაიწვავს...

## ცოფი დიდ პრობლემად რჩება

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის კლინიკაში ცოფიანი კატისგან დაკბენილი 2 წლის ბავშვი გარდაიცვალა. ბავშვი 9 მარტს შეიყვანეს კლინიკაში, არადა ექიმთა განცხადებით, ცხოველმა ბავშვს თებერვლის პირველ რიცხვებში უკბინა. მშობლებმა დროულად არ მიმართეს ექიმებს და მკურნალობა დაგვიანდა... რუსთავში კი ცოფიანმა ძაღლმა კიდევ ერთი ბავშვი, 4 წლის ბიჭუნა დაკბინა, რომლის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მიუხედავად მაწანწალა ცხოველების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა, როგორც ჩანს, ეს საშიში პრობლემა კიდევ დიდხანს დაემუქრება მოსახლეობას...

## კახელი პროკურორების „დიდი წმენდა“

გენერალურმა პროკურატურამ ოპერაცია „დიდი წმენდა“ ჩაატარა კახეთის სამხარეო პროკურატურაში და თანამდებობიდან გაათავისუფლა ლაგოდეხის, თელავის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონის პროკურორები. ამის მიზეზად გენპროკურატურამ რეგიონში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარება დაასახელა და მძვინვარე ნარკობიზნესისა და ადამიანთა გატაცების ფაქტის გამო აგებინეს პასუხი პროკურორებს.

## „ექსკლუზიური სენსაციური ინფორმაცია“

გაზეთი ასაწყობად მზად იყო, როდესაც სენსაციურმა ინფორმაციამ გამოჟონა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციიდან. მას შემდეგ, რაც აქტუალური გახდა საუბარი კორუმპირებულ ჩინოვნიკთა გახმაურებულ სიებზე, პრეზიდენტს კონფიდენციალური თხოვნით მიმართა აღნიშნულ სიაში მოხვედრილი (თუ პოტენციურ კანდიდატთა) მოქმედი და ყოფილი ჩინოვნიკების დიდმა ჯგუფმა. ისინი მზად არიან სახელმწიფოს და ხალხს დაუბრუნონ წლების მანძილზე უკანონოდ მითვისებული ფული და ქონება იმ პირობით, თუ მათი ვინაობა არ გახმაურდება (წყაროს ცნობით, ლაპარაკია 10 მილიარდ დოლარამდე თანხის დაბრუნებაზე). საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი დათანხმდა კორუმპირებულ ხელქვეითთა ამ წინადადებას და უკვე შეარჩია კიდეც, ერთ-ერთი ქართული ბანკი, სადაც გახნილ საგანგებო ანგარიშზე გადარიცხავენ კიდეც ეს ჩინოვნიკები აღნიშნულ თანხას... ასე რომ, სახელმწიფო ბიუჯეტს წლის ბოლომდე არნახული შემოსავალი ელის.

1 აპრილი, 2002 წ.

## დიდი ბრიტანეთი გლოვობს



ლონდონში, უინძორების სასახლეში, 101 წლის ასაკში ძილში გარდაიცვალა დედა-დედოფალი ელისაბედი. დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში გლოვაა გამოცხადებული. ბრიტანელებს ძალიან უყვარდათ დედა-დედოფალი და უდიდეს პატივს მიაგებდნენ მას და მის მეუღლეს მეფე გეორგ მეხუთეს. ეს ის მეფე-დედოფალი გახლავთ, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა მიერ ლონდონის სასტიკი დაბომბვების ჟამს, სიცივესა და გაჭირვებაში საკუთარ ხალხს ედგნენ გვერდით. ზამთარში ბუხარსაც არ ანთებდნენ უინძორების სასახლეში და ლონდონელების მსგავსად გაყინულ ოთახებში ცხოვრობდნენ... დედა-დედოფალმა შაბათს დილიდან იგრძნო თავი შეუძლოდ. გარდაცვალებამდე მის საწოლს არ მოშორებია დედოფალი ელისაბედ მეორე. 4 აგვისტოს დედა-დედოფალს 102 წელი შეუსრულდებოდა.

## პაპი სააღდგომო მესას ვერ ჩაატარებს

ვატიკანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სააღდგომო მესას ვერ წარმართავს და ვერც დაესწრება პაპი იოანე-პავლე , რადგან იგი საწოლსაა მიჯაჭვული და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება! ვატიკანმა მოუწოდა მსოფლიოს ყველა კათოლიკე ქრისტიანს ილოცონ პაპისთვის!

## გამარჯვების სანაცვლოდ — კრემლთან კომპრომისი?

რუსეთის სატელევიზიო ეთერის, ე.წ. „№6 ღილაკის“ ფლობაზე გამართულ ტენდერში გაიმარჯვა და ამ არხზე მაუწყებლობის ლიცენზიის უფლება მოიპოვა „მედია-სორციუმმა“, რომელშიც შედის ყოფილი „ტვ-6“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი და მისი თანამოაზრე ჟურნალისტთა ჯგუფი. ამავე ჯგუფის წევრები არიან ანატოლი ჩუბაისი და ალფრედ კოხი. ამ უკანასკნელმა თავის დროზე ნტვ-დან ევგენი კისელიოვი გააძევა! „მედია-სორციუმის“ დამფუძნებლები კი არიან რუსეთის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე არკადი ვოლსკი და ყოფილი პრემიერი ევგენი პრიმაკოვი. რუსეთის ინფორმაციის სამინისტროს განცხადებით, „მედია-სორციუმს“ ხმა სატენდერო კომისიის რვავე წევრმა მისცა და მე-6 არხზე მაუწყებლობა ერთი თვის შემდეგ აღდგება. ევგენი კისელიოვი კი აცხადებს, რომ შექმნის ისეთ ტელეკომპანიას, რომელიც არ იქნება არც ადრინდელი ნტვ-ის, არც ტვ-6-ის მსგავსი და რომ აღდგენილი ძველი პოპულარული ტელეპროგრამებიც შესამჩნევად გადახალისდება და განახლდება. რაც შეეხება საინფორმაციო გადაცემათა სარედაქციო პოლიტიკას, კისელიოვის თქმით, რუსეთის მოსახლეობა კვლავ გაიგებს — თავისუფალ სიტყვას! მაგრამ რუსულ მასმედიაში აქტიურად მუსირებს ხმები, რომ კისელიოვი ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ კრემლთან „გარკვეულ“ კომპრომისებზე წავიდა... თუ რა კომპრომისებზეა ლაპარაკი, ამას ალბათ კისელიოვის ეკრანზე გამოჩენისთანავე შევიტყობთ!

## მიწისძვრამ ავღანეთში ათასობით ადამიანი იმსხვერპლა

მრავალტანჯულ ავღანელთ ამერიკულ ბომბებზე არანაკლებ მძიმე განსაცდელი დაატყდათ თავს — ქვეყნის ჩრდილოეთი მძლავრმა მიწისძვრამ გაანადგურა — ეპიცენტრი მთიანი ბანგლანი იყო. პირველი მიწისქვეშა ბიძგები რიხტერის სკალით 6 ბალს უახლოვდებოდა. ქაბულიდან 170კმ-ით დაშორებული რაიონული ცენტრი ნახრინი მთლიანად აღიგავა პირისაგან მიწისა. ზოგიერთი მონაცემით, დაღუპულია 5000 ადამიანი. მომდევნო დარტყმა მიიღო დასახლებულმა პუნქტმა ბურკამ. გაეროს ჰუმანიტარული დახმარების დროულად მიწოდება დაზარალებულთათვის დიდ სირთულეს წააწყდა — ქაბულიდან ჩრდილოეთით მიმავალი საავტომობილო გზები ბლოკირებულია გადაყირავებული საბარგო მანქანებით, შემოვლითი გზები კი დღემდე დანაღმულია. მიწისქვეშა ბიძგები გრძელდება.

## როგორც კი გვექნება ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია, ეკონომიკური ცხოვრებაც გამოცოცხლდება, რაც ალბათ აბაშიძეს შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს

**ბიზნესით ცხოვრება უნდა გახდეს თითოეული მოქალაქისთვის ჩვეული მოვლენა, ანუ უნდა გაჩნდეს საშუალო ფენა**



მაშ ასე, ვაშინგტონი სამხედრო ინსტრუქტორებს გზავნის აზერბაიჯანშიც, ამჯერად, პრეზიდენტ ბუშისადმი ჰეიდარ ალიევის მიმართვის საფუძველზე! როგორც ამერიკული პრესა იუწყება, ალიევი სთხოვს ვაშინგტონს, ხელი შეუწყოს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებასა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან სომხეთის ჯარების გაყვანაში! დონალდ რამსფელდის თანაშემწე ადასტურებს ამ ინფორმაციას, თუმცა აცხადებს, რომ აშშ მზადაა ფინანსურად დაეხმაროს აზერბაიჯანის არმიას და მოამზადოს ნატოს სტანდარტების დონეზე, ხოლო პენტაგონის ექსპერტები უახლოეს მომავალში ჩავლენ ბაქოში! ამ ინფორმაციას ჯერჯერობით „მშვიდად" შეხვდნენ მოსკოვში, სამაგიეროდ, გააათმაგეს ანტიქართული დემარშები. სერგეი ივანოვი, რომ იტყვიან, უკვე „დაუკრეფავშიც გადავიდა" — სტამბოლის ეუთოს სამიტის გადაწყვეტილების რევიზია მოითხოვა და არათუ საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანაზე თქვა უარი, არამედ დამატებითი ჯარების შემოყვანითაც დაგვემუქრა. ივანოვი „დარწმუნებულია", რომ აფხაზეთში ვითარების დესტაბილიზაციის გამო ამერიკელები გადასინჯავენ საქართველოში სამხედრო ინსტრუქტორთა გამოგზავნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას(!). სხვათა შორის, ამერიკელ ინსტრუქტორთა 200-კაციანი რაზმის დღემდე ჩამოუსვლელობამ ქართული საზოგადოებრიობაც დააეჭვა — ხომ არ გადაიფიქრეს ამერიკელებმაო? ამაზე ქვემოთ, მანამდე კი რუსული დიპლომატიის ერთი დამახასიათებელი თვისების შესახებ: ივანოვის განცხადებების გამო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ახსნა-განმარტება მოსთხოვა მოსკოვს და საქართველოში რუსეთის ელჩს გუდევს ნოტაც გადასცა. გუდევმა კი ურცხვად განაცხადა — ჩემთვის არანაირი ნოტა არ გადმოუციათო. და ეს იმ ფონზე, როცა ირაკლი მენაღარიშვილმა საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნა ივანოვის დემარშს და განცხადების ტექსტიც რუსულად ჩაიკითხა! საერთოდ, სიცრუე და ვერაგობა რუსული დიპლომატიის თანმხლები თვისებებია და ისმის კითხვა: ღირს კი ასეთ ქვეყანასთან ურთიერთობა? სოჭში გამართულ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნების შეხვედრაზე ჩასულ პუტინს კი არ დავიწყნია, მისივე თქმით, „აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის 50 ათასი მოქალაქე, რომელთა უსაფრთხოებაზეც რუსეთმა უნდა იზრუნოსო"(!). უცნობია რა პასუხი გასცა თედო ჯაფარიძემ (ან საერთოდ უპასუხა თუ არა) პუტინის ამ უცერემონიო დემარშს, მაგრამ ფაქტია: პუტინი-დუმა-ივანოვების პოზიცია საქართველოს მიმართ ერთია, ანუ აგრესიული და აქ ილუზია არ უნდა გვქონდეს. სამწუხარო ის არის, რომ ჩრდილოეთიდან მომდინარე აგრესიის ფონზე ვერა და ვერ ლაგდება საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარება... ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრები პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს**. უწინარესად კი საქართველოში ამერიკელთა დამკვიდრებისა და აქედან რუსების წასვლის გარდაუვალობის შესახებ:

— პროგნოზი გაძნელდება, თუ ამომწურავად ვერ ვუპასუხეთ კითხვას — „რატომ", ანუ რატომ იკლავენ თავს რუსები საქართველოში გავლენის შესანარჩუნებლად და რატომ გვეხმარებიან ამერიკელები ასევე საქართველოში თავიანთი გავლენის გაძლიერება-დამკვიდრებისთვის. მოსკოვმა კარგად იცოდა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეზე გავლენის მოსაპოვებლად ეკონომიკური კონკურენტი ვერ იქნებოდა იმ ქვეყნებისა, რომლებიც შეეცდებოდნენ ამ სივრცეში შემოსვლას. ერთადერთი საშუალება, რაც მას ჰქონდა გავლენის შესანარჩუნებლად, გახლდათ უხეში ძალა, რისი შედეგიც იყო სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტები, შემდეგ კი უკვე სამშვიდობო ჯარების შირმით დარჩენა საქართველოში. იგივე შეიძლება ითქვას ყარაბაღზე, დნესტრისპირეთზე, ტაჯიკეთზე და ა.შ. დასავლეთის მიმართულებით გავლენის შესანარჩუნებლად რუსეთი არ იბრძოლებდა ერთი მხრივ იმიტომ, რომ ბალტიისპირეთზე დასავლეთს უფრო მძაფრი რეაქცია ჰქონდა და აქვს, მეორე მხრივ კი, ამ მიმართულებით ღია კონტაქტებია და ამ ხაზებზე მნიშვნელოვანი არაფერი ხდება, ყველაფერი გარკვეულია. ჩრდილოეთით თეთრი დათვები ჰყავს რუსეთს და რჩება აღმოსავლეთი, განსაკუთრებით სამხრეთი მიმართულება. სამხრეთ-აღმოსავლეთ სივრცეშია ნავთობი და ნარკოტიკები, რომელიც გადმოდის ჩვენთან და მიდის დასავლეთისკენ. ამ სივრცის კონტროლი ნიშნავს ერთი ლეგალური და მეორე არალეგალური საქონლის მოძრაობის კონტროლს, ამას დავუმატოთ იარაღით ვაჭრობა, რაც ფანტასტიკური ფინანსური შემოსავლების წყაროა. მეორე მხრივ, ეს სივრცე სტრატეგიულადაც მნიშვნელოვანია, რადგან თუკი აკონტროლებ, შეგიძლია ჩაკეტო კიდეც ენერგომატარებლების მაგისტრალი და ენერგოტერორში ამყოფო დასავლეთი. სამხრეთის მიმართულებით რუსეთს ინტენსიური სამხედრო ურთიერთობები აქვს მრავალ არაბულ ქვეყანასთან. საქართველო კი კარიც არის და საცობიც ამ ინტერესებისა და ვისაც ამ კარის გასაღები აქვს, მას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გასასვლელიც აქვს და კავკასიაც მის ხელშია. ამერიკას აქვს კომერციული ინტერესი შუა აზიისა და კასპიის ენერგორესურსების მოპოვება-ტრანსპორტირების საქმეში. ამ სივრცის სიმდიდრეების დასავლეთში გადასასროლად რუსეთი სახიფათო პარტნიორია ამერიკისთვის, რადგან ნებისმიერ დროს პოლიტიკური მოტივებით იმოქმედებს და ენერგოტერორს დაამკვიდრებს დასავლეთთან ურთიერთობებში. არც სამხრეთ-დასავლეთი ხაზებია უსაფრთხო ამერიკისათვის, რადგან მისი მოკავშირე თურქეთი ფუნდამენტალისტური აფეთქებების ქრონიკული საშიშროების წინაშეა და დემოკრატიას ამ ქვეყანაში ინარჩუნებს არმია, თანაც თურქეთი დიდი ქვეყანაა და კაცმა არ იცის, როდის რა პრეტენზიები ექნება და ა.შ. ამდენად, კომერციულადაც და პოლიტიკურადაც ნაკლებად სახიფათოა ენერგომატარებლების პატარა ქვეყნებზე გატარება. ასე რომ, აზერბაიჯანი-საქართველო მარტო მილი ან დერეფანი არ არის, არამედ ეს არის დასავლეთის სასუნთქი მილი. მას შემდეგ, რაც ტერორისტ-ფუნდამენტალისტებმა 11 სექტემბერს კატასტროფული შეცდომა დაუშვეს, ამერიკამ დაგეგმა ტერორისტთა სადამსჯელო ოპერაცია, მაგრამ როგორც მაღალი პოლიტიური კულტურის ქვეყანამ, ამ ნაბიჯში ჩადო არა მხოლოდ ტერორიზმის ამოძირკვის იდეა, არამედ ყველა თავისი ინტერესი. ამიტომ, ნათელია ამერიკელთა ქმედების ლოგიკა — რადგან ამ საქმეს ვაკეთებ, ბარემ ისე გავაკეთებ, რომ ამ ერთ სვლაში მოვაქცევ ყველა ჩემს სტრატეგიულ ინტერესს!

**— ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ, ამერიკამ ხელთ იგდო „ჟანგბადის ბალიში" და ახლა აუცილებელია, როგორც თქვენ ბრძანეთ, სასუნთქი მილიც... თანაც საკითხი პირდაპირ დგას — ვინ ვის?**

— დიახ, თუკი სასუნქთ მილს მიატოვებს, რად უნდა მხოლოდ „ჟანგბადის ბალიში"?! ანუ თუ აშშ-მა კავკასიური პროექტი არ განახორციელა, შუა აზიაში მოპოვებული გავლენა ფუნქციას კარგავს. ამ ლოგიკის ფონზე დაიხევენ ამერიკელები უკან, რომ აღარაფერი ვთქვათ ენერგოპროექტებზე, რომლებშიც მილიარდები აქვს დასავლეთს ჩადებული?! დავაკვირდეთ, როგორც კი რუსეთის პოლიტიკა აგრესიული ხდება სამხრეთ კავკასიის მიმართ, მას საოცარი სიზუსტით ემთხვევა ხოლმე დესტაბილიზაციის აგორება აზერბაიჯანსა და საქართველოში. აქ აუცილებელია კარგად გაერკვეს მკითხველი საზოგადოება, რა ნაბიჯის იქით რა იგულისხმება და რას ველით ქვეყნისთვის: არიან ქართული პრორუსული ძალები, რომლებიც აცხადებენ, რომ საქართველოსთვის სასიკეთოდ მიაჩნიათ პრორუსული ორიენტაცია. სხვა პოლიტიკური ძალები და პრეზიდენტი მკვეთრად პროდასავლურ რელსებზე დგანან. ანუ საქართველო კვლავ იმყოფება ისტორიულ გზაჯვარედინზე, — ჩვენი ისტორიის მანძილზე სულ რაღაც 200 წელიწადი ვიყავით მართლა დამოუკიდებელნი. ხოლო როდესაც უკვე ქართველთა ფიზიკურ არსებობასაც დაემუქრა საფრთხე, ერეკლე მეორემ ევროპული მუნდირიც ჩაიცვა, თავზე ჩალმაც დაიხურა და მკერდზე რუსული ორდენიც დაიბნია, ოღონდაც კი გამოსავალი ეპოვა და საიდანმე რეალური დახმარება მიეღო. გამუდმებით ვიბრძოდით ხმლით! ევროპა კი აქეთ არ იხედებოდა იმიტომ, რომ არ აინტერესებდა საქართველო. და აი, 20 საუკუნის შემდეგ პირველად და რეალურად დაინტერესდა საქართველოთი და კავკასიით. 20 საუკუნის განმავლობაში პირველად დასავლეთი საკუთარ თავზე იღებს საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიას! თუ საუკუნეების მანძილზე საქართველო ქრისტიანობის ფორპოსტი იყო ისლამის ოკეანეში, დღეს საქართველოს ფუნქცია უკვე გახლავთ — დასავლეთის ცივილიზაციის ეკონომიკური გადარჩენა, ანუ იმ სასუნთქი მილის ჯანმრთელად შენარჩუნება, რომლითაც უნდა ისუნთქოს დასავლეთმა 21-ე საუკუნეში და შემდგომაც! ასეთი დიდი ფუნქცია საქართველოს ისტორიულად არასოდეს ჰქონია, ისევე როგორც ქართველი ერის თვისებრივად ახლებურად გაერთიანება-განმტკიცების ასეთი შანსი. ამიტომ, ქართველთა ჯგუფები, რომლებიც არაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ქვეყანამ ეს ფუნქცია შეასრულოს, პრაქტიკულად ამ ისტორიულ შანსზე ამბობენ უარს და დანაშაულებრივ ნაბიჯს დგამენ. აი, ეს აქვს გასაცნობიერებელი ქართველ ხალხს! რუსეთისკენ გადადგმული ნაბიჯით აღმოვჩნდებით უარეს მდგომარეობაში, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს ვიყავით. რუსეთი მხოლოდ გვაშინებს, შანტაჟს და პროვოკაციას გვიწყობს, ეკონომიკურად კი არაფერს გვაძლევს. ამიტომ თუ რუსეთისკენ აიღეს ორიენტაცია, ეს იქნება მხოლოდ შიშით გამოწვეული. შედეგად ყველაფერს წავაგებთ და მხოლოდ იმის შიშით, რომ რუსეთმა არ დაგვარტყას, აღმოვჩნდებით მის ხელში.

**— მით უფრო აუცილებელია, მთელი ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ამ საკითხში მაინც გაერთიანება... რა კომენტარს დაურთავდით აჭარის ლიდერის განცხადებებს და შეშფოთებას საქართველოში ამერიკელ ინსტრუქტორთა შემოსვლასთან დაკავშირებით?**

— საქართველოში ამერიკელთა შემოსვლისადმი ემოციური რეაქციის შემდეგ ასლან აბაშიძემ დააზუსტა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ მიესალმება საქართველოს ამ ფუნქციას, რომლის შესრულებაც სწორედ ამერიკელთა შემოსვლით იქნება გარანტირებული. ასე რომ, მის პოზიციაში უნდა გამოვყოთ ემოციური ტონი იმ ზოგადი დამოკიდებულებიდან, რომელიც მას უკავია ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხის მიმართ, რაც მისასალმებელია. რაც შეეხება აბაშიძის კონკრეტულ „შიშებს", რომ თბილისი ამერიკელთა მიერ გაწვრთნილ ჯარს მიუშვებს აჭარაზე, გადაჭარბებულია. შეიძლება ეს უფრო პრევენციული განცხადებაა, რადგან მას მართლაც ეშინია აჭარაში თბილისის გავლენის გაზრდისა. კარგად იცის, რომ ეს გავლენა ნამდვილად არ გულისხმობს აჭარაში ჯარის შეყვანას — ეს რომ ვინმეს სურდეს, არც ახლა იქნებოდა ამის პრობლემა, მიუხედავად გარკვეული სტრუქტურების სისუსტისა. რადგან არ იდგმება ასეთი ნაბიჯი, ე.ი. ცენტრალურ ხელისუფლებას მსგავსი „სტრატეგია" აჭარის მიმართ არ გააჩნია. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცის აბაშიძემაც! საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამერიკელთა შემოსვლით დაწყებული პროცესი გაზრდის ინტეგრაციას საქართველოს შიგნით. როგორც კი გვექნება ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია, ეკონომიკური ცხოვრებაც გამოცოცხლდება, რაც ალბათ აბაშიძეს შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს, რადგან ერთია დახშული სივრცის მართვა და მეორე — ღია, ცოცხალ სივრცეში საკუთარი ინტერესების გატარება. ვფიქრობ, აბაშიძის განცხადებებსაც ამის შიში უფრო უდევს საფუძვლად, ვიდრე ის, რომ ვინმე ფიზიკურად გაუსწორდება ან ჯარს შეიყვანს ბათუმში... რაც შეეხება რუსეთის სპეკულაციებს აჭარის თემით, ბუნებრივია, მოსკოვი იყენებს აბაშიძის ამ სისუსტეს. ქართული პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი სუსტი წერტილი არის ის, რომ აჭარას თბილისის პოლიტიკისა და გავლენისგან იზოლირების ტენდენცია ახასიათებს, თორემ საქართველოს ზოგადპოლიტიკური ინტერესების დაცვას აბაშიძე რომ უკეთესად ახერხებს ხოლმე, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება, ფაქტია. სხვა ავტონომიურ რეგიონებში რუსეთმა მიაღწია საწადელს, მაგრამ აჭარაში ამის რეალიზაციას ვერ ახერხებს სწორედ აბაშიძის ჭეშმარიტი ქართველობისა და პატრიოტობის გამო, მაგრამ მოსკოვი მაქსიმალურად იყენებს ბათუმსა და თბილისს შორის არსებულ წინააღმდეგობას. ველოდი, რომ ბათუმის რუსული ბაზის მეთაურის ბორისოვის დემარშებისა და რუსულ მედიაში რუს პოლიტიკოსთა მიერ აჭარის სხვადასხვა ბრუნვაში ხსენებისას აბაშიძე იტყოდა, თუ რა ფსონს დებდა მოსკოვი აჭარის ფაქტორზე და გასცემდა საკადრის პასუხს იმავე ოპერატიულობით, როგორითაც რეაგირებს ხოლმე თბილისში მიმდინარე პროცესებისადმი, მაგრამ ასეთი პასუხი აბაშიძეს ჯერჯერობით არ გაუცია...

**— სამწუხაროა, რომ ამ ისტორიულად გადამწყვეტ პერიოდშიც ვერ ხერხდება ქართული პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდირება. ვერ ხერხდება კორუმპირებულ ჩინოვნიკთა დასჯა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეტნაკლებად ყველა გასვრილია... ანუ ყველას შეუძლია საპასუხო ურთიერთკომპრომატები დაუდონ ერთმანეთს. შედეგად — ყველა ყველაფერში „მართალია" და იქმნება ჩაკეტილი წრე...**

— ეს დემოკრატიის თანამდევი პროცესია. დღეს ყველა ქვეყანა ირწმუნება, რომ დემოკრატიულია, მაგრამ ხომ ვიცით აფრიკული ან აზიური დემოკრატიები რას წარმოადგენენ? ჩვენს შემთხვევაში კი მოქმედებს დემოკრატიის ის მექანიზმი, როცა ყველა ყველას ჰპირდება — ყველაფერი გაიხსნებაო! დასავლეთის ქვეყნებში კი ბიზნესმენმა, პოლიტიკოსმა თუ სხვამ იცის, რომ მხილების საფრთხე ყოველ წუთს „დამოკლეს მახვილივით" ჰკიდია მის თავზე და შესაბამისად, ცდილობს მაქსიმალურად სუფთად შევიდეს დიდ თამაშებში. ამის გამო პოლიტიკური სურათიც სუფთაა და არა იმიტომ, რომ დემოკრატიის მექანიზმებია სხვანაირი. კლინტონის ისტორია ხომ გვახსოვს, როცა მის ქმედებას „ერთხელ გაკოცე, რა მოხდა"-ს სიმღერის „პრინციპით" აფასებდნენ, მაგრამ დემოკრატიულ გარემოში ისე იოლი არ არის მსგავსი საქმე, როგორც საქართველოში ჰგონიათ. შევარდნაძემ გაითვალისწინა გამსახურდიას მწარე გამოცდილება. ვინც კი გამსახურდიამ მოხსნა თანამდებობიდან, ყველა გადავიდა პოლიტიკურ და ძალისმიერ ოპოზიციაში. კი, ბატონო, მოსახსნელ-დასაჭერები არიან კორუმპირებულები, მაგრამ ეს მრავალრიცხოვანი შემადგენლობა აღმასრულებელი ხელისუფლებისა, რომ მოიხსნას პოსტებიდან და წავიდნენ ოპოზიციაში, ქვეყანა კიდევ ორად გაიყოფა. საუბედუროდ, ქვეყანას არა აქვს იმის ძალა და უნარი, რომ მოხსნილი კორუმპირებული ხალხის უვნებელყოფა შეძლოს და გარიყოს პოლიტიკური ასპარეზიდან ისე, რომ ამ ხალხმა შემდეგ ზიანი არ მიაყენოს ხელისუფლებასაც და სახელმწიფოსაც! მიჩვენეთ ჩინოსანი, რომელიც სერიოზული კომპრომატით მოიხსნა თანამდებობიდან. კი ბატონო, ბევრი ხელისუფალი ხელქვეითებთან ურთიერთობაში ეფექტიანად იყენებს მეთოდს — გასვარე და იბატონე, ანუ რაც უფრო კორუმპირებულნი არიან ხელქვეითები, მით უფრო ადვილად სამართავნი არიან. მაგრამ საკითხავია, ვინც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით გამოდის, თავის თანამოაზრე კორუმპირებულებს რატომ იჩერებენ გვერდით? პოლიტიკურ თამაშებში მიღებული წესია — მე შენზე თვალს დავხუჭავ, თუ დამიჯერებ და გამომყვები! ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიაში ჩავიხედოთ და იქაც ვნახავთ კორუმპირებულებს; იმ მოქალაქეს, რომელიც ამბობს, — რატომ არ ებრძვის კორუფციას მთავრობაო, მასაც და ჩემს თავსაც შევეკითხები: მე და შენ ვებრძვით კი კორუფციას ინსპექტორთან, პოლიციასთან, ნოტარიუსთან და სხვა მოხელეებთან ურთიერთობისას, პროტესტს ვუცხადებთ, როდესაც ფულს გვთხოვენ?! ამიტომ რა ლოგიკითაც ვცხოვრობთ, იმავე ლოგიკით იმავეს გააკეთებდა თითოეული ჩვენგანი თანამდებობაზე რომ იყოს! გვგონია, რომ პირველი პირი გვკარნახობს თამაშის წესებს, მაგრამ უმეტესწილად სწორედ საზოგადოება კარნახობს ქვეყნის ხელმძღვანელს თამაშის წესებს, ამიტომ, ჭადრაკის თამაში უნდა გაუმართო კორუმპირებულებს და არა კრივი. ასეთ ხალხს ჭკუით და ხერხით უნდა აჯობო. ერთ-ერთი ხერხი, რითაც გადაწყდა კორუფციის წინააღმდეგ შეტევის დაწყება, გახლავთ აშშ-ის შემოსვლა საქართველოში. ანუ კორუფციას ხელისუფლება კი არ უპირისპირდება, არამედ დასავლეთი, რათა კორუმპირებულთა აგრესია არ ყოფილიყო მიმართული ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისკენ და ამას არ გამოეწვია ხელახალი სამოქალაქო ომი!

**— ახლახან ბიზნესმენებმა შევარდნაძის მთავარ დასაყრდენ ძალად გამოაცხადეს თავი. უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტის ე.წ. მემკვიდრეც ამ ბიზნესმენთა წრიდან თუ არა, მათთან დაახლოებული ფენიდან დასახელდება... ამასთან, უკვე გაისმის მძაფრი შეფასებები მათი განზრახვის შესახებ და იმასაც ამბობენ, რომ ბიზნესმენთა შეკვეთილ პოლიტიკას ბანანის რესპუბლიკამდე მივყავართო! თქვენი აზრით, თუ მართლაც მათგან შეკვეთილი პოლიტიკა განხორციელდა, ეს არ მიგვიყვანს ისედაც გახლეჩილი საზოგადოების კიდევ უფრო მძაფრ დაპირისპირებამდე?**

— ჯერ „ბანანის რესპუბლიკაზე" ვთქვათ. ყველა ქვეყანაში, სადაც პოლიტიკა არის ფულის მომტანი, ანუ სადაც მავანი ხელისუფლების ფლობით აკეთებს ფულს, არის ბანანის რესპუბლიკა. ხოლო, სადაც ბიზნესი კარნახობს პოლიტიკას თავის ინტერესებს, არ არის ბანანური, არამედ არის განვითარებული ქვეყანა. დასავლურ სამყაროში სწორედ ბიზნესი კარნახობს თავის ინტერესებს. არალეგალური ბიზნესის მქონე ქვეყანა კი არის ბანანის რესპუბლიკა, რისი ნიშნებიც საქართველოშიც უამრავია. მაგრამ როდესაც, ვთქვათ, გოგი თოფაძე მეტყვის, რომ თავისი ლეგალური ბიზნესის განვითარებისთვის უნდა ქვეყანაში ასეთი და ასეთი პოლიტიკის გატარება, ეს ერთი შეხედვით ნიშნავს თოფაძის თუ სხვა ბიზნესმენის ინტერესების გათვალისწინებას. მაგრამ საქართველოში ბოთლი ლუდი ღირს ერთი ლარი (50 ცენტი), ასეთი დაბალი ფასი მსოფლიოში არსად არ არის (მინიმუმ ერთი დოლარია ლუდის ფასი) და თოფაძის ინტერესებშია, რომ გაზარდოს თავის ლუდზე ფასი. ხოლო სანამ მოქალაქე ღარიბია, ფასს ვერ გაზრდის. ე.ი. თოფაძის ინტერესშია, რომ მოქალაქე გამდიდრდეს, ანუ ბიზნესის და სახელმწიფოს, მოქალაქის ინტერესი ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ ბიზნესმენის დაკვეთით წარმოებული პოლიტიკა მომგებიანია ქვეყნისთვის. მაგრამ თუკი პოლიტიკას უკვეთავს ადამიანი, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის და ამით ფულის შოვნის გარდა სხვა ინტერესი არ გააჩნია, ეს დამღუპველია ქვეყნისთვის, რადგან ასეთ ადამიანთა ინტერესში ბიზნესის განვითარება არ შედის. ვიმეორებ, კაცი, რომელსაც ხელისუფლების გარდა სხვა არაფერი აქვს, არასოდეს დაუშვებს ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას. ბიზნესმენი კი თავის პოლიტიკურ სტატუსს არ ეძებს იმიტომ, რომ მისი მთავარი ინტერესი დევს ბიზნესში და მას პოლიტიკა ზუსტად იმ დონით და იმ დოზით სჭირდება, რომლითაც მშვიდად და კანონიერად განავითარებს თავის ბიზნესს! თუკი ჩვენში შეიქმნება ისეთი კანონები, რომლებიც ბიზნესმენის ქონებას გაზრდის, იგივე კანონები ჩემი ქონების გაზრდასაც შეუწყობს ხელს. ამიტომ თუ ბიზნესმენები დღესაც „იმ სართულზე" მოვაყუჩეთ, სადაც კომუნისტურ ეპოქაში ისხდნენ, მივიღებთ ისეთსავე სახელმწიფოს, როგორიც გვქონდა. ქართული პოლიტიკური ელიტა, მხედველობაში მაქვს არაბიზნესური ელიტა, ზრუნავს საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებაზე და კომპრომატებსაც იმიტომ ისვრის, რომ შეინარჩუნოს ხელისუფლება. იმდენად არიან გამწარებულ-შეშინებულნი, რომ ყველაფერს კადრულობენ. თეთრ ბიზნესზე პოზიტიური არაფერია ჩვენთვის და ხელი უნდა შევუწყოთ ყველას, თუნდაც გუშინდელ ქურდს და ყაჩაღს, იმიტომ რომ სხვა გზა არ არის! თუ არა და, ბიზნესს მოვსპობთ და ყველაფერი თავიდან დაიწყება, ახალი ყაჩაღობები გახდება საჭირო, რომ ახალი ფენა ჩამოყალიბდეს.

**— მაგრამ, დამეთანხმებით, ბიზნესმენებს დიდი ომის გადახდა მოუწევთ, ვიდრე პოლიტიკის შემკვეთნი გახდებიან...**

— საქმე ის არის, რომ დღემდე ბიზნესმენები ხმამაღლა პრეტენზიებს არ გამოთქვამდნენ, ცდილობდნენ, ყოფილიყვნენ ისე, როგორც ხელისუფლება მოითხოვდა. ამიტომ მართლები არიან ის ბიზნესმენები, რომლებიც აცხადებენ — ჩვენ დავაფინანსეთ ეს პარტიები და დღეს როგორ იქცევიანო?! აფინანსებდნენ ამ პარტიებს, ხელს უწყობდნენ ხელისუფლებას, ოღონდ ისე, რომ არც აპირებდნენ მოეთხოვათ მათგან ესა თუ ის პოლიტიკური ქმედებები. დღეს უკვე გაუჩნდათ პრეტენზია და აცხადებენ — გაფინანსებ და კეთილი ინებე და იყავი ისეთი, როგორიც მინდაო. ეს უკვე ბიზნესმენთა ფენის გაზრდის შედეგია, თორემ დღემდე მას ექცეოდნენ, როგორც ძროხას, ანუ მხოლოდ წველიდნენ. საბჭოთა პერიოდშიც არსებობდნენ ბიზნესმენები, ოღონდ ძროხის სტატუსით — მოუნდებოდათ, მოწველიდნენ, მოუნდებოდათ დაკლავდნენ. დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსებს კვლავ ასეთი ძროხების ყოლა სურთ. დღეს ბრძოლაა საჭირო და ეს კარგად უნდა გააცნობიერონ ბიზნესმენებმა. ამ ბრძოლაში შეიძლება ბევრი „სისხლიც დაიღვაროს", მაგრამ ისტორიული კანონზომიერება მათ მხარეზეა. სწორედ ბუნებრივი განვითარება გამოგვიყვანს ჩაკეტილი წრიდან. ბიზნესით ცხოვრება უნდა გახდეს თითოეული მოქალაქისთვის ჩვეული მოვლენა, ანუ უნდა გაჩნდეს საშუალო ფენა. ბიზნესს სტაბილურობა აინტერესებს და აშშ-სა და დასავლეთს აქ ბიზნესის განვითარებაც იმიტომ სურთ, რომ საქართველო სტაბილური ქვეყანა გახდება. აშშ-ისთვის ეს იქნება ენერგოპროექტების რეალიზაციისა და სხვა ინტერესების დაცვის მყარი გარანტია.

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა...“



გადმოცემის თანახმად, ღვთისმშობელი ქალწული კითხულობდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნს და შეხვდა ადგილი: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვას ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“. ამ სიტყვებზე დაფიქრდა და გულში თქვა, — რა სანატრელი იქნება ის ქალწული, რომელზედაც ითქვა ეს სიტყვებიო.

მარიამი ევედრა ღმერთს, — მაღირსე ხილვა იმ ქალწულისა, რათა ვემსახურო მას, როგორც მხევალიო.

გაიარა დრომ. ერთხელ მარიამი წინასწარმეტყველის იმავე სიტყვებს კითხულობდა. მოულოდნელად უფლის მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და აუწყა: **„გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის...“.**

და როცა მარიამს დაეჭვება შეეიშნა, დაამშვიდა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღვთისა“. მთავარანგელოზმა აუხსნა, რომ მისგან იშვებოდა მხსნელი სოფლისა, განკაცებული ღვთის ძე.

მთავარანგელოზის სიტყვები იმდენ საიდუმლოებას მოიცავდა და მიუწვდომელი იყო ადამიანის გონებისთვის, რომ მარიამი მეტ ახსნას ითხოვდა. მით უმეტეს, მთავარანგელოზმა ამცნო, რომ იგი გახდებოდა ღვთის ჭურჭელი, რათა სამყაროს მოვლენოდა მისი სხეულიდან იესო ქრისტე, ძე ღვთისა, რომლის ჯვარცმით და აღდგომით ადამიანი დაუბრუნდებოდა თავის ბუნებრივ, უცოდველ მდგომარეობას.

მარიამისთვის მნიშვნელოვანი იყო გაეგო, როგორ განხორციელდებოდა ეს საიდუმლო, როცა მას ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული. მთავარანგელოზმა დაამშვიდა, რომ ეს მოხდებოდა სულიწმიდის მადლით...

ხარების დღესასწაულის დაწესება შორეულ წარსულში მოხდა და მას დღესასწაულთა დღესასწაულს უწოდებდნენ, რადგანაც ის მოგვაგონებს ყოველი ერის ხსნის დასაწყისს.

V-VI ს-ში გავრცელებული ერესების დროს, ერეტიკოსები ამცირებდნენ ღვთისმშობლის პიროვნებას და ამახინჯებდნენ დოგმატს იესო ქრისტეს განხორციელების შესახებ, ამიტომ ეკლესიამ ხარების დღესასწაულს მეტი საზეიმო ხასიათი მისცა და შეიქმნა ამ დღისადმი მიძღვნილი მრავალი საგალობელი.

ძველად ხარებას იმდენად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ ამბობდნენ: ამ დღეს ჩიტიც კი არ იკეთებს ბუდეს, ისიც თავისებურად მიაგებს პატივს ამ დღესასწაულსო.

საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ადამიანები ყოველდღე უნდა ახარებდნენ ერთმანეთს რაიმე სასიხარულოს, მით უმეტეს, ეს საჭიროა ხარების დღესასწაულზე, როცა ღვთისმშობელმა მარიამმა მთავარანგელოზის მიერ გაიგო, რომ უფალმა წყალობით მოხედა ხილულ სამყაროს და მოუვლინა მესია, რომელიც აღუთქვა კაცობრიობას ჯერ კიდევ ადამის სამოთხიდან განდევნისას.

**ახალი სტილით 7 აპრილს მოხდა ის სასწაული, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ საუკუნეების მანძილზე.**

მას შემდეგ უფალმა მრავალი საიდუმლოება გაუმხილა ადამიანებს თავის შესახებ, რაც გადმოიცა ახალ აღთქმაში მოციქულთა მიერ.

***ანა ჩხეიძე***









პროფესიით ბიოლოგი მოულოდნელად, ამ ექვსი თვის წინ, ხატვის შინაგანმა სურვილმა მოიცვა... მერე, მუზამ სხვაგვარი გაგრძელება ისურვა და აკვარელისა და პასტელის ფერებს ჩაენაცვლა ბრინჯი და მზესუმზირა, გოგრის თესლი და ალუბლის კურკა... შეიქმნა საოცარი მუხტის საოცარი გალერეა.

და მშვენიერი ქალბატონის მშვენიერი შემოქმედება თბილისელებისთვის მთელი კვირით გამოიფინა.

*ჩახრუხაძის ქუჩა №17 — ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი...* ***ეწვიეთ ქალბატონ ნუცა თოფჩიშვილს.***

„დიდი თეატრის დიდ დარბაზში პირველად შესვლისას კინაღამ ცუდად გავხდი, მაშინ იქ იმყოფებოდა 10-12 პრიმა-ბალერინა და ამდენი ვარსკვლავის დანახვაზე მათთან ვარჯიშს კი არა, საერთოდ გვერდზე გავლასაც ვერ წარმოვიდგენდი“ — ღიმილით იგონებს მსოფლიოში გამორჩეული ბალერინა **ნინო ანანიაშვილი**, რომელმაც თავისი ტალანტის, თავდაუზოგავი შრომის, მომხიბლაობის, კეთილშობილების, ირგვლივ მყოფთა პატივისცემის წყალობით, ადგილი დაიმკვიდრა არა მხოლოდ დიდი თეატრის საბალეტო დასში. ნიუიორკის „მეტროპოლიტენ-ოპერა“, ლონდონის „კონვენტ-გარდენი“, პარიზის „გრანდ-ოპერა“, სანკტ-პეტერბურგის „მარინის საოპერო თეატრი“, ჰამბურგის პრესტიჟული თეატრი, იაპონიის, ჩინეთის და კიდევ ბევრი სხვა სცენა სიამოვნებით მასპინძლობს ნინო ანანიაშვილს.

ნინო ანანიაშვილმა დაასრულა გასტროლები თბილისში და მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერ ანდრეი უვაროვთან ერთად ქართველი მაყურებელი კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა ადანის „ჟიზელით“.

როგორც პრიმა ბალერინამ განაცხადა, თბილისში გამართული კონცერტები ახლახან გარდაცვლილი მაესტროს, ჯანსუღ კახიძის ხსოვნას მიეძღვნა.

— მინდოდა კარგა ხნის პაუზის შემდეგ ისევ მეცეკვა თბილისში. ჩემი პარტნიორი ანდრეი უვაროვი არასოდეს ყოფილა აქ. იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მოცეკვავეა და ძალიან მინდოდა თბილისელი მაყურებლისთვის გამეცნო.

— ***როგორც ხშირად აღნიშნავენ, თქვენ გვერდით არასოდეს იჩრდილება პარტნიორი, როგორ ახერხებთ ამას?***

— ძალიან მიყვარს ძლიერ პარტნიორებთან ცეკვა. თუ სპექტაკლში ბევრია ძლიერი მოცეკვავე, იგი სხვაგვარად გამოიყურება. თუ პარტნიორები თანაბრად ძლიერები არიან, დასის დონეც მაღლა იწევს. თუ დამწყებ მსახიობთან ვცეკვავ, ვცდილობ დავეხმარო, ჩემს დონეზე ავიყვანო ან ისეთი ურთიერთობა დავამყარო, რომ ვერავინ დაინახოს ჩვენი სუსტი მხარე. ამას ბალეტში დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ***სცენაზე გასვლის წინ ისევ ღელავთ ხოლმე?***

— საერთოდ ყოველთვის ვნერვიულობ, მიუხედავად იმისა, დიდ პარტიას ვცეკვავ თუ პატარას. მაგრამ ეს არ არის დამაბნეველი ნერვიულობა, ეს ის არის, რაც უკეთ თამაშში მეხმარება.

— ***ბევრი ადამიანი ატარებს ავგაროზს, რომელიც მისი რწმენით წარმატებას მოუტანს. თქვენ თუ გაქვთ რამე ასეთი?***

— თუ რაიმეს ვკარგავ, ძალიან განვიცდი. ამიტომ ავგაროზს არ ვატარებ და საერთოდ, ყველანაირი ავგაროზი თავად ჩემშია. ეს ალბათ ფსიქოლოგიური განწყობაა, რომელიც ყველას ინდივიდუალურად აქვს. ახლაც, ამ ასაკშიც კი მახსოვს მამაჩემის შეგონება, რომ სახლიდან აუცილებლად მარჯვენა ფეხით უნდა გამოვიდე. ამიტომაც, ყოველთვის კარში გასვლამდე ვჩერდები და მარცხენა ფეხზე შევხტები ხოლმე. ხანდახან ეს სასაცილოა, როცა კამერებით მომდევენ რეპორტიორები, მე კი უცებ კარში შესვლამდე მარცხენა ფეხზე ვხტები. ყველას უკვირს, რას ვაკეთებ. ეს ჩემი ბავშვობის დროინდელი ჩვევაა.

— ***გრაფიკის გამო ალბათ „მძიმე ბავშვობა“ გქონდათ.***

— არა, კარგად მახსოვს, რომ სკოლაშიც, ბალეტშიც და ეზოშიც ვთამაშობდი. როგორც ყველა ბავშვს, მეც არ მიყვარდა გაკვეთილების მომზადება, მაგრამ მაინც კარგად ვსწავლობდი. 6 წლიდან რომ დავიწყე სკოლაში სიარული, იმის მერე, თავისუფალი დრო აღარ მქონია. სახლში დაქანცული რომ ვბრუნდებოდი, მამა წუხდა — დაასვენეთ ბავშვიო. მაგრამ ყველაფერს ჩემი სურვილი განაპირობებდა. ეზოში თამაში მიყვარდა, ვთამაშობდი ბურთითაც კი, თანაც ისე კარგად, რომ ჩემზე უფროს ბიჭებს ვჯობნიდი.

— ***დღეს ხომ გაქვთ დაძაბული რეჟიმი, როგორ მოქმედებს თქვენზე?***

— ადამიანთა იმ კატეგორიას ვეკუთვნი, ვისაც არ უყვარს ცხოვრების გართულება და ყველაფერს ამარტივებს. არასოდეს მითქვამს, „ვაიმე, ეს რა საშინელებაა“, მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი ეტაპი მაქვს გავლილი ცხოვრებაში. საერთოდ შენი გარემოცვის სიმშვიდე თავად შენზეა დამოკიდებული. თუ ისტერიული ადამიანი ხარ, გარშემო ყველას შიშის ზარს სცემ; შეიძლება ისე გადაიტანო პრობლემები, რომ შენ ირგვლივ არავინ შეაწუხო. მე ასეთ კატეგორიას ვეკუთვნი.

— ***თქვენს ოჯახში, მგონი, მარტო თქვენთვის არ ნიშნავს ბალეტი მთელ ცხოვრებას.***

— რა თქმა უნდა. ჩემს მეუღლეს იმდენად უყვარს ბალეტი, რომ თუ გადაღლილია და ყველა მხრიდან ხმაური აწუხებს, ოთახში იკეტება და დასაწყნარებლად ბალეტს უყურებს. ღიმილით ვეკითხები, როგორ არ მოგბეზრდა-მეთქი. ასეა მამაჩემიც. ასე რომ, როგორც ბალეტის მსახიობებს უთქვამთ, „ჩვენ საშვილიშვილოდ ვართ დაავადებული ბალეტით“.

— ***დილით ძალიან ადრე დგებით?***

— არა. 9 საათზე. 10-ზე მივდივარ სამეცადინოდ. შინ, გვიან, ძალიან დაღლილი ვბრუნდები. ბალეტი არა მარტო ფიზიკურ, არამედ გონებრივ დატვირთვასაც მოითხოვს. ჩემი ძმები ბავშვობიდანვე მეხუმრებოდნენ — შენ ფეხებს უნდა გაუფრთხილდე, თავს კი არა უშავსო. ეს მე ახლაც მაბრაზებს. ბალერინას ძალიან სჭირდება თავი, მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.



*სცენაზე ლაპარაკობს ჩვენი სხეული, სული. შინაგან სათქმელს ხელებით გამოვხატავთ*

— ***ალბათ, არ არსებობს ინტერვიუ, რომ ბებიაზე არ გკითხონ. ამბობენ, რომ არა ის, ნინო ანანიაშვილი ალბათ ასეთი დონის ბალერინად ვერ ჩამოყალიბდებოდაო.***

— ბებია ჩემთვის ყველაფერი იყო. ისე მიყვარდა, რომ როცა მეკითხებოდნენ — დედა უფრო გიყვარს თუ მამაო? ვპასუხობდი, ბებია-მეთქი. ბებია რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა დედა. სხვა ოჯახში რომ გავჩენილიყავი, სხვანაირი ვიქნებოდი და ა.შ. ყველაფერი ჩემი მშობლების წყალობით მოხდა. დედა რომ არა, ქორეოგრაფიულზე ვერ მოვხვდებოდი. მამას რომ უარი ეთქვა ჩემს მოსკოვში წასვლაზე, სხვა ცხოვრება მექნებოდა. მე ბედნიერი ვარ და ვამბობ, ასეთი ოჯახი რომ არ მყოლოდა, ასეთი ცნობილი ვერ გავხდებოდი. ბებია 12 წელი რუსეთში იყო „გადასახლებული“ ჩემ გამო.

— ***ეს ალბათ ძალიან სასიამოვნო გადასახლება იყო.***

— 70 წელს გადაცილებულმა ქალმა, მოსკოვშიც კი მოახერხა თავისი წრის შეკვრა და თბილისში ჩამოსულს გული სულ იქით მიუწევდა, რადგან გრძნობდა, რომ ეკატერინა ანდრეევნას მოლოდინში იყვნენ მოსკოველები.

— ***ხელოვანს შემოქმედებისთვის სჭირდება მუზა. თქვენ, ბალერინებს, შეგიძლიათ მის გარეშე ცეკვა?***

— ბალერინა, მოცეკვავე უფრო შემსრულებელი ინსტრუმენტია. ქორეოგრაფს ალბათ სჭირდება შთაგონება, რომ რაღაც დადგას. ჩვენ კი ისე ვმუშაობთ ქორეოგრაფთან, როგორც მსახიობი რეჟისორთან. ოღონდ ჩვენ ვდუმვართ, სცენაზე ლაპარაკობს ჩვენი სხეული, სული. შინაგან სათქმელს ხელებით გამოვხატავთ.

— ***თქვენ იცნობთ მსოფლიო მაყურებელს. როგორ ფიქრობთ, ძველებურად აინტერესებს ხალხს ბალეტი?***

— როცა ბილეთი 100 და მეტი დოლარი ღირს, მაყურებელი კი ყიდულობს მას არა ერთხელ და ორჯერ და შეუძლიათ ერთი სპექტაკლი უამრავჯერ ნახონ — ეს ალბათ იმის ნიშანია, რომ ხალხს სჭირდება ეს ლამაზი ხელოვნება.

— ***თქვენი მაყურებელი ყველგან ერთნაირია თუ განსხვავდებიან?***

— მაყურებელი ყველგან სხვადასხვანაირია, მაგრამ ჩემთვის არ არსებობს ცუდი მაყურებელი, რადგან იგი შენს სანახავად მოდის, პატივი უნდა სცე მას. ისიც მართალია, რომ მაყურებელი შენთან ერთად იზრდება. როცა ბალანჩინი თანამედროვე ცეკვების დადგმას იწყებდა, არავის ესმოდა მისი. მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებობდა მხოლოდ კლასიკური ბალეტი. დიდმა თეატრმა სტრავინსკის მუსიკაზე დადგმული ბალანჩინის ბალეტი რომ ჩამოიტანა, მაყურებელი თავდაპირველად შოკში ჩავარდა. მერე კი ძალიან შეუყვარდა.

— ***ანანიაშვილი განსაკუთრებულად იაპონელებს უყვართო...***

— საერთოდ იაპონელები თავისებური ხალხია — ან ძალიან შეგიყვარებენ, ან არადა, ზრდილობიანად კი მოგექცევიან, მაგრამ გაგრძნობინებენ, რომ სხვა კონტინენტიდან ჩამოსული ადამიანი ხარ. ჩემ მიმართ მართლაც საოცარ სითბოს იჩენენ.

— ***თბილისში, თითქმის ყოველთვის „ჟიზელი“ ჩამოგაქვთ, რატომ?***

— დიდი სიამოვნებით ჩამოვიტანდი სხვა სპექტაკლებსაც და ვაპირებ კიდეც ამის გაკეთებას, მაგრამ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ბალეტს მარტო ხომ ვერ დავდგამ? მჭირდება პარტნიორი, დასი, ორკესტრი. თანამედროვე სპექტაკლები რომ ჩამოვიტანო, 50 კაცი უნდა ჩამოვიყვანო. თუ ვინმე დამეხმარება, სიამოვნებით გავაკეთებ ამას.

— ***რას იზამთ, ბალეტი რომ გაქრეს, კოსტიუმები, პუანტები, ყველაფერი სადღაც დაიკარგოს?***

— თავიდან დავიწყებ, პატარა ბავშვებს ვასწავლი, კოსტიუმებს და პუანტებს შევკერავ, მერე ის ბავშვები გაიზრდებიან, სხვებს ასწავლიან და ა.შ. თქვენ გგონიათ, საქართველოში თავისთავად გაჩნდა ბალეტი? სპერი ჩამოვიდა და გააკეთა ბალეტი, მერე ვახტანგ ჭაბუკიანი გაჩნდა, მერე კიდევ სხვები და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ერთ-ერთი წამყვანი და ცნობილი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და უცხოელი სტუმრები აუცილებლად ჩამოჰყავდათ აქ. აუცილებლად გამოჩნდება ვიღაც, ვინც ქართულ ბალეტს ააღორძინებს.

— ***თქვენ ოპტიმისტურად უყურებთ ხელოვნების აღორძინების საკითხს?***

— დიახ. თუ ხელოვნება განადგურდება, მაშინ ყველაფერი განადგურდება. როგორ შეიძლება საქართველოს არ ჰქონდეს თეატრები, რომ მსახიობებს არ ჰქონდეთ მუშაობის პირობები. რა განსაზღვრავს ქვეყნის კულტურას? სკამები, მაგიდები, კაბინეტები? თუ სახლის მორთულობა? ქვეყნის კულტურას განსაზღვრავს ადამიანი. როგორი კულტურისაც არიან ადამიანები, ისეთია ქვეყანაც. ანუ როგორი ხელოვნების დონეც გვაქვს, ისეთია ჩვენი კულტურაც. ნურავინ წარმოიდგენს, რომ საკუთარ შვილს მხოლოდ მასზე ზრუნვით გახდის ბედნიერს. როცა ყველა უბედურია, ადამიანი მხოლოდ ხელოვნურად შექმნილ ვიწრო სამყაროში ვერ იქნება ბედნიერი.

— ***როგორი დამოკიდებულება გაქვთ პრესასთან?***

— არასოდეს მქონია დაძაბული ურთიერთობა ჟურნალისტებთან, მაგრამ, როდესაც ჩემი კოლეგების შესახებ დაწერილ სტატიებს ვკითხულობ, არ მომწონს ჟურნალისტების მიერ მათი კრიტიკა. ჟურნალისტი, რომელიც გაკრიტიკებს, თვითონაც უნდა იყოს კომპეტენტური ამ დარგში. ბალანჩინს მთელი ცხოვრება აგინებდა და საზიზღრობებს უწერდა ერთი ჟურნალისტი, აბა ახლა სად არის ის ჟურნალისტი, ვის ახსოვს? ბალანჩინი კი უკვდავია.

— ***უახლოეს მომავალში თუ ჩამოხვალთ კვლავ?***

— უახლოესი მომავალი ძალიან დატვირთული მაქვს. თბილისში ჩამოსვლას ალბათ მაინც შევძლებ, თანაც ახალი სპექტაკლებით, ოღონდ არ ვიცი, როდის.

***ეკა ლომიძე***

# „კოდორის დაკარგვა შევარდნაძის თანამდებობიდან წასვლის უმოკლესი გზაა...“

საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელმა ქმედებებმა ალმა-ათის სამიტზე, შევარდნაძის რიხიანმა ტონმა და ამერიკელების დახმარების რეალურობამ, რუსეთი გვარიანად გაამწარა. ჩვენი მეზობლების რეაქციიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ბოლომის ჩაყლაპვას არ აპირებენ. რუსული პრესის განგაში და დუმის დეპუტატების ემოციური, საყვედურნარევი განცხადებები — ამერიკელების დახმარება რად გინდოდათ, ჩვენ აგერ არ ვართო, საქართველოში თავიდან თითქოს განაწყენებული კაცის პოზად და უღონო გაბრძოლებად აღიქვეს. მაგრამ არც ასე იოლად ყოფილა საქმე. რუსებმა ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე შემოგვიტიეს. რუსეთის თავდაცვის მინისტრი ივანოვი კატეგორიულად აცხადებს, — ამერიკელებმა საქართველოს დახმარების გეგმაში ცვლილებები უნდა შეიტანონ, რადგან იგი რუსეთის სამხედრო ინტერესებს ეწინააღმდეგებაო. პარალელურად, რუსები საქართველოს, როგორც აგრესორი ქვეყნის იმიჯის შექმნასაც ცდილობენ. მათი წაქეზებით სოხუმში განგაშის ზარებს შემოჰკრეს — საქართველო აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის განხორციელებას გეგმავსო. სეპარატისტთა უშიშროების საბჭოს მდივანი ასტამურ ტანია, როგორც ყველაზე მეტად „ინფორმირებული“ პირი, კონკრეტულ ვადებსაც ასახელებს — აპრილში აფხაზეთში ომი დაიწყებაო... ამ ისტერიის ფონზე აფეთქებების სერია დაიწყო ოჩამჩირეში, სოფელ ანაკლიაში კი რუსი სამშვიდობოები ლტოლვილებს უხსნიან ცეცხლს...

ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, შემთხვევით არაფერი ხდებაო... რუსი პოლიტიკოსების და ძალოვნების, ერთი შეხედვით, აგონიური გაბრძოლება ემოციური აფეთქება კი არა, კარგად გათვლილი, წინასწარ დაგეგმილი მზაკვრული გეგმის პირველი ნაბიჯები ყოფილა. იგი მხოლოდ ამერიკული დახმარების შეწყვეტას კი არა, თურმე საქართველოს ხელისუფლების შეცვლასაც ითვალისწინებს. სქემა, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებში შემუშავდა, როგორც შევიტყვეთ, თანამდებობიდან შევარდნაძის წასვლას გულისხმობს. ვესაუბრებით პარლამენტარ **ირაკლი ბათიაშვილს**:

**ამ ეტაპზე რუსების მთავარი სამიზნე პრეზიდენტი შევარდნაძეა. კოდორის დაკარგვა თანამდებობიდან შევარდნაძის წასვლის უმოკლესი გზაა. არ არის გამორიცხული, რომ რუსებმა ტერაქტსაც მიმართონ და შევარდნაძე მოკლან. მაგრამ ეს რთული გზაა. უფრო მოკლე და მარტივი კოდორის დაკარგვაა, ამის შედეგად დაიწყება ისეთი პროცესები, რომელიც უთუოდ შევარდნაძის გადადგომით დამთავრდება.**



— არა მგონია ამერიკელებს არ გაეთვალათ რუსების სავარაუდო რეაქცია, საქართველოში მათი სამხედროების გამოჩენის შემთხვევაში. აშშ სუპერსახელმწიფოა, მას შეუძლია დემოკრატიული წესრიგი დაამყაროს პლანეტის ნებისმიერ წერტილში (ამის მაგალითია ავღანეთში მინიმალური მსხვერპლით და უმოკლეს ვადაში განხორციელებული სამხედრო ოპერაცია), მაგრამ მიუხედავად ამისა, აშშ მაინც გაუწევს ანგარიშს რუსეთის ფაქტორს, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამერიკელებს არ სურთ რუსების ზედმეტად გაღიზიანება. რუსულ მასმედიასა და სახელმწიფო სათათბიროში დატრიალებული ისტერიის ფონზე აშშ ფრთხილად იმოქმედებს, რათა რუსეთის მძაფრი რეაქცია შეასუსტოს და ამის პარალელურად უარი არ თქვას თავის სტრატეგიულ გადაწყვეტილებაზე.

— **საქართველოში გარკვეული ძალები ეჭვით ლაპარაკობენ სამომავლოდ ამერიკელების მიერ გაწვრთნილ სამხედროებზე...**

— ეს ხელოვნურად არის ინსპირირებული რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. აქ კარგად ჩანს მათი მიზანი — ჯერ ალიაქოთი ატეხეს — შესაძლოა ეს რაზმები აფხაზეთში გამოიყენონო, შემდეგ კი ირიბი თუ სხვა არხებით გავლენა მოახდინეს ბ-ნ ასლან აბაშიძეზე — აქაოდა, ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ძალები შესაძლოა არადანიშნულებისამებრ, აჭარის წინააღმდეგ გამოიყენონო. ასლან აბაშიძე არ არის ისეთი კაცი, სიტუაციის რეალურად შეფასება რომ არ შეეძლოს, მაგრამ ეტყობა, ამ შემთხვევაში სერიოზულმა მექანიზმმა იმუშავა. მას აფიქრებინეს, რომ ამ რაზმებს მის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. ამ მხრივ სპეცსამსახურებს ტოლი არ ჰყავთ. სპეცსამსახურებმა კარგად გამოიყენეს საქართველოში არსებული მანკიერი პრეცედენტი — ამერიკელების მიერ გაწვრთნილი პირები 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობდნენ. თავად ასლან აბაშიძესაც არაერთხელ დამუქრებიან, კიტოვანსა და გიორგაძესთან მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა... ამიტომ მის შიშსა და ეჭვებს გარკვეული საფუძველი აქვს... თუმც აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ აშშ-ის მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია და თუ პოლიტიკური ძალა საქართველოს მომავლით არის დაინტერესებული, მხოლოდ უნდა მიესალმებოდეს ამ ფაქტს.

შესაძლოა სამშვიდობოებმა თავიანთ თავსაც მოუწყონ პროვოკაციები, არ გამოვრიცხავ დესტრუქციულ ქმედებებს და დივერსიებსაც — ეს ყველაფერი ჩვენი დისკრედიტაციისათვის და ამერიკელთა მხარდასაჭერი პროცესის შესაჩერებლად კეთდება.

რუსებმა გვაიძულეს კოდორის ხეობიდან ჯარი გაგვეყვანა. არსებობს საშიშროება, რომ დაიწყოს რუსული სქემის მეორე ეტაპის განხორციელება — შეტევა კოდორის ხეობის მიმართულებით. აფხაზები ისტერიას ქმნიან, — პლაცდარმი, რომლითაც ქართველები აფხაზეთში შემოვლენ, კოდორის ხეობააო. არ არის გამორიცხული, რომ ამ მოტივით აფხაზურ-რუსულმა ძალებმა კოდორის ხეობა დაიკავონ.

— **ეს სქემა საქართველოსთვის აფხაზეთის საბოლოოდ ჩამოცილებას გულისხმობს?**

— ამ ეტაპზე რუსების მთავარი სამიზნე პრეზიდენტი შევარდნაძეა. კოდორის დაკარგვა თანამდებობიდან შევარდნაძის წასვლის უმოკლესი გზაა. არ არის გამორიცხული, რომ რუსებმა ტერაქტსაც მიმართონ და შევარდნაძე მოკლან. მაგრამ ეს რთული გზაა. უფრო მოკლე და მარტივი კოდორის დაკარგვაა, ამის შედეგად დაიწყება ისეთი პროცესები, რომელიც უთუოდ შევარდნაძის გადადგომით დამთავრდება. შევარდნაძე ამერიკელების საქართველოში შემოსვლის გარანტიაა, ამიტომ რუსები ყველანაირად ეცდებიან მის თავიდან მოცილებას.

***იზო რიკაძე***

# რატომ გარბოდა კერესელიძე?!

## – საპატიმროებში ტუსაღები შეიარაღებულები დადიან?!

საოლქო სასამართლოში განახლდა ვალერი ასათიანისა და „60 წუთის“ სასამართლო პროცესი. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად შეძლებს კულტურის ყოფილი მინისტრი ამ პროცესზე თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას, მაგრამ ფაქტია, რომ მთავარი „ბრალმდებელი,“ პატიმარი ირაკლი კერესელიძე უკვე გამოსავალს ეძებს და პატიმრობიდან თავის დაღწევას ცდილობს. თუმცა შავ მაგიაში კარგად გარკვეულ პატიმარს, რომელიც „მსხვერპლშეწირვის“ რიტუალში ამხელდა ვალერი ასათიანს, ამჯერად მაგიისთვის აღარ მიუმართავს“ და გასულ კვირას ჩვეულებრივი კრიმინალური ხერხით ცდილობდა ციხიდან გაქცევას.

საოლქო სასამართლოში გადაყვანამდე საკნიდან გამოსვლის დროს მან „ზიგზაუერის“ ტიპის იარაღის მუქარით გაქცევა სცადა.

ბადრაგი **ტაბატაძე:** „ის-ის იყო ჩხრეკა დავიწყეთ, რომ მოულოდნელად იარაღი ამოიღო და მომადო. ინსტინქტურად მაშინვე იარაღზე ვწვდი და წართმევა დავაპირე. მეორე ხელით მეორე ჯიბიდან დანა ამოიღო. როგორც ჩანს: დარტყმას მიპირებდა. მეორე ბადრაგმა დაინახა და დანა წაართვა. როგორც იქნა, იარაღიც წავართვი“...

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, პაატა მხეიძის განცხადებით, ინციდენტის დროს კერესელიძეს დანით ხელი გაეჭრა. განიარაღების შემდეგ კი მას ჯიბეში აღმოაჩნდა პირადობის მოწმობა, რომელიც შსს-ს დაცვის სამმართველოდან იყო გაცემული. გარდა ამისა, ბადრაგის მძღოლი აფიქსირებს, რომ მათ მანქანას საეჭვოდ მიჰყვებოდა ახლო მანძილზე ტაქსი, რაც ნიშნავს, რომ გაქცევა შესაძლოა წინასწარორგანიზებული ყოფილიყო.

მიუხედავად ზემოთქმულისა, თავად ირაკლი კერესელიძე ყოველივეს უარყოფს და აცხადებს, რომ მას პროვოკაცია მოუწყეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამართლეს განსასჯელის გამოუცხადებლობის მიზეზი არ დაუფიქსირებია. უფრო მეტიც, რამდენიმე საათის შემდეგ კერესელიძე საოლქო სასამართლოში მიიყვანეს.

მომხდართან დაკავშირებით პროკურატურამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე „შეიარაღებული თავდასხმის და გაქცევის მცდელობის“ მუხლით. რაც შეეხება „60 წუთისა“ და ვალერი ასათიანის სასამართლო განხილვას, იგი ერთ კვირაში განახლდება.

***მარინა მამისაშვილი***

# ყველა გაიგებს იმ გმირი ბიჭების სახელებს...



## ინტერვიუ „თეთრი ლეგიონის“ მეთაურთან

აფხაზეთს კიდევ ერთხელ გადაუარა ტერაქტების ტალღამ. ზედიზედ მომხდარმა მძლავრმა აფეთქებებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა აფხაზეთის მშვიდობიან მოსახლეობას, საგარეუბნო მატარებელში მომხდარმა აფეთქებამ კი ხანდაზმული ქალის სიცოცხლე შეიწირა. სეპარატისტულმა ხელისუფლებამ და რუსულმა მხარემ მომხდარი იმთავითვე საქართველოს სპეცსამსახურებს დააბრალა და აფეთქებების უშუალო შემსრულებლად ქართული პარტიზანული შენაერთები — „თეთრი ლეგიონი“ და „ტყის ძმები“ დაასახელა. „ტყის ძმების“ მეთაურმა უკვე უარყო ტერაქტში თავისი რაზმის მონაწილეობა. „კვირის პალიტრას“ საშუალება მიეცა შეხვედროდა „თეთრი ლეგიონის“ მეთაურს **ზურაბ სამუშიას:**

— **ბატონო ზურაბ, თქვენ უარყოფთ თქვენი შენაერთის მონაწილეობას აფეთქებების მოწყობაში, მაგრამ ხომ არიან სხვა პარტიზანული რაზმები, რომლებიც თქვენგან დამოუკიდებლად მოქმედებენ?**

— რა თქმა უნდა, სხვებიც არიან, მაგრამ ეს აფეთქებები არ ჰგავს ზოგადად პარტიზანების ხელწერას. მას შემდეგ, რაც პარტიზანული მოძრაობა მიმდინარეობს, ერთი ფაქტიც არ ყოფილა, რომ დაგეგმილ ოპერაციას მშვიდობიანი მოქალაქე შესწირვოდა, როცა სეპარატისტებმა მშვიდობიან პერიოდში, ორი ათასამდე ქართველი, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ზოგჯერ გართობის მიზნითაც კი დახოცეს. ჩვენი სამიზნე სეპარატისტების სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებია. ეს აფეთქებები კი, რაც ახლა მოხდა, უშუალოდ ეხებოდა მშვიდობიან მოსახლეობას.

— **რა გაძლევთ საბაბს, მომხდარში სეპარატისტული რეჟიმის დასადანაშაულებლად?**

— ასეთი ტერაქტები რატომღაც, ყოველთვის ემთხვევა რაღაც მნიშვნელოვან ფაქტს. ვთქვათ, დსთ-ის მეთაურთა სამიტს, ქართული მხარის მიერ რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნას და ა.შ. ამ შემთხვევაში, იგი ზუსტად დაემთხვა სანკტ-პეტერბურგში გამართულ შეხვედრას, რომელიც სწორედ ანტიტერორისტულ საკითხებს ეხებოდა.

სეპარატისტული რეჟიმები, როგორც აფხაზეთის, ისე ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ცდილობენ, როგორმე შეინარჩუნონ თავიანთი არსებობა და ამისათვის არავითარ სიბინძურეს არ თაკილობენ. მათი მიზანია, რომ საქართველოს მსოფლიოს თვალში ტერორისტთა მფარველის იმიჯი შეუქმნან. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ქალების დახოცვა მათ მიერ იყოს ინსპირირებული. თუმცა დაინტერესებული და შემსრულებელი შეიძლება იყოს ასევე რუსული მხარეც, რომელიც ამერიკელთა საქართველოში გამოჩენით ისტერიკაშია ჩავარდნილი. ასე რომ, ტერაქტების დამკვეთიც და შემსრულებელიც შეიძლება იყვნენ როგორც სეპარატისტები, ასევე რუსები, მაგრამ არამც და არამც ქართველები მე ვებრძვი სეპარატისტულ რეჟიმს, რომელსაც მხარს უჭერს რუსეთი და ამდენად ვებრძვი იმავე რუსეთს, მაგრამ ეს ხდება ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე რუსეთი არ მიხვდება ჩვენთან მეგობრობის უპირატესობას.

— **თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ნატოს ძალებთან შედარებით პრიორიტეტს რუსეთს ანიჭებთ.**

— არც ერთ მოკავშირეზე არ ვიტყოდი უარს, ვინც ჩემი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დამეხმარებოდა. ამერიკა იქნება ეს, ნატო თუ სხვა.

იქნება კი ამერიკის დახმარება სრულყოფილი? მესმის, რომ ამერიკას აქვს საკუთარი ინტერესები კავკასიაში და ამისთვის ცდილობს ჩვენი მხარდაჭერაც მიიღოს, მაგრამ არ კმარა, არც ვიეტნამის ომის დროინდელი ვერტმფრენების ჩუქება ან თუნდაც ორი ან ოთხი ბატალიონის გაწვრთნა. შედარებისთვის: რუსეთმა უახლესი ტექნიკით სრულყოფილად შეაიარაღა თავისი მოკავშირე სომხეთი, რომელსაც დღეს ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერი ჯარი ჰყავს. ამერიკელებს გაცილებით მძლავრი ბერკეტები აქვთ იმათზე ზემოქმედებისთვის, ვინც ჩვენზე ახდენს უშუალო ზეწოლას.

ეჭვის საფუძველს მაძლევს ისიც, რომ ამერიკელთა მოკავშირე და ნატოს წევრი თურქეთი ერთი მხრივ ეხმარება საქართველოს თავდაცვის ძალებს, მეორე მხრივ კი, სწორედ თურქების დახმარებით საზრდოობს აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი. მარტო 2001 წელს 250-მდე კონტრაბანდული ტვირთით დატვირთული გემი შევიდა აფხაზეთის პორტებში, საიდანაც ტვირთი ენგურის მხარეს აგრძელებს მოძრაობას და მნიშვნელოვნად ავსებს სეპარატისტების ბიუჯეტს, მეორე მხრივ კი, დოყლაპიების ხელშეწყობით, ანგრევს საქართველოს ეკონომიკას. აფხაზეთში განხორციელებული ინვესტიციების ნახევარზე მეტი ამერიკელთა მოკავშირე თურქეთზე მოდის. საქართველოში მოქმედი გაეროს მისია არცთუ იშვიათად გამოხატავს სეპარატისტებისადმი სიმპათიას და გაიძულებს კოდორიდან გაიყვანო შენი ჯარი. ამდენად, გაყოვნებს, კონტროლს დაუქვემდებარო შენივე ტერიტორია. გაეროზე კი, თავადაც მოგეხსენებათ, ყველაზე დიდი გავლენა ამერიკას აქვს. ყოველივე ეს გვაძლევს უნდობლობის საფუძველს.

— **რამდენად რეალურია ინფორმაცია აფხაზეთში თავშეფარებულ „ალ-ქაიდას“ თუ „თალიბანის“ მებრძოლთა შესახებ?**

— აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი ყოველგვარი კრიმინალური თუ ტერორისტული ჯგუფების მფარველია. დღეს იქ მოქმედი ბუტბას რაზმი, სმირის რაზმი და სომხური კრიმინალური რაზმები თავად არიან ტერორისტები და არძინბას რეჟიმს არ შეუძლია ალაგმოს ისინი, რადგან საომარი მოქმედებების დროსაც მათ იყენებდა და ახლაც სწორედ მათ ეყრდნობა. აფხაზეთი დაყოფილია ბანდებს შორის გავლენის ზონებად და არ ექვემდებარება ერთიანი კონტროლის სისტემას. იქ არიან უცხოელთა გაურკვეველი ჯგუფები, რასაც სეპარატისტები გულდაგულ მალავენ. არიან თუ არა ისინი „ალ-ქაიდას“ თუ „თალიბანის“ მებრძოლები, დაბეჯითებით თქმა შეუძლებელია, მაგრამ ამის გამორიცხვაც არ შეიძლება, რადგან სეპარატისტებთან, როგორც ომის დროს, ისე მის შემდეგ კავშირი ჰქონდათ ისეთ პიროვნებებს, როგორებიც არიან ბასაევი და ხატაბი. ამ პიროვნებათა ბინ ლადენთან კავშირს კი ადასტურებენ როგორც რუსეთი, ასევე ამერიკის უშიშროების ძალები.

— **შეიძლება ითქვას, რომ პარტიზანული მოძრაობა თითქოს შენელდა. ხომ არ არის ეს გასული წლის შემოდგომაზე გამოცხადებული მორატორიუმის შედეგი?**

— უკანასკნელ ფაქტებში ქართველები რომ არ მონაწილეობდნენ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სეპარატისტებს არ გამოუცხადებიათ საგანგებო მდგომარეობა და არ შემოუყვანიათ გაძლიერებული რაზმები, რასაც სხვა შემთხვევაში აუცილებლად გააკეთებდნენ. რაც შეეხება ჩვენს აქტიურობას და მორატორიუმს, ჩვენ არანაირ მორატორიუმზე არ დავთანხმებულვართ ვინმეს და არც ბრძოლა შეგვიწყვეტია. თუმცა იმის აფიშირება, რას ვაკეთებთ დღეს, საჭირო არ არის. მაშინ ვიტყვით, როცა ომს მოვიგებთ და სახლში დავბრუნდებით. მაშინ, რა თქმა უნდა, ყველა გაიგებს იმ გმირი ბიჭების სახელებს, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენ მიერ განხორციელებულ ოპერაციებში და იმათსასაც, რომლებიც ახლაც იბრძვიან. ერთს ვიტყვი დაბეჯითებით — ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ და არ მივცემთ სეპარატისტებს მშვიდი ძილის საშუალებას. უსაფუძვლო არ არის მათი შიში, ეს ზაფხულიც და ყველა მომდევნოც, — მათ საბოლოო განადგურებამდე მეტად „ცხელი“ იქნება, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ შეეხება მშვიდობიან მოსახლეობას.

**ყველა გაიგებს იმ გმირი ბიჭების სახელებს, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენ მიერ განხორციელებულ ოპერაციებში და იმათსასაც, რომლებიც ახლაც იბრძვიან. ერთს ვიტყვი დაბეჯითებით – ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ და არ მივცემთ სეპარატისტებს მშვიდი ძილის საშუალებას. უსაფუძვლო არ არის მათი შიში – ეს ზაფხულიც და ყველა მომდევნოც, მათ საბოლოო განადგურებამდე მეტად „ცხელი“ იქნება, თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ შეეხება მშვიდობიან მოსახლეობას.**

***უჩა გოგბერაშვილი***

# ბიჭი მიდის საზღვარგარეთ, ანუ როგორ გახდა ჩემი შვილი „ლტოლვილი“ 200 დოლარად...







*საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა რესპუბლიკას დაბადების ყალბი მოწმობებით ამარაგებს, რომლებიც შემდგომში იმ პირების ხელში ხვდება, ვისაც სურვილი აქვთ ლტოლვილის სტატუსი მიიღონ და ყოველთვიურად დევნილებისათვის განკუთვნილი დახმარება – 14 ლარი უკანონოდ ჩაიჯიბონ ან საზღვარგარეთ გაემგზავრონ. იციან, იქ ლტოლვილებისთვის სხვადასხვა შეღავათია დაწესებული. სამინისტროს განცხადებით, სეპარატისტების ეს ქმედება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიზანმიმართული დივერსიაა. მიუხედავად ამისა, სეპარატისტებს იმედი უნდა გავუცრუოთ და ვუთხრათ, რომ ყალბი საბუთების ბეჭდვით და ენგურსგამოღმა გადმოგზავნით ტყუილად თავს ნუ შეიწუხებენ, რადგან ქალაქებისა და რაიონების მერიებსა და გამგეობებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვითონ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვისაც არ ყოფილა უცხო ყალბი საბუთების გაცემა (რა თქმა უნდა, მაღარიჩით – ზ. ჩ.), რითაც რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს დიდად აზარალებს.*

## ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკა

ოფიციალური პირებისგან ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველოში ლტოლვილთა საერთო რაოდენობა 300 ათასს აღწევს, მაგრამ ეს ციფრი, შეიძლება ითქვას, პირობითია და ვერავინ იტყვის, მათ შორის საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც, რამდენი ლტოლვილია დღეს საქართველოში. ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არც აფხაზეთის სტატისტიკის დეპარტამენტს აქვს. მიუხედავად იმისა, რომ შარშან საყოველთაო აღწერა ჩატარდა, ოფიციალურ ინფორმაციას მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ მოგვაწვდიან. თუმცა სტატისტიკოსების განცხადებით, ლტოლვილთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები ვერც მაშინ დასახელდება, რადგან ბევრი არ უთითებს თავის ლტოლვილობას, ბევრიც კი უცხოეთშია გადახვეწილი და იშვიათად თუ ჩამოდის საქართველოში. დევნილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, დღესდღეობით საქართველოში რეგისტრირებულ ლტოლვილთა რიცხვი 254 ათას კაცს ითვლის. ისინი დახმარების სახით სახელმწიფოსგან ყოველთვიურად მიზერულ თანხას იღებენ. სახელმწიფოს მათი შენახვა თვეში 3,5 მილიონ ლარზე მეტი უჯდება. არაოფიციალური ინფორმაციით კი ლტოლვილთა საერთო რაოდენობის 30% მკვდარი სული ან უკანონოდ ლტოლვილის სტატუსის მატარებელია. მათი რჩენა კი ბიუჯეტს თვეში მილიონ ლარზე მეტი უჯდება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ლტოლვილ მოსახლეობაში ძალიან მაღალი ყოფილა შობადობა — თითქოს ყოველწლიურად 10 ათასი ახალშობილით იზრდება დევნილთა რაოდენობა. თუმცა სამინისტრო ამ ციფრს არ ეთანხმება და საშუალო მაჩვენებლად მხოლოდ 4 ათასს ბავშვს ასახელებს. რაც შეეხება გარდაცვლილებს, მათ შესახებ ვერც ოფიციალური და ვერც არაოფიციალური ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძელით.

**როგორც ოტიამ ამიხსნა, თუ მეორე დღეს, ზუსტად 12 საათზე, მივიდოდი სამინისტროში და დერეფნის ბოლოს, ფანჯარასთან დავდგებოდი, ჩემთან მოვიდოდა სამინისტროს თანამშრომელი, რომელიც დამატებით 100 დოლარად გამიკეთებდა სამაჩაბლოდან ლტოლვილის პირადობის მოწმობას, პასპორტს და, შესაბამისად, შემიყვანდა ლტოლვილთა სიაშიც.**

## როგორ გახდა ჩემი შვილი ლტოლვილი

ნაცნობ-მეგობრებისაგან ხშირად მსმენია (განსაკუთრებით მათგან, ვინც საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრებას აპირებდნენ), რომ ზოგ-ზოგებმა აფხაზეთიდან დევნილის მოწმობები და პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები განსაზღვრული საზღაურის ფასად გააკეთეს და იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ შესაფერის სამუშაოს ვერ იშოვიდნენ, მაშინ ლტოლვილის საბუთს მოიშველიებდნენ და იმ სახელმწიფოსგან საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ დახმარებას, ბინას და უფასო კვებასაც გაინაღდებდნენ. როგორც ამბობენ, უცხოეთში ერთი ლტოლვილისთვის ყოველთვიურად 300-500 დოლარამდეა დაწესებული (სახელმწიფოს გააჩნია). ნათქვამია, ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობსო და ჩემს უფროს კოლეგასთან, ვაჟა გავაშელთან ერთად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ვეწვიეთ. რამდენიმე წუთი სამინისტროს დერეფანში შევყოვნდით. ჩვენი ყურადღება სამმა მამაკაცმა მიიპყრო, რომლებსაც ხელთ რაღაც დოკუმენტები ჰქონდათ და გაცხარებით ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. დასასრულ, ერთ-ერთმა დანარჩენებს დოკუმენტები გამოართვა და დევნილთა ინსპექტორების კაბინეტის კარი შეაღო. ხუთიოდე წუთში კაბინეტიდან თვალებგაბრწყინებული გამოვიდა. ძმაკაცებს მაღლაშემართული ცერა თითი აჩვენა იმის ნიშნად, ყველაფერი კარგადააო და რაღაც გადაუჩურჩულა. მართალი გითხრათ, ვერ გავიგეთ, რა უთხრა საქმის მომკვარახჭინებელმა დერეფანში დარჩენილ ორ მამაკაცს, მაგრამ ის კი დავინახეთ, რომ ორივე გასასვლელისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა, ის კი დარჩა და ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

არც ვაციეთ, არც ვაცხელეთ — მე და ჩემმა კოლეგამ სიგარეტები მოვიმარჯვეთ და მოსაკიდებლად იმ მამაკაცს მივუახლოვდით... ორიოდე წუთის შემდეგ სამივე გულიანად ვსაუბრობდით განყენებულ საკითხებზე. ჩვენს ახალ ნაცნობს კილოზე ეტყობოდა, რომ მეგრელი იყო. ეს მან თავისი გვარითაც დამიდასტურა. კიდევ რამდენიმე წუთი და ოტიას (მას ამ სახელით მოვიხსენიებ — ზ. ჩ.) ორი მეგობარი დაბრუნდა, ოფლში გახვითქულები ვეებერთელა ჩანთას მოათრევდნენ. ოტია მეგობრებს შეეგება, ჩანთა ჩამოართვა და ინსპექტორების კაბინეტში ძლივს შეათრია. რამდენიმე წუთში კაბინეტიდან ცარიელი ჩანთით გამოვიდა... ის იყო, ხელი ჩამომართვა გამოსამშვიდობებლად, რომ იერიშზე გადავედი.

— ოტია, შეგატყვე, სამინისტროში შინაური კაცი ხარ.... იქნებ დამეხმარო და უპატივცემულოდ არ დაგტოვებ.

— თუ რამე შემიძლია, ძმაო, უარს როგორ გეტყვი.

— ჩემი ბიჭი მიდის საზღვარგარეთ სამუშაოდ და ლტოლვილის საბუთი სჭირდება. რაც ღირს — გადავიხდი, შენ ოღონდ თანხა დაასახელე.

ოტია ციბრუტივით დატრიალდა — ხან ერთ კაბინეტში გაუჩინარდებოდა, ხან მეორეში. სულ ბოლოს, დევნილთა დეპარტამენტის უფროსის კაბინეტიდან გამოვიდა, მინისტრის მოადგილის კაბინეტის კარი შეაღო. ათი წუთის შემდეგ გამოვიდა და დერეფნიდან გამიყვანა.

— საქმე გაკეთებულია, მაგრამ უფროსობამ ასე შემოგითვალა, ათასი ჯურის ოხერი და მამაძაღლი გვამოწმებს, ახლაც პროკურატურიდან არიან მოსულები შემოწმებაზე და საზღვარგარეთ გასამგზავრებელი დევნილის მოწმობა თუ უნდა, 200 დოლარი უნდა გადაიხადოსო...

— რას ვიზამ? სხვა საბუთები მაგ მოწმობას არ უნდა? მაგალითად, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომ ნამდვილად აფხაზეთში ვცხოვრობდი, პასპორტი და სხვა საბუთები.

— თუ ფულს დაამატებ, სახელსაც და გვარსაც გამოვუცვლით შენს ბიჭს. მაგრამ ზედმეტად რატომ უნდა დაიხარჯო? საზღვარგარეთ მიდის და დევნილის მოწმობაც ეყოფა...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ოტიამ ფული გამომართვა და ამჯერად სამინისტროს სარეგისტრაციო განყოფილებაში შევიდა. იქიდან ვიღაც მამაკაცი გამოიყვანა. ორივენი მინისტრის მოადგილის მისაღებში შევიდნენ. აშკარად დავინახე, თუ როგორ გადასცა 200 დოლარი ოტიამ ჩემთვის უცნობ მამაკაცს.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ჯიბეში დევნილის მოწმობა მედო, რომელიც ადასტურებდა, რომ ჩემი შვილი სამაჩაბლოს, კერძოდ კი ზნაურის რაიონის მკვიდრი, ახლა კი ლტოლვილი ცხოვრობს დროებით მისამართზე დაბა აგარაში, შევჩენკოს ქ. №6-ში. იქვე მითითებულია ლტოლვილის საოჯახო ანკეტის ნომერი 00073 და შიფრი 155. ამ დოკუმენტს ადასტურებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ფაქსიმილე და სამინისტროს გერბიანი ბეჭედი.

უნდა გითხრათ, რომ არათუ ჩემს ვაჟს, არამედ თქვენს მონა-მორჩილს ერთი დღეც არ უცხოვრია ზნაურში, მეტიც, არასოდეს ვყოფილვართ სამაჩაბლოს ამ დასახლებულ პუნქტში. ჩემი ვაჟი მშობლებთან ერთად ცხოვრობს თბილისში და წარმოდგენაც არა აქვს (ისევე როგორც მე), თუ სად მდებარეობს შევჩენკოს ქუჩა აგარაში. ასეა თუ ისე, მკითხველის, განსაკუთრებით კი სამინისტროს მესვეურთა დასარწმუნებლად, ვაქვეყნებ ყალბ, უფრო სწორად, დევნილის ფალსიფიცირებულ მოწმობასა და ჩემი ვაჟის ნამდვილ პირადობის მოწმობას.

## სამინისტროს თანამშრომლის აღსარება

როგორც ოტიამ ამიხსნა, თუ მეორე დღეს, ზუსტად 12 საათზე, მივიდოდი სამინისტროში და დერეფნის ბოლოს, ფანჯარასთან დავდგებოდი, ჩემთან მოვიდოდა სამინისტროს თანამშრომელი, რომელიც დამატებით 100 დოლარად გამიკეთებდა სამაჩაბლოდან ლტოლვილის პირადობის მოწმობას, პასპორტს და, შესაბამისად, შემიყვანდა ლტოლვილთა სიაშიც. თვითონ ოტია სოხუმიდან ლტოლვილი, სამინისტროს თანამშრომელი არ გახლავთ, სენაკში ცხოვრობს, თბილისში კი თავისი მაკლერული საქმეების მოსაგვარებლად იყო ჩამოსული და იმავე დღეს გაემგზავრა კიდეც უკან.

მეორე დღეს სამინისტროში დათქმულ ფანჯარასთან ვიდექით. ზუსტად 12 საათზე შუახნის კაცი მომიახლოვდა და გვარი მკითხა. თვითონ სამინისტროს თანამშრომლად, ხვიჩად (გვარს არ ვასახელებთ — ზ. ჩ.) გამეცნო. იქნებ არც მითხრა ნამდვილი სახელი და გვარი. ის იყო, ფული უნდა მიმეცა, რომ მოულოდნელად სამინისტროს დერეფანში ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი მეგობარი ჟურნალისტი შევამჩნიე. სანამ ზურგს შევაქცევდი, შემნიშნა და შესძახა: „კვირის პალიტრას“ სალამიო, მომვარდა და გადამეხვია. უნდა გენახათ, ხვიჩას სახე. არც მე და ჩემი კოლეგა ვიყავით უკეთეს დღეში, მაგრამ რა უნდა გვექნა? ახლა მთავარი იყო სამინისტროდან სამშვიდობოზე გამოვსულიყავით. ხვიჩამ ჭკუა იხმარა, აყალმაყალი არ აუტეხია. როგორც ზრდილობიან კაცს შეეფერება, გამოგვაცილა, მანქანამდე მიგვყვა და გვითხრა, ჩემი გვარ-სახელი გამოგონილია. სამაგიეროდ, თუ გუშინდელ ამბავს არ გაამხელთ და ფალსიფიცირებულ მოწმობას დააბრუნებთ, ისეთ ინფორმაციებს მოგცემთ, მათი გამოქვეყნება ნებისმიერი გაზეთისათვის სენსაცია იქნებაო.

ხვიჩამ დევნილის ყალბ მოწმობაში გადახდილი 200 დოლარი მაშინვე დაგვიბრუნა და შემდეგი რამ გვიამბო: „როდესაც აფხაზეთიდან გამოგვრეკეს, პოლიციასა და მმაჩის ბიუროებიდან ჭკვიანმა ხალხმა შეუვსებელი პასპორტები და დაბადების მოწმობები წამოიღო. როგორც პასპორტის, ასევე დაბადების მოწმობების ლოგო რუსულ, ქართულ და აფხაზურ ენებზე იყო გაკეთებული, ნომრები კი იუსტიციის სამინისტროში იყო დაფიქსირებული, როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე გაცემული. თავისთავად ასეთი პასპორტის შევსების შემდეგ ნებისმიერი პიროვნება აფხაზეთის მოქალაქედ ან იქ დაბადებულად ჩაითვლებოდა. ბუნებრივია, მალე გაჩაღდა ამ დოკუმენტებით ვაჭრობა. ზოგ ლტოლვილს ასეთი სამი ან ოთხი პასპორტი აქვს — შესაბამისად, 3-4 კაცის დახმარებას იღებს.

— ახლა ხომ ეროვნული პასპორტები, პირადობის დამადასტურებელი და დაბადების მოწმობებია. ან თუნდაც ძველ რუსულ პასპორტებში, რომლებიც შეუვსებელი იყო, შევსების შემდეგ ვინ არტყამდა ბეჭედს?

— აფხაზეთის შესაბამისი რაიონების საპასპორტო მაგიდების უფროსები. რაც შეეხება დაბადების მოწმობებს, 9 სახის დაბადების მოწმობის ბლანკი არსებობს. მაგალითად, არის ერთი აფხაზეთიდან დევნილი ცოლ-ქმარი, ერთი შვილი ჰყავთ. ადგა ქმარი, იყიდა ამ 9 სახის ბლანკიდან ერთ-ერთი, რომლის დაბეჭდვის და გაცემის უფლება ათამდე უწყებას და ორგანიზაციას აქვს. გამგეობამ ან მმაჩის ბიურომ დაუდასტურა თავისი ბეჭდით და ოჯახს არარსებული ბავშვი შეემატა. ამ მაქინაციით ოჯახმა დამატებით მიიღო 14 ლარი. ზოგიერთმა ისიც კი ვერ გათვალა, რომ ბავშვებს შორის ასაკში სხვაობა 9 თვე მაინც უნდა იყოს. ისეთი ოჯახებიც არიან, სადაც ერთი ქალი წელიწადში 3-ჯერ მშობიარობს და სამ ბავშვს აჩენს თითქოს. პირადობის მოწმობებიც ყალბდება. ლტოლვილს დღეს რომ გულრიფშის გამგეობაში აიყვანენ აღრიცხვაზე, ხვალ იმავე მოწმობით გაგრის რაიონის გამგეობას მიადგება და იქ გაატარებენ რეგისტრაციაში. პირადობის მოწმობაში მხოლოდ ერთი ასო ან ციფრი იქნება შეცვლილი. რამდენ გამგეობაშიც აიყვანენ აღრიცხვაზე, იმდენ 14 ლარს მიიღებს. ამასთან, უამრავი მკვდარი სულია. მიდის მავანი საფოსტო ბანკში უწყისზე ხელის მოსაწერად, ბანკის ჩინოვნიკმა იცის, რომ უწყისში დაფიქსირებული პირი რეალურად არ არსებობს, ამიტომ უწყისში ხელის მოწერის სანაცვლოდ, თანხის 30%-ს აძლევს, 70%-ს კი თავისთვის იტოვებს. ბიუჯეტმა საფოსტო ბანკში გადარიცხა ფული დახმარებისთვის, თავის მხრივ, საფოსტო ბანკმა თავის რაიონულ ფილიალს უნდა გადაურიცხოს იგი ლტოლვილებზე გასაცემად. მაგრამ საფოსტო ბანკის ფილიალი თანხას რამდენიმე თვე არ გასცემს ლტოლვილებზე იმ საბაბით, რომ თანხა არ არის ჩარიცხული. სინამდვილეში კი ეს თანხა რომელიმე კომერციულ ორგანიზაციაზე პროცენტით გაასესხა რამდენიმე თვით. როცა გასესხებული თანხა დაბრუნდება, ბანკი ლტოლვილთა დახმარებას მერე დაარიგებს, ხოლო პროცენტს თვითონ ჩაიჯიბავს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გასესხებულ თანხას რომელიმე კომერციული ფირმა ვერ აბრუნებს. ასე მოხდა სენაკში, როცა ბანკმა ფული გაასესხა, ხოლო ვინც სესხი აიღო, ის ფირმა გაკოტრდა და ფულს დღესაც ეძებენ. ისე, ყალბი დოკუმენტების გაკეთებით, ძირითადად, აფხაზეთის რაიონული გამგეობები არიან დაკავებულნი...

## კონტროლის პალატის მასალებიდან

„სამინისტროში, 1999 წლის დეკემბრიდან 2000 წლის დეკემბრის ჩათვლით, პირველადი რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი 10.848 პიროვნებიდან დევნილის მოწმობა აღებული აქვს მხოლოდ 9.117 პიროვნებას. სხვაობამ შეადგინა 1.731 პიროვნება.

ახლად რეგისტრირებული 9.117 დევნილიდან 3.338 პიროვნება არასრულწლოვანია. სტატისტიკური მონაცემებით, 2000 წელს, დაბადებულია სულ 604 ახალშობილი, ხოლო ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით კი — 3.338, ანუ სხვაობამ აფხაზეთის ა/რ-ის მმაჩის განყოფილების მონაცემებსა და სამინისტროს მონაცემებს შორის შეადგინა 2.734. ანალიზმა ცხადყო, რომ ყოველი განმეორებითი რეგისტრაციის შემდგომ დევნილთა რაოდენობა მცირდება, ხოლო წლის განმავლობაში — მატულობს, უმეტესწილად არასრულწლოვანთა ხარჯზე.

საგულისხმოა, რომ დღეისათვის ძალაშია როგორც იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული დაბადების მოწმობის ფორმა №2, ასევე 9 სხვადასხვა ტიპის დაბადების მოწმობა ან მისი შემცვლელი დოკუმენტი, რომელთაგან ზოგიერთი სხვადასხვა კოოპერატივის მიერაა დაბეჭდილი ან ჩვეულებრივ ქაღალდზეა გამოწერილი. ამდენად, დარღვეულია „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს არასრულწლოვანთა რეგისტრაციის კონტროლს.

საქართველოს საპენსიო ფონდიდან მიღებული პენსიონერ დევნილთა კომპიუტერული სია პროგრამულად შეუდარდა სამინისტროს კომპიუტერულ სიას, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ საპენსიო ფონდში რიცხული 2.952 პიროვნება არ ფიგურირებს სამინისტროს სიებში, ხოლო სამინისტროს სიებში რიცხული 1.252 საპენსიო ასაკის დევნილი არ ფიგურირებს საპენსიო ფონდის სიებში. აღნიშნული სიები, პიროვნებების რეალობის დადგენის მიზნით, მიმდინარე წლის 2 მაისს გადაეგზავნა აფხაზეთის ა/რ-ის სოცუზრუნველყოფის სამინისტროსა და აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ უკანასკნელის წერილის თანახმად, აღნიშნული პირების დადგენა მათ შესაძლებლობებს აღემატება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის სამინისტროდან მიღებული მონაცემებით დადგინდა, რომ 466 საპენსიო ასაკს მიღწეული დევნილი არ ირიცხება პენსიონერად.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ხელთ არსებული დევნილთა კომპიუტერული სიების პროგრამული დამუშავებით აღმოჩნდა გაორებული 813 ოჯახი (2.971 პიროვნება), 764 ოჯახი — შემდგარი არასრულწლოვანი წევრებისაგან (1.242 პიროვნება), ხოლო 483 ოჯახი — რომელთა წევრების (დედმამიშვილების) დაბადების თარიღებს შორის სხვაობა 9 თვეზე ნაკლებია.

მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, რომ გაორებაში მყოფ თითოეულ დევნილზე ან დევნილის სახელით სხვა პიროვნებებზე თანხების გაცემა ხდებოდა ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში. შესაბამისად, ზემოხსენებულ 2.971 პიროვნებაზე 1999 წლის 1 იანვრიდან 2001 წლის 1 აპრილამდე შემწეობის სახით არაკანონიერად უნდა იყოს გაცემული 1 მლნ ლარამდე.“

ეს მცირე ნაწილია იმ დარღვევებისა, რაც კონტროლის პალატამ აღმოაჩინა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 12)*

# ,,გამოდის, პრეზიდენტიც რუსეთის აგენტი ყოფილა...“

*კულუარებში მოქალაქეთა კავშირის სათათბიროს სხდომის შესახებ პროგნოზები წინასწარ კეთდებოდა. კანცელარიიდან წამოსული ინფორმაციით, „მოქალაქეების“ შეკრების ბოლო აკორდად პარტიიდან ჟვანიას წასვლა უნდა ქცეულიყო, რაც, სავარაუდოდ, წერტილს დაუსვამდა ჟვანია-მამალაძის ხელჩართულ ომს, მაგრამ პროცესებს ამერიკული ფილმივით მოულოდნელი „ჰეფი ენდი“ ჰქონდა. დარბაზში პრეზიდენტი ჟვანიასთან ერთად შებრძანდა ანუ პრეზიდენტმა ვერც ჟვანია გაიმეტა და ვერც ქვემო ქართლის გუბერნატორს შეელია. გრანდიოზული „რაზბორკები“ მაისში, მოქალაქეთა კავშირის მეხუთე ყრილობისთვის გადაიდო.*

**ლევან მამალაძე:**

— შარშან დეკემბერში ჩატარებული მოქალაქეთა კავშირის ყრილობა ნაჩქარევი და არაორგანიზებული იყო. ერთ ჯგუფს უნდოდა უკანონოდ მოეხდინა პარტიის პრივატიზება.

— **უფრო კონკრეტულად?**

— დეკემბერში იმ საერთო დაძაბულობის დროს ჟვანიას უნდოდა მოქალაქეთა კავშირი ოპოზიციურ პარტიად გამოეცხადებინა და ნაციონალურ მოძრაობაში შევარდნილიყო. მაშინ ოპოზიციონერობაზე კი არა, პარტიის კონსოლიდაციაზე ვფიქრობდით, მაგრამ პირიქით მოხდა — ჟვანიამ თავისი მომხრეები შეიყვანა დროებით საორგანიზაციო კომიტეტში, მათ კი თავმჯდომარედ ჟვანია აირჩიეს. ამის შემდეგ მოხდა პარტიის უზურპირება, საორგანიზაციო კომიტეტმა და თავმჯდომარემ პარტიის წევრების აზრის გაუთვალისწინებლად, პარტია ოპოზიციურად გამოაცხადეს.

— **მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობიდან პრეზიდენტის წასვლის შემდეგ ყოფილ მმართველ პარტიაში მდგომარეობა ისე აირია, როგორც თავკაცის გარეშე დარჩენილ ოჯახში, ერთმანეთს დაუნდობლად წაეკიდეთ...**

— პრეზიდენტი პარტიის თავმჯდომარეობიდან სერიოზული მიზეზების გამო გადადგა, რაზეც დღეს რატომღაც არავინ საუბრობს. ბ-ნ ედუარდს თავისი დანიშნული და პარლამენტში მიყვანილი ხალხი დაუპირისპირდა. ეს ადამიანები ხან ხელმოწერებს აგროვებდნენ მინისტრთა კაბინეტის შექმნაზე, ხან პრეზიდენტის უფლებების შეკვეცას ითხოვდნენ. ამიტომ პრეზიდენტმაც ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო.

— **კულუარებში ითქვა, ლევან მამალაძეს ჟვანიას წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლაში კარტ-ბლანში პრეზიდენტმა მისცაო.**

— ამისთვის პრეზიდენტის დავალება არ დამჭირვებია. ვიღაც ხომ უნდა დაპირისპირებოდა ჯგუფს, რომელიც სახელისუფლო პარტიას თვითნებურად აცხადებდა ოპოზიციურად. ჟვანიას და მის მომხრეებს ერთი მიზანი ამოძრავებდათ — ქვეყნის დასუსტება და მისთვის პოლიტიკური საყრდენის გამოცლა. არსებობდა სპეციალური პროგრამა, გეგმა, რომელიც ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა.

— **ვინ შეიმუშავა ეს გეგმა?**

— ამას რა ახსნა უნდა. ვინ ჩამოიყვანა რუსეთიდან იმიჯმეიკერების ჯგუფი, რატომ აფინანსებდნენ რუსები იმ ფირმას, რომელიც არჩევნების დროს მოქკავშირზე მუშაობდა? რუს იმიჯმეიკერებს ყველა კარი გაუღეს, მათთვის ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი ინფორმაცია. შეისწავლეს ყველა სოციალური ფენა, ყველა ლიდერი, ყველა თანამდებობის პირი. შეიმუშავეს გეგმა — როგორ, რა მეთოდებით უნდა ებრძოლათ ცალკეული პიროვნების წინააღმდეგ.

— **თქვენ რუსეთის ინტერესების დამცველებად აცხადებთ ჟვანიას და მის თანამოაზრეებს, რომლებიც დეკლარირებულად პროდასავლური ორიენტაციისანი არიან.**

— როგორ ფიქრობთ, ის ადამიანები, რომლებიც ამ მეთოდებით მუშაობენ, წითელი დროშის ფრიალს დაიწყებენ? ისინი განგებ ამახინჯებენ დასავლურ ფასეულობებს, შემოიტანეს გარყვნილება... ჩვენ უშიშროების სამინისტროში დავაყენეთ საკითხი, რომ გამოიძიონ რუსი იმიჯმეიკერების მოღვაწეობის საქმე საქართველოში. ყველაფერს რომ გამოიძიებენ, მერე გაირკვევა, ვინ ჩადიოდა მოსკოვში და რა შეხვედრები ჰქონდა.

— **უცნაურია, რომ თქვენ, მოქკავშირის აქტივისტს, რუს იმიჯმეიკერებთან შეხება არ გქონიათ.**

— საარჩევნო შტაბის მუშაობაში ჩართული არ ვყოფილვარ და არც ამ ხალხთან მქონია საქმე.

— **... თქვენი ყოფილი თანამოაზრეები ამბობენ, 10 წლის წინ მამალაძე ჩვეულებრივი სტუდენტი იყო, დღეს კი უმდიდრესი კაციაო.**

— თუ საზოგადოებას ეს თემა აინტერესებს, ღიად ვისაუბრებ... ჯარიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, როცა ეკოლოგიური პრობლემებით დავინტერესდი და ეროვნულ მოძრაობაში მივედი. თავს არ ვიქებ, მაგრამ „მწვანეთა პარტიაში“ ერთადერთი კაცი ვიყავი, ვისაც მანქანა ჰყავდა.

— **საიდან გყავდათ მანქანა?**

— 1988 წლიდან, ჯერ კიდევ სტუდენტმა, „კავკასიის ბირჟაზე“ საბროკერო საქმიანობა დავიწყე. რუსეთიდან კომპიუტერები და ფაქსები შემომქონდა.

სტუდენტი ვიყავი და თან ვმუშაობდი. ადამიანებმა, რომლებიც ახლა დაობენ, ვინ რა „კალოშით“ მოვიდა პარტიაშიო, სჯობს ის გაიხსენონ, ვის რა ბოტასი ეცვა და როგორი ჩანთით დადიოდა, ან ვის დაჰყავდა მანქანით...

ჩემს წინააღმდეგ მიზანმიმართულად მუშაობენ. ჩირქს მცხებენ.

— **თქვენს სიმდიდრეზე არაერთხელ მსმენია. იმასაც ამბობენ, — მამალაძე საკუთარ თავს ზედმეტი ფუფუნების ნებასაც აძლევსო.**

— ეს ჩვეულებრივი შავი პიარია. საზოგადოებას ჩემს ხელმოკლეობაზე წუწუნით თავს არ შევაცოდებ, მაგრამ სჯობს, კარგად გაირკვეს, ვის რა ქონება აქვს აქ თუ საზღვარგარეთ. ზურაბ ჟვანიას ძალიან გაუჭირდა ჩემს წინააღმდეგ არგუმენტების მოძებნა და ამიტომ გამოიყვანა ის თარგამაშვილი (გულისხმობს გივი თარგამაძეს — ი.რ.) კონტროლის პალატას აქვს ინფორმაცია, სად და როდის ვიყავი.

— **ბრაზილიაში ნიანგებზე ნადირობა მოგეწონათ?**

— იქ მართლაც გახლდით მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის კონფერენციაზე. ვარაუდის დონეზე შეიძლება ნიანგებზე მონადირედაც გამომაცხადონ და ბეჰემოთებთან და ანაკონდასთან მოჭიდავედაც...

— **წყალქვეშ ნადირობაზე რას იტყვით?..**

— საერთაშორისო ოსტატი ვარ წყალქვეშა ცურვაში. ზოგმა წყალქვეშ კი არა, ჩვეულებრივი ცურვა არ იცის, ორ ფეხზეც ძლივს დგას და რა ვქნა?

— **ძვირფასი ცხენი ხელფასის დანაზოგით შეიძინეთ?**

— საცხენოსნო სპორტს ექიმის რეკომენდაციით მივდევ. დისკოზი მქონდა. ქვისლის მამას ჰყავს ინგლისური ჯიშის ცხენი და როცა დრო მაქვს, მასზე ვჯირითობ ხოლმე.

— **მოცალეობის ჟამს მექსიკური ქუდით გხედავენ ხოლმე. სომბრერო თქვენი საყვარელი ატრიბუტია თუ...**

— სომბრეროს გარდა სხვა ქუდებიც მაქვს. თხილამურებზე სხვანაირი, ანუ სპორტული ქუდი მახურავს. ცხენზე ჯდომისას კი სომბრეროს ვამჯობინებ. მიყვარს კოვბოური სტილი. საქმე ის არის, ზოგს ქუდი რომ აქვს და ვერ იხურავს (იცინის).

— **ჟვანიასთან შერიგებას თუ აპირებთ?**

— ჩვენი შემდგომი თანამშრომლობა მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ჟვანია ჩემს კითხვებს უპასუხებს. მან უნდა აღიაროს, რომ შეცდა და აჩქარდა. ამის შემდეგ შეიძლება შერიგება.

*მძაფრი და ემოციური სათათბიროს სხდომის შემდეგ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან გასაუბრება ვცადეთ, მაგრამ, ზურაბ ჟვანია შაბათ დღეს ბაკურიანში, ოჯახურ გარემოცვაში იმყოფებოდა. ამიტომ კომენტარისთვის მის თანაგუნდელ* ***მიხეილ მაჭავარიანს*** *მივმართეთ:*

— სათათბიროს სხდომაზე ლევან მამალაძე და კანცელარიის რამდენიმე თანამშრომელი ზურაბ ჟვანიას წინააღმდეგ გეგმავდნენ გალაშქრებას, მაგრამ გეგმა ჩაიშალა, რადგანაც ეს არ ემთხვეოდა შევარდნაძის ინტერესს. ყველანაირად ცდილობდნენ, ჟვანიას თანაგუნდელები შეკრებაზე არ მოხვედრილიყვნენ. მე, ბარამიძე და დათო ტყეშელაშვილი არავის მივუწვევივართ.

— **ითქვა, ზურაბ ჟვანია სხდომამდე პრეზიდენტს ესაუბრაო.**

— პრეზიდენტმა და ზურაბ ჟვანიამ პარტიაში შექმნილ სიტუაციაზე ისაუბრეს. გადაწყდა, რომ მაისამდე ანუ პარტიის ყრილობამდე გადადებულიყო პარტიის ფორმირების საკითხი. თუმც ზურაბ ჟვანიამ დააფიქსირა ისიც, რომ მოქალაქეთა კავშირში არიან ადამიანები, რომლებსაც ზიანი მოაქვთ პარტიისთვის.

— **მამალაძე იგულისხმა?**

— რა თქმა უნდა... მამალაძეც და ის ადამიანებიც, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთი „საგმირო საქმეებით“. ამ ხალხს უნდოდა სათათბიროს სხდომაზე ჟვანია პარტიიდან გაერიცხათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მანამდე კი გელა კვარაცხელიას ხელმოწერით იუსტიციის სამინისტროში შევიდა სარჩელი, რათა გაუქმებულიყო „მოქალაქეთა კავშირის“ რეგისტრაცია. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტროზე ზეწოლა ხდებოდა, მათ არ ისურვეს ინტრიგებში გარევა და სამინისტრომ სარჩელის მიღებაზე უარი განაცხადა. ამით ჩაიშალა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საკოორდინაციო საბჭოს შექმნას. ამ საბჭოს პარტიიდან ზურაბ ჟვანიას გარიცხვის საკითხი უნდა დაეყენებინა.

— **ამ შემთხვევაში პრეზიდენტის პოზიცია ალბათ გადამწყვეტი იყო.**

— უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტის პოზიცია იყო მთავარი, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს პოზიციაც მნიშვნელოვანი გახლდათ.

— **ამბობენ, ზურაბ ჟვანია და მისი მომხრეები შესაძლოა ნაციონალურ მოძრაობაში ვიხილოთო.**

— ჩვენ ნაციონალურ მოძრაობაში ვერ გვიხილავთ. ზურაბ ჟვანიას პარტიის ჩამოყალიბება რომ ნდომოდა, სააკაშვილზე ადრე ჩამოაყალიბებდა, ყოველგვარი პრობლემის გარეშე.

— **ჟვანია პარტიაში მამალაძესთან ერთად დარჩენას არ აპირებს. გამოდის, რომ პრეზიდენტს არჩევანი ექნება გასაკეთებელი.**

— პრეზიდენტმა და პარტიის წევრებმა არჩევანი უნდა გააკეთონ. ყრილობამდე მოვიცდით და მერე ყველა თავის გზას აირჩევს.

— **ჟვანიასა და მამალაძის დაპირისპირების მიზეზზე რას იტყვით?**

— დეკემბერში მამალაძე ჩვენ გვერდით იდგა. არ ვიცი, რა მოხდა მას შემდეგ. ლევანი ათასგვარ სიბინძურეზე ალაპარაკდა. რუსი იმიჯმეიკერების ამბავიც ახსენა. ნებისმიერ ჟურნალისტს ვაჩვენებთ მოქკავშირის საარჩევნო ანგარიშს. გვაქვს დოკუმენტი, რა რაოდენობის თანხაა გადარიცხული იმიჯმეიკერებისთვის. ეს ხალხი საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც იყო საქართველოში. მაშინ გამოდის, პრეზიდენტიც რუსეთის აგენტი ყოფილა. არ ვიცი, რა ალაპარაკებს მამალაძეს... ვფიქრობ, ეშმაკი ჰყავს შეჩენილი.

***იზო რიკაძე***

# „შეიძლება ბეჰემოთებთან და ანაკონდასთან მოჭიდავედაც გამომაცხადონ...“



# „მალე დაიწყება ლეიბორისტული პარტიის ანტიოლიგარქიული კომიტეტის დასკვნების გამოქვეყნება...“



*ეს თემა გასულ კვირას მორიგი პოლიტიკური ტვინის ჭყლეტის საგნად იქცა. გადამხდელთა კავშირში შეკრებილ ბიზნესმენებს სუპერლეიბორისტი* ***შალვა ნათელაშვილი*** *უპირისპირდება.*

*„კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლეიბორისტთა ლიდერი იმ „ბიზნესმენ-ოლიგარქებს“ ამხელს, რომლებმაც მისივე თქმით, საქართველოში ეკონომიკაც დაასამარეს და პოლიტიკაც... არადა იყო დრო, როცა ნათელაშვილი სწორედ იმ ბიზნესმენების ხელშეწყობაზე ლაპარაკობდა, რომლებსაც დღეს ქოქოლას აყრის. რა მოხდა? რატომ შეიცვალა ლეიბორისტთა მამამთავარმა პოზიცია? რა დგას მისი რისხვის უკან? როგორც შალვა ნათელაშვილი აცხადებს, მას მხოლოდ და მხოლოდ ხალხის ინტერესი ამოძრავებს და მეტი არაფერი:*

> 1225 წელს უძლიერესმა ქართულმა სახელმწიფომ ჯალალედინთან გარნისის ბრძოლა წააგო. იცით, რატომ? იმიტომ, რომ წინა ღამით ქართველთა სარდლობასთან სტუმრად ძვირფასი ძღვენით მისულმა დიდვაჭარმა, ანუ თანამედროვე ოლიგარქმა ქართველები მოწამლული ღვინით დაათრო. ჩვენი ე.წ. ბიზნესმენებიც იმავე ტრადიციებს აგრძელებენ.

— **ბატონო შალვა, რატომ დაუპირისპირდით ბიზნესმენებს მაშინ, როცა ცოტა ხნის წინ მათ დამცველად გამოდიოდით?**

— მე ბიზნესმენებს არ დავპირისპირებივარ, გავილაშქრე იმ კრიმინალური ოლიგარქების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოში კანონიერი საშუალო და წვრილი ბიზნესის ჭეშმარიტი მესაფლავეები არიან. ეს ის ოლიგარქები ბრძანდებიან, რომლებსაც ხელში აქვთ ჩაგდებული მთელი ეროვნული სიმდიდრე და ძირშივე სპობენ საშუალო ფენის წარმოშობის პერსპექტივებს. პრეზიდენტთან შეხვედრაზე მათ უკვე აშკარად და ურცხვად გამოაცხადეს მორიგი ოლიგარქიული გადატრიალების დაწყება!

— **ეს ადამიანები საქართველოში ბიზნესამინდს ქმნიან. რის საფუძველზე ამბობთ, რომ ისინი კრიმინალური ოლიგარქები არიან?**

— რომელ ბიზნესამინდზე მელაპარაკებით? 1225 წელს უძლიერესმა ქართულმა სახელმწიფომ ჯალალედინთან გარნისის ბრძოლა წააგო. იცით, რატომ? იმიტომ, რომ წინა ღამით ქართველთა სარდლობასთან სტუმრად ძვირფასი ძღვენით მისულმა დიდვაჭარმა, ანუ თანამედროვე ოლიგარქმა ქართველები მოწამლული ღვინით დაათრო. ჩვენი ე.წ. ბიზნესმენებიც იმავე ტრადიციებს აგრძელებენ. ჯერ იყო და, საბჭოთა კავშირის დროს საქართველოში მოსკოვიდან წამოსული უამრავი სიმდიდრე გაფლანგეს და მიითვისეს, რის გამოც საქართველო სრულიად მოუმზადებელი შეხვდა დამოუკიდებლობას. მერე, კომუნისტური რეჟიმის დასასრული რომ იგრძნეს, მშობლიური კომპარტიის მანდატები დაყარეს და ეროვნული მოძრაობის ცალკეული ლიდერი პარტიების დაფინანსება დაიწყეს. რადგანაც ზვიად გამსახურდიამ მათ ეროვნული სიმდიდრე არ დაანება, მის წინააღმდეგ მიმართული პუტჩი დააფინანსეს.

**(გარძელება იხ. გვ. 13)**



რამდენი ხანია გულიანად აღარ გაგვიცინია!

# ბავშვი არ დაბადებულა და აბრამს არქმევდნენო!

## ჯერ არ ჩამოსულან ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები, მაგრამ უკვე იქცნენ პოლიტიკური ძიძგილაობის მთავარ ობიექტად

ნამდვილად საოცრება ხდება ქართულ სინამდვილეში — ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი დისონანსის შემომტანი აღმოჩნდა ერთი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სამხედრო თანამშრომლობის პროგრამა.

ჩვენს პოლიტიკოსებს ერთმანეთის საქვეყნოდ სალანძღავად საბაბი არასოდეს ელევათ. უბრალოდ, სამწუხაროა, როდესაც წმინდა სამხედრო მოვლენა — ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ქართული სპეცოპერაციების ძალების რამდენიმე დანაყოფის მომზადების (რომელიც ჯერ არც კი დაწყებულა) პერსპექტივამ ასე ააფორიაქა გარკვეული პოლიტიკური წრეები.

ჩვენი რუბრიკის, „სამხედრო თემაზე“, მთავარი ამოცანა არასოდეს ყოფილა პოლიტიკური მოვლენების ანალიზი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაფერი ერთმანეთში ისეა გადახლართული, რომ ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ.

ზოგიერთმა, უპირველესად რეფორმატორად წოდებულმა პოლიტიკოსმა, ამაში მათი მომავალი „გახელისუფლება“ დაინახა; აჭარა გარანტიებს ითხოვს, რომ უკვე მომზადებული ქართველი სპეცრაზმელები იქ არ „შეიჭრებიან“, ხოლო ოსებისა და აფხაზების სეპარატისტული თვითმარქვია „მთავრობები“ ალიაქოთს ტეხენ — არიქა, რუსებო, გვიშველეთ, ქართველები ამერიკელებთან ერთად თავს გვესხმიანო.

თავის მხრივ, ამერიკელი სამხედროების შესაძლო გამოჩენით საქართველოში პოზიციებს იმაგრებს პრეზიდენტი შევარდნაძე, მთლად წაგებული არც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა რჩება, რადგან აქცენტი ამერიკელების მიერ მომზადებულ ქართველ რეინჯერებზე გადადის მაშინ, როდესაც სხვა, ჩვეულებრივი სამხედრო ნაწილიდან, უმთავრესად მძიმე პირობების (არასრულყოფილი კვება და ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები) გამო ათეულობით ჯარისკაცი კვლავ გარბის.

ოფიციალური ვაშინგტონი ჯერჯერობით არ იმჩნევს, მაგრამ, ბუნებრივია, მას გააღიზიანებდა საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ატეხილი აურზაური. სიმართლე რომ ითქვას, ამერიკელებს მთლად არც ის სიამოვნებთ, როდესაც ქართული პოლიტიკური ძალების გარკვეული ნაწილი (ძირითადად აფხაზეთიდან დევნილთაგან), ამერიკელების მიერ მომზადებული ქართველი სპეცრაზმელების აფხაზეთში გამოყენებაზე ხმამაღლა ოცნებობს. თეთრ სახლს არ სურს, რომ საქართველოს შინაპოლიტიკური პრობლემების და მათ შორის — ტერიტორიული მთლიანობის — ძალისმიერი გზით აღდგენა ამერიკის სახელთან აშკარად იყოს დაკავშირებული, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე.

სულ სხვა საქმე იქნებოდა, თუკი დამტკიცდებოდა, რომ იმავე აფხაზეთში, სეპარატისტების ხელშეწყობით თავს აფარებს თუნდ ერთი-ორი „ალ-ქაიდელი“ ტერორისტი, რომელთაც ამერიკის სპეცსამსახურები გამალებით ეძებენ მთელ მსოფლიოში, მაგრამ საქართველოს კომპეტენტურმა ორგანოებმა ამის დამამტკიცებელი საბუთები ჯერჯერობით ვერ მოიპოვეს.

სანამ პოლიტიკოსები ერთმანეთს „ღრღნიან“, აჯობებს, მკითხველს გავაცნოთ თავად სამხედრო დახმარების ნიუანსები. იგი „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდება და თავდაცვის სამინისტროს 4 ბატალიონსა და ერთ ასეულს მოიცავს. გარდა ამისა, მომზადდება ქართველი მესაზღვრეების ერთი ბატალიონიც, რომელიც მოტოსამანევრო ჯგუფის ბაზაზე შეიქმნება (ეს ე.წ. „მოტომანი“ სასაზღვრო უწყებაში რამდენიმე წელია ფუნქციონირებს და მის წევრებს ოპერატიული მდგომარეობის დაძაბვის დროს საზღვრის ყველაზე რთულ უბანზე გზავნიან).

სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ამერიკელი ინსტრუქტორების საქართველოში ჩამოსვლა გაჭიანურდა მომზადების პროგრამაში ქართველი მესაზღვრეების ჩართვის გამოც. საქმე ის არის, რომ თავდაცვის დანაყოფების მოსამზადებლად თანხებს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი გამოყოფს, მაგრამ ეს უკანასკნელი იმავეს ქართველი მესაზღვრეებისთვის ვერ გააკეთებს. ამიტომაც მან თანხების გარკვეული წილი გადარიცხა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშზე, რომელიც დაეხმარება ჩვენს მესაზღვრეებს.

სწორედ ამ ბიუროკრატიულმა პროცესმა გააჯანჯლა ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების გამოგზავნა. მათი პირველი, 40-50-კაციანი ჯგუფი 25-30 მარტს უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ვიზიტი, ეტყობა, ერთი-ორი კვირით გადაიდება. ამ ჯგუფში ძირითადად შტაბის ოფიცრები იქნებიან, რომლებმაც ქართველ კოლეგებს თანამედროვე საბრძოლო და სპეციალური ოპერაციების დაგეგმვისა და ოპერატიული მართვის ნიუანსები უნდა შეასწავლონ.

მათ შემდგომში დაემატება არანაკლებ 150 ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი (ძირითადად აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ძალებიდან — SOF-იდან), რომლებიც უშუალოდ საბრძოლო დანაყოფებში ქართველ სამხედროებს ასწავლიან სხვადასხვა რელიეფზე სპეციალური ოპერაციების განხორციელებას, აგრეთვე აუხსნიან სხვადასხვა ტიპის იარაღის, საბრძოლო მასალის, აღჭურვილობისა და კავშირგაბმულობის საშუალებების მოქმედების პრინციპს. ამ პროგრამის მიხედვით განზრახულია მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღისა და აღჭურვილობის გადმოცემაც, რომლის საერთო დაფინანსების წინასწარ გაცხადებული თანხა, ჩვენთვის საარაკო ციფრი — 64 მლნ დოლარია!

აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში არ შედის ქართველი კურსანტების ხელფასები. ამერიკული მხარის რეკომენდაციით, თითოეულ ქართველ სამხედროსთან, რომელიც ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით გაივლის სპეციალურ მომზადების 90-დღიან კურსს, აუცილებლად უნდა დაიდოს არანაკლებ სამწლიანი კონტრაქტი. ეს მოთხოვნა გასაგებია — რატომ უნდა დაიხარჯოს ამხელა თანხები, თუკი ამერიკული სპეცმომზადების შემდეგ ჯარისკაცი რამდენიმე თვეში შინ წავა?! ამასთან, არც შემდეგი გარემოება უნდა იქნეს დავიწყებული — სპეცრაზმელის პროგრამით მომზადებული სამხედრო, წესით, ბევრად უკეთ უნდა ფლობდეს სხვადასხვა იარაღსა და წმინდა საბძოლო თვალსაზრისითაც ჩვეულებრივ ჯარისკაცზე უფრო მაღლა დგას. რომელიმე მათგანი დანაშაულებრივ საქმიანობაში რომ ჩაერიოს, დიდ ზიანს მიაყენებს მთელ საზოგადოებას. ამიტომაც აუცილებელი იქნება სპეციალურად მომზადებული თითოეული სნაიპერისა თუ მენაღმის საგანგებო აღრიცხვაზე აყვანა.

მაგრამ დათანხმდებიან კი კონტრაქტს ქართველი სამხედროები? დღევანდელი სასაცილო ანაზღაურების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არა. ამჟამად თავდაცვის სამინისტრო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი ამზადებენ დებულების პროექტს, რომელიც პრეზიდენტს გაეგზავნება. მასში თითოეული სპეცრაზმელის ყოველთვიური ანაზღაურება სპეციალობის, ნამსახურობისა და თანამდებობის მიხედვით 300-500 ლარი იქნება. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ეს ხელფასიც მცირეა იმ სახიფათო სპეციალობისთვის, რასაც სამხედრო (მით უმეტეს სპეცრაზმელი) ჰქვია.

მომზადება 2000-მდე ქართველმა უნდა გაიაროს. თავდაცვის სამინისტროში უკვე შერჩეულია 4 ბატალიონი და ერთი ასეული. ესენია: სპეციალური ოპერაციების ძალების ორი ბატალიონი (კოჯრისა და „კომანდოსის“), საჩხერის სამთო ბატალიონი და ერთიც — მე-11 მოტომსროლელი ბრიგადიდან. მომზადებას აგრეთვე გაივლის ამ უკანასკნელის ერთი ჯავშანსატანკო ასეულიც — ერთი სატანკო და ერთი მექანიზებული ოცეულების ჩათვლით.

პატარა გაურკვევლობა იქმნება თავად ბატალიონების პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებაში. თავდაცვის სამინისტროში მიაჩნიათ, რომ თითოეულ მოსამზადებელ ბატალიონში შტატით არანაკლებ 528 ადამიანი უნდა ირიცხებოდეს. ამერიკელები კი 400-კაციან ბატალიონს სრულიად საკმარისად თვლიან.

2000-მდე მოსამზადებელი ქართველი სამხედრო მოსამსახურის სახელფასო და საულუფე ხარჯების ასანაზღაურებელი თანხების მოძებნას საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კისრულობს.

უახლესი მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ შეასრულებს სახელმწიფო თავის ვალდებულებას საკუთარი არმიის ელიტარული ნაწილების მიმართ (იმავე თავდაცვის სამინისტრომ თებერვლის ხელფასები მარტის ბოლოს ძლივს დაარიგა). სამწუხაროდ, უახლოეს წარსულში არაერთხელ ყოფილა, რომ კონტრაქტით აყვანილ მებრძოლებთან სიტყვა გაეტეხა სახელმწიფოს ან მის ძალოვან სტრუქტურას (ტყიბულის ბრიგადაში თავის დროზე გაერთიანებული პარტიზანები შინაგან ჯარებს დღემდე ეხვეწებიან თავიანთი ყოველთვიური 200 ლარის მიცემას), რის გამოც რამდენიმე, მეტ-ნაკლებად ბრძოლისუნარიანი სპეცდანიშნულების დანაყოფი დაიშალა და მომზადებული საბრძოლო საქმის სპეციალისტები უსაქმოდ დარჩნენ. ხოლო რამდენმა მათგანმა ვერ გაუძლო გაჭირვებას და დამნაშავეთა სამყაროში გადაინაცვლა, ამაზე სტატისტიკა დუმს.

# რისი ეშინია ამერიკას?!

## მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების ფეთქებადსაშიში პროცესი მალე გადამწყვეტ ფაზაში შევა

ათი წელი ისტორიისთვის ზღვაში წვეთია, მაგრამ, მეორე მხრივ, საკმაოზე მეტია მსოფლიოში არსებული სტრატეგიული ბალანსის დასარღვევად.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისმა კენტად დარჩენილმა ნახევარსაუკუნოვანმა იდეოლოგიურმა, პოლიტიკურმა და სამხედრო მეტოქემ — აშშ-მა, ჯერ კიდევ ვერ მოახერხა პლანეტის დიდი ნაწილის თავისი გავლენის ქვეშ სრულად მოქცევა, თუმცა ამას ახალი შემართებით დიდი მონდომებით ცდილობს.

ამერიკაში დემოკრატების „ორვადიანმა ზეიმმა“, პრეზიდენტ კლინტონის 8 წლის პრეზიდენტობის დროს, გარკვეულწილად შეანელა აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების გავრცობის პროცესი, მაგრამ ქვეყნის სათავეში რესპუბლიკელების დაბრუნების შემდეგ ამერიკა აღარ მალავს, რომ არ ასვენებს მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფოს სახელი. ამის დასტურია აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდაც და სხვა სახის (მათ შორის სპეცსამსახურების) ქმედებებიც, რომლებმაც ამერიკა პლანეტის მთავარ „გამგებლად“ უნდა აქციონ.

პენტაგონს დღეს ფაქტობრივად ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლია და თანაც ისე, რომ ბრძოლა თავის ტერიტორიაზე არ გააჩაღოს. ამერიკელებს, რომლებსაც თავის ქვეყანაში 200 წელზე მეტია, ომი არ უნახავთ, ძალიან გაუჭირდებათ იმის წარმოდგენა, რომ აფეთქებები შეიძლება მათაც დაემუქროს. ისინი დღემდე მხოლოდ საბჭოთა ბირთვულ რაკეტებს უფრთხოდნენ.



11-მა სექტემბერმა ეს შეხედულება გარკვეულწილად შეცვალა. ამჯერად ამერიკელებს ბირთვულ რაკეტებთან ერთად ტერორისტების უზუსტესი დარტყმებიც აშინებთ.

სამაგიეროდ, 11 სექტემბრის შემდეგ თეთრმა სახლმა მომგებიანი სვლის გაკეთების შესაძლებლობა მიიღო — იგი შეებრძოლება საერთაშორისო ტერორისტებს მთელ პლანეტაზე, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იმალებოდნენ ისინი. ეს უკვე ერთგვარი მსოფლიო პოლიციელისა თუ სანიტრის ფუნქციაა, რომელიც საბოლოოდ ალბათ დააჩქარებს აშშ-ის მსოფლიო ბატონობას.

მაგრამ სანამ კიდევ ერთი ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტა დარჩება მსოფლიოში, რომელსაც ჩრდილო ამერიკის კონტინენტამდე მიღწევა შეეძლება, ამერიკელები ვერ დაწყნარდებიან.

ამიტომაც თეთრი სახლი რამდენიმე მიმართულებით იღვწის, რათა სრულიად გამორიცხოს აშშ-ის ტერიტორიაზე უეცარი ან შურისმაძიებელი ბირთვული თავდასხმის შესაძლებლობა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდის საიდუმლო მოხსენებამ (რომელმაც გაჟონა ამერიკულ პრესაში) დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია რუსეთში, რადგან პენტაგონი ჩრდილო კორეასთან, ერაყთან, ირანთან, სირიასთან, ლიბანთან და ჩინეთთან ერთად მასაც მოიხსენიებს, როგორც პოტენციურ მოწინააღმდეგეს, ვის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს ბირთვული იარაღი.

პენტაგონი თავისი ბირთვული ტრიადის მოდერნიზაციას აპირებს, რათა 2012 წლისათვის ოპერატიულად განთავსებული ჰქონდეს 1700-2100 სტრატეგიული რაკეტის ბირთვული ქობინი. ეს დღევანდელზე ბევრად ნაკლებია, მაგრამ მათი შემდგომი შემცირება სულაც არ ნიშნავს განადგურებას. საბრძოლო მორიგეობიდან მოხსნილი ბირთვული ქობინები სპეციალურ სათავსებში შეინახება და კრიტიკულ შემთხვევაში ისევ რაკეტებზე დამონტაჟდება. სწორედ ეს იწვევს მოსკოვის პროტესტს, რომელსაც ასევე მოუწევს ზედმეტი ბირთვული ქობინების მორიგეობიდან მოხსნა, მაგრამ მათ სათანადო პირობებში შესანახად (სათავსებში საჭიროა მუდმივი ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის შენარჩუნება, ქობინების განსაკუთრებული დაცვა და ა.შ.) თანხები არ გააჩნია. მორიგეობიდან მოხსნილ რუსულ ქობინებს ადრე თუ გვიან, გადამუშავება მოუწევთ (ქობინებში მოთავსებული რადიოაქტიური ნივთიერებები ატომური ელექტროსადგურების საწვავად გადამუშავდება).

ქობინების რაოდენობის შემცირების პარალელურად პენტაგონი სწრაფი ტემპებით განაგრძობს ეროვნული ანტისარაკეტო სისტემის გამოცდას (15 მარტს წარმატებით განახორციელეს მეექვსე ექსპერიმენტი — ანტირაკეტით ჩამოაგდეს ბალისტიკური რაკეტა). რაც უფრო მალე გახდება ეფექტური ამერიკული ანტისარაკეტო „ქოლგა“, მით უფრო გამკაცრდება აშშ-ის დამოკიდებულება რუსეთთან.

სხვათა შორის, აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების მთელ მსოფლიოში გავრცელება არა მარტო საკუთარი ტერიტორიის სრულ უსაფრთხოებას ითვალისწინებს — იგი ვრცელდება მის მოკავშირეებსა და პარტნიორებზე. მათზე შეიარაღებული თავდასხმა (მაგალითად, თუკი აგრესიის სამიზნე NATO-ს რომელიმე წევრი, თუნდ თურქეთი გახდება) აღიქმება, როგორც ომის გამოცხადება ვაშინგტონისთვის. ამიტომაც ზრუნავს თეთრი სახლი თავისი მეგობარი ქვეყნების უსაფრთხოებაზე.

ძნელი სათქმელია, მომავალში რამდენად დაფასდება საქართველოს დღევანდელი სწრაფვა აშშ-თან დასაახლოებლად (აკი, ერეკლე მეფეს დღემდე საყვედურობენ რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას), მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამინდელ მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში ყველა ძალა ქვეყნის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, გადარჩენაზე უნდა იხარჯებოდეს.

# „სამხედრო ხელკეტი“ საქართველოს დასაშინებლად

## რუსული სამხედრო ბაზებისა და „ცისფერჩაფხუტიანების“ მთავარი ამოცანა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევაა



„ცივი ომის“ დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა რუსეთის ფარგლებს გარეთ დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზების ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანები.

თუ ტაჯიკეთში განთავსებული 201-ე მოტომსროლელი დივიზია მეტ-ნაკლებად კეტავდა (რუს მესაზღვრეებთან ერთად) ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარს და აქტიური წინააღმდეგობა უნდა გაეწია შეტევაზე გადმოსული ავღანელი თალიბებისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილ რუსულ სამხედრო ბაზებს ასეთი ამოცანა არ აკისრიათ.

ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე რუსულ სამხედრო ბაზებს გარკვეული ოპერატიული ამოცანა, თავად მაღალჩინოსანი რუსი სამხედროების აღიარებით, არ გააჩნიათ. თურქეთი, ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ თალიბებივით იერიშზე გადმოსვლაზე ფიქრობდეს, ან თუნდაც რაიმე ამის მაგვარი რომ მოხდეს, ვერც ერთი რუსული სამხედრო ბაზა საჭირო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს.

ვერ გაუწევს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასობით მძიმე საბრძოლო ტექნიკის ფარეხებში ყოლა სულაც არ ნიშნავს ნაწილის საბრძოლო მზადყოფნას.

ეს თავად მოსკოვშიც, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბშიც კარგად იციან. მის უფროსს, არმიის გენერალ ანატოლი კვაშნინს უმთავრესად სწორედ იმას ედავებიან ორთოდოქსი რუსი გენერლები, რომ მას სურს ნელ-ნელა გაიყვანოს საქართველოდან აქ განთავსებული უმოქმედო სამხედრო ბაზები და მათთვის გამოყოფილი უზარმაზარი თანხები ჩეჩნეთში მებრძოლ დანაყოფებს გადასცეს.

**ჩვენი დოსიე:** *საქართველოში ჯერ კიდევ მყოფი რუსული სამხედრო ბაზები, მათივე სამხედრო ექსპერტების აღიარებით, მოძველებული საბრძოლო ტექნიკისა და აღჭურვილობის საწყობებს წარმოადგენენ და მათი ბრძოლისუნარიანობა (თანამედროვე ომის თვალსაზრისით) ძალზე საეჭვოა.*

*ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზაში 1790 სამხედრო მომსახურეა (მათ კმაყოფაზეა 1000-მდე ოჯახის წევრი). ბაზის შეირაღებაშია 41 ცალი T-72 ტიპის ტანკი, 76 ერთეული 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო სისტემა (Д-30 ტიპის ჰაუბიცები და БМ-21 „Град“-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები), 31 საბრძოლო ჯავშანმანქანა (БМП-1 და БМП-2 ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანები), ჯავშანმანქანის მსგავსი 207 სპეცავტომობილი ტანკსაწინააღმდეგო 100 მმ კალიბრის MT-12 ტიპის 120-ზე მეტი ქვემეხი და არანაკლებ 2500 ცეცხლსასროლი იარაღი.*

*შეიარაღების რაოდენობით ბათუმის ბაზას ახალქალაქის 62-ე რუსული სამხედრო ბაზა მაინცდამაინც არ ჩამოუვარდება, ხოლო პირადი შემადგენლობის რაოდენობით — 1964 კაცი — აჭარბებს კიდევაც. მის შეიარაღებაშია 41 ერთეული T-72, 64 საარტილერიო სისტემა, 38 საბრძოლო ჯავშანმანქანა, 700-ზე მეტი ავტომობილი, 120-150 ცალი ქვემეხი MT-12 და 2000-მდე ცეცხლსასროლი იარაღი.*

კვაშნინისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის პერმანენტული ურთიერთდაპირისპირება ამ საკითხშიც გამოიხატა — ორიოდე დღის წინ ივანოვმა მასმედიას განუცხადა, — საქართველოში არსებული დაძაბული მოვლენების ფონზე ვფიქრობთ, საკითხი დავსვათ ჩვენი ბაზების იქ განუსაზღვრელი ვადით დატოვებაზეო.

არადა სტამბოლის 1999 წლის სამიტის თანახმად, ორივე რუსულმა სამხედრო ბაზამ საქართველო აუცილებლად უნდა დატოვოს — დღემდე საკამათო მხოლოდ ვადები იყო. რუსეთის გენერალიტეტი ბაზების ლიკვიდაციისთვის, ტექნიკისა და აღჭურვილობის გასატანად და რუსეთში ახალი სამხედრო ქალაქების ასაშენებლად არანაკლებ 14 წელს ითხოვდა მაშინ, როდესაც ქართულ მხარეს 2-3 წელიც სრულიად საკმარისად მიაჩნდა.

თუკი რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი თავის აზრზე დარჩება, ეს საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევს.

(გაგრძელება იხ. გვ. 9)

# „ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲮᲔᲚᲙᲔᲢᲘ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲨᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ

*დასაწყისი იხ. გვ. 8*

თავად რუსი დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტები მშვენივრად ხვდებიან, რომ წმინდა სამხედრო თვალსაზრისით ბათუმის მე-12 და ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზები რაიმე მნიშვნელოვანს არ წარმოადგენენ — მათ არ აქვთ გარკვეული ოპერატიული ამოცანა, რა გააკეთონ. თუ შეუტევენ — ვის? თავი თუ უნდა დაიცვან — ვისგან? და, რაც მთავარია, არ იციან, როგორ გააკეთონ ეს ყველაფერი.

როგორც წესი, უცხოური სამხედრო ობიექტები ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე ან სამხედრო-საჰაერო, ან კიდევ სამხედრო-საზღვაო ბაზების სახითაა წარმოდგენილი. ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზა ვერც აეროდრომით დაიტრაბახებს და მით უმეტეს, ვერც სამხედრო-საზღვაო პორტით (ყველაზე უახლოესი წყლის მასივი აქედან, თუ არ ვცდები, სევანის ტბაა)

საკუთარი სამხედრო აეროდრომი არც ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზას გააჩნია და იქ განთავსებულ მოტომსროლელ ნაწილებს ბათუმის საზღვაო-სავაჭრო პორტი ნაკლებად სჭირდებათ.

შედარებით პროგრესულად მოაზროვნე რუსი გენერლები უფრო ხშირად პროტესტს გამოთქვამენ — რისთვის გვინდა მოძველებული ტანკებისა და ჯავშანმანქანების საწყობებად ქცეული ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზები. ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ბაზაში მომსახურე იქაურ მოსახლეებს რუსული ფულით ხელფასი ვუხადოთ (ბათუმის სამხედრო ბაზაში 67%-მდე ადგილობრივი მსახურობს, ხოლო ახალქალაქის ბაზა 1500-მდე ახლომახლო მცხოვრებს ინახავს); არ სჯობს, ეს ტანკები გავყიდოთ ან სულაც ჩეჩნეთში გადავისროლოთ, სადაც ისედაც გვიჭირს სათადარიგო ნაწილებიო?

რუსი სამხედროების გარკვეული ნაწილი უკვე ხვდება, რომ მათი სამხედრო ბაზების შემდგომი შენახვა ბათუმსა და ახალქალაქში მხოლოდ ფულის ქარისთვის გატანებაა, იმ ფულისა, რომელიც ჩეჩნეთში საბრძოლო ოპერაციების სათანადო დონეზე განსახორციელებლად არ ყოფნის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს.

მაგრამ ეს რუსი სამხედროები ერთ რამეს ვერ ითვალისწინებენ — რუსული სამხედრო ბაზების შენარჩუნება საქართველოში მთლიანად იმ რუსი ცნობილი პოლიტიკოსების, რომელთა უმეტესობა რუსეთის სახელისუფლო სტრუქტურებში მოღვაწეობს, სურვილია. ისინი „ველიკოდერჟავულ“ რუსეთზე ოცნებას არ იშლიან და საქართველოც კვლავ რუსეთის ვასალად მიაჩნიათ.

მათთვის ბათუმის და ახალქალაქის სამხედრო ბაზები, ისევე როგორც რუსული ე.წ. სამშვიდობო ძალები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, ის ძალისმიერი ხელკეტია, რომელიც დროდადრო უნდა ჩაარტყან თავში საქართველოს, რათა მან ცხოვრების პროდასავლური კურსი არ აირჩიოს, რის გარდაუვალობასაც კრემლში თანდათანობით გრძნობენ.

საქართველოში არასტაბილური სიტუაციის შესაქმნელად, რუსული „სამხედრო მანქანის“ დანაყოფები, მოსკოვის ბრძანებით, არანაირ პროვოკაციაზე (მათ შორის სამხედრო ხასიათის), არ იტყვიან უარს. ამ ეტაპზე მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ჩაიშალოს ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ჩამოსვლა და ქართველი სპეცრაზმელების მომზადების პროგრამის დაწყება. შესაძლოა გასულ კვირაში აფხაზეთში ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებულ ტერორისტულ აქტებსაც სწორედ პროვოკაციის სუნი ასდიოდეს. ყოველ შემთხვევაში, სამგზავრო მატარებლის ვაგონისა თუ სამოქალაქო ბენზინმზიდი ავტომობილის აფეთქებას ქართველი პარტიზანებისთვის და მით უმეტეს, ქართული სპეცსამსახურებისთვის, არავითარი აზრი არ ჰქონდა.

სანამ რუსული სამხედრო ბაზები და მათი ე.წ. სამშვიდობო ძალები დარჩებიან ჩვენს ტერიტორიაზე, უარეს პროვოკაციებს და თვით ხელისუფლების ძალით (მორიგ) შეცვლასაც უნდა ველოდოთ.

# ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘᲗ „ᲙᲐᲛᲘᲙᲐᲫᲔ“- ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢ

## ისრაელმა პალესტინელების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაცია წამოიწყო



ებრაელებსა და პალესტინელებს შორის გაუთავებელი დაძაბულობა გასულ კვირას ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა. ქ. რამალაში არსებულ იასირ არაფატის შტაბბინაზე მძიმე საბრძოლო ტექნიკით შეტევის დაწყებაზე გადაწყვეტილება ისრაელის ხელისუფლებამ მას შემდეგ მიიღო, როდესაც მორიგე პალესტინელმა „კამიკაძე“-ტერორისტმა — ახალგაზრდა ქალმა ბომბი სუპერმარკეტში ააფეთქა, რასაც 20-მდე ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 170-მდე დაიჭრა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ებრაელთა სპეცრაზმელებმა დაუბრკოლებლად დაიკავეს არაფატის შტაბბინა — მათ გზა ტანკებმა „გაუხსნეს“ მას შემდეგ, რაც ქვემეხებმა სროლით „შესასვლელები“ გააკეთეს შენობაში. ებრაელმა სამხედროებმა მთლიანად დაიკავეს შენობა, ოღონდ ხელუხლებელი დატოვეს ის ოთახები, სადაც იასირ არაფატი და მისი რამდენიმე თანაშემწე იმყოფებოდა, თუმცა მათ გარე სამყაროსთან ურთიერთობის ყველა საშუალება (ტელეფონი, ფაქსი და კომპიუტერული ქსელი) გადაუჭრეს. შტაბბინაში ისრაელის სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს 70-ზე მეტი პალესტინელი, რომელთაც ტერორისტების ხელშეწყობა ბრალდებათ.

ებრაელების მიერ რამალაში განხორციელებული ელვისებური საბრძოლო ოპერაციის საპასუხოდ ღაზის სექტორში 13 პალესტინური პარტიზანულ-ტერორისტული ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ ისეთი ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორიცაა — „ჯიჰადი“, „ფადჰი“, „პალესტინის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი“, „პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტი“ და „ჰამასი“. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, შეექმნას „ისლამური ეროვნული კოალიცია“, რომლის მიზანი იქნება პალესტინელი მოსახლეობის დაცვა მდ. იორდანეს მარცხენა სანაპიროზე და ღაზაში.

ეს რადიკალური ისლამური ორგანიზაციები, ბუნებრივია, მარტო მოსახლეობის დაცვას არ დასჯერდებიან და ტერორისტულ აქტებს უშუალოდ ებრაულ ქალაქებში მოუხშირებენ.

როგორც მიმდინარე მოვლენებიდან ჩანს, ებრაელების საპასუხო საბრძოლო დარტყმები თავისი სიზუსტით შეიძლება ეფექტურიცაა, მაგრამ საბოლოო მიზანი ვერ მიიღწევა, — თითოეული „კამიკაძე“-ტერორისტის მიერ ებრაული ქალაქის ცენტრში განხორციელებული აფეთქება ბევრად უფრო მეტ ზიანს აყენებს ისრაელის სახელმწიფოებრიობას, ვიდრე ებრაული „ჭკვიანი“ რაკეტებით განადგურებული ესა თუ ის ცნობილი პალესტინელი ტერორისტი.

პალესტინელებს არ გააჩნიათ ეფექტური იარაღი მათ ქალაქებში გამოჩენილი ებრაული ჯავშანტექნიკის და მით უმეტეს, ძირითადი საბრძოლო ტანკების „მერკავების“ წინააღმდეგ საბრძოლველად (პალესტინელების მთავარი ტანკსაწინააღმდეგო იარაღი — РПГ-7, როგორც წესი, უზადოდ შეჯავშნულ „მერკავას“ ვერ აფეთქებს). ამიტომაც ისინი მიმართავენ საშინელ, მაგრამ „უზუსტეს“ და დამანგრეველი ძალის „იარაღს“ — „კამიკაძე“-ტერორისტებს.

პალესტინელი ტერორისტი ებრაულ ქალაქში შეღწევისას ასაფეთქებელ ნივთიერებას ან ტანსაცმლის ქვეშ მალავს, ან მომცრო ჩანთით გადააქვს. ებრაელი პატრულები ყველა საეჭვო პირს საგულდაგულოდ ჩხრეკენ. ამის გამო პალესტინელმა ტერორისტებმა ახალი ეშმაკობა იხმარეს — ისინი თავიანთ „კამიკაძეს“ ისრაელის არმიის ოფიცრის ან ჯარისკაცის ფორმას (ან სულაც პოლიციელის) გადააცმევენ და ისე უშვებენ უკანასკნელი დავალების შესასრულებლად.

თელ-ავივში ხვდებიან, რომ „კამიკაძე“-ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან რთულია, ამიტომაც ებრაელები იწყებენ ტოტალურ ჩხრეკვებს ყველა დასახლებულ პუნქტში, რომლებსაც სამხედრო და საპოლიციო პატრულების გარდა, გადაცმული სპეცრაზმელებიც განახორციელებენ.

არიელ შარონის მთავრობა არ გამორიცხავს, რომ მეზობელი ისლამური ქვეყნებიდან ისრაელის მიმართ რაიმე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდეს. ამიტომაც სასწრაფოდ იქნა მობილიზებული 20 ათასამდე რეზერვისტი. სულ ისრაელს თავის რეზერვისტებთან ერთად 175 ათასი კაცის, 3.200 ტანკის, 446 საბრძოლო თვითმფრინავის, 133 დამრტყმელი შვეულმფრენის და ათობით სამხედრო ხომალდის მობილიზება შეუძლია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ებრაელი სამხედროები პროფესიონალიზმით გამოირჩევიან, ისრაელზე თავდამსხმელ არც ერთ ისლამურ სახელმწიფოს კარგი დღე არ დაადგება.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

# ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲓᲐᲜ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ „ᲡᲢᲘᲜᲒᲔᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ“

## კომპაქტური საზენიტო რაკეტები საუკეთესო სადივერსიო საშუალებად იქცა საერთაშორისო ტერორისტების ხელში



მგონი, არც ერთი სახეობის იარაღს ისე არ აფასებენ საერთაშორისო ტერორისტები, როგორც გადასატან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს. არც არის გასაკვირი, რადგან ერთი პატარა, მეტრ-ნახევრიანი რაკეტით შეიძლება 200-ტონიანი სამგზავრო თვითმფრინავის „ჩამოხსნა“. ამ საზენიტო სროლას მით მეტი მნიშვნელობა მაშინ ენიჭება, როდესაც თვითმფრინავში ამა თუ იმ ქვეყნის პირველი პირი ზის.

სწორედ ამიტომაც ტერორისტები მთელ მსოფლიოში სანთლით ეძებენ ამ კლასის საზენიტო რაკეტებს და არაფერს იშურებენ მათ შესაძენად.

თუკი ავღანეთის ომის შემდეგ საერთაშორისო ტერორისტების ხელში საკმაოდ აღმოჩნდა ამერიკული „სტინგერები“ (საბჭოთა თვითმფრინავების წინააღმდეგ საბრძოლველად ისინი ავღანელ მოჯაჰედებს აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მიაწოდა, თუმცა მოჯაჰედები მათ ხშირად განზე ყიდდნენ), ჩეჩნეთის ომმა ასპარეზზე რუსული „სტრელები“ და „იგლები“ „გამოიყვანა“.

სიმართლე რომ ითქვას, „მიწა-ჰაერი“ ტიპის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის არმიების შეიარაღებაში, თავდაპირველად საარმიო კოლონების საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფისთვის იყო განკუთვნილი.

მათ თავი გამოიჩინეს ჯერ კიდევ 1969 წლის აგვისტოში, როდესაც ეგვიპტელებმა ათი საზენიტო რაკეტით ისრაელის ექვსი საბრძოლო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ეს ფაქტი იმითაც იყო გასაოცარი, რომ ეგვიპტელების მთელმა დანარჩენმა საჰაერო თავდაცვამ მხოლოდ ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ისრაელის „მოსადმა“ მალე შეიტყო, რომ ეგვიპტელების ხელში აღმოჩნდა იმ დროისათვის ულტრათანამედროვე საბჭოთა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები „Стрела-2“-ები, რომლებიც თავად საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მხოლოდ ერთი წლის მიღებული იყო.

მკითხველს არ ეგონოს, რომ კომპაქტური საზენიტო რაკეტების ერთპიროვნული მფლობელი იმ პერიოდში მხოლოდ მოსკოვი გახლდათ. ამერიკელებს მსგავსი კლასის საზენიტო რაკეტები „რედ აი“, ხოლო დიდბრიტანელებს კი „ბლოუპაიპი“ გააჩნდათ.

მიუხედავად ეგვიპტელი მეზენიტეების წარმატებისა (თუმცა, ავი ხმები ამბობენ, ეგვიპტელი მეზენიტეების ფორმა სინამდვილეში შავგვრემან საბჭოთა სამხედრო სპეციალისტებს ეცვათო), პირველი თაობის „ჯიბის“ საზენიტო რაკეტებს ერთი დიდი ნაკლი გააჩნდათ — თვითმფრინავისთვის მათი სროლა მხოლოდ დადევნებით შეიძლებოდა. ანუ ბომბების ჩამოყრის შემდეგ თვითმფრინავი სცილდება სამიზნეს და მეზენიტეს მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია დაადევნოს თავისი „სტრელა“ თუ „რედ აი“. ამის გამო ამ საზენიტო რაკეტებს სხვაგვარად „შურისძიების“ იარაღსაც უწოდებდნენ.

სროლა მხოლოდ დადევნებით კი იმით იყო განპირობებული, რომ პირველი თაობის „ჯიბის“ საზენიტო რაკეტები პასიური ინფრაწითელი დამიზნების მოწყობილობით იყვნენ აღჭურვილნი, ანუ ისინი რეაგირებდნენ ინფრაწითელ ანუ სითბურ გამოსხივებაზე. ინფრაწითელი დიაპაზონის გამოსხივება თვითმფრინავს ყველაზე მეტი რეაქტიული ძრავების (შვეულმფრენის შემთხვევაში — ტურბოხრახნიანი ძრავის) საქშენებიდან გახურებული აირის დიდი სისწრაფით გამოსვლისას გააჩნია — „სტრელაც“, „რედ აიც“ და „ბლოუპაიპიც“ ამ მაღალი ტემპერატურის აირის გამონაბოლქვს დაგეშილი ძაღლებივით „უკან“ მისდევდნენ. თუკი პროფესიონალი პილოტი დროზე დააფიქსირებდა საზენიტო რაკეტის სტარტს (რაკეტა გასროლისას თეთრ, მკაფიო ნაკვალევს ტოვებს), იგი თვითმფრინავს ჯერ მზისკენ მიმართავდა და შემდეგ ენერგიული ანტისაზენიტო მანევრით პიკირებაზე გადადიოდა. „ცხელ კვალზე“ დაგეშილი პირველი თაობის ინფრაწითელი დამიზნების რაკეტები მოტყუებული რჩებოდნენ და გეზს მცხუნვარე მზისკენ მანამ აგრძელებდნენ, ვიდრე არ აფეთქდებოდნენ (ამ ტიპის რაკეტას თვითლიკვიდატორები უყენია, რათა ფრენის მე-11-14 წამზე აფეთქდეს და სხვაგან არ გადაუხვიოს. შარშან უკრაინელების გაშვებულმა შორი მოქმედების С-200 ტიპის საზენიტო რაკეტამ იმიტომ იმსხვერპლა რუსული სამგზავრო თვითმფრინავი, რომ ამ რაკეტის თვითლიკვიდატორმა არ იმოქმედა).

გარდა მზის ეფექტის გამოყენებისა, თვითმფრინავების კონსტრუქტორებმა კიდევ ერთი ხერხი იხმარეს — მფრინავი საშუალება პერიოდულად ფრენის მიმართულების პერპენდიკულარულად ისროდა მცირე ზომის „სითბური სამიზნის სატყუარებს“, რომლებსაც სხვანაირად „ინფრაწითელ ხაფანგებსაც“ უწოდებენ. ეს „სატყუარები“ რამდენიმე წამი იწვიან და მაღალ ტემპერატურას გამოყოფენ, რითაც ინფრაწითელი დამიზნების სისტემიან საზენიტო რაკეტებს, თვითმფრინავის რეაქტიული ძრავის საქშენის ნაცვლად, თავისკენ იზიდავენ.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით XX საუკუნის 80-იან წლებში შეიარაღებაში გამოჩნდა ახალი თაობის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომელთა რაკეტების დამიზნება არა მარტო ინფრაწითელ, არამედ ულტრაიისფერ დიაპაზონშიც ხდებოდა.

თუკი ამერიკული „სტინგერების“ პირველი პარტიისგან (პირველი თაობის „სტინგერები“ პენტაგონმა შეიარაღებაში 1981 წელს მიიღო), რომლებიც ავღანელ მოჯაჰედებს აშშ-ის სპეცსამსახურებმა 1986 წლის შემოდგომაზე მიაწოდეს, თავის არიდება საბჭოთა Су-25 მოიერიშეებს ჯერ კიდევ შეეძლოთ „ინფრაწითელი ხაფანგების“ გაშვებით (ამ „სტინგერებს“ მხოლოდ ინფრაწითელი თვითდამიზნების სისტემა გააჩნდათ), გაუმჯობესებული „სტინგერები“ მათთვის საბედისწერო გახდა, რადგან მათ დამიზნების კომბინირებული სისტემა გააჩნდათ, რომელიც ორ დიაპაზონში — ინფრაწითელსა და ულტრაიისფერში აღმოაჩენდა ცაზე კონტრასტულ სამიზნეს და საზენიტო რაკეტასაც მისკენ მიმართავდა.



**ჩვენი დოსიე: გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები — რუსული „სტრელები“ და „იგლები“, ინგლისური „ბლოუპაიპები“, ფრანგული „მისტრალები“ თუ ამერიკული „რედ აი“ და „სტინგერები“ კომპაქტურ საზენიტო საშუალებას წარმოადგენდნენ. მათი სიგრძე მეტრ-ნახევრამდეა, ხოლო წონა 16-20 კგ-ს არ აღემატება, თუმცა 3-5 კმ სიმაღლემდე 1.300 კმ/სთ სიჩქარით (ზებგერითი) მფრენი რეაქტიული თვითმფრინავის ჩამოგდება შეუძლია. ამიტომაც „ჯიბის“ საზენიტო რაკეტები ძალზე პოპულარულია საერთაშორისო ტერორისტთა შორის.**

დღემდე 70 ათასზე მეტი „სტინგერი“ და 12 ათასამდე „მისტრალია“ გამოშვებული, თუ რამდენი „სტრელა“ და „იგლა“ დაამზადეს რუსეთში, გასაიდუმლოებულია, თუმცა ნათელია, რომ ბევრად მეტი, ვიდრე ამერიკელებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ „ჯიბის“ საზენიტო რაკეტების გარკვეული ნაწილი ავღანეთისა თუ ჩეჩნეთის ცაში დაიხარჯა („სტრელის“ გამოყენების ბოლო ფაქტი კოდორის ხეობაში შარშან დაფიქსირდა, როდესაც ჩამოაგდეს გაეროს კუთვნილი უკრაინული Ми-8МТВ ტიპის შვეულმფრენი), ათიათასობით ეგზემპლარი კიდევ რჩება სამხედრო საწყობებში და საუბედუროდ, მათ საერთაშორისო ტერორისტები ჩუმ-ჩუმად ყიდულობენ.

თავისი მაღალი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით ამერიკული „სტინგერი“ და რუსული „იგლა“ ერთმანეთს ძალიან უახლოვდება, მაგრამ მათი ფასი მკვეთრად განსხვავდება იარაღის შავ ბაზარზე. თუკი „სტინგერის“ ყიდვა და ისიც დიდი წვალებით, არანაკლებ 80 ათას დოლარად შეიძლება, 2000 რუსული რუბლის ხელფასის მქონე რუსი „პრაპორშჩიკები“ სამხედრო საწყობიდან თითოეულ „სტრელას“ თუ „იგლას“ „სულ რაღაც“ 15 ათას დოლარად სთავაზობენ მყიდველს. სწორედ ამ გზით აღმოჩნდა ეს საზენიტო რაკეტები ჩეჩენი მებრძოლების ხელში, რომლებმაც ორი ომის განმავლობაში მათი საშუალებით არანაკლებ 30 რუსული საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენი ჩამოაგდეს.

ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე „სტრელა“ პანკისის ხეობაში თავშეფარებული შეიარაღებული ჩეჩნების ხელშიცაა.

აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, ასე რატომ ნერვიულობენ სახელმწიფოთა პირველი პირების დაცვის სამსახურები, როდესაც მათი დაცვის ობიექტი საჰაერო მოგზაურობას იწყებს. ნებისმიერი თვითმფრინავი (მით უფრო სამგზავრო) და შვეულმფრენი „ჯიბის“ საზენიტო რაკეტით ყველაზე იოლად დასაზიანებელია აეროდრომიდან აფრენის მომენტში. ამ დროს მფრინავი საშუალების რეაქტიული ძრავები მაქსიმალურ სიმძლავრეზე მუშაობენ, ინფრაწითელ და ულტრაიისფერ დიაპაზონში დიდ გამოსხივებას გამოყოფენ, რაც საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენს სითბური დამიზნების „მიწა-ჰაერის“ კლასის საზენიტო რაკეტებისთვის.

საქართველოს პრეზიდენტის სამგზავრო თვითმფრინავს აეროპორტიდან აფრენა-დაფრენის მომენტში (უსაფრთხო სიმაღლის აღებამდე) ორი Су-25 ტიპის მოიერიშე და ერთი შვეულმფრენი მიაცილებს. მოიერიშეები ერთგვარი „კამიკაძეების“ როლს თამაშობენ, რადგან თავიანთი ძრავების სიმხურვალით უნდა „აარიდონ“ პრეზიდენტის თვითმფრინავს ნასროლი სითბური რაკეტა და თავად მიიღონ დარტყმა.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# რა ჯდება ინფორმაცია ნარკოტიკებით გაძეძგილი თვითმფრინავის შესახებ, ანუ რატომ შეიჭრა დავით ზეიკიძე და მისი ხალხი პარლამენტის შენობაში



საქართველოზე გამავალი, ჯერ კიდევ არშემდგარი ევრაზიის დერეფანი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან რომ ნარკოტიკების გადასაზიდ ერთ-ერთ ალტერნატიულ მაგისტრალად იქცა, დიდი ხანია სადავო აღარაა. არც სამართალდამცველები უარყოფენ. ეგაა ოღონდ, იმის გარდა, რომ რამდენიმე წლის წინ ჯერ თურქეთში, შემდეგ კი ბათუმში დააკავეს ტრანზიტით მოძრავი ამ საწამლავის დიდი პარტია, რომელმაც მთელი საქართველო გადაკვეთა. სხვა მნიშვნელოვანი ოპერაციით თავს ვერ მოვიწონებთ. უარესიც: პირველ შემთხვევაში აშკარად დადასტურდა ჩვენი ოპერატიული სამსახურის უსუსურობა. არადა ნებისმიერ ჭორსა თუ მართალს ამ სამსახურამდე მივყავართ და ალბათ არცთუ უსაფუძვლოდ ჩნდება ეჭვი ამ საქმეში მათი მონაწილეობის შესახებ. ერთი ასეთი მოსაზრების შესახებ, მოგითხრობთ წინამდებარე პუბლიკაციაში, რომელიც 1994 წლის ამბებს ასახავს და რომლის შესახებაც დღემდე არაფერი თქმულა. დაე მკითხველმა თვითონ განსაჯოს მტყუან-მართალი. ამ შემთხვევაში ჩემს უპირველეს მოვალეობად რესპონდენტთა მონათხრობის პირუთვნელად გადმოცემა მიმაჩნია.

სხვა გზა არა მაქვს — სიტყვა უნდა გავტეხო. მართალია, ჩემს ძველ კოლეგებს შევპირდი, თქვენი მონათხრობი გაზეთში არ დაიბეჭდება-მეთქი, მაგრამ ცდუნება იმდენად დიდია, თავს ვერ ვიკავებ და მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ ამით მათ აღარაფერი დაუშავდებათ.

1994 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა შოთა კვირაია. ამ პიროვნების შესახებ აზრი იმთავითვე გაიყო. პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ ის პროფესიონალი იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროში კი მაღალჩინოსანთა ერთი ნაწილი სხვაგვარად ფიქრობდა.

**დავით ზეიკიძე**, გენერალ-მაიორი, თბილისის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი: — კვირაიას ჩვენ ვიცნობდით როგორც უქნარას, კაცს, რომელსაც არც ესმოდა და არც სურვილი ჰქონდა გაეგო რამე იმ უწყებისა, სადაც სამუშაოდ მივიდა. ან კი როდის უნდა ეზრუნა ამაზე — სამსახურში ფხიზელი არავის უნახავს. გარდა ამისა, იმ დროისათვის მის სინდისზე იყო ზუგდიდში მისივე ხელით ქუჩაში დახვრეტილი ხუთი ახალგაზრდის სიცოცხლე. სამინისტროში თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ამგვარი პიროვნების მინისტრად დანიშვნისა და უკმაყოფილება იმით გამოვხატეთ, რომ დაახლოებით შვიდასი-რვაასი კაცი შევიკრიბეთ, მათ შორის ოთხი გენერალი და პროტესტი გამოვთქვით. გადასცეს თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ პრეზიდენტს ვაცნობეთ ამის შესახებ. არადა, რამდენიმე დღეში კვირაიას კანდიდატურა, რომელიც უკვე ასრულებდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას, პარლამენტს უნდა დაემტკიცებინა.

**გია თელია,** პოლიციის კაპიტანი: — იმხანად ქალაქის პოლიციის სამმართველოში ვმუშაობდი ნარკომანიის ხაზით. მარტის ბოლოს გავიგე, ოთხ აპრილს აეროპორტში უნდა დაჯდეს თვითმფრინავი, რომელიც ტაჯიკეთიდან მოფრინავს და ევროპისაკენ უჭირავს გეზი, მაგრამ აქ საწვავით უნდა შეივსოს. ამაში კი დიდ ფულს იხდიან, თვითმფრინავს ნარკოტიკების დიდი პარტია გადააქვს და ხელშეუხებლობის გარანტიაც ხელთ აქვთ, რადგან ამ საქმეს, აქ, ჩვენთან, შოთა კვირაია აგვარებსო. ეს მხოლოდ ინფორმაცია იყო და მეტი არაფერი, მაგრამ ასეთ რამეს ყველას ვერ გაანდობ, მით უმეტეს, იმ არეულ დროს მეტი სიფრთხილე იყო საჭირო. ამიტომაც ავდექი და პირდაპირ სამმართველოს უფროსს მოვახსენე. მაშინვე აეროპორტში წავედით. იმხანად აეროპორტს სატრანსპორტო პოლიცია და მისი შეფი გია გულუა აკონტროლებდა. მასთან ერთად ამ საქმეში ჩართული იყო სამხედრო პოლიცია ბორია ივანოვის ხელმძღვანელობით. ზეიკიძემ მკითხა, რომელს ვენდოთო. ვუთხარი, რაკი მეკითხებით, მე პირადად ბორია ივანოვს ვარჩევდი, ძველი ჩეკისტია და არც კრიტიკულ სიტუაციაში იბნევა, თუმცა არც გია გულუას საწინააღმდეგო მაქვს რამე-მეთქი.

> მარტის ბოლოს გავიგე, ოთხ აპრილს აეროპორტში უნდა დაჯდეს თვითმფრინავი, რომელიც ტაჯიკეთიდან მოფრინავს და ევროპისაკენ უჭირავს გეზი, მაგრამ აქ საწვავით უნდა შეივსოს. ამაში კი დიდ ფულს იხდიან, რადგან თვითმფრინავს ნარკოტიკების დიდი პარტია გადააქვს და ხელშეუხებლობის გარანტიაც ხელთ აქვთ, რადგან ამ საქმეს, აქ, ჩვენთან, შოთა კვირაია აგვარებსო.

— კარგი, ბორია ვარჩიოთ, მეც ბევრი რამ ვიცი მის პროფესიონალიზმზეო, — მითხრა. ბორია ივანოვი სულ გადაირია, — „ეგ ისეთი ინფორმაციაა, უმჯობესია თბილისის ზღვით ავიდეთ, ნავი დავიქირავოთ და იქ წყალზე, ყველასაგან განმარტოებით მოვითათბიროთ რა გავაკეთოთ“. ზეიკიძეს გაეღიმა და თავის კაბინეტში მიგვიპატიჟა. ვინ იფიქრებდა, რომ პოლიციის სამმართველოს უფროსის (კაცის, რომელიც ამავე დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა) კაბინეტი ისმინებოდა. ამის გაკეთება მაშინ მხოლოდ უშიშროებას, ანუ იმ უწყებას შეეძლო, საიდანაც რამდენიმე დღის წინ წამოვიდა შოთა კვირაია. ასე რომ, სამივე გავიშიფრეთ და იმ წუთიდან კანონგარეშე აღმოვჩნდით. რატომ ვარ ასე დარწმუნებული? აბა, კარგად მომისმინე: იმავე საღამოს ვიღაც მაღალი თანამდებობის პირი ავრცელებს აგენტურულ შეტყობინებას იმის შესახებ, რომ მეორე დღეს, ანუ 31 მარტს (იმ დღეს, როცა პარლამენტი კვირაიას მინისტრად დანიშვნის საკითხს იხილავს) არის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე და ამ თარიღთან დაკავშირებით თითქოს ზვიადისტებმა უნდა დაარბიონ პარლამენტის შენობა რუსთაველზე (ხომ გახსოვთ მაშინდელი პარლამენტი ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მუშაობდა). მაშასადამე, პოლიციის ის ძალები, რომელიც იცავს პარლამენტს, საკმარისი არ იქნება და საჭიროა დამატებითი ძალებით მისი გაძლიერება, ანუ შენობის ალყაში მოქცევა. ამ მითითებას უყოყმანოდ ასრულებს ზეიკიძე. ვიღაცას ყველაფერი ზუსტად აქვს გათვლილი, ვიღაც უხილავად მართავს მოვლენებს.

**დავით ზეიკიძე:** — მითითების შესაბამისად შენობის ირგვლივ ხალხის განლაგებას რომ მოვრჩი, შიგნით შევედი. შევარდნაძესთან მინდოდა შეხვედრა — იქნებ როგორმე დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლებოდა ამისთანა კაცის მინისტრობა, მაგრამ ვინ მიმაკარა. როგორ არ ვეცადე, მაგრამ ვერაფერს გავხდი, გაოცებული ვახტანგ რჩეულიშვილს გადავეყარე, ვთხოვე — ყველა უარს მეუბნება, იქნებ შენ მაინც შემახვედრო სახელმწიფოს მეთაურთან-მეთქი. უყოყმანოდ დამთანხმდა — რა პრობლემაა, აქ იდექი და რამდენიმე წუთში დაგიძახებო, მაგრამ უცებ ქვემო სართულზე ისეთი ჩოჩქოლი ატყდა, სასწრაფოდ კიბეზე დავეშვით.

გაგრძელება იხ. გვ. 13

# ოპერაცია „მშრალი მორფიუმი“ და ქართველი ოპერმუშაკის ჩიმკენტური თავგადასავლები

მათ შორის, ვინც ჩიმკენტიდან ჩამოსული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ნარკოტიკების გასაღებისათვის დააკავა, საბურთალოს რაიონის პოლიციის შესაბამისი სამსახურის თანამშრომელი გია თელიაც იყო. მოგეხსენებათ, სსრ კავშირი ჩაკეტილი სივრცე გახლდათ და რაკი საზღვარგარეთ გასვლას ვერ ახერხებდნენ, ნარკობარიგები უფრო საქართველოს ეტანებოდნენ, რადგან ყველა დროს ყველანაირი ნარკოტიკი აქ ყოველთვის უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე სხვაგან. ბევრად უფრო ძვირი. ასე რომ, ჩიმკენტელი სტუმრების თბილისური ვოიაჟი არავის გაკვირვებია. გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ ესენი მშრალ მორფიუმს სთავაზობდნენ თავის კლიენტებს, რაც იმ დროს, ანუ 1986 წელს თბილისის აფთიაქებსაც კი არ ჰქონდათ. არადა მშრალი მორფი მხოლოდ ქარხნული წესით მიიღება. ასეთი ქარხანა კი საბჭოთა კავშირში მხოლოდ ჩიმკენტში იყო, მაშასადამე, ნარკოტიკი ქარხნიდან უნდა გამოეტანათ. დამნაშავე იქვე, ქარხანაში იყო საძებნი, მაგრამ როგორ?

**გია თელია**: — ცოლ-ქმარმა ნარკოტიკის მოძრაობის ისეთი სქემა აღგვიწერა, რომ იქ შეღწევა მარტო სარისკო კი არა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ჩვენს უსუსურობაში აშკარად დარწმუნებულები, ისე გველაპარაკებოდნენ, თითქოს დაკავებულები ისინი კი არა, ჩვენ ვიყავით. დაგვისახელეს ვინმე ლენა, რომელსაც ნარკოტიკი გამოაქვს უშუალოდ ქარხნიდან. შემდეგ ლენას საყვარლის ხელში გაივლის და მიდის ვინმე „სკრიპაჩთან“. მაგრამ „სკრიპაჩი“ მხოლოდ საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ ენდობა გადამყიდველს, სხვანაირად ახლოს არ გაიკარებსო, გვითხრეს. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, აგენტი ჩაენერგათ ადგილზე, მე კი ჩემი თავი შევთავაზე აგენტის მაგივრად და საკუთარი გადაწყვეტილების მართებულობა იმით დავუდასტურე, რომ აგენტზე მეტს გავაკეთებდი, რადგან ყველა ის მონაცემი მქონდა, რაც ამ შემთხვევაში იყო საჭირო, ანუ კარგად ვიცნობდი დამნაშავეთა სამყაროს. ზედმიწევნით ვერკვეოდი ქუჩური ცხოვრების ავ-კარგში და საჭიროების შემთხვევაში მუშტი-კრივზეც არ დავიხევდი უკან. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მოსკოვთან შეათანხმა ჩემი კანდიდატურა და რამდენიმე კოლეგის თანხლებით ყაზახეთში ჩავედი. ჩვენს თანამშრომლებს მუდმივი მხედველობის არეში უნდა ვყოლოდი და საჭიროების შემთხვევაში დამხმარებოდნენ. გარდა ამისა, ჩემს მუდმივ ზედამხედველობას ახორციელებდა საკავშირო სამინისტროს სპეციალური სამსახური, რომელიც ჩემს გადაადგილებას აკონტროლებდა. თავის მხრივ, ამ სამსახურს კავშირი ჰქონდა სამინისტროს მეხუთე განყოფილების უფროსთან, პოლკოვნიკ იორკინთან, რომელიც სპეციალურად ამ ოპერაციის გამო ჩამოვიდა ყაზახეთში. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ჩვენი იქ ყოფნა ადგილობრივ მილიციას არ შეეტყო. თან მქონდა თბილისში დაკავებული ცოლ-ქმრის „სკრიპაჩთან“ მიწერილი ბარათი, სადაც ისინი ამ უკანასკნელს აცნობებდნენ, რომ ქმარი შეუძლოდ იყო და ამის გამო ვერ ახერხებდა ჩიმკენტში ჩასვლას და თავის ფუნქციას მანდობდა მე, ციხიდან ახალგანთავისუფლებულ კაცს, რომელიც ნარკოტიკების დიდი პარტიის აღებას აპირებდა კოლონიაში კანონიერი ქურდებისათვის შესაგზავნად. ამ წერილს ამაგრებდა კოლონიიდან გაცემული ცნობა ჩემი „განთავისუფლების“ შესახებ, სადაც თითქოს მკვლელობასა და ნარკოტიკების რეალიზაციის გამო ვიჯექი. ამას დაამატეთ 50.000-მანეთიანი ეგრეთ წოდებული „კუკლა“, რომელიც წელზე მქონდა შემოკრული. ასე რომ, საკმაოდ შთამბეჭდავად გამოვიყურებოდი. რა თქმა უნდა, იარაღიც მქონდა, ისე, ყოველი შემთხვევისათვის. „სკრიპაჩს“ შედარებით იოლად დავუკავშირდი და მალევე დავადგინე, რომ იქაურ ნარკომაფიას სტალინის დროს გადასახლებული ჩეჩნების შთამომავლები აკონტროლებდნენ. დიდხანს მითვალთვალებდნენ. იძულებული გავხდი, ნარკოტიკები მიმეღო. რაკი დარწმუნდნენ, ფული თან მქონდა, გადაგდება დამიპირეს. ორ ჩეჩენს გამაყოლეს. ერთ მისამართზე მიხვალთ და იქ გადმოგცემენ შენგან მოთხოვნილ საქონელსო, მითხრეს. ჩეჩნებმა კი დაადეს თავი და სადღაც ქალაქის განაპირა უბანში წამიყვანეს. ერთ პატარა ხუხულასთან მივედით. ეს იყო და ეს — აი, იქ გვაქვს ნარკოტიკებიო, მითხრეს, მაგრამ ჩემთვის უკვე ყველაფერი გასაგები იყო, აშკარად ჩანდა, მაგდებდნენ. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ფულის ნაცვლად „კუკლა“ რომ შერჩებოდათ ხელთ, ადგილზევე მიმახვრეტდნენ. მანქანიდან გადმოვედი თუ არა, იარაღი ვიშიშვლე და დანებება მოვთხოვე. ჩემი მეთვალყურეებიც წამომეშველნენ და ორივენი გავთოკეთ. ხუხულაც გავჩხრიკეთ, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ, სად იყო ნარკოტიკები. დაკავებული ჩეჩნები რუსებმა წაიყვანეს. ვთხოვე, მილიციაში არ მიეყვანათ, ერთი-ორი დღე სადმე გადამალეთ, ვიდრე ყველაფერში ბოლომდე გავერკვევით-მეთქი. მე კი ჩეჩნების მანქანას მოვახტი და „სკრიპაჩს“ მივუხტი — ვისი გადაგდება მოინდომე-მეთქი და ყურისძირში დავადე იარაღი. ჩემთვის არ უკითხავს, ან კი სად ჰქონდა კითხვის თავი, აკანკალებულმა უთქმელად დაიჯერა, რომ ჩეჩნები დავხოცე და როცა კატეგორიულად მოვითხოვე ლენას მისამართი, ულაპარაკოდ მომცა. ლენასთანაც მიკიბვ-მოკიბვის გარეშე „ვიბაზრე“. იგი აღმოჩნდა ქარხნის მთავარი ლაბორანტი, რომელსაც ნარკოტიკები (როგორც თბილისში დაკავებულმა ცოლ-ქმარმა გვითხრა) ქარხნიდან გამოჰქონდა და შემდეგ საყვარელს აძლევდა, ის კი „სკრიპაჩისთანა“ სანდო ხალხში ასაღებდა საწამლავს. ლენასაც ნამდვილი „უბიიცას“ ენაზე ველაპარაკე და შეშინებულმა აბაზანის ქვეშ მიმითითა, — იქ ვინახავო. ვიცოდი, მოსკოველები მხედველობიდან არ მკარგავდნენ. ფანჯრიდან გავძახე, შემოდით-მეთქი და ლენას სამალავიდან ნახევარ კილოზე მეტი მშრალი მორფიუმი და ოცდაათი კილოგრამი ოპიუმი ამოვიღეთ. ეს იყო პაკისტანიდან ოთხკილოიან ბრიკეტებად დაფასოებული სამედიცინო ოპიუმი, გრიფით „მედექსპერტი“.



> ვიცოდი, მოსკოველები მხედველობიდან არ მკარგავდნენ. ფანჯრიდან გავძახე, შემოდით-მეთქი და ლენას სამალავიდან ნახევარ კილოზე მეტი მშრალი მორფიუმი და ოცდაათი კილოგრამი ოპიუმი ამოვიღეთ.

ამასობაში კანონმორჩილ რუსებს, ჩემი თხოვნის მიუხედავად, დაკავებული ჩეჩნები მილიციაში მიუყვანიათ, მაგრამ იმდენი კი უყოჩაღიათ, რომ მათ საკანში, როგორღაც „ჟუჩოკი“ (მოსასმენი აპარატი) დაუტოვებიათ. და აი... უსმენენ, რომ ჩეჩნები მილიციისა და ნარკომანიის სამსახურის უფროსებთან შეხვედრას ითხოვენ და ახსენებენ მათ, რომ მე, საქართველოდან, ვითომ ნარკოტიკების საზარიგოდ ჩამოსული, სინამდვილეში „მენტი“ (მილიციელი) ვარ და მოსალოდნელია დიდი პრობლემები შევუქმნა მათ კარტელს. იქვე გაისმის მილიციის უფროსის ბრძანებაც — გრუზინა ნუჟნა სროჩნიმ ობრაზომ ზამაჩიტ, პატამუ შტო ონ ზნაეტ ლენუ, ზნაეტ ეგო ლუბოვნიკა („სკრიპაჩმა“ მაჩვენა ქუჩაში). დეისტვუიტე ბისტრეე!

სასტუმროში მისული იორკინმა გამაფრთხილა — სიჩასჟე ისპარის, სინოკ. ვიჟუ ია, ნე მოგუ ტებია სპასტი. ტაშკენტში ერთი ბინის მისამართი მომცა, თუ გააღწევ, იქ დამელოდეო და დაამატა, ბეგი სიჩასჟე, სიუ სეკუნდუო და ეს სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა, კარზე დააკაკუნეს მოთხოვნით — „ატკროიტე! პრავერკა პასპორტოვ“. მაშინვე მივხვდი: სად მაშინდელი სასტუმრო და სად პასპორტების შემოწმება. ერთბაშად ფანჯრიდან გადავეშვი და სიბნელეში გავუჩინარდი. ზურგში კი ავტომატების ჯერი დამაყარეს. მერე გაირკვა, რომ ამ საქმეში დამნაშავეთა სამყაროსთან ალიანსში ყოფილა არა მარტო ჩიმკენტის, არამედ მთელი ყაზახეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს „ვერხუშკა“ და იქაური კაგებე, რომლებმაც იმთავითვე ყველა გზა გადაკეტეს და ჩემზე ოფიციალური ძებნა გამოაცხადეს. დამნაშავეთა სამყაროს კი დავალება მისცეს, მოვეკალი. ღმერთი დამეხმარა, ხან საბარგოთი, ხანაც რაღაც დაფეხვილი მანქანით, როგორღაც საზღვარი გადავლახე და უზბეკეთის დედაქალაქში იორკინის მოცემულ მისამართზე მივედი. იქ კი უკვე აღარაფერი მემუქრებოდა და დაწყნარებული დაველოდე შეფის ჩამოსვლას.

ასოთხმოცდაშვიდი კაცი დააკავეს ამ ოპერაციის შედეგად. მათ შორის შინაგან საქმეთა და კაგებეს ბევრი მაღალჩინოსანი, თოთხმეტი დაქირავებული ქილერი. გაიხსნა თხუთმეტი ყაჩაღობა და შვიდი მკვლელობა. ამოვიდა ქარხნიდან დატაცებული დიდი ოდენობის ნარკოტიკი, ფული და ძვირფასეულობა.

მაგრამ მე აქ არავის გავხსენებივარ, თუმცა, იმ ხალხმა, ვინც ამ საქმეს თითქმის არ მიჰკარებია, მედლები დაიკიდეს. მე თითქოს მოსკოვი მასაჩუქრებდა მოგვიანებით, მაგრამ ახლა საბჭოთა კავშირი დაიშალა და იმათი ჯილდო რად გინდაო, მითხრეს და ამით მანუგეშეს.

P.S. მკითხველის საყურადღებოდ, პოლიციის ოპერატიულ სამსახურებში ასი კაციდან სერიოზულ საქმეს ერთი ან ორი აკეთებს, ოთხმოცდათვრამეტი მათ ნამოქმედარს იბრალებს და ამაზე ისე ხმამაღლა ბაქიბუქობენ, რომ...

არ დაუჯეროთ ასეთ შერლოკ ჰოლმსებს, საქმის გამკეთებელი ხალხი არასდროს ტრაბახობს.

ვაჟა გავაშელი

# „კორუმპირებულთა შეთქმულება თბილისის მოსახლეობის წინააღმდეგ..."

მან ერთადერთმა მოახერხა ჩვენს კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან მოლაპარაკება. სხვათა შორის, უკვე ცნობილია, რომ ,,ტაჰალი" ტარიფის 100%-ით გაზრდას აპირებს. ვშიშობ, რომ იგივე დაგვემართება, რაც ,,ეი-ი-ეს"-ის შემთხვევაში დაგვემართა. მასთან დადებული ჩარჩო-ხელშეკრულების მოპოვებას ორი წელი მოვუნდით. ,,თბილგაზთან" მიმართებაშიც რაღაც საიდუმლოებებთან გვაქვს საქმე, ჩვენი ჩინოვნიკები რაღაცას აქაც ჩქმალავენ.



„თბილგაზზე" გამოცხადებულ, რიგით მესამე ტენდერში გამარჯვებული ისრაელის კომპანია „ტაჰალის" ხელმძღვანელობა აქტიურ მუშაობას ამ დღეებში შეუდგება. „ტაჰალს" დაგეგმილი აქვს გაზის მომხმარებელთა რიცხვი 300.000-მდე გაზარდოს. მათ მიერ წარმოდგენილი ბიზნესგეგმის თანახმად, კომპანია პირველი 5 წლის განმავლობაში 70 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებას აპირებს. ჯერჯერობით, გადასაწყვეტია „თბილგაზის" კრედიტორული დავალიანების საკითხი, რაც ჯამში 56 მილიონ ლარს შეადგენს. ასევე დასარეგულირებელია ბუნებრივი აირის იმპორტის, ტრანსპორტირების და სარეალიზაციო ტარიფის საკითხები.

ამ ფაქტს პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვნად შეხვდნენ. „კორუმპირებულთა შეთქმულება თბილისის მოსახლეობის წინააღმდეგ" — ასეთი შეფასება მისცა „თბილგაზის" გაყიდვას საკრებულოს წევრმა **ჯონდი ბაღათურიამ.** „კვირის პალიტრა" მას აღნიშნული თემის დეტალებზე ესაუბრა.

— **ბატონო ჯონდი, რომელ კორუმპირებულ შეთქმულებას გულისხმობთ?**

— ასეთი განცხადების საფუძველი ნამდვილად მაქვს. „თბილგაზის" დღევანდელ მდგომარეობამდე მიყვანა ხელოვნური პროცესი გახლავთ. მისმა სამეთვალყურეო საბჭომ, დირექტორმა, ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ შეგნებულად, ხელოვნურად გაბერილი ხარჯებით დაანგრიეს სისტემა. ახლა კი „მკვლელები" ჭირისუფლის როლში გვევლინებიან და მყიდველს ეძებენ. ეს ადამიანები სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მისცენ. მათი საუბარი 60%-იან დანაკარგზე დიდი ბლეფია. რა თქმა უნდა, ტექნიკური და ფინანსური დანაკარგები არის, მაგრამ არა ამდენი. და საერთოდ, ენერგეტიკის ობიექტების ასე ველურად გადაყვანა საბაზრო ეკონომიკის რელსებზე არ შეიძლება, ის ხელფასების ზრდის პარალელური პროცესი უნდა იყოს.

— **პრეტენზიები „ტაჰალთანაც" გაქვთ?**

— არა, „ტაჰალს" რას ვემართლები?! მან თავისი საქმე იცის, ის ნორმალური კომპანიაა, ბიზნესს აკეთებს.

— **რატომ აღმოჩნდა „ტაჰალი" „თბილგაზით" დაინტერესებული ერთადერთი ინვესტორი?**

— იმიტომ, რომ მან ერთადერთმა მოახერხა ჩვენს კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან მოლაპარაკება. სხვათა შორის, უკვე ცნობილია, რომ „ტაჰალი" ტარიფის 100%-ით გაზრდას აპირებს. ვშიშობ, რომ იგივე დაგვემართება, რაც „ეი-ი-ეს"-ის შემთხვევაში დაგვემართა. მასთან დადებული ჩარჩო-ხელშეკრულების მოპოვებას ორი წელი მოვუნდით. „თბილგაზთან" მიმართებაშიც რაღაც საიდუმლოებებთან გვაქვს საქმე, ჩვენი ჩინოვნიკები რაღაცას აქაც ჩქმალავენ.

— **მაგალითად?**

— მაგალითად იმას, რომ არ ვიცით, რა პირობებს აყენებდა ტენდერში მერია და ქონების მართვის სამინისტრო. ეტყობა, რამდენიმე კაცი გამდიდრებას აპირებს და გამოსდის კიდეც. ამის შესახებ მასალების მოძიების პროცესშია საკრებულო. წინდაწინ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ადამიანები პოლიტიკური წრეებიდან არიან და ისინი აქტიურად ლობირებდნენ „თბილგაზის" გაყიდვას. ბუნებრივია, ისინი არც გაყიდულ „თბილგაზს" მოეშვებიან და თავიანთ წილს მიიღებენ ამ საქმიდან.

„კვირის პალიტრამ" კომენტარისთვის „თბილგაზის" გენერალურ დირექტორს **ვახტანგ ცაავასაძე** მიმართა:

— **ბატონო ვახტანგ, „თბილგაზის" გაყიდვას უწოდეს კორუმპირებულთა შეთქმულება თბილისის წინააღმდეგ.**

— არ მესმის, რას ნიშნავს კორუმპირებულთა შეთქმულება? ვერ გეტყვით, რა იგულისხმება ამ ფრაზის უკან...

— **მოიაზრება პოლიტიკური წრეების ინტერესები.**

— ჩვენ იმ საქმეს ვემსახურებით, რასაც ქალაქის გაზიფიკაცია ჰქვია. ჩვენი მიზანია, რომ მოსახლეობას დაუბრკოლებლად მიეწოდოს პირველადი მოხმარების პროდუქცია. მიუხედავად იმისა, რომ გადახდა 25-28%-ია, ეს ზამთარი მხოლოდ მცირე ხარვეზებით გავატარეთ. ჩემი შეხედულება თუ გაინტერესებთ, — „თბილგაზი" არის ქალაქის და უნდა ემსახურებოდეს ქალაქს.

— **იმას გულისხმობთ, რომ არ უნდა გაიყიდოს?**

— მთავარია, რომ ქალაქის საქმეს ემსახუროს. თუ ჩვენც ჩაგვრთავენ ამ საქმეში, ძალიან კარგი იქნება.

— **არის თუ არა „თბილგაზი" პოლიტიკოსთა ინტერესის საგანი?**

— არ ვიცი „ტაჰალის" პროგრამას რაც შეეხება, მისი ქართული ვარიანტი ჯერ არ არსებობს, ალბათ, მალე ითარგმნება.

— **„თბილგაზის" დღევანდელ ხელმძღვანელობას რა ბედი ელის?**

— აპრილის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოვა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა საკითხს, მომზადდება ხელშეკრულება სახელმწიფოსა და კომპანიას შორის. შემდეგ გამოიკვეთება მომავალი საქმიანობის და თანამშრომლობის კონტურები.

— **როგორ მოხდა, რომ „ტაჰალი" უკონკურსო მყიდველია?**

— არ ვიცი... 6 თვეა, რაც მე „თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვარ. 1999-2000 წლებში ტენდერში რა პირობები იყო, ჩემთვის უცნობია. არ ვიცი, რატომ თქვა უარი სხვადასხვა ფირმამ.

— **ტარიფი შეიცვლება?**

— ტარიფი გაიზრდება და ალბათ საკმაოდაც. მოსახლეობისთვის მტკივნეული იქნება ამასთან შეგუება, მაგრამ მოუწევს.

— **რამდენად იყიდება „თბილგაზი"?**

— ვიცი, რომ 75 მილიონის ინვესტიცია ჩაიდება.

P.S. ცნობისთვის: გასულ კვირას „ტაჰალის" პრეზენტაცია თბილისში ზეგასაიდუმლოებულ ვითარებაში მოხდა. იქ ჟურნალისტებიც არ დაუშვეს. ისე კი, თუ „ბოროტ" ენებს დაეჯერებათ და „ტაჰალის" ჩვენს პოლიტიკოსებთან „ჩახუტებაც" ვირწმუნეთ, საერთო ენის გამონახვა არ უნდა გაუჭირდეთ: „ტაჰალის" საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარე ამნონ ლიპკინ-შაჰაკიც, სანამ ბიზნესით დაინტერესდებოდა, პოლიტიკოსი ყოფილა. ახლა ის პოლიტიკიდან თურმე შორს დგას. იქნება ეს ზნე ჩვენს პოლიტიკოსებსაც გადაედოთ?!

*ქეთი ბერეკაშვილი*

# ვინ დათმობს პოზიციებს — „აი-თი-ეს"-ი თუ საქართველოს მთავრობა?!



ბრიტანული კომპანია, მთელი თავისი სამწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. მაშინ, როდესაც საგადასახადო შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი გახლდათ, დღის წესრიგში დადგა კომპანიის ვადამდე ადრე წასვლის საკითხი. იმის გამო, რომ 1999 წლის 4 აგვისტოს გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების პირობები ამის საშუალებას ნამდვილად არ იძლეოდა, იუსტიციის სამინისტრომ მაჭავარიანს ურჩია, რომ ზედმეტი აყალმაყალი საჭირო არ იყო და რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო საქართველოს კოლოსალური ჯარიმის გარდა არაფერს მოუტანდა. ერთადერთი იმედი მაშინ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა გახლდათ და 2000 წელს ხელშეკრულებაში ცვლილებები ზედიზედ ორჯერ შევიდა. ბრიტანულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ იგი დააფინანსებდა როგორც საბაჟო რეფორმას, ისე კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

ბრიტანული კომპანია „აი-თი-ეს"-ის მთავარი და საერთოდ, მისი მუშაობის განმსაზღვრელი ვალდებულება მაინც საბაჟო შემოსავლების ზრდა იყო. ორმხრივი ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას შემოსავლები თვეში საშუალოდ 20 მილიონ დოლარამდე უნდა გაეზარდა. ხელშეკრულებაში ასევე დეტალურად გაითვალა საბაჟო შემოსავლების ყოველწლიური ზრდის დინამიკაც.

საქართველოს მთავრობასა და „აი-თი-ეს"-ს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულების მმართველი კომიტეტის მიერ უკვე მომზადდა ანალიზი, სადაც აღნიშნულია, რომ ბრიტანულმა კომპანიამ თავისი ძირითადი ვალდებულების შესრულება ვერ შეძლო. მაგ. 2001 წელს საბაჟო შემოსავლები პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით 24 მილიონი ლარით ნაკლები იყო.

ასეა თუ ისე, დღეს უკვე საქართველოს მთავრობასა და „აი-თი-ეს"-თან დადებული ხელშეკრულების ვადები მთლიანად ამოწურულია. ის სამთვიანი პერიოდიც დასრულდა, რომელიც ბრიტანულმა კომპანიამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის შუამდგომლობით „მოიპოვა". ამ ყველაფრის ფონზე კი პოზიციები ასე გადანაწილდა: ერთ მხარეზეა საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, რომელსაც ზურგს უმაგრებს სახელმწიფო მინისტრი, ხოლო ორივე ერთად იმის ცდაშია, საბაჟო დეპარტამენტმა „აი-თი-ეს"-ის ფუნქციებიც შეასრულოს. მეორე მხარეს თავად ბრიტანული კომპანია დგას, რომელმაც, ფაქტია, საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების პირობები ვერ შეასრულა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ აპირებს პოზიციების დათმობას. მით უფრო, რომ მას მხარს უჭერს საერთაშორისო სავალუტო ფონდი. სწორედ ამ უკანასკნელის „რჩევით", ამ დღეებში საქმეში „ჩაერია" საქართველოს პრეზიდენტის № 263-ე განკარგულება. აღნიშნული განკარგულებით, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს დაევალა 2002 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს წინასაიმპორტო ინსპექტირების უკვე არსებული რეჟიმი. მართალია, პრეზიდენტი უშუალოდ არ მიუთითებს, თუ ვინ უნდა განახორციელოს ეს ფუნქცია, მაგრამ აშკარაა, რომ განკარგულება ბრიტანული კომპანიის მხარდაჭერას გულისხმობს, რადგან საბაჟო დეპარტამენტი ალბათ ასე უცებ დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ამ რეჟიმის უზრუნველყოფას. „აი-თი-ეს"-ის გენერალური დირექტორი გრემ ბოუნი, რომელიც გასული წლის აპრილში დაინიშნა საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელად, თვლის, რომ კომპანია ჩვენთან მოღვაწეობას გააგრძელებს.

საგადასახადო შემოსავლების მინისტრს ლევან ძნელაძეს ამ საკითხთან დაკავშირებით რადიკალურად სხვა პოზიცია აქვს: „ბრიტანულმა კომპანიამ „აი-თი-ეს"-მა, როგორც ჩანს, თავისი „შესაძლებლობები" საქართველოში უკვე ამოწურა — მისი მოღვაწეობის სამწლიანი პერიოდი ამის ნათელი მაგალითია. კომპანიამ ვერ შეძლო ვერც საბაჟო შემოსავლების ზრდა, ვერც კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა და ადგილიდან ვერც საბაჟო რეფორმა დაძრა. ვფიქრობ, წინასწარი ინსპექტირების ფუნქცია ახლა საბაჟო დეპარტამენტმა უნდა აიღოს თავის თავზე".

გასულ კვირას კი საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საბაჟო ორგანოთა საქმიანობის მომწესრიგებელი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას. სწორედ ამ კანონის მიღებაზეა დამოკიდებული ბრიტანული კომპანია „აი-თი-ეს"-ი გააგრძელებს თუ არა საქართველოში მოღვაწეობას.

*ლელა წითლანაძე*






## ქართველი ტყვეები აფხაზეთში არ არიან?!

ბოლო პერიოდში არაოფიციალურად არაერთხელ ითქვა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის დროს აყვანილ ტყვეებს საბადოებში ამუშავებენ. სხვათა შორის, ამ ინფორმაციის რეალურობა ერთ-ერთმა გენერალმა „კვირის პალიტრასთან" საუბარში დაადასტურა კიდეც. ამ ამბავმა ბევრ ქართველ დედას უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილის დაბრუნების იმედი გაუღვივა. ინფორმაციის გადამოწმების მიზნით „კვირის პალიტრა" ესაუბრა აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მათი ოჯახების უფლებების დაცვის საპარლამენტო კომისიის წარმომადგენელს, **ალიბაბა ჩადუნელს**.

— **თქვენ ბრძანდებით ის პიროვნება, ვინც უშუალოდ დადის აფხაზეთში. ბოლო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრებიდან ზოგიერთი ცოცხალია და მათ აფხაზეთში ვერცხლის საბადოებში ამუშავებენ. რა იცით ამის შესახებ?**

— 1993 წლიდან მუშაობს ჩვენი კომისია... 1998 წელს, მაისის მოვლენების დროს, როცა „გაერო" და „წითელი ჯვარი" ვერ გადადიოდა აფხაზეთში, ჩვენ მაინც ვახერხებდით ამას. ამ წლების მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, დაგვეფიქსირებინოს, რომ ვერცხლის საბადოებში ვინმე მუშაობდეს. მე პირადად არ მინახავს. უფრო მეტიც, იქ ვერცხლის საბადოებს არავინ ამუშავებს.

— **სხვათა შორის, ტყვარჩელზეც იყო საუბარი...**

— კი, იყო ეს ინფორმაცია. ერთი ქალი მოვიდა ჩემთან — ტყვარჩელში ტყვეები არიანო. მე და რუსლან ქიშმარიამ წავიყვანეთ მანქანით ეს ქალბატონი და მთელი ტყვარჩელი მოვატარეთ, მაგრამ ვერაფერი ვნახეთ. იცით, არის ხოლმე შემთხვევები, როცა ფულის გამოძალვის მიზნით, შეცდომაში შეჰყავთ ესა თუ ის დაზარალებული ოჯახი.

— **ე.ი. ინფორმაცია, რომ აფხაზეთში ქართველ ტყვეებს საბადოებზე ამუშავებენ, ტყუილია?**

— რაშია იცით საქმე? მე ვხვდები შვილდაკარგულ აფხაზ დედასაც და ქართველ დედებსაც. იცით, ეს ისეთი თემაა, ორივე მხარე ადვილად იჯერებს, რომ მათი შვილი ცოცხალია და საბადოებზე ამუშავებენ. ღმერთმა ქნას, რომ ორივე — აფხაზიც და ქართველიც ცოცხალი იყოს, მაგრამ არსებული მონაცემებით ასეთი ინფორმაცია არ გამაჩნია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ რეალურად. ომმა მძიმე ჭრილობა მიაყენა ხალხს, ახალს ნუღარ დავუმატებთ. მსხვერპლი ორივე მხარეს არის. ომის შემდეგ ხომ მშვიდობა მოდის. თუ ოდესმე წიგნს დავწერ გენოციდზე, აუცილებლად ვიტყვი, რომ გენოციდში ბრალი ქართველსაც მიუძღვის და აფხაზსაც. აქ გასარკვევი ისაა, ვინ მეტი ჩაიდინა. იცით, რა შემთხვევა იყო? დაიწერა, რომ ერთი პიროვნება აფხაზებმა მოკლეს და ამ დროს ეს პიროვნება დღეს სოხუმში ცხოვრობს.

— **შეგიძლიათ ეს პიროვნება დაასახელოთ?**

— რეალურ ფაქტს გეუბნებით. ვინ არის, არა აქვს მნიშვნელობა. თუ საჭირო გახდა, დაინტერესებულ პირს მე ჩავიყვან პირადად სოხუმში და შევახვედრებ იმ კაცს... ერთს კი არა, ცხრას, ათს, თერთმეტს... ამ დროს ხმა გაავრცელეს, რომ ვითომ დახვრიტეს, აწამეს და ა.შ.

1977 წელს გალში მე და ავთანდილ იოსელიანი აფხაზ დედებს შევხვდით. ზოგიერთ მათგანს ოთხი სურათი უკეთია მკერდზე, ზოგს — ხუთი, გამიგეთ? მაგრამ იმ ხალხს სჯერა, რომ გარდაცვლილ შვილებს მაინც უპოვნიან, რათა შვილის საფლავზე მისასვლელი ჰქონდეთ.

— **იმას ხომ ვერ უარყოფთ, რომ საბადოებზე თუ არა, ციხეებში მართლაც არიან ქართველი ბიჭები?**

— ციხეებში ჩვენც გვყავს აფხაზები. მოდით ორივე მხარეზე ვისაუბროთ. ჩვენთან სასჯელს იხდიან აფხაზი პატიმრები. ერთს ვიცნობ კიდეც. მიშა ჩარქაზია „კრიტშია". აბუხბა ალი საგარეჯოს კოლონიაში. მას დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, მოვუხსენით, გადავარჩინეთ. არიან კიდევ...

## „მტრის ჯიბრზე უნდა შევრიგდეთ, სხვა გზა არ არსებობს"


ალიბაბა ჩადუნელი

— **რა ბრალდება აქვთ?**

— ორივე მკვლელობის მუხლითაა გასამართლებული. სხვათა შორის, მიშას და, ფეხმძიმე ქალი, აფხაზეთში სასტიკი წამებით დაიღუპა.

— **ქართველი პატიმრები თუ არიან აფხაზეთში?**

— მეომრები არ არიან. რამდენჯერ ჩავსულვარ აფხაზეთის უშიშროებაშიც კი, ყოველთვის მიდის იქ „წითელი ჯვარიც", რომელიც ყველაფერს ამოწმებს — საპატიმროსაც, თითოეულ საკანსაც. მეომარი პატიმრები იქ არ არიან. მაგრამ თუ ვიღაცამ ვიღაც მოიტაცა, როგორც აქ იტაცებენ ხალხს, ის ხომ ციხეში არ მიჰყავს. ის გადამალული ეყოლება.

— **ბევრი შემთხვევაა, როცა ადამიანს იტაცებენ და სახლში მონებად ამუშავებენ?**

— არ ვიცი. პირადად არ მინახავს.

— **რაიმე ინციდენტი ხომ არ შეგმთხვევიათ?**

— ინციდენტი როგორ არ შემმთხვევია. შარშან ერთ დავალებაზე ვიყავით მე, ვალერი დობორჯგინიძე და გენო ბარციცი. მინდორზე ვიყავით გასულები. მოხდა ისე, რომ ვეღარც წინ მივდივართ და ვეღარც უკან — დანაღმული იყო.

— **როგორ შეამჩნიეთ, რომ დანაღმული იყო?**

— ომი მაქვს გამოვლილი და ისე.

— **საერთოდ, როგორ ხდება უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიება. ინფორმაციას გაწვდიან წინასწარ თუ როგორ?**

— ჩვენ გვაქვს ორივე მხარის მონაცემები. სულ, მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად, არის 1500 უგზო-უკვლოდ დაკარგული. ხდება ინფორმაციის გაცვლა.

— **ამჟამად როგორია აფხაზების განწყობილება ქართველების მიმართ?**

— მოდით, ერთ ფაქტს მოგიყვებით. ქართველი ბავშვი გახდა ავად. აფხაზებმა ფული შეაგროვეს, წაიყვანეს მოსკოვში და უმკურნალეს.

— **აფხაზებზე ბევრ კარგს ამბობთ, იქ თუ ჰყვებიან ქართველებზე კარგს?**

— ჰყვებიან, რატომ არა.

— **თუ ასეთი ჰუმანური დამოკიდებულებაა აფხაზებს და ქართველებს შორის, მაშინ რატომ ფერხდება ლტოლვილების დაბრუნება?**

— ეგ ჩემი საქმე არ არის, მე ჩემს საქმეს ვაკეთებ. მე ის ვიცი, რომ სხვამ არ უნდა გვასწავლოს, როგორ ვისაუბროთ აფხაზმა და ქართველმა!

არც ისეთი კაციჭამიები არიან აფხაზები. სიმართლე ის არის, რომ ვიღაცას „არ აწყობს" ამ პრობლემის მოგვარება. ქართველია ეს, რუსი თუ ვინ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. წამობრძანდით აფხაზეთში. მე შეგახვედრებთ აფხაზებს, გაესაუბრეთ, ნახავთ რამხელა გულისტკივილი აქვთ მათ. „მტრის ჯინაზე" უნდა შევრიგდეთ, სხვა გზა არ არსებობს.

***მარინა მამისაშვილი***

## ბიჭი მიდის საზღვარგარეთ, ანუ როგორ გახდა ჩემი შვილი „ლტოლვილი" 200 დოლარად

***(დასაწყისი იხ. გვ. 6)***

### კომენტარები და ნტერვიუები

აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველ მოადგილეს **თემურ ლომაიას**:

— ***ბატონო თემურ, ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ ზოგიერთი პირი უკანონოდ სარგებლობს ლტოლვილის სტატუსით?***



— არ არის გამორიცხული, მაგრამ ამას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. მაგალითად, თუნდაც ის, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ არსებობდა ექვსი სახის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ახლაც მოქმედებს 9 სახის დაბადების მოწმობის ფორმა №2 და ა.შ. ასეთი ყალბი დოკუმენტების გაცემით, ძირითადად, გამგეობების ზოგიერთი ხელმარჯვე თანამშრომელია დაკავებული.

— **ე.ი. თქვენ გამორიცხავთ იმის ალბათობას, რომ სამინისტროში ვინმემ დევნილის ყალბი მოწმობა გასცეს?**

— ამ ქვეყანაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მაგრამ იმის ალბათობა, რომ სამინისტრომ ყალბი დევნილის მოწმობა გასცეს, თითქმის ნულის ტოლია(?). ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დევნილის მოწმობას გამგეობები გასცემენ, სამინისტროს რეგისტრაციის განყოფილება კი მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში დუბლიკატს გასცემს.

— **მე შემიძლია წარმოგიდგინოთ სამინისტროს მიერ თითქოს ლტოლვილზე გაცემული ყალბი მოწმობა, რომელიც სამინისტროს ბეჭედით არის დადასტურებული და იქვე წერია: „გაცემულია საქართველოს ლ.გ. სამინისტროს მიერ".**

— ვიმეორებ, არაფერს გამოვრიცხავ. მითხარით, ვისზეა გაცემული დევნილის მოწმობა და კომპიუტერული ცენტრის მონაცემთა ბაზაში შევამოწმებ...

... მას შემდეგ, რაც მონაცემთა ბაზაში ჩემი ვაჟის, თითქოს დევნილის მოწმობა არ აღმოჩნდა, თემურ ლომაიამ რიხით გააგრძელა საუბარი:

— მარტო დევნილის მოწმობა ბევრს არაფერს ნიშნავს. ჯერ ერთი, ეს მოწმობა არ არის მონაცემთა ბაზაში, მეორე — დევნილის მოწმობას თუ არ ახლავს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ძალა არა აქვს. ასე რომ, იგი მარტო ფარატინა ქაღალდია.

— **ბატონო თემურ, ფარატინა ქაღალდზე ხელს არ უნდა აწერდეს მინისტრი და არც სამინისტროს ბეჭედი არ უნდა ერტყას.**

— ვიმეორებ, მხოლოდ დევნილის მოწმობით ვერაფერს დაამტკიცებთ და ვერც დახმარებას მიიღებთ, რადგან არ გაქვთ პირადობის დამადასტურებელი, ჩვენი გამგეობის მიერ გაცემული მოწმობა და არც სიებში ხართ შეტანილი. უნდა გითხრათ, რომ ჩვენ დაუნდობლად ვებრძვით ხელმრუდე თანამშრომლებს და ბევრი მათგანიც გავათავისუფლეთ სამსახურიდან. ჩვენი ინიციატივით შემოვიღეთ ლტოლვილთა საოჯახო ანკეტები, რომლებსაც ანალოგი არა აქვს მსოფლიოში. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რათა აღრიცხვიანობა მოგვეწესრიგებინა...

სამინისტროდან წამოსულებმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტროში შევიარეთ და სოხუმის საპენსიო განყოფილების უფროსს **ემზარ კაკულიას** ვთხოვეთ კომენტარი. მისი განცხადებით, საპენსიო ფონდში ყველაფერი ზედმიწევნით წესრიგშია და მას არაფერი სმენია იმ მკვდარი სულების არსებობის შესახებ, რომლებიც კონტროლის პალატის მასალებშია მოყვანილი.

დასასრულ, ინტერვიუ ვთხოვეთ საფოსტო ბანკის ხელმძღვანელობას.

შეკითხვებს უპასუხებს „საქართველოს საფოსტო ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მარინა ქვანია**:

— **ინფორმირებულია თუ არა „საფოსტო ბანკი" მკვდარი სულების არსებობის შესახებ?**

— ამ ეტაპზე ბანკს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად, სტატისტიკაზე დაყრდნობით, ეჭვი აქვს მკვდარი სულების არსებობის შესახებ. მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად, რადგან ამჟამად მიმდინარეობს შემოწმება და მონაცემები ცნობილი გახდება აპრილის ბოლოს.

— **რამდენი „მკვდარი სულია" გამოვლენილი და რა ხერხებით ებრძვის ბანკი ამას?**

— 2000 წლის აგვისტოს თვეში „საფოსტო ბანკმა", ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად, ჩაატარა რევიზია, რომლის შედეგადაც გამოვლინდა 11 ათასი მკვდარი სული. შემოწმება მიმდინარეობდა ურთულესი მეთოდით. ყველა ლტოლვილი კომისიამ პირადად ნახა (თუმცა ქალბატონი მარინა არ აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიება იძულებითი ხასიათისა იყო, რადგან იმ წელს, როცა ეს ოპერაცია განხორციელდა, აიკრძალა ლტოლვილის სტატუსის მინიჭება რუსული ნიმუშის პასპორტით და სხვა გზა არ ჰქონდათ არც სამინისტროს და არც ბანკს).

— **ზოგიერთი ლტოლვილის განცხადებით, რომელსაც თავის მხრივ ადასტურებენ განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები, არსებობს დანაშაულებრივი კავშირი ბანკის ფილიალის თანამშრომლებსა და ადგილობრივ ლტოლვილთა წარმომადგენლებს შორის. კერძოდ, მკვდარი სულების თანხების ნაწილს აძლევენ ცალკეულ პირს, ნაწილს კი ითვისებენ თვითონ. რამდენად რეალურია ასეთი განცხადება?**

— ლტოლვილთა საბუთს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქმნიან ადგილობრივი გამგეობები. ამ დოკუმენტით ისინი ხვდებიან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სიებში. ე.ი. თუ არსებობს დანაშაულებრივი კავშირი, ეს არის ლტოლვილსა და გამგეობას შორის. ბანკს არა აქვს არავითარი უფლება და არც მექანიზმი ეჭვი შეიტანოს იმ მოწმობის მართებულობაში, რომელიც გაცემული არის ადგილობრივი გამგეობების მიერ.

— **ყოველგვარი ფულადი დახმარების საფუძველს წარმოადგენს განსახლების სამინისტროდან წარმოდგენილი სიები. ლტოლვილთა მოწმობებში კი უნდა ფიქსირდებოდეს გაცემული თანხის რაოდენობა და თარიღი. ეს არ კეთდება და რატომ?**

— ლტოლვილთა მოწმობა ბანკისათვის დოკუმენტს არ წარმოადგენს. ლტოლვილთა მოწმობა ბანკისათვის იგივეა, რაც ანაბრის წიგნაკი, ასე რომ, მასში აღრიცხვა ხდება მხოლოდ ლტოლვილთათვის. ბანკისათვის ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს სამინისტროდან მიღებული სიები და ლტოლვილთა ხელმოწერა ფულის მიღების შესახებ.

— **ეთანხმებით თუ არა იმ მოსაზრებას, რომ უკანასკნელ წლებში დევნილთა თანხების დანაკლისი შეადგენს რამდენიმე მილიონ ლარს?**

— როგორც მოგახსენეთ, ბანკმა 11 ათასი მკვდარი სული აღმოაჩინა 2000 წლის შემოწმების შედეგად. 11 ათასი მკვდარი სული ეს არის 150.000 ლარის დანაკლისი ყოველთვიურად. უბრალო არითმეტიკული გაანგარიშებითაც კი ცხადია, რომ 8 წლის განმავლობაში ეს თანხა შეადგენს ათეულ მილიონს...

დავინტერესდით ჩვენი ქვეყნის გარეთ როგორ იმუშავებდა ჩვენ მიერ მოპოვებული მოწმობა (დახმარების მიღების მიზნით და სხვ.), რისთვისაც უცხო ქვეყნის საელჩოებს მივმართეთ. შაბათ დღეს, სამწუხაროდ, რუსეთის საელჩოს გარდა დაკავშირება ვერც ერთთან ვერ შევძელით. **პასუხისმგებელი მორიგე:**

— რუსეთში საქართველოდან ლტოლვილმა უნდა წარადგინოს დევნილის მოწმობა ან დევნილობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. ამის შემდეგ მას მიენიჭება ლტოლვილის სტატუსი და ისარგებლებს ყველა იმ პრივილეგიით, რაც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

— ***როგორი წესი მოქმედებს სხვა ქვეყნებში?***

— ზუსტად ვერ გეტყვით, ალბათ დაახლოებით ისეთივე, როგორიც რუსეთის ფედერაციაში.

**P.S.** ერთ-ერთ თავის გამოსვლაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ახალდანიშნულმა მინისტრმა **ამირან გამყრელიძემ** სიამაყით აღნიშნა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოში შარშან პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როცა შობადობამ გადააჭარბა სიკვდილიანობას. რა იცოდა მინისტრმა, რის ხარჯზე გაიზარდა ეს მონაცემი.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

## რას გვეტყვი, მამაო?

— ***შევიძინე ხატი, ცხენზე ამხედრებული მხედარი შუბით. დარწმუნებული ვიყავი, რომ წმინდა გიორგი იყო. აღმოჩნდა წმინდა დიმიტრი თესალონიკელი. თუ შეიძლება მოკლედ მაინც მოგვითხროთ მისი ცხოვრების შესახებ.***

— წმინდა დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელი მართლაც წმინდა გიორგივით უებრო რაინდი იყო. ტახტზე ასულმა მაქსიმილიანე გალეროსმა, სამხედრო ღირსებებისათვის, იგი თესალონიკის მხარის პროკონსულად დანიშნა 305 წელს. მას ევალებოდა ქალაქის დაცვა ბარბაროსებისაგან და დევნა ქრისტიანებისა. მაგრამ დევნის ნაცვლად დიმიტრი განცხადებულად ქადაგებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ამ გზით ბევრი ქვეშევრდომიც მოაქცია ქრისტიანობაზე. განრისხებულმა მაქსიმილიანემ საპყრობილეში ჩააგდებინა იგი, თვით კი ამასობაში გლადიატორთა ასპარეზობებით ტკბებოდა, სადაც მისი რჩეული გოლიათი, ვინმე ლიოსი ორთაბრძოლებში ამარცხებდა ქრისტიანებს. ქრისტიანმა ჭაბუკმა ნესტორმა საპყრობილეში მყოფ დიმიტრის გამოსთხოვა ლოცვა-კურთხევა ლიოსთან შესაბმელად. დიმიტრის ლოცვა-კურთხევით ნესტორმა სძლია ლიოსს, რისთვისაც იმპერატორმა გამარჯვებული სიკვდილით დასაჯა, ხოლო დიმიტრის მკვლელები შეუგზავნა.

306 წლის 26 ოქტომბერს (ძვ. სტილით) მტარვალებმა შუბით განგმირეს დიმიტრი (ამ დღეს აღესრულება წმინდანის ხსენება). ამ წმინდანის ერთგულმა მსახურმა ლუპემ პირსახოცში მოაგროვა დიმიტრის სისხლი და ამ სისხლით ნაკურთხი სიწმინდეებით მრავალი სნეული იღებდა კურნებას. ერთი საუკუნის შემდეგ მოიძიეს დიდმოწამის წმინდა ნაწილები, კონსტანტინე დიდის დროს კი მის სახელზე აშენდა დიდი ტაძარი. V საუკუნიდან წმინდა დიმიტრის ლუსკუმიდან კეთილსურნელოვანმა მირონმა დაიწყო დენა, რის გამოც წმინდანს მირონმდინარის საეკლესიო სახელწოდებაც მიენიჭა.

— ***გთხოვთ მიპასუხოთ, ხალხში გავრცელებული მოსაზრებები, რომ ოთხშაბათობით არ შეიძლება ტანის დაბანა, ხელში საპნის ან წინაკის მიწოდება და სხვ. — რამდენად ეთანხმება ეკლესიურ შეხედულებებს?***

— ჩვენ უკვე არაერთგზის გავეცით პასუხი ანალოგიურ კითხვებს — რომ ყოველივე ეს ხალხში გავრცელებული ცრურწმენებია და კავშირი არა აქვს სარწმუნოებრივ ტრადიციებთან და წეს-ჩვეულებებთან.

— ***ჩემმა ძმამ ავადმყოფობის დროს შეუთქვა, თუ კარგად გავხდებოდი დავკლავდა ცხვარს, ჩემს ძმას საშუალება არა აქვს. მე რომ დავკლა ცხვარი და შევასრულო დაპირება, შეიძლება?***

— შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც მოხდა უკანასკნელი სისხლიანი მსხვერპლშეწირვა გოლგოთაზე, ეკლესიაში აღესრულება მხოლოდ უსისხლო მსხვერპლშეწირვა წირვის დროს.

მაგრამ რადგან თქვენმა ძმამ შეუთქვა უფალს, თქვენ შეგიძლიათ აღასრულოთ ეს დანაპირები, ან მისი საფასური შესწიროთ ეკლესიას და საჯანმრთელო მოსახსენიებელი შეუგზავნოთ საკურთხეველში.

— ***მაქვს თუ არა უფლება მივიღო შვიდჯერ ზეთისცხება, თუ მარხვას არ ვიცავ (აღსარება ნათქვამი მაქვს).***

— თუ მარხვის დარღვევა არ ხდება თვითნებურად და ამისთვის მღვდლისგან გაქვთ ლოცვა-კურთხევა, მაშინ, მოძღვართან შეთანხმებით, შეგიძლიათ იცხოთ ზეთი.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***

# „მალე დაიწყება ლეიბორისტული პარტიის ანტიოლიგარქიული კომიტეტის დასკვნების გამოქვეყნება...“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)



**— ბატონო შალვა, გინდათ, ყველა ცოდვა ბიზნესმენებს აჰკიდოთ?**

— რეალურად ასეა და რა ვქნა? ამ ოლიგარქებმა გამოკვებეს შეიარაღებული ფორმირებები, სამოქალაქო ომი გააჩაღეს და ტერიტორიები დაგვაკარგვინეს. მერე ფულითვე „აკურთხეს“ შევარდნაძე და „მოქკავშირი“ და მათივე დახმარებით დიდი სტრატეგიული ობიექტები ხელში ჩაიგდეს. დღეს კი, როცა მათი ხელდასხმული სისტემა იმსხვრევა, თავშეუკავებლად აცხადებენ პრეტენზიას პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ე.წ. გადამხდელთა კავშირში შემდგარი თავყრილობა პრეზიდენტისთვის ვადის გაგრძელების მოთხოვნით. ეს ძალიან სერიოზული ფაქტი გახლავთ.

ფაქტობრივად, გამჟღავნდა, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ მმართველ ძალას, ხოლო მთელი სახელმწიფო ხელისუფლება მათი პროდუქტია.

ოლიგარქები მიტაცებული მილიარდიანი სიმდიდრის გარკვეულ ნაწილს არჩევნების გაყალბებასა და სასურველი პოლიტიკური ძალების, სინამდვილეში ყურმოჭრილი მონების პარლამენტში მოყვანას ახმარენ. შემდგომში სწორედ ისინი ამტკიცებენ მინისტრებს და სახელისუფლებო ვერტიკალს. სანაცვლოდ, მთავრობას პარლამენტში მათი დაკვეთით შემოაქვს კანონპროექტები. სქემა საკმაოდ მარტივი და შემზარავია. როგორ გგონიათ, რატომ ითხოვდა ასეთი თავგამოდებით „კოკა-კოლას“ მაგნატი თემურ ჭყონია შევარდნაძისთვის ვადის გაგრძელებას? იმიტომ, რომ 2000 წლის 21 აპრილის ბრძანებულებით მას, ფაქტობრივად, ეპატია სახელმწიფო ვალი 10 მილიონის ოდენობით.

**— თქვენ მგონი ჭყონიაზე ხართ გაბრაზებული და ამიტომ ჯავრს მთლიანად ბიზნესსა და ბიზნესმენებზე იყრით.**

— პიროვნულად არც ჭყონიაზე ვარ გაბრაზებული და არც არავისზე. ეს იცით რამხელა პრობლემაა? საზოგადოდ, გაუკონტროლებელი ოლიგარქია ყველა ქვეყანასა და ეპოქაში მეხუთე კოლონას წარმოადგენდა, რომელიც საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად უცხო სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალების, სპეცსამსახურებისა და საერთაშორისო მაფიის სამსახურში დგება. ამის შესანიშნავი მაგალითია „თელასის“, ენერგეტიკის, საბაჟოს, საჰაერო-საზღვაო ფლოტის, მადნეულის, ფეროს და სხვა ეროვნული სიმდიდრის გაჩუქება. ამ უცხოელების უკან კი (და მოგების წილშიც), ისევ ჩვენი ოლიგარქები დგანან. ერთ კარგ რაღაცასაც გეტყვით — კრიმინალური ოლიგარქები სამ კატეგორიად იყოფიან: საჯარო, რუხ და ტრანსნაციონალურ ოლიგარქებად. მათ ერთი საერთო ნიშანთვისება აქვთ — მწვანე დოლარების განსაკუთრებული თაყვანისცემა.

**— რაც შეეხება განსხვავებას?**

— საჯარო ოლიგარქები თავხედდებიან და „ტელევარსკვლავობენ“. „რუხები“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საჯარო გამოჩენას თავს არიდებენ. ხოლო „ტრანსნაციონალისტები“ უცხოეთში ნაშოვნ შავ ფულს საქართველოში ათეთრებენ.

**— ბატონო შალვა, ზოგადი ლაპარაკი ხალხს გვარიანად მობეზრდა. იქნებ უფრო დააკონკრეტოთ საკითხი?**

— კი, ბატონო! აი, მაგალითად, ნიკო ლეკიშვილი — მთელი თბილისი მისია. ქალაქის მერობის დროს ჩაიგდო ხელში თბილისის ცენტრი. სწორედ მისი თავკაცობის პერიოდში გასხვისდა პრესტიჟული მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები და აქედან მის უცხოურ ანგარიშებზე ასიათასობით ამერიკული დოლარი აღმოჩნდა. ასევეა დღევანდელი მერიც — ვანო ზოდელავა. როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, ქალაქის 170-მილიონიანი ბიუჯეტის 10%, ე.ი. 17 მილიონი მისი ყოფილა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, დღემდე ვერავინ გაიგო, სად მიაქვს მერს სპეციალურ ფონდში გათვალისწინებული 2 მილიონი ლარი. გეუბნებით, არც ჩრდილოვანი და არც ნათელი ბიზნესი მოსახლეობის 90%-ისათვის არ არსებობს, რადგან ამ დარგის განვითარებისთვის შემოსული ასეულობით მილიონი დოლარი იმავე ოლიგარქ-ბანკირთა ჯიბეებში ბინავდება. ჩხარტიშვილის, სიორიძის, მაღლაკელიძის, პატიეშვილის მიერ მეანაბრეებისთვის წართმეული ფულით გახსნილ მათ ბანკებში შემოსული უცხოური შეღავათიანი კრედიტები „უპატრონო“ ქართველებისთვის ხელმიუწვდომელია.

**— გამოდის, რომ ყველაფერი ბიზნესმენთა ბრალი ყოფილა. აბა, პრეზიდენტს და მთავრობას რაღას ერჩოდით?**

— იმას, რომ ოლიგარქთა რიგებს მთავრობიდანაც არაერთი „სახელოვანი“ მოღვაწე შეუერთდა. მაგალითად, ენერგეტიკის მინისტრი მირცხულავა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი ადეიშვილი. ამ ორი ფიგურის ხელში უკანონოდ იყრის თავს უზარმაზარი საშინაო თუ საგარეო თანხები. გარდა ამისა, საპენსიო ფონდის განადგურების შემდეგ ქონების მართვის მინისტრად დანიშნეს პავლიაშვილი, რომელსაც ოლიგარქობის დიდი პერსპექტივა აქვს, ხოლო რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძესთან, უხეში გაანგარიშებით, წელიწადში 25 მილიონი დოლარი მიედინება. ეს ყველამ იცის, მაგრამ ჩუმად არიან. არანაკლები ოქროს ორმოა გზების დეპარტამენტი მისი უფროსის, ბორის სალარიძისთვის, სადაც ახლაც მიიღეს 36-მილიონიანი კრედიტი ერთ-ერთი არაბული ქვეყნიდან. რაც შეეხება რუხ ოლიგარქებს, ამ სიაში, უდავოდ ლიდერობენ პურპროდუქტების შეფი ანზორ ბურჯანაძე, პარლამენტის თავმჯდომარის მამა, აგრეთვე ფოთის პორტის მფლობელი და საბანკო მონოპოლისტი, პრეზიდენტის მძახალი გურამ ახვლედიანი, „ომეგას“ შეფი ზაზა ოქუაშვილი, რძის პროდუქტების შეფი ზურაბ ცქიტიშვილი და ჩვენი დამაქცევარი, გაზის მთავარი „მაფიოზი“, „მოქკავშირის“ მოლარე, დეპუტატი ბეჟუაშვილი. მომავალ მილიარდერად მოგვევლინება ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურიაც. „ტრანსნაციონალისტებმა“ კი უცხოეთში უკანონოდ, ათასგვარი მაქინაციით ნაშოვნი ფულის გასათეთრებლად საქართველოს მოაკითხეს. იყო დრო, მათთან საპრეტენზიო არაფერი მქონდა — ვფიქრობდი, ფულს დააბანდებენ და ქვეყანას ააშენებენ-მეთქი, მაგრამ... ამათ პოლიტიკაში მოსვლა მოინდომეს. პატარკაციშვილი, რომელსაც საერთაშორისო ტერორისტების დაფინანსებისთვის ეძებენ, ქორწინების სასახლეს ყიდულობს, თითქოს მმაჩის ბიუროს გამგე იყოს. შე მამაცხონებულო, თუ ქვეყნისთვის კარგი გინდა, იყიდე კიროვის ჩარხმშენებელი ქარხანა, რომელიც რამდენი ხანია, გაჩერებულია და სამუშაო ადგილები შექმენი.

**— როგორ გგონიათ, თქვენი ელექტორატი სწორად გაიგებს ამ დაპირისპირებას?**

— ცუდად რატომ უნდა გაიგონ? ყველაფერი ეს მათ ინტერესებს ეხმიანება. საქართველოს პრობლემა მდგომარეობს მაქსიმუმ 300 ოჯახის ნეიტრალიზაციაში, რომელთა ხელშიც თავმოყრილია ქვეყნის მთელი სარჩო-საბადებელი, მილიარდობით დოლარისა და ეროვნული სიმდიდრის სახით. წარმოიდგინეთ, რა ხდება! პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, დაყაჩაღებულ მეანაბრეთა პრობლემების გადასაწყვეტად შექმნილი სპეციალური კომისია იმ ბანკირებით დააკომპლექტეს, რომლებსაც თავის დროზე შემნახველი სალაროები აჩუქეს. ე.ი. რა გამოდის? — მგლები ფერმის გამგეებად დანიშნეს?

**— ე.ი. თქვენი თეორიის თანახმად, ბიზნესმენები პოლიტიკას არც კი უნდა გაეკარონ?**

— ბიზნესმენები კი არა, ოლიგარქები... ესენი სიამაყით აცხადებენ, რომ ლიბერალები არიან, რაშიც ამჯერად ნამდვილად ვერ შევედავები. „ლიბერი“ ძველ რომაულ მითოლოგიაში იყო დროს ტარების, ქეიფისა და ალვირახსნილობის ღმერთი. ჩვენი ოლიგარქებიც, როგორც „ლიბერის“ ჭეშმარიტი მიმდევრები, ერთ თვეში ხარჯავენ საქართველოს წლიური ბიუჯეტის მოცულობას კაზინოებში, რესტორნებსა და „ვარდის ფურცლებში“ ნებივრობაში. მიკვირს, აქამდე სული როგორ გვიდგას...

**— არ გეშინიათ, რომ ამ ე.წ. ოლიგარქებმა სასამართლოში გიჩივლონ?**

— არაფრისაც არ მეშინია. ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ, ასე რომ, ვერ შემაშინებენ. ის კი არა, ძალიან მალე დაიწყება ლეიბორისტული პარტიის ანტიოლიგარქიული საზოგადოებრივი კომიტეტის დასკვნების გამოქვეყნება გვარებისა და მიტაცებული სიმდიდრის სრული დასახელებით. ჩვენ ბრძოლა დავიწყეთ და უკან დახევას ნამდვილად არ ვაპირებთ.

*ხათუნა ყვირალაშვილი*

> ...მაგალითად, ენერგეტიკის მინისტრი მირცხულავა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი ადეიშვილი, ამ ორი ფიგურის ხელში უკანონოდ იყრის თავს უზარმაზარი საშინაო თუ საგარეო თანხები. გარდა ამისა, საპენსიო ფონდის განადგურების შემდეგ ქონების მართვის მინისტრად დანიშნეს პავლიაშვილი, რომელსაც ოლიგარქობის დიდი პერსპექტივა აქვს, ხოლო რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძესთან, უხეში გაანგარიშებით, წელიწადში 25 მილიონი დოლარი მიედინება. ეს ყველამ იცის, მაგრამ ჩუმად არიან. არანაკლები ოქროს ორმოა გზების დეპარტამენტი, მისი უფროსის, ბორის სალარიძისთვის, სადაც ახლაც მიიღეს 36-მილიონიანი კრედიტი ერთ-ერთი არაბული ქვეყნიდან.

# რა ჯდება ინფორმაცია ნარკოტიკებით გაძეძგილი თვითმფრინავის შესახებ, ანუ რატომ შეიჭრა დავით ზეიკიძე და მისი ხალხი პარლამენტის შენობაში

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

**გია თელია:** — შენობიდან ვიღაც უცნობი გამოვიდა და პოლიციელებს გამოუცხადა — იქ, შიგნით, ზეიკიძეს შევარდნაძესთან უნდა შესვლა. არ უშვებენ და თუ მიეხმარებით, ანუ თუ გვერდით დაუდგებით, თვითონ გამოვა შევარდნაძე და დაელაპარაკებაო. ამდენმა ბატმა ერთად იხუვლა და პარლამენტში შეცვივდა. იმ წუთიდან ყველაფერი აირ-დაირია, — ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც იმ ვიღაცამ ჩაიფიქრა. ვინც იმ დღეს რუსთაველზე გაიარა, ყველამ ნახა, რომ პოლიციას ალყაში ჰქონდა მოქცეული პარლამენტის შენობა. ზვიადისტებს კი იქ მისვლა არც უფიქრიათ. შემდეგ ზეიკიძე და მისი ხალხი შენობაში შეცვივდნენ გადატრიალების მოწყობის მიზნით, მაგრამ არ გამოუვიდათ, მაშასადამე, პასუხი უნდა აგოს ზეიკიძემ.

**დავით ზეიკიძე:** — როცა ჩემს თანამშრომლებს ვკითხე, შენობაში რა გინდათ-მეთქი, მითხრეს, ვიღაცამ გვირჩია, თქვენს უფროსს გვერდით თუ დაუდგებით, უკეთესი იქნება და ჩვენც შემოვედითო. კი, შესასვლელში იდგა სამთავრობო დაცვა, მაგრამ რამდენიმე კაცი როგორ შეაკავებდა ათობით პოლიციელს. რა თქმა უნდა, გვქონდა ინფორმაცია ნარკოტიკების გადამტან თვითმფრინავზე, მაგრამ კვირაიამ დაგვასწრო. მაშინ ამის ხმამაღლა თქმის უფლება არ მქონდა და შენც გთხოვ, არ გამოაქვეყნო.

**გია თელია:** — ეს ამბავი 31 მარტს მოხდა. სამ აპრილს გია გულუა მოკლეს — ისიც ჩვენთან „შეთქმული“ ეგონათ ალბათ. იმავე დღეს სამსახური დაატოვებინეს ზეიკიძეს და დამაკავეს მე. თვითმფრინავი კი ოთხ აპრილს უნდა დამჯდარიყო თბილისის აეროპორტში.

გია გულუას მკვლელობა დამაბრალეს, ზეიკიძემ და ივანოვმა დაგიკვეთესო. იმედი ჰქონდათ, რომ წამებით დამაწერინებდნენ, გულუა მათი დავალებით მოვკალი-მეთქი. მერე გისოსებზე ჩამომკიდებდნენ — თავი ჩამოიხრჩო, მაგრამ ა, ბატონო, მისი ხელით ნაწერი — მკვლელიაო. ზეიკიძესა და ივანოვს არ დაიჭერდნენ. მათ დახოცავდნენ და ხმასაც არავინ ამოიღებდა. გიას მკვლელობა მაგათი შეკვეთა იყოო. ამ ყველაფერში უშიშროების ხელწერა იქიდანაც ჩანდა, რომ ყველაფერი მათი მეთოდებით კეთდებოდა: გია გულუას მკვლელობა დამაბრალეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ თავიანთი ჭკუით მილიცია გადამკიდეს, მაგრამ ვერ გათვალეს. მთელი მილიცია მიცნობდა და ისიც იცოდნენ, ამის გამკეთებელი რომ არ ვიყავი. ეს რომ არ გამოუვიდათ, თბილისის პროკურორის მიშა ქურდაძის გაუხსნელი მკვლელობაც მომაწერეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთელი პროკურატურა ჩემს წინააღმდეგ განაწყვეს. დამაბრალეს მხედრიონის ლიდერების, ზაზა ვეფხვაძისა და გია სვანიძის დახოცვაც და ვითომ „მხედრიონი“ გადამკიდეს. საბედნიეროდ, არც „მხედრიონში“ ირწმუნეს ეს შეთითხნილი ბრალდება. ადგნენ და გამოაცხადეს, 18 კანონიერი ქურდი ჰყავს მოკლულიო, ანუ მთელი დამნაშავეთა სამყარო დამიპირისპირეს. პენიტენციალური სისტემის ისტორიაში ერთადერთი პატიმარი პოლიციელი ვიყავი, რომელიც სხვა ბოროტმოქმედებთან ერთად საერთო საკანში ჩამსვეს. რა თქმა უნდა, კვირაიას უშუალო მითითებით, თორემ სხვა ვინ წავიდოდა ამგვარ დარღვევაზე. და იცით რით დასრულდა ეს ყველაფერი? შვიდწლიანი ტანჯვა-წამების შემდეგ უზენაესმა სასამართლომ გამამართლა დანაშაულის არარსებობის გამო. გამიკეთეს სრული რეაბილიტაცია და მომცეს მორალური ზარალის ანაზღაურება, რისიც ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილი მივიღე ფინანსთა სამინისტროდან. შვიდი წლის განმავლობაში დევნიდნენ დავით ზეიკიძესა და ბორია ივანოვს. ზეიკიძე დღესაც უმუშევარია, ივანოვი კი მოსკოვში გადასახლდა...

*ვაჟა გავაშელი*



# ...აბა, ვინ დახურავს ქოლგას წვიმის დროს?

## ინტერვიუ აჭარის ლიდერ ასლან აბაშიძესთან



**— ახლა ყველა პანკისის ხეობის პრობლემებზე ლაპარაკობს. როგორ გგონიათ, ამერიკელი სპეციალისტების საქართველოში ჩამოსვლა უშველის საქმეს?**

— ჩიხიდან გამოსვლის კლასიკური ხერხია მოლაპარაკებები. ჩეჩნებთან მოლაპარაკების საშუალებაც არსებობს. ხოლო რაც შეეხება ამერიკელებს — დღეს საქართველოს ტერიტორიაზე არის რუსული ჯარი, თურქული ჯარი, ამერიკელებიც აპირებენ მოსვლას... მეტისმეტი ხომ არ მოგვდის?

**— საქართველოს პარლამენტმა საჯაროდ დაგწამათ პრორუსული ორიენტაცია...**

— მე ყოველთვის პროქართული ორიენტაციისა ვიყავი. რუსეთთანაც მეგობრობის მომხრე ვარ, თურქეთთანაც, ამერიკასთანაც და მთელ მსოფლიოსთან. მაგრამ მხოლოდ ჩემი სამშობლოს სასარგებლოდ!

**— აჭარის მთავრობას თავისი შეიარაღებული ძალები თუ ჰყავს?**

— არა. ჩვენ მხოლოდ კარგად გაწვრთნილი ანტიტერორისტული ქვედანაყოფები გვყავს და ისინი საბრძოლო მზადყოფნაში იქნებიან მანამ, სანამ აჭარას ტერორისტული აქტების საშიშროება ემუქრება. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც აჭარაში ვინმე ტანკებით შევიდეს.

**— ცნობილია, რომ ედუარდ შევარდნაძესთან დაძაბული ურთიერთობა გქონდათ. ახლა როგორაა საქმე?**

— მე ვიცი, ვინ ხელმძღვანელობს ავტონომიას და ვინ — მთელ ქვეყანას. მე ვიცი არა მარტო ჩემი უფლებები, არამედ მოვალეობებიც.

**— თქვენ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირება გევალებათ. რა კეთდება საამისოდ?**

— გადაიდგა პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩვენ და საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურის მოადგილემ ბ-მა ლოშინინმა მოვილაპარაკეთ, რომ 2002 წლის მარტში დეტალურად შევისწავლით სიტუაციას აფხაზეთში, რათა შემდგომი ნაბიჯები ბრმად არ გადავდგათ. მაგრამ ახლა პანკისის მოვლენები დაიწყო და საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ იგი მომხრეა აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი ხერხით მოგვარებისა. მე კი განვაცხადე, რომ მშვიდობიანი გზის მომხრე ვარ. ახალი ომი საქართველოს დაშლას მოასწავებს. მაგრამ საქართველოს პოლიტიკოსთა ნაწილი ერთი და იმავე აზრისაა: თუ ივნისის ბოლოს აფხაზეთის ხელმძღვანელობა თბილისის პირობებს არ მიიღებს, დაიწყება ძალისმიერი აქცია.

**— ალბათ ამასთან დაკავშირებით მოითხოვა საქართველოს პარლამენტმა რუსეთის მშვიდობისმყოფელების გაყვანა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან.**

— ძალიან უდროო დროს წამოჭრეს ეს საკითხი. იქ, აფხაზეთში, ხალხს გენოციდის ეშინია. აბა, ვინ დახურავს ქოლგას კოკისპირული წვიმის დროს?

**— ხომ არ გგონიათ, რომ ამერიკელი ინსტრუქტორები ანტიტერორისტულ ქვედანაყოფებს პანკისის ხეობაში შესული ჩეჩენი ბოევიკების წინააღმდეგ კი არ ამზადებენ, არამედ...**

— სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სამხედროებს ტერორისტებთან საბრძოლველად კი არ ამზადებენ, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში „წესრიგის დასამყარებლად“. ვის შეუძლია იმის გარანტიის მიცემა, რომ ამერიკელთა მიერ მომზადებული ქართული ჯარები აჭარაში არ დაიწყებენ ძალისმიერ მოქმედებებს?

**— შეგიძლიათ დაასახელოთ, ვის აძლევს ხელს ახალი ომი საქართველოში?**

— ყველასთვის გასაგებია, რომ საქართველოს ზოგიერთ პოლიტიკოსს შინაპრობლემების ძალისმიერი გადაწყვეტისკენ ძლიერი გარეშე ძალები უბიძგებენ. თუ საქართველოში ომი მაინც დაიწყება, კასპიის ზღვიდან მოყოლებული შავ ზღვამდე, ყველაფერი ცეცხლში გაეხვევა, ხოლო ალი — ყველა ქვეყანას მოედება.

***იზვესტია №51***

# განყოფისა და ცთომილებისთვის?..



საეკლესიო-საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ — მართლმადიდებელ საძმოთა კავშირმა (СПБ) 17 მარტის სხდომაზე მხარი დაუჭირა აფხაზეთის ხელმძღვანელობის ინიციატივას, შეუერთდეს რუსეთს აფხაზეთის ტერიტორია, რომელსაც საქართველო თავის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

სხდომა ჩატარდა მოსკოვის ნიკოლოზ განმანათლებლის ტაძარში მწუხრზე, შენდობის ლოცვის შემდგომ, რომელიც აღასრულეს ამ ტაძრის წინამძღვარმა, იღუმენმა კირილმა (სახაროვმა) და СПБ-ს სტუმრებმა — მოსკოვის რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის (РПЦ) ეპარქიის ღვთისმსახურმა, მღვდელმა ოლეგ სტროევმა და РПЦ-ს კემეროვოს ეპარქიის მღვდელმა ალექსანდრ ვასკინმა. აფხაზეთის ხელისუფლების ინიციატივის მხარდამჭერი განცხადება მიღებულ იქნა „ქრისტიანული აღორძინების“ კავშირის მეთაურის ვლადიმირ ოსიპოვის წინადადებით. ამ უკანასკნელმა მოამზადა კიდეც დოკუმენტის პროექტი.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირა РПЦ-ს მეთაურმა ლეონიდ სიმონოვიჩმა და აღნიშნა, რომ გაკვირვებულია საქართველოს მთავრობის „არამეგობრული ქმედებებით“ და განსაკუთრებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია -ის მიერ ОРТ-სთვის მიცემული ინტერვიუთი, სადაც ქართული ეკლესიის მწყემსთმთავარმა „ეჭვი გამოთქვა რუსი ერის ღვთივრჩეულობის თაობაზე“.

მართლმადიდებელმა პუბლიცისტმა იური აგეშევმა წინადადებით მიმართა СПБ-ში შემავალ რუსულ-ქართული მეგობრობის საზოგადოება „ძალისის“ ხელმძღვანელს თამაზ ჯანდიერს, „განსაზღვროს თავისი პოზიცია ქართული ხელმძღვანელობის რუსოფობიულ ქმედებებზე“. როგორც იური აგეშევმა განმარტა, „აფხაზური საკითხის მიმართ განსხვავებულმა შეხედულებამ შესაძლოა განყოფა და ცთომილება შეიტანოს კავშირის რიგებში“.

rus-sky.com
***28.03.2002***

***„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის თავმჯდომარის მოადგილეს ზურაბ ცხოვრებაძეს:***

— СПБ-ს განცხადება აშკარად მტრულია საქართველოს მიმართ. აფხაზეთი არა მარტო საქართველოს განუყოფელი ნაწილია, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში არსებული ეპარქია. საეკლესიო სამართლის თანახმად, ერთი მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს არა აქვთ უფლება რაიმე სახით ჩაერიონ სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის შიდასაქმეებში. ამგვარად, СПБ-ს მოქმედება არღვევს მართლმადიდებლური კანონიკის პრინციპებს.

ცილისწამებაა იმის განცხადებაც, თითქოს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რაღაც ისეთი თქვა ОРТ-ს გადაცემაში, რაც თუნდაც რამენაირად ლახავს რუსი ერის ღირსებას: ყველა მართლმადიდებელი ერი ღვთის რჩეულია და საუბარი არ შეიძლება იყოს მეტად და ნაკლებად ღვთივრჩეულობაზე. СПБ-ს განცხადება მით უფრო მიუღებელია, რადგან იგი გაკეთებულია დიდმარხვის წინა დღეს, ყველა მართლმადიდებლისთვის ძვირფას შენდობის კვირას, როდესაც თითოეული მორწმუნე შენდობას უნდა ითხოვდეს და სხვებსაც პატიობდეს შეცდომებსა და ცოდვებს და არა ცილს სწამებდეს მართლმადიდებელ მოყვასს.

აღნიშნული პოზიცია არ წარმოადგენს მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას, ხოლო СПБ-ს მსოფლმხედველობა, როგორც ჩანს, რუსეთის იმ რეაქციული ძალების ზეგავლენის შედეგია, რომელთაც სურთ მართლმადიდებლობის გამოყენება იმპერიულ-შოვინისტური მიზნებისთვის.

# ახალი ომის აჩრდილი დაძრწის

ომი აფხაზეთში შეიძლება უახლოეს დღეებში დაიწყოს, — ირწმუნება რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს მდივანი ასტამურ თარბა. რუსეთის მშვიდობისმყოფელები დარწმუნებულნი არიან: თუ სასწრაფოდ ზომები არ იქნება მიღებული, აპრილის შუა რიცხვებში, როგორც კი გარემო ამწვანდება, ნამდვილი ბრძოლა მოუწევთ. რუსული და ქართული მხარე დიპლომატიური უწყებების საშუალებით უგზავნიან ერთმანეთს მკვახე განცხადებებს. ომის წინა სიტუაციიდან გამოსვლის გზებს კი ჯერჯერობით არავინ სახავს.





აფხაზეთში ქართული ჯარებისა და ჩეჩენი ბოევიკების შეჭრის ყველაზე რეალურ გზად მშვიდობისმყოფელები კოდორის ხეობას მიიჩნევენ. რომელსაც აკონტროლებს ქართული მხარე და სოხუმის მონაცემებით, იქ უკვე დაბანაკებულია გელაევი 1.500 ბანდიტით. არის მხოლოდ ერთი საავტომობილო გზა, სადაც რუსეთის ორი პოსტი — 106-ე და 107-ე დგას. რუსეთის მოტომსროლელების დახმარება ძნელი იქნება — საჰაერო ტელეფონები („ვერტუშკა“) ხეობაში არ მოქმედებს, ბოევიკების გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ეშინიათ. 106-ე პოსტის მეთაური, ლეიტენანტი ანდრეი კლუშენკოვი ამბობს: — ჩვენ მხოლოდ გზებს ვაკონტროლებთ, ფერდობებს მდინარე კოდორის მიღმა ვერც ვხედავთ. თუ ბატალიონი თავს დაგვესხმება, მხოლოდ ორ-სამ საათს გავუძლებთ.

ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, პირველად ის ქართული ნაწილები ამოქმედდება, რომელსაც ახლა ამერიკელები ამზადებენ ვითომდა პანკისის ხეობისთვის. ჩვენი მონაცემებით, მათთან ერთად იმოქმედებს ჩეჩენთა ბანდა გელაევის მეთაურობით. მეორე ეშელონად დაგეგმილია საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ძირითადი ძალები, არტილერია და ჯავშანტექნიკა.

დარტყმას ზღვიდან და ზუგდიდის მხრიდანაც მოელიან.

მაგრამ ქართული მხარე კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებებს — ეს პოზიცია დაადასტურა სანქტ-პეტერბურგში პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. ხოლო აფხაზეთში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი დიტერ ბოდენი დარწმუნებულია, რომ მოკლე ხანში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი პროცესი გააქტიურდება.

ასეა თუ ისე, რეგიონში სიტუაცია რთული და დაძაბულია და ალბათ ბევრი შეიარაღებული პროვოკაციაა მოსალოდნელი.

მუდმივი დაძაბულობის მეორე ზონაა გალის რაიონი. იქ მეგრელები ცხოვრობდნენ. 1993 წელს აფხაზეთის პირველი ომის შემდეგ იძულებული შეიქნენ, იქაურობა დაეტოვებინათ. ახლა მათი უმრავლესობა ზუგდიდის რაიონში ცხოვრობს. რამდენი არიან, ზუსტად არავინ იცის, მაგრამ მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც აფხაზეთისთვის გალის წართმევას ძალის გამოყენებით მოითხოვს. სწორედ ზუგდიდში, ლტოლვილთა რიგებიდან იძენენ ახალ წევრებს პარტიზანული ჯგუფები „ტყის ძმები“ და „თეთრი არწივი“.

გალის რაიონში ხალხი შეშფოთებულია. ახალი ბრძოლების ეშინიათ. ჰგონიათ — ამერიკელი ინსტრუქტორები საქართველოს სპეცრაზმს არა ჩეჩენი ბოევიკების, არამედ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებენ. მით უმეტეს, რომ ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას ქართული მხრიდან — ბევრ ჩვენგანს იქ ნათესავი ჰყავს, — განაცხადა გალის რაიონის მეთაურმა რუსლან ქიშმარიამ.

ქართული და რუსული მხარეები კი კვლავ პოლიტიკურ პაექრობას განაგრძობენ, მათზეა დამოკიდებული ატყდება თუ არა ახალი ომი.

***ტრუდი №53***

# რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო — აფხაზეთის ქომაგი

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი ტერაქტების გამო. დოკუმენტის ავტორებმა აღშფოთება გამოთქვეს ამ „ბარბაროსული აქციების“ დამკვეთებისა და შემსრულებლების მიმართ და ხაზგასმით აცხადებენ, რომ დამნაშავეები უნდა მოიძებნონ და დაისაჯონ. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში მინიშნებულია, რომ ეს აფეთქებები დაკავშირებულია თბილისის იმ გარკვეულ წრეებთან, რომლებიც ცდილობენ აფხაზეთის გარშემო დაძაბულობის შექმნას. განცხადების ავტორების აზრით, მსგავსი მეთოდები მიუღებელია იმიტომ, რომ „აფხაზური პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით, ნდობით, დიალოგით და შერიგებით შეიძლება“.

აფხაზეთში სიტუაციის გამწვავებამ და საქართველოში ამერიკული სპეცრაზმის გამოჩენამ შეიძლება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებზე იმოქმედოს. ამის თაობაზე ილაპარაკა რფ თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა. მანვე განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ამერიკის ხელმძღვანელობამ დღემდე ვერ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება თავისი სპეცრაზმის საქართველოში გადასროლის შესახებ. ივანოვის აზრით, საქართველოს პრობლემების მოგვარებაში ამერიკელთა სამხედრო მონაწილეობის გეგმა იმ სახით, როგორითაც ადრე იყო წარმოდგენილი, ახლა ალბათ კორექტირებას მოითხოვს, რაც მოკლე ხანში მოხდება. ამიერკავკასიის მოწყვეტა ჩრდილო კავკასიიდან შეუძლებელია, იქ „ბერლინის კედელს ვერ აღმართავ, საზღვარი კი პრაქტიკულად არ არსებობს“, — დააკონკრეტა ივანოვმა. სიტუაციის განვითარების შესაძლო სცენარს იგი „გაუთვალისწინებელს“ უწოდებს.

ამიტომ, ივანოვის განცხადებით, თავდაცვის სამინისტრო, მთელი მისი ძალისმიერი ბლოკი, მზადყოფნაშია — ვაითუ ვინმე მოულოდნელად თავს წაგვადგესო.

***რია ნოვოსტი***

# «ჩვენს მეჩეთში ცხვირს ნუ ჰყოფთ!»

**პანკისის ხეობამ და იქ მოსალოდნელი კონტრტერორისტული ოპერაციის თემამ საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი დასავლეთის წამყვან საინფორმაციო საშუალებებში. ყოველკვირეული ავტორიტეტული ამერიკული ჟურნალი „თაიმი“ პანკისის ხეობიდან საკუთარი ჟურნალისტების მიერ გამოგზავნილ რეპორტაჟს აქვეყნებს ფრიად საინტერესო და მრავლისმთქმელი კომენტარებით:**

„პანკისის ხეობაში შექმნილი ვითარება გვიჩვენებს, რომ იქ ამერიკელი სამხედროების ჩასვლას ადგილობრივი მოსახლეობა არ მიესალმება. მეტიც, ქისტები გვეკითხებოდნენ, — რატომ აწუხებს ვაშინგტონს ასე პანკისის ხეობის ბედიო. ჩვენს პასუხს კი უნდობლად ეკიდებოდნენ. ისინი საშინლად განრისხდნენ, როდესაც სოფელ დუისში ახალაშენებული მეჩეთის დათვალიერება ვთხოვეთ და უხეშად გვითხრეს: „წადით, ეკლესიები გადაიღეთ, ჩვენს მეჩეთში ცხვირს ნუ ჰყოფთ!“ არადა, როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვითხრეს, მეჩეთი საუდის არაბეთის ვაჰაბიტების ფულით არის აშენებული... სხვათა შორის, სოფელ დუისში რამდენიმე ისეთი ახალი სახლიც დგას, რომელსაც ამერიკული სტანდარტებით თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ — ფეშენებელური! დიახ, გასაოცარი ის არის, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობის ფონზე, რომელიც თავს სოფლის მეურნეობის პროდუქტებითა და გარედან მიღებული მოწყალებით ირჩენს, ასეთი დიდებული სახლები შენდება... მიუხედავად წინააღმდეგობისა, დუისის მეჩეთში მაინც მივედით, მაგრამ მეჩეთიც დაკეტილი დაგვხვდა, მოლაც ვერსად ვნახეთ, ხოლო როდესაც სურათების გადაღება დავიწყეთ, სოფლელებმა გვიბრძანეს — მოშორდით აქაურობასო! მოკლედ, პანკისის ხეობაში სამი საათის განმავლობაში ვიყავით და დავრწმუნდით, რომ რეგიონი სრულიად არ ექვემდებარება საქართველოს კონტროლს. ახმეტის რაიონული პოლიციის თანამშრომელმა, რომელიც ამ მოგზაურობისას თან გვახლდა, გაგვანდო, რომ დუისში უკანასკნელად რამდენიმე კვირის წინ იყო პანკისელი მოკლული ბანდიტის... მოჭრილი თავის ამოსაცნობად(!). სამწუხაროდ, ვერაფრით შევიტყვეთ, თუ კონკრეტულად ვინ და რა ხალხი იმალება პანკისის ხეობაში. აშკარა მხოლოდ ის არის, რომ პანკისის ხეობა ჩეჩენი მებრძოლებისა და ბანდიტებისთვის შესანიშნავი თავშესაფარი ადგილია და როგორც მაღალი რანგის დასავლელი დიპლომატები და ექსპერტები ამტკიცებენ, იგი უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს შემოსული ჰეროინის დამუშავებისა და ექსპორტის თვალსაზრისით. რაც შეეხება აშშ-ისა და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივას, უნდა ითქვას, რომ ეს თანამშრომლობა, კარგს არაფერს უქადის აშშ-ს(!), ეს ვაშინგტონისთვის იქნება აუტკივარი თავის ატკივება. ამის მიზეზია ის კორუფციული სისტემა, რომელიც, გავრცელებული ხმებით, ხელს აფარებს საქართველოში მოქმედ ტერორისტებს, კონტრაბანდისტებს, ნარკობარონებს და — რეჟიმი, რომელსაც ერთი სული აქვს, ამერიკელ ინსტრუქტორთა მიერ მომზადებული ახალი ძალა აფხაზეთის წინააღმდეგ გამოიყენოს, რომ არაფერი ვთქვათ პანკისის ხეობის პირქუშ მოსახლეობაზე(!)“.

CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწინები გვიყვებიან

**3 წლის თიკო ჭკუასელი** ბებიას ეკითხება:
— ბებიკო, ჩემი ბაბუ გიჟია?
(თიკოს ბაბუა მწერალი გურამ დოჩანაშვილი გახლავთ).
— არა, შვილო, ბაბუ კარგი კაცია.
— აბა, ჩემზე რომ გიჟდება?!

***

**5 წლის დათუნა თავდუმაძეს** დედა ეკითხება:
— დათუნა, აბა სად დაიბადა იესო ქრისტე?
— ბაგაში.
დედამ შეაქო და ისევ ჰკითხა:
— ბაგა რა არის?
— პატარების ჯგუფი, — იყო პასუხი.

***

**ლევანიკო ლომინეიშვილს** დედამ შეახსენა, დროა, დაიძინოო.
— ალა, ბაბუდალას („დარდუბალას“) უნდა ვუკულო, — საქმიანად განაცხადა მან.

***

**6 წლის მალხაზ ნარიმანაშვილი** უქმე დღესაც აპირებდა სკოლაში წასვლას. მშობლებმა აუხსნეს, კვირადღეა, უნდა დაისვენო, სკოლაში არ უნდა წახვიდე, არც ჩვენ უნდა წავიდეთ სამსახურშიო. მალხაზი ვერ დაკმაყოფილდა ასეთი განმარტებით და კვლავ გააგრძელა ტანსაცმლის ჩაცმა. ბოლოს, მამამ უთხრა, როცა კედლის კალენდარზე წითელი ციფრია, იმ დღეს არ უნდა წახვიდე სკოლაშიო. ბიჭი ამით დაკმაყოფილდა.
სამი დღის შემდეგ, დილით მალხაზი ლოგინიდან აღარ დგება. დედამ გააღვიძა — სკოლაში გაგვიანდებაო. ბიჭმა უპასუხა — დღეს კვირააო და კალენდრისკენ მიუთითა, სადაც წითელი ციფრი იყო გამოსახული.
თურმე წინა საღამოს მოხია ფურცლები მანამ, სანამ არ გამოჩნდა წითელი ციფრი.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი სტრიქონიდან გამოტოვებულ სიტყვას: „... იყო, გადაიღო, მზემ პირი დაიბანა“.

III



## იპოვე 15 განსხვავება



## გამოიცანი, რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა?



დაეხმარე ბათურასა და ბროლიას თითოეული სურათის შესატყვისი წინადადების შერჩევაში:

1) ის იზრდება ბაღში;
2) მისგან აცხობენ პურს;
3) ის შეგიძლია წაიკითხო;
4) ძილის დროს გვაწუხებს;
5) მას ჰქვია ზვიადი;
6) ის ცურავს წყალზე.




I



გამორიცხე „ზედმეტი“ ცხოველი

მიიყვანე ლეკვი ძვალთან



გამოიცანი, რომელი მამალი რომელ სახლში ცხოვრობს



II რებუსი







## ჭიავოჩეი

| ოთახი მაცხოვრებელში | ხილი | პატარა მოთხრობა | ბაჯბაჯა ცხოველი | პურის საცხობი | კლდის წვეტიანი ნაწილი |
|---|---|---|---|---|---|

| ჭადრაკის ფიგურა | ფეხბურთის მეფე | ალკოჰოლური სასმელი | „თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს გაშლილს, გაფანტულს ...“ | „ავი ძაღლი არც ... ჭამს, არც სხვას აჭმევსო“ | ავადმყოფის მკურნალი |
|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 31-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## კურიოზი რაჭაში



ამ ათიოდე წლის წინათ, როცა რაჭაში მიწისძვრა მოხდა, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი გაემგზავრა ერთ-ერთ სოფელში თავის ნათესავთან — თან წაიღო სხვადასხვა პირველადი მოხმარების საგნები და მედიკამენტები — მიწისძვრისაგან დაზარალებულების დასახმარებლად. იმ სოფელში, სადაც სოსო მივიდა, შედარებით ნორმალური მდგომარეობა იყო. საღამოს კარგად მოილხინეს, ლამის ნახევარი ქვევრი ხვანჭკარა დალიეს და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ. სოსო სახლის ზედა სართულზე დააწვინეს. შუაღამისას ბატონ ექიმს გაეღვიძა და გარეთ გამოსვლა მოინდომა, საპირფარეშო ეზოს ბოლოში იყო. ბატონი სოსო ნამდვილი გოლიათია — 135 კილოგრამს იწონის და ლამის ორი მეტრი სიმაღლისაა, თანაც დიდძალი ღვინო ჰქონდა დალეული. საწოლიდან რომ ფეხი გადმოდგა, ხის იატაკმა სულ ზანზარი დაიწყო, გამოვიდა აივანზე და რას ხედავს — მასპინძლები სადღაც გარბიან. სოსომ იფიქრა, ესენიც ჩემს დღეში არიან და ტუალეტში გარბიანო. დაწვა ისევ, დაველოდები მათ დაბრუნებას და ცოტა ხანში წავალო. ნახევარ საათში ისევ წამოდგა, ისევ აზანზარდა იატაკი, გამოვიდა გარეთ, მშვენიერი მთვარიანი ღამეა. ხედავს, ისევ სადღაც გარბის ხალხი. შებრუნდა ისევ საწოლში, მაგრამ ამჯერად ნახევარი საათი ვეღარ გაუძლო და ისევ გამოვიდა ბარბაცით აივანზე... ახლა კი ლამის გადაირია — ისევ გარბის ხალხი ეზოში, ამასობაში სავსებით გამოფხიზლდა, თან ექიმის ალღომაც უკარნახა და გაქცეულებს მიაძახა — ხალხო, რა დაგემართათ, სად გარბიხართო. ისინიც შეჩერდნენ, ზემოთ ამოიხედეს, ცოტა ხანს თავები მოიქექეს, მერე თითქოს რაღაც გაახსენდათო და მეწინავემ შესძახა:

— შე კაცო, ეს ჩვენი ექიმი არ ყოფილა!.. ქვე რო გაიარა, ისე დააზანზარა, ვიფიქრეთ ისევ მიწისძვრაა და ქვეშ არ დაგვიტანოს-მეთქი, კინაღამ გულები არ დაგვისკდა!..

***ზურაბ ნინუა, თბილისი***

## პანაშვიდია?!



დიდუბის მიმართულებით ვმგზავრობთ 21 ნომერი იკარუსით. როგორც იქნა, მივღოღდით დიდუბის სადგურთან, სადაც ყოველთვის ბევრი ხალხი ჩადის ხოლმე.

— ჩემი გადახდილია! — ჩავიდა ერთი.

— ჩემიც... — თქვა მეორემ და ჩახტა.

კარში მათხოვარივით ხელგაშვერილი მძღოლის თანაშემწე დგას და ამაოდ ელოდება სანუკვარ 20-თეთრიანებს.

ერთმანეთის მიყოლებით ჩადის ხალხი, ზოგს საპენსიო წიგნაკი უჭირავს, ზოგს პროფკავშირის ძველი მოწმობა, ზოგს კომუნისტების დროინდელი სამგზავრო ბილეთი. ასე ერთი ათი მგზავრი ჩავიდა, ათივე თავჩაღუნული. მეთერთმეტემაც რომ უხმოდ და ფულის გადაუხდელად ჩააბიჯა კიბეზე, მძღოლის იმერელმა თანაშემწემ ვეღარ მოითმინა:

— რაია, ბიჯო, ამის დედა ვეტირე. პანაშვიდი თუ გგონიათ, ხელი მაინც ჩამომართვით, აქანა!

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## წურვა სად ისწავლაო?!



ანდრო გეწაძეს ერთი ფინია ჰყავდა. ტანით ხომ ძალიან პატარა იყო, მაგრამ ყეფით არემარეს იკლებდა და პატრონს ამით თავი მოჰქონდა — ეზოში არავის აჭაჭანებსო! სამწუხაროდ, ბოლო დროს ფინიას მავნე ზნე აღმოაჩნდა — ქათმებს დაუწყო ჭამა. ითმინა, ითმინა ანდრომ და მისმა ნაქებმა ძაღლმა ბოლოს მეზობლის რამდენიმე დედალსაც რომ გამოუყვანა წირვა, ჩააგდო ტომარაში, გაიდო ზერგზე და მტკვრისკენ მიმავალ გზას გაუყვა.

მდინარის პირას ანდროს მეზობელი თევზაობდა, რომელმაც ანდროს განზრახვა რომ შეიტყო, ურჩია, ტომრისთვის რაიმე მძიმე საგანი გამოება, თორემ ძაღლი აუცილებლად უკან გამოცურავდა.

— გამოცურავს კი არა, ისაო! — წაიბუზღუნა ანდრომ და ტომარა წყალში მოისროლა...

შედეგმაც არ დააყოვნა — რამდენიმე წუთში ხიფათს თავდაღწეული, ერთიანად გალუმპული ფინია ისარივით მიქროდა შარაგზაზე...

— სახლიდან გარეთ ეგ არ გამიშვია და ამ ოხერმა ცურვა ნეტავ სად ისწავლაო?! — უკვირდა ნირწამხდარ ანდროს...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## პატრიოტი



ამ ოციოდე წლის წინ მოსკოვში გახლდით მივლინებით. თავისუფალი დრო გამოვნახე თუ არა, ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში ამოვყავი თავი „დროის მოსაკლავად“. მოვკალათდი საუკეთესო ადგილას განმარტოებულ მაგიდასთან და დარბაზს დავუწყე თვალიერება „კომპანიონის“ მოსაძებნად. თვალში ერთი ახალგაზრდა ქალი მომივიდა, რომელიც რატომღაც მოწყენილი იჯდა და როცა მზერა მშვენიერი ქალიდან მის პარტნიორ მამაკაცზე გადავიტანე, სახტად დავრჩი... იგი ჩემი უახლოესი მეგობარი აღმოჩნდა (რომლის და ჩემს ვინაობასაც შემდგომ განვითარებული მოვლენების გამო ვერაფრით გაგიმხელთ).

რამდენიმე წამში მათ მაგიდასთან აღმოვჩნდი... ცოტა ხანში ჩემი ძმაკაცი მუსიკოსებთან მივიდა ტრადიციული შეკვეთის მისაცემად და მეც გაბადრული მოვემზადე „სულიკოს“ ან „ჩიტო-გვრიტოს“ მოსასმენად, მაგრამ დარბაზში ისეთი რამ დატრიალდა, რასაც ვერაფრით წარმოვიდგენდი — მუსიკოსები გატაცებით მღეროდნენ სომხურად — „ახ სირუმ, სირუმ!..“

ერთხანს გაოგნებისგან ხმა ვერ ამოვიღე, ხოლო ჩემი მეგობარი მეორედაც რომ მივიდა მუსიკოსებთან და მეორედაც რომ სომხური მუსიკა აჟღერდა, ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი, — შენ ძმაო, როდის აქეთ გახდი სომეხი, ან იქნებ მიმალავ და მართლა სომეხი ხარ-მეთქი...

მანაც სხვა რა გზა ჰქონდა, თავისი გასაჭირი გამიმხილა: „ამ რამდენიმე საათის წინ მე და ეს ანგელოზი (მშვენიერ რუს ქალზე მიმანიშნა) ჩემს ნომერში ვიყავით. გუშინდელ ნაბახუსევს არაფერი გამომივიდა და ახლა ამას ხომ არ ვაფიქრებინებ, ქართველები სუსტი მამაკაცები არიანო, — მეც ვითომ სომეხი ვარ, სომხურ მუსიკასაც ამიტომ ვუკვეთავ!..“

***კიდევ ერთი პატრიოტი***

## ახე გაყიდა ლამარამ მამალი



ოზურგეთში, სოფელ მაკვანეთში ცხოვრობს მეტად კოლორიტული ქალბატონი — ლამარა ვასაძე. ერთ მშვენიერ დღეს ლამარას მამალი ჰყავდა გასაყიდად ოზურგეთის ბაზარში. მივიდა ერთი ქალი და მამლის ფასი იკითხა. ლამარამ მამალი ასწია და მყიდველს შეუქო — შეხედე, ქალბატონო, რა დიდი და მსუქანიაო. ქალმა უთხრა, დასაკლავად კი არა, საჯიშედ მინდა, მაინტერესებს, თუ მამლავსო. — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, შეიცხადა ლამარამ, — მამლავს კი არა, ისეთი მაგარია, ეს რომ ეზოშია, მთელი ოჯახი ვიმალებით, ჩვენც არ დაგვმამლოსო...

ხომ იცით, რეკლამას რა დიდი ძალა აქვს და ლამარამაც ასე გაყიდა თავისი ნაქები მამალი!

***თამრიკო, ოზურგეთი, სოფელი მაკვანეთი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



— უყურე ტელევიზორში ფეხბურთის მატჩს მე რომ ვმსაჯობდი? — ურეკავს ქუთაისელი მსაჯი ცოლს.

— ვუყურე და რაც შენ ხალხი ცოლს გაგინებდა, მგონი ფეხმძიმედ ვარ!..

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



„იმერული ესკიზების“ ახალი ვარიანტი:

— აბა, ბაღნებო, მითხარით, რა არის — გაზაფხულზე მოდის, შემოდგომაზე მიდის.

ბავშვები ერთხმად:

— გამგებელი, მასწ!..

***ანიკო, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## საფინალო „ლექსარომბი“ ჩემს დუელანტებს (ხუმრობით)

სულ გაჯობებთ რომ იძახით,
ჩახედეთ თქვენ-თქვენს ჰოროსკოპს.
ვაჟკაცს ტრაბახი ეძრახვის
ჯერ გადახტით და მერე ჰოპ.

ნიჭით გამჩენმა დამლოცა,
დრომ იცის ანუ „ვრემიამ“,
აგერ ახლახან გადმომცეს
ასათიანის პრემია.

რაკი ჩემს ტალანტს ვერ ატყობთ,
რაზედაც სულ არ ვგიჟდები.
ჯვარედინ რითმებს ვერ აწყობთ,
ჰოდა, ნუ შემეჯიბრებით.

P.S. მე რომ მაოცებს მთებია
და ბავშვის ქედი სახარე,
სუყველა ჩემი ძმებია —
ლადო, რეზო და მახარე.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი



ბარბაროსი — ოსი ბაბალე
ბარიატინსკი — ათენური კაფე
ბატონი — რაჭული ბატი
ბახტრიონი — სამი გასროლა ონში
ბუქარესტი — ხმაურიანი დაპატიმრება
ვარიანტი — უკულმა უარი
მალტა — შვილი „ტაში“, ანუ სასეირნოდ
პოიმალ — იმღერე, პატარავ!
პლატინა — აჰა, გადაიხადე!
სამგორი — თუ კარგია, შენ დაიწვი
სადისტი — დაჯექი შენ
ხარიტონი — ხარის ბღავილი

***ქუთაისიდან ჯანო ონიანი, თბილისიდან იასე გოგოლაშვილი (დუელის გამორიცხვის მეთოდით გაერთიანდნენ)***

C M Y K



## მინიატურა

***წინასიტყვაობის მაგიერ:***

***ჯერ ხელისგული-სოდენა დასაქოქი მანქანა მიყიდეს, შემდეგ ტენისის ჩოგანი.***

ეს სიხარული გამომყვა ჯინსის ამარას, თბილი ლოგინიდან დაბურულ ტყეში. ამიტომაც იყო, არც დილის სუსხს ვგრძნობდი და წიწვებშერეულ, სველ ბალახზე ფეხშიშველი სიარულიც მსიამოვნებდა.

ზემოთ ციყვი რაღაცას აცმაცუნებდა, ქვემოთ ჭიანჭველებს ომი ჰქონდათ გაჩაღებული. აქეთ მუხა, იქით ნაძვი და წაბლი. არც მარტოობა მაწუხებდა, არც შიმშილი.

ეგ იყო ბილიკს ვერსად წავაწყდი. რა უნდა მექნა? თვალებზე ხელი ავიფარე და თავბრუდახვევამდე ვიტრიალე. გამიმართლა, სწორედ იქიდან, საითაც მერე ვიყურებოდი, ხეებს შორის ერთმანეთში შერეული ნისლი და შუქი იპარებოდა. ერთი ნაბიჯი წავდგი თუ არა, ფეხქვეშ ბალახი გამომეცალა. რბილმა ხავსმა გამითბო ფეხისგულები.



არაფერი ჩანდა. მზის სხივები ვერ აღწევდნენ ბურუსში. მხოლოდ წყლის ხმაურით მივხვდი, რომ მდინარის პირას ვიდექი. სულ ახლოდან ჟრიამულიც მესმოდა.

ხავსზე ჩამოვჯექი და ლოდინი დავიწყე. სხვა რა დამრჩენოდა. უკან ტყე იყო, წინ მდინარე, რომლის არც სიგანე ვიცოდი, არც სიღრმე და არც ის, რამსიმაღლე ნაპირი ჰქონდა. ის იყო გავიფიქრე — უკან, ტყეში შევალ-მეთქი, რომ ცისარტყელამ გაანათა არემარე.

ზემოთ, მწვანე გორაკებიც გაანათა, საიდანაც ლოდებზე მოხტუნავე მიხვეულ-მოხვეული ნაკადული ეშვებოდა, ნისლიც კი გაანათა ცისარტყელამ...

ორ-სამ ქვაზე გადასახტომი მდინარე ტყეს შუაზე ყოფდა. ცისარტყელის ქვეშ სამი წითელკაბიანი გოგონა იდგა. კაბები მუხლებამდე აეკეცათ და შიშველი მკლავები წყალში ჩაეყოთ. თითქოს რაღაცას ეძებენო. ვიფიქრე, რას აკეთებენ ან როგორ არ სცივათ-მეთქი.

შარვალი ავიკეცე. არც მე შემცივნია, გალოკილ ქვებზე, შუა წყალში რომ ვიდექი.

გოგონები ისე იყვნენ გართულები, ვერც გაიგეს, როგორ მივუახლოვდი. თევზებს იჭერდნენ, ჰაერში სიცილით ისროდნენ. თევზები ერთს შეიფართხალებდნენ, მერცხლებად იქცეოდნენ და მდინარეს თავზე ჟივილ-ხივილით დასტრიალებდნენ. გამიკვირდა, მაღალ კანჭებზე შემდგართ სულ არ უჭირდათ თევზაობა.

ცოტაც რომ მივუახლოვდი, დამინახეს. ჯერ გაჩერდნენ, გაჩუმდნენ. მერე ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და კენჭები დამაყარეს. მოვიხარე და სახეზე ხელები ავიფარე. ასე რომ დამინახეს, ისევ სიცილი დაიწყეს. გაეხარდათ ჩემი შეშინება. კენჭები პეპლებად ქცეულიყვნენ.

შემრცხვა, თან გავბრაზდი. მე თქვენ გიჩვენებთ სეირს-მეთქი. წყალში ხელები მოვაფათურე. ჩემს ფეხქვეშ ქვის მეტი არაფერი იყო. ქვას ხომ არ ვესროდი. გაწბილებული წელში გავიმართე. ამაზე სულ გაგიჟდნენ, ფეხებით დგაფუნი ატეხეს. ყველაზე მეტად რომ იცინოდა, იმას ეტყობა, ფეხი დაუცურდა, შეტორტმანდა, ხელების ქნევა დაიწყო. შემეშინდა, არ წაიქცეს-მეთქი. უცებ გადავახტი უზარმაზარ ლოდებს და ხელი გავუწოდე.

მოულოდნელად ყველაფერი მიყუჩდა. ისევ ხავსზე ვიდექი. ახლა უკვე მეორე ნაპირზე. წითელკაბიანი გოგონა ხელში მყავდა აყვანილი. მისი ხელები კისერზე მქონდა შემოხვეული. საოცრად ლამაზი იყო. სველი ქერა თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა. სუსტი ხელებით მეკვროდა. ეტყობა, ეშინოდა არ დამვარდნოდა.

აღარ მახსოვს, რამდენჯერ ამოვიდა და ჩავიდა მზე. დაღლას არ ვგრძნობდი. მერე, როგორღაც გავბედე, რა გქვია-მეთქი, ვკითხე. ვერ გავიგონე, რა ჩამჩურჩულა ყურში. იმწამს ხელიდან გამისხლტა და გაიქცა. სანამ გონს მოვიდოდი, მხედველობიდან დამეკარგა.

ჯერ მეგონა, მდინარისკენ გაიქცეოდა.

უკან მოვიხედე: ნისლი კედელივით აღმართულიყო, აღარც წყლის ხმაური ისმოდა. ტყეს კი თავზე მზე დაჰნათოდა. სად უნდა წასულიყო-მეთქი, გავიფიქრე და ტყეში შევედი. აქ ისე არ გამჭირვებია სიარული, როგორც იქ, იქითა ნაპირზე. ბილიკები გატკეპნილი იყო. ახალგადაჭრილი ხის და იასამნის სუნი ერთმანეთში არეულიყო. დიდხანს ძებნა კი დამჭირდა.

როგორც იქნა, კუნძზე ჩამომჯდარი ვიპოვე. გაეხარდა, რომ დამინახა. ხელი დამიქნია. გრძელი ქერა თმა ჰქონდა, ახლა ბზისფერი კაბა ეცვა. რატომ გაიქეცი-მეთქი. — არ გავქცეულვარ, აქ გელოდებოდიო. ფერად-ფერადი პეპლები დაფარფატებდნენ ირგვლივ და მივხვდი, რომ არ მატყუებდა. ვაკოცე და ეს წამი რამდენ ხანს გაგრძელდა, ახლა ველარც ამას ვიხსენებ.

მერე კუნძზე შემოვასკუპე. მინდოდა ასე მეყურებინა. კუნძი კი უცებ ისეთი მაღალი გახდა, კაბის ბოლომდე ძლივს მივწვდი. ჩამოდი-მეთქი. არაო — თავი გამიქნია. ასვლა ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მიწაზე დავჯექი და კუნძს მივეყუდე.

ერთხანს ასე ვიყავი, ვიდრე ზურგი მაყვლის ბუჩქმა არ დამიკაწრა. პეპლებიც აღარ ჩანდნენ. წინ მწვანე, მაღალი ბალახით დაფარული მინდორი იყო.

თეთრი, მოკლე კაბა ეცვა. ნელა მიდიოდა. თეთრი „პანამით" იგერიებდა კრაზანებს.

დავეწიე, ხელჩაკიდებული მიმყავდა. მერცხლები წამოგვეშველნენ და კრაზანების ბზუილი აღარ ისმოდა მინდორში.

ცოტა ხანს ასე მივდიოდით. რომ დავიღალეთ, ჩავიმუხლეთ. მაღალმა ბალახმა ორივენი დაგვფარა. თეთრი ქუდი ისე მოჩანდა, თითქოს გვირილებმა დაიხურესო.

ხან მზე დაგვნათოდა, ხან მთვარე.

უცებ ცა მოიღრუბლა. მინდორი აშრიალდა. გაწვიმდა. მერცხლებს ეტყობა, წვიმის შეეშინდათ — უკან, მდინარისკენ გაფრინდნენ.

გოგონაც წამოდგა. სადღაც შორს ხელით მანიშნა — აგერ, იმ ქალაქში ვიქნებიო. ქუდი დაიხურა და გაქრა.

...

ქალაქში ვისაც ვკითხე: ასეთი და ასეთი გოგონა ხომ არ გინახავთ-მეთქი და ეს ამბავი მოვუყევი, არავინ დამიჯერა.

დაგესიზმრებოდაო.

შეიძლება.

მაგრამ სად არის მაშინ ჩემი დასაქოქი მანქანა და ჩოგანი?

## ალექსანდრე ღონღაძე



### კვლავაც დავწერ

კვლავაც დავწერ ცისფერ ლექსებს,
ლექსებს, სულის დანაწურს,
ისევ დამწვავს გრძნობის ალი,
როგორც მწვავდა ანანურს.
როგორც მწვავდა სიყმაწვილის
უზრუნველი დარები,
აწყვეტილი სიყვარული,
შენთან განატარები.
ისევ ლექსებს დავწერ, ბიჭო,
შთაგონების კარნახით,
ვით ნეგურის ბებერ ლოდზე
ასხლეტილი კალმახი.
ისე, როგორც მე მჩვევია,
განცდისა და გრძნობის კაცს,
სიყვარულით გადარეულს,
„უკანასკნელ მოჰიკანს"...
მერე გინდა წაიკითხეთ,
გინდა ბნელში ამყოფეთ,
მართალი და ვალმოხდილი,
გავეცლები ამ სოფელს.

### დილა ქვიშხეთში

სიო თრთოლვით ჭადარს
არხევს,
ისმის მღერა ჩუმზე ჩუმი,
ლავაშივით ცას გაკვრია
ძერა, ფრენით დაქანცული.
დილის სისხამს
მწვანე მოლზე
ვერცხლის მძიმი დაპნევია,
ცრემლები სდის ბალახს, ლორთქოს,
სათვალავი არევია.
მთებს ნისლები მოხვევია,
როგორც ბერდიდედას შალი,
ცას მერცხლები შესევია,
ლურჯს ამშვენებს ფერი შავი.
რაღაც ჯადოსნური დღეა,
მზე რიჟრაჟით შველას ითხოვს.
სილამაზით რეტდასხმული
მგონი ვარ და არც ვარ თითქოს.

### ფიროსმანი

ჩამოყრილი მხრები, ულვაშები ფოცხის.
ნაღვლიანი მზერა, გაცვეთილი ხორცი.
მხატვრის შთაგონება, გატეხილი ღამე,
„ქურთი მეეზოვე", ატეხილი მთვარე.
ქეიფი ძველ ტივზე, ამღვრეული მტკვარი,
ჭიქა არყის ფასად დახატული კრავი.
დამცირება მწველი, დროის უხვად ფლანგვა,
ცხოვრება — სპექტაკლი, დახურული ფარდა.
ლამაზმანის ლტოლვა, უიმედო დარდი,
ვერგაგება ნიჭის, გენიოსის ხვედრი,
შეუცნობლის შიში, ჭლექიანი ფერდი...
მაინც სიანკარე თვალხატულა ნუკრის,
იმედგაცრუება დაკეტილი დუქნის,
ვახშმად ხმელი პური, დილას ღვინო, წყალი,
საფლავდაკარგული — ნიკო ფიროსმანი.

## თენგიზ ლობჟანიძე

●

აუხდენელი ფიქრები,
ძირს დაშვებული ფრთები,
წაბილწულია საყდარი,
აჩეხილია ზვრები,
მოუმკელია სამკალი,
გაულეწელი კალო,
გადამწვარია მინდორი,
ამომშრალია წყარო,
დანგრეულია კარი-ბჭე,
დამხობილია ბოძი,
დაშანთულია სხეული,
გაჯიჯგნილია ხორცი,
აღარც შუშპარი მოისმის,
აღარც სიმღერის ხმები...
აუხდენელი ფიქრები,
ძირს დაშვებული ფრთები.

### გზა არსაიდან და არსაითკენ

მჯერა, გავუძლებ სევდას და ტკივილს, —
შენ ხორცო ჩემო, რას არ მოითმენ.
მე გზა მაოცებს, რომელსაც ვტკეპნი,
გზა არსაიდან და არსაითკენ.
ვებლაუჭები ხავსს სიკეთისას, —
შენ სულო ჩემო, არ ხარ ღარიბი,
არის თარიღი აქეთ მოსვლისა,
იქით წასვლისაც არის თარიღი.
ვარ სევდიანი, ხან მხიარული
და ვიწვი წითლად, ჩამავალ მზისებრ,
ო, როგორ მინდა, რომ გაზაფხული
ატმის რტოებად მოვიდეს ისევ.

წლები მმატებენ შუბლზე ნაოჭებს,
ვივიწყებ, ნატვრებს რომ ველარ ვიხდენ...
ცხოვრება მზარავს, მე გზა მაოცებს,
გზა არსაიდან და არსაითკენ...

### ნატვრა

უხ, ნეტავი ძალა მომცა
ალმა ხვნის და თესვისა,
ნიჭი მომცა, არეული
სამწყსო მომამწყემსვინა.
ლეკვი მომცა ჯიშიანი,
მგელზე დამაგეშინა,
სალამური მომცა კაკლის,
სული გადამერჩინა.
თოფი მომცა და ხანჯალი,
მტერზე გამაძლებინა,
ჩემი ქვეყნის ძლიერება
ცხადში გამაგებინა,
მერე, თუგინდ, რას დავეძებ,
სულიც გამაცხებინა.

### გშორდებით...

დაღლილი უაზრო ომებით,
მივდივარ, თანდათან გშორდებით,
მიზიდავს სამყარო უცნობი,
მინდვრებით, ჭალებით, კორდებით,
ქვეყანა გაივსო ღორებით,
ბოზებით,
„ჩორტებით",
„მორდებით"...
გშორდებით!

## მკითხველთა შემოქმედება

## ანა ჯალაღონია



**(მოსკოვი)**

### ეს ერთი სიტყვა...

ეს ერთი სიტყვა — მიყვარხარ,
ზოგჯერ სიცოცხლეს წყვეტს,
ზოგს სასაცილოდ არ ჰყოფნის,
ზოგს მოუძებნის ბედს...

ეს ერთი სიტყვა — მიყვარხარ,
შეაკრთობს თუნდაც მტერს.
ოღონდ ეს სიტყვა მითხარი,
მომიხდებოდა მეც...

### თან წამიყოლეთ...

შავი ზღვის პირას დავტოვე სახლი,
მე გული მტკივა ისევ, საბრალო,
იმ სახლში დარჩა ჩემი ბავშვობა,
ცრემლები ახლა ვის დავაბრალო...
ვისთვის ეს გლოვა არის ზეიმი,
ვიღაც ხარხარებს ზურგშექცეული,
მომნატრებია ზღვასთან სირბილი,
ტალღები — მშვიდიც, გადარეულიც...
ხან იმედებმა, ხან ოცნებებმა,
ამიყოლიეს, მივქრივარ საით,
შავი ზღვის თეთრო ანგელოზებო,
თუკი მოსულხართ, მისმინეთ წამით.
ბოლოს და ბოლოს, დამიგდეთ ყური,
უჩემოდ ახლა მაინც ნუ წახვალთ,
თან წამიყოლეთ ჩემს სამშობლოში,
თან წამიყოლეთ დაქანცულ ზღვასთან...

## ეთერ გელაშვილი

**(ბორჯომი)**

### გიტარაზე სამღერი

მოგიკითხავ, მშვენიერო ქალბატონო,
დაგიკოცნი მაგ ჩამოქნილ თითებს,
ისევ ისე ძველებურად გამახარე,
მიეფერე ჩემს ნაჩუქარ ტიტებს.
შემომხედე, მშვენიერო ქალბატონო,
გამიღიმე, გაიხსენე რამე,
გაიხსენე, მაშინ როგორ დაგვათენდა
ვარსკვლავებით ავსებული ღამე.
ნუღარ დარდობ, მშვენიერო ქალბატონო,
დარდმა მეც ხომ დამიმძიმა მხრები,
მაინც როგორ უმიზეზოდ გაიყარა,
იმ პირველი სიყვარულის გზები.
მომეფერე, მშვენიერო ქალბატონო,
მეც მომეცი მოფერების უფლება,
სიყვარული განა მხოლოდ სიჭაბუკეს,
ჭაღარასაც, ჭაღარასაც უხდება...

## დიმიტრი კობახიძე

●

მორღვეულა ერის მტკიცე რიდე
და დროშები დაშვებულა დაბლა,
გულო, გლოვის ცხარე ცრემლებს ღვრიდე,
მორღვეულა ერის მტკიცე რიდე.
იმის ნაცვლად, კბილით ბორკილს ღრღნიდე,
მოგდებია უძრაობის დამბლა,
მორღვეულა ერის მტკიცე რიდე
და დროშები დაშვებულა დაბლა.

### ანაზდეული ლექსი

თოვლი მოვიდა უეცრად
(ზამთრის სურნელი თუ ეცა)...
მე კი მას ჯერ არ ველოდი,
მოულოდნელად მობარდნა,
ვისურვე, რომ შევხვდებოდი,
ის კი მიდამოს მოადნა.
ვერ ავიხდინე წადილი,
გაფრინდა ფიფქის მანდილი,
დამტოვა ისე ადვილად...
რაღაც იწყინა ნამდვილად...
მერე თბილი და მზრუნველი,
ნანატრი და სასურველი,
ანაზდად როცა მეწვია
პირმომღიმარი მზეწვია,
გოგოც მოვიდა პაწია —
ვით გაზაფხულის სურნელი,
სითბო ნაღვერდლად აქცია



და მერე სადღაც გასწია...
ოცნების ფრთები დამაძრო...
რაღა დატოვა სანაცვლოდ?..
კვლავ მოულოდნელს მოველი,
მგზნებარი გულის სანატროს.
ანაზდეული ყოველი
ვგრძნობ, დაიწყება თავიდან...
მოულოდნელად მოვიდა...
მოულოდნელად წავიდა,
ჰაიდა...

●

ლხენის ღვინო დარდად დამძმარებია,
ძმარით თრობა ბედით დამძალებია,
მე რომ მტანჯავს შენი ნაკვალევია,
გაიარე როცა ფეხით აშარით
გულზე, მე რომ შენთვის წიგნად გავშალე,
აფსუს, თურმე წიგნი არ გყვარებია.
ოცნებების განთიადი ბნელდება,
დრო კი გარბის, დრო არასდროს ჩერდება,
დარდი გულში ნელა-ნელა ნელდება,
წახვედი და ახლა უკვე შორსა ხარ,
არც მიცდია სადმე შენი მონახვა,
ვატყობ, შენი გახსენებაც ძნელდება,
ეს სიშორე გულით გამხარებია,
შენზე ფიქრი ღამეს ველარ დამათევს,
მაგრამ ღვინო ლხენით ველარ ამანთებს,
რადგან ლხენა დარდად დამძმარებია...

# აქვს თუ არა ტყუილს არსებობის უფლება?



*ჩვენი რესპონდენტი გახლავთ „ქიმერიონის" წამყვანი და ავტორი* ***გოგა ჩართოლანი.***

**— მიუხედავად იმისა, რომ „ქიმერიონი" პოპულარულია, ზოგის აზრით, ამგვარი გადაცემებით მაყურებელს ატყუებენ და ცხოვრებაზე ილუზიებს უქმნიან. რას იტყოდით ამაზე?**

— 6 აპრილს ეთერში გავა გოდერძი ჩოხელთან ერთად მომზადებული ჩვენი გადაცემა, სადაც მნიშვნელოვან საკითხზე — ტყუილზე ვისაუბრებთ. პირადად მე, არავის ვატყუებ და თუ ვცდილობ, ვინმეს ცხოვრება ვუჩვენო იმაზე ლამაზი, ვიდრე სინამდვილეშია, ეს არის სწორედ ხელოვნების მიზანი. მე და გოდერძი ჩოხელი ვისაუბრებთ თემაზე — აქვს თუ არა ტყუილს არსებობის უფლება?

**— როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა ტყუილს არსებობის უფლება?**

— რადგან არსებობს, ამის უფლებაც ჰქონია. პარადოქსია, მაგრამ სიცრუე შეიცავს იმედს. ანუ თუ მეტყვით, ხვალ კარგად იცხოვრებო, კი მეცოდინება, რომ ეს ტყუილია, მაგრამ იმ იმედის შემცველი ხომ იქნება, რომელიც ხვალინდელ დღემდე მიმალწევინებს. ამგვარ ტყუილზე ვისაუბრებთ მე და გოდერძი ჩოხელი და ისეთზე, რომელიც ბოროტებას არ ჩაგვადენინებს.

**— ეს აუცილებლად სჭირდება საზოგადოებას?**

— რა თქმა უნდა. დღევანდელ გაჭირვებულ ყოფაში, როცა ყველა საინფორმაციო გადაცემა იწყება საშინელების, უბედურების ჩვენებით, ვცდილობ ხალხს დავანახო სამყაროში არსებული სილამაზე, არასოდეს დამავიწყდება ნინო ანანიაშვილის ნათქვამი: „ვოცნებობ, რომ საინფორმაციო პროგრამა დაიწყოს იმით, თუ რა მოხდა კარგი ჩვენ ირგვლივ".

**— დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ხალხს სწორედ სკანდალური, სენსაციური, უბედურების მაუწყებელი საინფორმაციო გადაცემები მოსწონს.**

— ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება შეიშალა, ნარკოტიკივით ეტანებიან იმას, რაც, იციან, რომ ავნებს. დედაჩემი ერთ-ერთი საინფორმაციო გადაცემის შემდეგ იმდენად ცუდად გახდა, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახება დაგვჭირდა. როდესაც ადამიანებს სინამდვილეს შეულამაზებლად აჩვენებენ, ეს ბოროტებაა.

**— თქვენი გადაცემის სტუმრები ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები არიან, თუმცა თქვენ მათ შემოქმედებას არც ახსენებთ. რატომ?**

— ჩემი სტუმრისგან მინდა გავიგო, როგორი დამოკიდებულება აქვს სამყაროს, სიკეთისა და ბოროტების მიმართ. გელა ჩარკვიანის პოლიტიკური მრწამსი კი არ მაინტერესებს, არამედ ის, თუ რა შინაგანი კულტურა აქვს და რას განიცდიდა, როცა შუბერტს ასრულებდა. გოდერძი ჩოხელს მისი ნაწარმოებების შესახებ არაფერს ვკითხავ, რადგან ამის გაცნობა მისი წიგნითაც შეიძლება. არც ერთმა ჩემმა სტუმარმა წინასწარ არ იცის, რას ვკითხავ, ამიტომაც, როცა კითხვას ვსვამ, ისინი გულწრფელად, დაუფიქრებლად მპასუხობენ, ამ დროს ადამიანი ბუნებრივი და ძალიან საინტერესოა. არ ვარ პაპარაცი, არ მაინტერესებს, ვინ როგორი ყოფაქცევისაა და ვის ვინ უწევს საწოლში. ჩემთვის მთავარია, ვინ რას მატებს ხელოვნებას.

**— როგორ ახერხებთ თემის და მოსაუბრის შერჩევას?**

— ეს საკმაოდ რთული საქმეა. თუმცა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს გადაცემაში არც ერთი თემა და სტუმარი არ მეორდება. „ქიმერიონში", სადაც საუკუნის წინ გენიოსები იყრიდნენ თავს, ყველა არ უნდა შევიდეს.

ახლანდელმა თაობამ უნდა ნახოს ჭეშმარიტი ხელოვანი, რომ არ მოხდეს ფასეულობათა ნიველირება.

**— მაყურებლისგან თუ გრძნობთ ყურადღებას?**

— ყურადღებას არ ვაქცევ რეიტინგულ გამოკითხვებს. მხოლოდ იმ ხალხთან მაქვს ურთიერთობა, ვისი აზრიც მნიშვნელოვანია ჩემთვის, ანუ მაინტერესებს ინტელექტუალური, გემოვნებიანი მაყურებელი.

**— გოგა, წელან თქვით, „ქიმერიონი" გენიოსების თავშეყრის ადგილი იყოო. რამ გადაგაწყვეტინათ თქვენი გადაცემის იქ ჩაწერა?**

— რუსთაველის თეატრის ქვედა ფოიეში, საუკუნის წინ იყო კაფე „ქიმერიონი", რომელსაც ეს სახელი „ცისფერყანწელებმა" უწოდეს. ჩვენი გადაცემის შინაარსს ეს ადგილი სახელითაც და არსითაც უხდებოდა, ამიტომაც ავირჩიეთ. როდესაც პირველად მივედით გადასაღებად, რემონტი იყო. ვიფიქრე, აქ გადაცემის ჩაწერა ვერ მოხერხდება-მეთქი. მაგრამ ჩვენმა რეჟისორმა სერგო ბუიღლიშვილმა დამარწმუნა, ყველაფერი მშვენივრად გამოვაო და დავუჯერე. „ქიმერიონში" მართლაც სხვა სული ტრიალებს და შესანიშნავი გარემოა ჩვენი გადაცემისთვის.

**— ალბათ ტენდერის პირობების თანახმად, ეს გადაცემა შეწყვეტს არსებობას.**

— სამწუხაროდ, კი. გადაცემები ეთერში მაისის ბოლომდე იქნება. სექტემბრისთვის კი ახალ პროექტებზე ვიმუშავებ. იდეები ბლომად მაქვს.

მთავარია, მოისურვონ ხელოვნებაზე საუბარი...

*ეკა ლომიძე*






# „სქოულზე გავიზარდე და ლელა დეკანოსიძეს მწარედ ვაგინებინე"



*ქართული ტელესერიალების გულშემატკივრები კარგა ხანია მიეჩვივნენ, სერიალებს... იციან სანდრო ცერცვაძისა და ქეთო ტაბალუას ოჯახში როგორ ინტრიგებს ქსოვს ვერაგი ვერსაჩე დიდია, რა უკარგავს მოსვენებას მექალთანე გიო ცერცვაძეს და რით ცხოვრობს ლელა დეკანოსიძე...*

*ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ტელესერიალი „ძილის წინ", ჩემი აზრით, ზოგჯერ ზედმეტად პრიმიტიულიც არის ხოლმე, მაყურებელში მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს და ინგა გრიგოლიას „ცეცხლოვანი" მოამბის შემდეგ, თურმე ზოგიერთზე ძილისპირულივითაც კი მოქმედებს. სერიალის მთავარი სცენარისტი* ***თამარ ბართაია*** *გახლავთ.*

**— თამარ, როგორ დაიწყო „ძილის წინ", სცენარს ვგულისხმობ?**

— თეატრალური ინსტიტუტის კინოსცენარისტთა ფაკულტეტის პირველი კურსდამთავრებული გახლავართ. ვსწავლობდი ერლომ ახვლედიანის ჯგუფში. ვწერ პიესებს, ორი უკვე დაიდგა მარჯანიშვილის და თოჯინების თეატრებში. ტელევიზიაში მუშაობაზე არ მიფიქრია მაგრამ „დიდების ზღაპარზე" სამუშაოდ მიმიწვია კოკა ყანდიაშვილმა, ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა ტელესერიალებთან... „დიდების ზღაპარი" გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩემთვის მოსაწყენი გახდა და თავი დავანებე.

**— რატომ დაანებეთ თავი, მოსაწყენი რომ გახდა, თუ უბრალოდ ძნელი სამუშაოა?**

— ურთულესი სამუშაოა. გაქვს თუ არა იდეა, მაინც უნდა აკეთო საქმე. მიუხედავად იმისა, რომ „დიდების ზღაპარზე" მუშაობისას ჩემი სტუდენტები — ძმები ჯიბლაშვილები შემომეშველნენ, მაინც ძალიან გამიჭირდა, ამიტომაც თავიდანვე უარი ვთქვი „ძილის წინის" სცენარების წერაზეც.

**— შემდეგ როგორ დაგითანხმეს?**

— ამ უარის შემდეგ დასასვენებლად წავედი, სცენარების წერა კი ლაშამ დაიწყო. ეს ძალიან ძნელი საქმეა ერთი კაცისთვის, ამიტომ ლაშასაც გაუჭირდა. დამირეკა აუდიენციის ფინანსურმა დირექტორმა ზურა ჯანგულაშვილმა და მთხოვა, მივსულიყავი. პიესას ვწერ თეატრისთვის და არ მცალია-მეთქი — ვუპასუხე. თუ შენი პიესა კარგი იქნება, მის დადგმაზე ფინანსურად ჩვენ ვიზრუნებთო — აღმითქვა — ოღონდ „ძილის წინის" სცენარები დაწერეო. ასე რომ ჩვენ-ჩვენი პირობა ორივემ შევასრულეთ. „აუდიენციის" წყალობით ჩემი პიესა „შეხვედრის ადგილი" მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა, მე კი შემოვრჩი „ძილის წინს".

**— მიტოვებას ხომ არ აპირებთ?**

— რომ მივატოვო, არაფერი უჭირს, უკვე „რელსებზე დგას", თუმცა ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გააგრძელებს არსებობას, ალბათ, მანამ, სანამ მაყურებელს არ მობეზრდება.

**— ზოგჯერ სერია ბუნდოვანი შინაარსისაა, ამჩნევთ?**

— ზოგჯერ მე თვითონაც ვერ ვგებულობ ბევრ რამეს, ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ფურცელზე ბოლომდე არ გადამაქვს სათქმელი, მერე გადაღებასაც ვერ ვესწრები, გადამღები ჯგუფი კი აბა, საიდან მიხვდება ჩემს „გულში ნამღერს".

**— თემას საიდან იღებთ სცენარისთვის, ფანტაზიორობთ?**

— ირგვლივ, რომ მიმოიხედო და გარემოს კარგად დააკვირდე, იმდენი რამ არის დასაწერი, რომ ფანტაზიორობისთვის დროც არ რჩება. ზოგჯერ ჩემი მეგობრების, ახლობლების ოჯახური ამბებიც გადამაქვს სცენარში და როცა ფილმს უყურებენ, მირეკავენ და მებუზღუნებიან.

**— სასიამოვნო მომენტები გექნებათ...**

— თუნდაც ის, რომ ვხედავ, როგორ არსებობენ ჩემი პერსონაჟები ადამიანთა ცნობიერებაში. ერთხელ კაფეში შევედით მე, ეკა კახიანი, გოგოლა კალანდაძე და მალხაზ ქვრივიშვილი. თავისუფალი მაგიდა არ იყო, მაგრამ ნაცნობი სახეების დანახვაზე, ყველა ისე გადანაწილდა, კინაღამ რამდენიმე მაგიდა გათავისუფლდა. ვისხედით კაფეში და ჩემი ფრაზები მესმოდა მეზობელი მაგიდებიდან: „ვა რა სექსუალური თავია" და ა.შ.

**— ვისი პერსონაჟი მოგწონთ განსაკუთრებით?**

— ძალიან მიყვარს იმედა კახიანი. იმდენად დადებითი აურა აქვს და ისეთი კეთილშობილი ადამიანია, რომ ხშირად მითქვამს, ყველა ოჯახში თითო იმედა კახიანი რომ იყოს, კარგად იქნება საქმე-მეთქი.

**— თუ ხდება ისე, რომ სცენარი არ მოსწონთ მსახიობებს და გიპროტესტებენ?**

— ეკა კახიანს ვეჭიდავები „დიდების ზღაპრიდან" მოყოლებული დღემდე. აუ, ახლა რას მაკეთებინებ, მაგოიმებო — ბუზღუნებს ხოლმე, მერე კი მოსწონს და ისე შედის როლში, უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე მინდოდა.

**— თქვენი ოჯახის წევრები თუ უყურებენ „ძილის წინს" და კრიტიკას თუ იღებთ მათგან?**

— ყველაზე მკაცრი კრიტიკოსი ჩემი მეუღლე მიშა გომიაშვილია, რომელიც მეხმარება იდეებითაც, ერთხელ კი, რომ ვერ მოვასწარი, მიშამ დამიწერა „ძილის წინისათვის" სცენარი და კარგი სერიაც გამოვიდა, მიშას 13 წლის ქალიშვილი ნატკა მაგარი კრიტიკოსია. ყველა სერიას გაფაციცებით უყურებს, რომ შენიშვნა მომცეს, კიდევ გვყავს 6 წლის მარიამი, რომელიც ხშირად არის გადაღებებზე და გულს მიწვრილებს, როცა ვინმე ვინმეს ეჩურჩულება ყურში. მეკითხება — მითხარი რას ამბობენო? მე ვპასუხობ, არ ვიცი-მეთქი. ამაზე გიჟდება, როგორ არ იცი, შენ არ დაწერე სცენარიო.

**— სერია, რომელიც განსაკუთრებით გიყვართ.**

— ეს იყო სქოულზე. სცენარი დავწერე სანთლის შუქზე. სქოულზე გავიზარდე და ამიტომაც ფილმში ლელა დეკანოსიძეს დავარეკვინე და მწარედ ვაგინებინე სქოული.

**— ეს უცენზურო გამოთქმები თქვენ დაამკვიდრეთ?**

— მე ვიცავ ამ მხრივ ნორმებს, მაგრამ გადაღების დროს აჭარბებენ.

**— „ძილის წინის" გარდა, რაზე მუშაობთ?**

— ახლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სამუშაო სცენარი, რომელსაც ვწერ ტელეფილმისთვის. იგი ნეოსტუდიამ უნდა გადაიღოს. ვმუშაობ მიხო ბორაშვილთან ერთად. ეს იქნება მხატვრული სრულმეტრაჟიანი მისტიკური მელოდრამა, როგორიც ჯერ არ გაკეთებულა ქართულ კინოში. თუ ეს საქმე წარმატებით დამთავრდა, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

*ეკა ლომიძე*




# იყო და აღარ იყო რა...

## ტბა ნიუ-მელოუნზის საშინელებანი

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ქართულ კინოში ახალი სახე გამოჩნდა, რომელმაც მაშინვე მიიპყრო მაყურებლის ყურადღება. ანდა, როგორ არ უნდა მიეპყრო, როცა ეკრანიდან გასხივოსნებული სახით, ოქროსთმიანი მზეთუნახავი გიცქერდა და გაჯადოებდა თავისი გარეგნობით, მომხიბლავი ღიმილითა და შესანიშნავი თამაშით. ეს მზეთუნახავი კინოსა და თეატრის მსახიობი რუსუდან კიკნაძე გახლდათ.

(შეგახსენებთ, დასამახსოვრებელ ეკრანულ სახეებს თენგიზ აბულაძის ფილმში „ვედრება" და ლანა ღოღობერიძის „ფერისცვალებაში"...)

ამ მშვენიერი ქალიშვილის და ცნობილი მსახიობის, გიორგი ხარაბაძის სიყვარულის გვირგვინი იყო პატარა ხარება, მზის სხივით გამთბარი, მზესავით ბიჭუნა, რომელსაც ოქროსთმიან თავზე საოცარი ნიმბი ადგა.

ასე დაიწყო ეს პატარა ზღაპარი, რომელსაც თურმე ტრაგიკული დასასრული ელოდა.

თბილისელებს კარგად ახსოვთ ხარება — მათ თვალწინ იზრდებოდა. სულ პატარა იყო, როცა „კავკასიურ ცარცის წრეში" პატარა მიხეილის როლი შეასრულა. მას თავიდანვე არ ასვენებდა მშობლების გენი და ხელოვნებისადმი სიყვარული დედის რძესთან ერთად შეიწოვა.

სკოლის შემდეგ თბილისის თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა და მას მსახიობის არაჩვეულებრივ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. მართლაც, საოცარი ბიჭი იყო, ყველასგან გამორჩეული — კეთილი, მიმტევებელი, ნიჭიერი.

გადიოდა დრო... იცვლებოდა ურთიერთობები. იმხანად, ხარებას დედა რუსიკო უკვე ამერიკაში, ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა თავის მეუღლესთან, მეტ შაცთან ერთად. ხარებაც დედასთან გაემგზავრა, მით უმეტეს, რომ იქ თავის გამოჩენისა და საკუთარი თავის რეალიზაციის მეტი საშუალება ექნებოდა.

როგორც ხარაბაძეების ოჯახთან დაახლოებული პიროვნება ბრძანებს, უცხოეთში „სასწავლებლად" წასული ბევრი ჩვენი თანამემამულისაგან იქაც გამორჩეული ყოფილა. წარმატებით დაუმთავრებია ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტი და შოუბიზნესში დაუწყია მოღვაწეობა. ძალიან მოკლე დროში ჰოლივუდში დიდი წარმატებისთვის მიუღწევია და უკვე 29 წლის ასაკში პერსპექტიული ჰოლივუდელი პროდიუსერი გამხდარა. თავის საქმიან პარტნიორსა და მეგობართან, გეორგი საფიევთან ერთად საპროდიუსერო ფირმა **Matador Communications**-ი დაუარსებია, სადაც ხარება აღმასრულებელი დირექტორი ყოფილა და ჰოლივუდის პრესტიჟულ რაიონში, ვუდლენდ-ჰილზში უცხოვრია...


გოგი და ხარება ხარაბაძეები

მერე კი ტრაგედია დატრიალებულა, რაც რუსული პრესიდან შევიტყვეთ.

...„მე არ ვიცი, ვინ დავადანაშაულო, ვინ უნდა აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა. ვერაფრით დამიჯერებია, რომ ჩემი ბიჭი აღარ დაბრუნდება, ის ხომ ნამდვილი ანგელოზი იყო, მას მტრები არ ჰყავდა, არც პრობლემები შეუქმნია არავისთვის", — სიმწრით აღმოხდა ხარებას მამინაცვალს, როცა ორი თვის წინ გაუჩინარებული ხარებას გვამი, რამდენიმე დღის წინ ქალაქ სტოქტონის მახლობლად, ნიუ-მელოუნზის ტბის ფსკერიდან ამოიტანეს.

> „მე არ ვიცი, ვინ დავადანაშაულო, ვინ უნდა აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა. ვერაფრით დამიჯერებია, რომ ჩემი ბიჭი აღარ დაბრუნდება, ის ხომ ნამდვილი ანგელოზი იყო, მას მტრები არ ჰყავდა, არც პრობლემები შეუქმნია არავისთვის", — სიმწრით აღმოხდა ხარებას მამინაცვალს.

ტბის ფსკერზე ოთხი თავმოკრული ტომარა იპოვეს ოთხი გვამით. გამოძიებამ მათი ვინაობა დაადგინა: ალექსანდრ უმანსკი, კომპანია **Advanced Mobile technologies**-ის პრეზიდენტი, **Matador Communications**-ის დირექტორი გეორგი საფიევი, ამავე ფირმის ბუღალტერი რიტა პეკლერი და ხარება ხარაბაძე.

...ისევ ახლობლები ამბობენ, ხარება რაღაც დანაშაულის მოწმე გახდა და იმიტომ მოიცილესო. იმასაც ამბობენ, დედას დაურეკა და რუსულ ენაზე ფული ითხოვა. უთქვამს — ძალიან მიყვარხარო და ქართულად მხოლოდ ერთი სიტყვა დაუმატებია — „მომიტაცესო".

დღემდე დანამდვილებით არავინ იცის, რა მოხდა. ამერიკის ძფბ-ს სამსახური ამ საშინელი ტრაგედიის გამოძიებაზე მუშაობს და წინასწარი მონაცემებით, კვალი რუსული მაფიისკენ მიდის. ყოველივე კი ასე დაიწყო:

ბიზნესმენი ალექსანდრ უმანსკი კათოლიკურ შობამდე ორი კვირით ადრე გაუჩინარდა. შობის წინა დღეს კი მის ოჯახში სატელეფონო ზარი გაისმა და კარგი რუსულით მოსაუბრე უცნობმა თქვა: „თუ თქვენ 234 ათას 628 დოლარს არ გადაიხდით, თქვენს საშას ვეღარასოდეს ნახავთ". უმანსკებმა საჭირო თანხა შეაგროვეს, მითითებულ ადგილას მიიტანეს, მაგრამ საშა მაინც აღარ გამოჩენილა.

ლოს-ანჯელესის პოლიცია უკვე კვალში ჩაუდგა დამნაშავეებს და 11 თებერვალს, საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს არაბეთის გაერთიანებული საამიროების ორი მოქალაქე, ეროვნებით რუსები — ანდრეი აგეევი და ანდრეი ლიაპინი, რომლებიც ცდილობდნენ ქვეყნიდან გაეტანათ დიდძალი ნაღდი ფული, როგორც ჩანს, უმანსკებისგან ამოღებული.

ამ დამნაშავეების დაკავებას მოჰყვა სხვების აყვანაც. დააპატიმრეს რუსული მაფიის წარმომადგენლები: იური მიხელი, პეტრო კრილოვი, აინარს ალტმანისი და იურიუს კადამოასი.


რუსუდან კიკნაძე

**Matador**-ის ბუღალტრის რიტა პეკლერის მოტაცება, როგორც ჩანს, სიგნალი იყო იმისა, რომ გეორგი საფიევს „კრიშისთვის" ფული უნდა გადაეხადა. მოტაცებულმა რიტამ საფიევს დაურეკა. საფიევმა მოისმინა ის, რაც რიტამ ტელეფონით უთხრა და შემდეგ ერთ-ერთ თანამშრომელს მიმართა, რომ ამა და ამ ანგარიშზე სასწრაფოდ გადასარიცხი იყო 1 მლნ დოლარი. როცა ყურმილი დაკიდა, საფიევმა თქვა: „მე აუცილებლად უნდა შევხვდე რიტას, ახლავე გავფრინდები უახლოესი რეისით", მაგრამ საით აპირებდა წასვლას, არ უთქვამს. დაასახელა საბანკო ანგარიში და წავიდა. მას მერე აღარც საფიევი უნახავს ვინმეს.

ამ სატელეფონო ზარამდე კი ხარებაც მოიტაცეს.

მოგვიანებით, ძფბ-ს გამომძიებლებმა გაარკვიეს, რომ თანხა მოსკოვის ერთ-ერთ ბანკში ჩაირიცხა „მიხელის, კრილოვის და კ"-ს ანგარიშებზე.

როცა ბანდიტები მიხვდნენ, რომ მეტ ფულს ვეღარ მიიღებდნენ, მძევლები დახოცეს და ტბაში ჩაყარეს.

გამოძიება გრძელდება...

ასე ტრაგიკულად დასრულდა ამბავი მზეჭაბუკისა, რომელიც გადაყლაპა გველეშაპმა, რუსული მაფია რომ ჰქვია.

**ნონა ღამბაშიძე**

# ვიცანი მისი ხმა, ვინც მესროლა და ვინანე, რომ ცოცხალი დავრჩი...

„ყველაფერი რომ აირია და ჩვენი საწარმოც გაჩერდა, უმუშევრობის სიმძიმემ ერთბაშად გამტეხა — მეუღლისა და ორი მცირეწლოვანი ბავშვის გარდა, კინაღამ მოხუცი მშობლებიც დამეხოცა შიმშილით. მეტი გზა აღარ დაგვრჩა და ჩემი მეუღლის ერთოთახიანი ბინა გავყიდეთ, მაგრამ იმდენი რა უნდა აგვეღო და მალე ისევ უფულოდ დავრჩით. სხვა გზა არ იყო, საზღვარგარეთ უნდა მომეძებნა საქმე და ასეც მოვიქეცი. მოსკოვში მცხოვრებ დეიდაშვილს შევეხვეწე, თუ ბიზნესში არ ჩამრთავ, დამხმარე მუშად მაინც ამიყვანე-მეთქი. ერთად ვიყავით გაზრდილები და უარს როგორ მეტყოდა?! — გზის ფულიც კი გამომიგზავნა და 1995 წელს რუსეთის დედაქალაქში აღმოვჩნდი", — ასე დაიწყო თავისი ამბის თხრობა 42 წლის ზურაბ გელოვანმა, რომელიც ორი წელია ინვალიდის სავარძელსაა მიჯაჭვული და გაწამებულმა ორჯერ თვითმკვლელობაც სცადა. — მაგრამ ეტყობა, ღმერთს არ უნდა ჩემი სიკვდილი, თორემ მაშინ უნდა მოვმკვდარიყავი, მეგობარმა რომ გამიმეტა და ხელიც არ აკანკალებია, ისე დამახალა ორი ტყვიაო, ამბობს.



**— მეგობარმა?!**

— ჰო, მეგობარმა... მის ვინაობას მხოლოდ იმიტომ არ გეუბნებით, რომ გარდაცვლილია... თანაც მისი შვილების სახელსაც ვუფრთხილდები, თუმცა თვითონ სასიკვდილოდ გამიმეტა... სკოლაში ათი წელი და ინსტიტუტშიც — ხუთი, ერთ მერხზე გვაქვს გატარებული... მოკლედ, მოსკოვში მალე მივაღწიე წარმატებას. ჩემს დეიდაშვილს მოსკოვშიც აქვს ერთი რესტორანი და გარეუბანშიც — პატარა ქართული რესტორანი. როცა ჩემი ალღო და ერთგულება დაინახა, გარეუბნის რესტორანი ჩამაბარა და ორი-სამი დამხმარის აყვანის ნება მომცა. ჰოდა, ჩამოვიყვანე ჩემი მეგობარი, რომელიც უსაქმოდ იჯდა და მის ცოლ-შვილს ლუკმაპური ენატრებოდა...

... მომარაგებაში ავიყვანე თანაშემწედ, ფული ჩავაბარე და გავაფრთხილე: ტყუილს იმიტომ ნუ მაკადრებ, რომ ჩემს დეიდაშვილს უნდა სცე პირველ რიგში პატივი, ხომ იცი, მის გარეშე არც ჩემი საშველი იქნებოდა და არც შენი-მეთქი!.. თანაც ანაზღაურება იმდენად მაღალი იყო, ქურდობა არაფერში სჭირდებოდა. ბინა და კვებაც უფასო იყო.

თავიდან თითქოს პატიოსნად მუშაობდა, მაგრამ ერთხელ ნასვამს წამოსცდა: აქ იმხელა ფული ტრიალებს, სისულელეა პატიოსნებაზე ფიქრი, შენი დეიდაშვილი რას გაიგებს, ასი მანეთით მეტი შეუვა თუ ნაკლები ყოველდღიურადო?!..

— ჩემი დეიდაშვილი თუ ვერ გაიგებს, მე ხომ მეცოდინება-მეთქი! — შევაწყვეტინე უხეშად.

— შენ თუ გგონია, დაგიჯერებს, რომ არაფერს პარავ!

— დამიჯერებს იმიტომ, რომ თავადაც პატიოსანი ბიჭია, მეც კარგად მიცნობს... შენ კი, თუ აზრს არ შეიცვლი, იცოდე ჩვენი გზები გაიყრება-მეთქი!.. — დავემუქრე.

...ამ საუბრის შემდეგ თავს ვიმშვიდებდი: მთვრალი იყო და რომ გამოფხიზლდება, შერცხვება — მომიბოდიშებს და არც ქურდობაზე იფიქრებს-მეთქი!

მწარედ მოვტყუვდი... იქნებ არ უნდა შემემოწმებინა და არც რაიმე მოხდებოდა, მაგრამ... მეც შემიჩნდა ჩემი წილი ეშმაკი და... როცა პროდუქტების შესაძენად წავიდა, დანიშნული ფული გავატანე. რომ დაბრუნდა, ხურდა არ მოუტანია, არადა ნავაჭრი აშკარად არ იყო დანახარჯის შესაბამისი. კიდევ მივეცი დანიშნული ბანკნოტები და... რამდენიმე დღეში ხურდაში ჩემი დანიშნული ფული დამიბრუნა... ერთი სიტყვით, დავრწმუნდი, რომ მატყუებდა — დავიბარე და ვუთხარი, ბარგი შეეკრა. შეეცადა თავის მართლებას, მაგრამ დავუმტკიცე, რა კაციც იყო...

ჩემმა დეიდაშვილმა რომ მკითხა, რატომ გაუშვიო, ჩემს სირცხვილად ჩავთვალე სიმართლე და ამიტომ დავუმალე ნამდვილი მიზეზი — თავად ირჩია საქართველოში დაბრუნება-მეთქი... დაახლოებით ორ კვირაში კი ისეთი რამ მოიმოქმედა, რასაც ვერაფრით წარმოვიდგენდი. როცა საქართველოდან დიდი ტრაილერებით ჩამოაქვთ პროდუქტი, ყველამ ვიცით, სადაც ჩერდებიან ვაჭრები. დამირეკეს, ქართველები ჩამოვიდნენო და მეც წავედი. მანქანაში მარტო ვიჯექი, უკან კი სატვირთო მანქანა მომყვებოდა მძღოლსა და ორ დამხმარე მუშასთან ერთად...

ტრასის შედარებით ცარიელ მონაკვეთზე გავედით. უეცრად ჩემს მანქანას დიდმა მანქანამ დაარტყა გვერდიდან და ტრასიდან გადამაგდო. კარი გაიღო და გადმოვვარდი. გონს სროლის ხმამ მომიყვანა.

**— დახოცეს თქვენი მხლებლები?!**

— მეგონა დახოცეს. საბედნიეროდ, შესაშინებლად უსვრია ნიღბიანს... ცოტა ხანში გავიგონე ფეხის ხმა, ვილაც ჩემკენ მორბოდა. მივხვდი, არ დამზოგავდა, მანქანის კორპუსის ქვეშ შევძვერი და თავი მოვიმკვდარუნე. მომხდურმა წიხლი რომ მითავაზა, მემწარა, მაგრამ მაინც არ გავეცი თავი... ადგა და ზურგში ორი ტყვია დამახალა, მანქანიდან ფული ამოიღო და შეიგინა: თავიც დაიღუპე შენი პატიოსნებით და მეც გამაუბედურეო! ვიცანი ჩემი მეგობრის ხმა და ვინანე, რომ ცოცხალი გადავრჩი...

მას შემდეგ დავინვალიდდი. ერთი ტყვია ხერხემალში გამეჭედა და მიუხედავად რამდენიმე ოპერაციისა, ინვალიდის სავარძელს მივეჯაჭვე.

**— თქვენი მეგობარი რომ დაიჭირეს, რა თქვა?**

— არც დაუჭერიათ... არ გავამხილე, რომ ის იყო თავდამსხმელი. ვფიქრობდი, ფეხზე რომ დავდგები, თავად გავუსწორდები-მეთქი.

**— შურისძიება გადაწყვიტეთ?!**

— ახლა აღარც კი ვიცი, რას ვაპირებდი... ჩემმა მეგობარმა რომ გაიგო, გადავრჩი, დამალვა დააპირა და კრიმინალებს მიმართა დასახმარებლად. მათ, როგორც ჩანს, სიმართლე ათქმევინეს, და... არ აპატიეს ღალატი. კარგად არ ვიცი, რა მოხდა და როგორ, მაგრამ საკუთარ მანქანაში ნახეს ჩამწვარი... ამ ამბავს ჩემთვის შვება არ მოუტანია! ბევრი რამის გამო ვარ უბედური. თუნდაც იმის გამოც, რომ ვეღარავის ვენდობი...

**ინგა ჯაყელი**




**ამას წინათ ახლობელი შემეხმიანა — თუ ხვალ, საღამოს 6 სთ-ზე მესტუმრები, საინტერესო ქალბატონებს გაგაცნობ და ისეთ ამბებს მოისმენ, უსათუოდ გამოდგება გაზეთისთვისო.**

**მეორე დღეს, დათქმულ დროზე ვეწვიე. სტუმრები უკვე მელოდებოდნენ.**

**ათასნაირ ამბავზე წერთ, ჩვენც გვათქმევინეთ და მოგვისმინეთო, — მოსწავლე გოგონებივით ახმაურდნენ ქალბატონები. მათივე თხოვნით, არ ვაკონკრეტებ მათ ასაკს, თუმცა 40-ს კარგა ხანია, რაც „მიუკაკუნეს".**

# ეს სამი ქალბატონი სამომავლოდაც ბევრს გვიამბობს...



ანუ „მრგვალ მაგიდასთან" გატარებული საღამოები

**ქალბატონი თამარი:** ხომ ხდება ასე, სათქმელი დაგიგროვდება და თუ არ ამოთქვი, შეიძლება გულიც გაგისკდეს. ამ მოწყენილ დღეებში ერთი „ნათელი" დღე ჩვენ თვითონ, სკოლის მეგობრებმა, შემოვიღეთ. თვეში ერთხელ, თითოეულის ოჯახში ვიკრიბებით, ფიროსმანისა არ იყოს, ვსვამთ ჩაის (ან ყავას), ვსაუბრობთ ხელოვნებაზეც, დღევანდელ ყოფაზეც, ადამიანების ურთიერთობებზე, მეგობრობასა და სიყვარულზე, ხან მოგონებებში გადავინაცვლებთ, ხან სამომავლო გზებს დავსახავთ, მთავარი თემა, რა თქმა უნდა, შვილებია და მათი პრობლემები. ყველანი დედები ვართ და მერე ქალები! მოკლედ, ჩვენს ჭიას ვახარებთ.

**ქალბატონი მერი:** იცით, რამდენი მძიმე პერიოდი გადაგვიგორებია ამ მრგვალ მაგიდასთან ურთიერთგანდობით, წუხილის გაზიარებითა და თანადგომით? სამწუხაროდ, ახლანდელმა გაჭირვებამ ყველაზე ახლობელ ადამიანებს დააკარგვინა ერთმანეთი. „რა წავუღო?", „მაგას თავისი პრობლემებიც ეყოფა, რომ ჩემიც არ დავუმატო", — ამ ორმა ვაიარგუმენტმა ბევრი შინ ჩაკეტა, თავის დარდთან და წუხილთან მარტო დატოვა, ამიტომაც გაიშვიათდა მოღიმარი ადამიანის ნახვა.

**ქალბატონი ლია:** ნუგეშის მიმცემი სიტყვა ყველა წამალზე და ფსიქოთერაპიაზე მაღლა დგას. აბა, სცადეთ და ახლობელთა წრეში გამოთქვით თქვენი წუხილი, ცოტა ხანში მიხვდებით, რომ თურმე ერთგული მსმენელი და სევდის გამზიარებელი ისევე გჭირდებათ, როგორც ჰაერი და წყალი.

**— თქვენი რჩევები უსათუოდ გასათვალისწინებელია, მაგრამ საინტერესო ამბებს დამპირდით და იმედია, არ გამაწბილებთ.**

**ქალბატონი თამარი:** ყველა ადამიანი ერთი გაუშლელი წიგნია. როცა ადამიანს ახლოს გაიცნობ, თითქოს იმ წიგნს კითხულობ. რა თქმა უნდა, ზოგი უფრო საინტერესოა, ზოგი მოსაწყენი და გამაღიზიანებელიც, მაგრამ ამბავი ხომ არის? ჩვენც გვაქვს ჩვენი ტკივილი და სიხარული, თავს გადახდენილი ამბები და საკუთარი შეხედულებები.

**— დღეს ცოტას თუ ულხინს, მაგრამ ყურსა და გულს დამამშვიდებელი, მალამოსმაგვარი სასიამოვნო ამბავი უფრო სწყურია. მართალი გითხრათ, მეც ამ მიზნით უფრო მოვედი თქვენთან.**

**ქალბატონი მანანა:** ეჰ, ჩემო კარგო, თვითონ ცხოვრებაა ასეთი საშინელი და ამაზრზენი, ამიტომაც მოიტანა ახლანდელმა დრომ ბევრი უარყოფითი. რად გვინდა საზღვარგარეთული „უჟასები", როცა ყოველდღე ვუყურებთ საშინელებებს. გუშინწინ იმისთანა ამბავს შევესწარი, ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს. მე და ჩემი მეგობარი სამსახურიდან გამოვედით. ძალიან გვშიოდა და სახაჭაპურეში შევედით. ეს სახაჭაპურე თბილისში პრესტიჟულად ითვლება. ისის იყო, მაგიდას მივუსხედით, რომ ქალი და ბავშვი შემოვიდნენ, ყველა მაგიდა დაიარეს და ხურდა ფული ითხოვეს. ჩვენც მივეცით. ის ქალი ღარიბულად, მაგრამ სუფთად იყო ჩაცმული. გამყიდველმა გვიან შენიშნა ისინი და თავისი „თანაშემწე" მიუგზავნა, რომელმაც კარისკენ მიუთითა. ისედაც გავალ, შენ რომ არ გამაგდო, — უთხრა ხმადაბლა ქალმა, მაგრამ გამყიდველმა ვერ მოისვენა, გამოენთო იმ უბედურს და ლანძღვა დაუწყო. გაწითლდა ქალი, ეტყობა, ახალი დაწყებული ჰქონდა მათხოვრობა. გავიდა გარეთ და არაქათგამოცლილი იქვე ხეს მიეყუდა, ფეხის გადადგმა ვერ შეძლო... ამ სურათის დანახვამ ისე აგვაფორიაქა, რომ ლუკმა არ გადაგვივიდა პირში. ავდექი, ორი ხაჭაპური ვიყიდე და დედის თვალებს მიჩერებულ ბიჭს მივაჩეჩე. ეტყობა, შიოდა. ჯერ გაკვირვებულმა შემომხედა, რაღაც ჩაილუღლუღა, მერე გამიღიმა და დაიწყო ჭამა, გემრიელად ილუკმებოდა. ვერა და ვერ მოისვენა გამყიდველმა, ისევ გაუვარდა დედა-შვილს და აქ ნუ დგებითო — დაუტატანა. ქალი საბოლოოდ გამოვიდა მწყობრიდან, მიიხედ-მოიხედა, სადღაც თვალი ჰკიდა კარგა მოზრდილ ქვას, ისროლა და მთელი ვიტრინა ზრიალით წამოვიდა ძირს. ატყდა ერთი ალიაქოთი. შორიახლო მდგარ პოლიციელს მოუხმეს. ხალხმა კი დედა-შვილს შეუძახა, — აბა ჩქარა, დროზე გაასწარითო. მართლაც გაასწრეს... იცით, რა მიკვირს? რა უფლება გაქვს, დახმარებისთვის ხელგამოწვდილი, დაბეჩავებული ადამიანი უშვერი სიტყვებით შეამკო? განა საშინელება არაა, შენს გვერდით ადამიანს ასე უჭირდეს, შენ კი „მაძღარი" და ბრიყვი იერით ზემოდან დასცქეროდე? ხშირად შემიმჩნევია გაბრდღვიალებულ კაფეებთან, ბისტროებთან თუ რესტორნებთან როგორ დგანან შეცივებული და აკანკალებული მოხუცები და მოწყალებას ელიან. შიგნით „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" ილუკმებიან და ივსებენ სტომაქს, ხოლო გარეთ გამოსულნი მხრებს აიჩეჩენ, — უჰ, აღარ დამრჩა ხურდაო, — იტყვიან სხვების გასაგონად.

**ქალბატონი მერი:** იმ უბანში ვცხოვრობ, დღეს თბილისში ელიტარულად რომ ითვლება. ჩემს მეზობლად თვალდახელშუა წამოიმართა საკუთარი სახლები. ერთ-ერთ ასეთ სახლში ოჯახის მეთვალყურედ და მომვლელად „მოეწყო" რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდა, მომხიბვლელი გოგონა (ჩემი ნაცნობის და). ნამდვილი სახელით ვერ მოვიხსენიებ, ნანას დავარქმევ. ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან. ოჯახის თავკაცი ბიზნესმენად ითვლებოდა, თუმცა სამეზობლო ეჭვის თვალით უყურებდა მის ბიზნესს. სამი წელი ერთგულად ემსახურებოდა ის გოგო მათ ოჯახს. მერე და მერე შევატყვეთ, რომ ძალიან გულდახურული გახდა. მისმა დამ რამდენჯერმე შემომჩივლა კიდეც: ვურჩიე ნანას, თუ ცუდად გეპყრობიან, გამოიხურე კარები და წამოდი-მეთქი, მაგრამ მითხრა: — ნორმალურად მექცევიან, მაჭმევენ და მასმევენ, კარგადაც მიხდიან და რატომ უნდა წამოვიდეო. ფაქტია, რომ გოგონა რაღაცას მალავდა. მერე უბედურება მოხდა, გოგონას და ავტოავარიაში მოყვა და დაიღუპა. დისშვილები ბედის ანაბარა რჩებოდნენ, რადგან მამა არ ჰყავდათ. დედა ჩამოიყვანა სოფლიდან ბავშვების საპატრონოდ, თვითონ კი ისევ იმ ოჯახში გააგრძელა სამსახური, რადგან აღმოჩნდა, რომ მართლაც კარგად უხდიდნენ. დრო გადიოდა, ნანას ყველაფერზე დაეტყო, რომ ფული გაუჩნდა: არ იკლებდა ჩაცმადახურვას, დისშვილებს ყურადღებას აქცევდა, იმ ოჯახის შვილებთან ერთად ასეირნებდა ხოლმე შაბათ-კვირას. ერთ ზაფხულს, როცა „ბიზნესმენმა" ცოლ-შვილი დასასვენებლად გაისტუმრა, ნანა თავისთან დაიტოვა, სტუმრებს ველი უცხოეთიდან და მჭირდებიო... სწორედ იმ ზაფხულის მერე დაიღუპა ის გოგო. „ბიზნესმენმა" საყვარლად გაიხადა, მაგრამ ეგეც არ აკმარა, პრესტიჟულ სტუმრებს ლამაზი გოგონას ყველანაირ მომსახურებას ჰპირდებოდა. ერთი სიტყვით, „ბიზნესმენი" კი არა, პირწავარდნილი სუტენიორი გამოდგა, რომელსაც საზღვარგარეთ მიჰყავდა სწავლასა და კარგ სამსახურს დახარბებული გოგონები, ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ქალები. იქ ხომ ითბობდა ხელს, აქაც ტყუილად აღარ მოცდა და ლამაზი ნანას შემწეობით ბლომად იშოვა ფული. ეს საშინელება იმით დამთავრდა, რომ ერთი გაუბედურებული გოგონას ძმები აგარაკზე ჩაუსაფრდნენ ბიზნესმენ-სუტენიორს და ჩაცხრილეს.

**— ნანას რაღა მოუვიდა?**

— ნანა ერთ-ერთ უცხოურ კომპანიაში მოეწყო მზარეულად. ფინანსური მდგომარეობა კარგად აქვს, მაგრამ უკვე იმხელა დარდს და ტკივილს ატარებს ეს პატარა გოგო, რომ გული მიკვდება, არადა ჯერ ოცდახუთისაც არ არის.

**— აკი, კარგ რამეებსაც მოგიყვებითო?!**

**ქალბატონი მერი:** კარგი აგერ, მანანაზე უნდა გიამბოთ. ჩვენს სამეგობროში ის გვყავს ყველაზე შეძლებული. სწორედ მან წამოიწყო ასეთი შეხვედრები. მანანას მეუღლე, თამაზი ბიზნესმენია (ოღონდ ისეთი არა, წეღან რომ ვახსენეთ) და პეტერბურგში მოღვაწეობს. ისე არ ჩამოვა, მეუღლეს და მის სამეგობროს საჩუქრები არ ჩამოგვიტანოს. ისიც ჩვენი კლასელია. ერთმანეთი მე-6 კლასიდან უყვართ. დეიდა გულიკომ, მანანას დედამ, ეს რომ გაიგო, შეიცხადა, რადგან თამაზს სკოლაში ცოტა ავარდნილი ბიჭის სახელი ჰქონდა. სკოლის მერე გაიპარნენ. მანანამ უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა და სტუდენტობაშივე გახდა სამი შვილის დედა. თამაზმა კი ეკონომიკის ფაკულტეტი აირჩია, მერე სწავლა პეტერბურგში გააგრძელა. თავიდან ძალიან უჭირდათ, მშობლები კი ეხმარებოდნენ, მაგრამ ახლა თამაზია ყველაფერი. ის როცა თბილისშია, მის სახლში მომსვლელს ვერც დაითვლით, მაქსიმალურად ეხმარება ყველას. ნანას თავგადასავალი ტყუილად როდი გიამბეთ. ახალი სამსახური სწორედ მანანამ და თამაზმა უშოვეს და იმ მორევიდანაც მათ ამოიყვანეს. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთები. ბედნიერებაა, როცა სხვისი ტკივილის გაზიარება და დაამება შეგიძლია, როცა უნარი შეგწევს, დაეხმარო და შვება მოჰგვარო სხვას.

**დავემშვიდობე მათ. იქიდან წამოსულს უცნაური სითბო გამომყვა თან. კარგია, როცა მეგობრობის სათავე ბავშვობიდან მოდის და გზადაგზა მყარდება. დღეს ისინი ერთ მუშტად შეკრული, ჭირშიც და ლხინშიც ერთად არიან. სხვათა შორის, ქალები სამომავლოდაც ბევრ საინტერესო ამბებს დამპირდნენ.**

***მარინა ბაბუნაშვილი***

## წერილი რედაქციას

თქვენი გაზეთის 18-25 მარტის ნომერში წავიკითხე წერილი „ახლა მე ვინმეს თანადგომა და გულახდილი რჩევა ძალიან მჭირდება".

გაჭირვებული ადამიანისადმი, მით უმეტეს, ქალისადმი თანადგომა და გაგება ყველაზე საჭირო ადამიანური მოვალეობაა. მაგრამ ჩემი დიდი გულჩვილობის მიუხედავად, ეს ქალბატონი თანადგომას არ იმსახურებს. არც ერთ ერს ისე არ შეუძლია მიტევება, როგორც ქართველებს, რამაც ჩვენ ბევრჯერ მწარედ გვაზღვევინა.

გული მიკვდება, როცა ვხედავ, საქართველოში დუხჭირი პირობებისა და უბირი ქმრების წყალობით ქართველი ქალის საყოველთაოდ ცნობილი უბიწოება როგორ შეილახა. დიახ! უბირი და ნაძირალაა ის ქმარი, ვინც ცოლის უზნეო საქციელით ნაშოვნ ლუკმას მიირთმევს. ქართველმა კაცმა ოჯახის თავკაცობა ოდითგანვე ცოლ-შვილის კეთილდღეობაზე ზრუნვით მოიპოვა. რაც შეეხება ჩემი კრიტიკის გმირ-ქალს, იგი სულმდაბლობით, ხორციელი ნდომის დაოკებისთვის დახურდავდა.

გათხოვილი ქალის მიერ ქმარ-შვილის ღალატი ყველა დროში და ყველა ქვეყანაში სამარცხვინო იყო ერთ-ერთი აფრიკული ტომის გარდა. ამ ჩვენი ნაცნობი ქალბატონის საქციელი მით უფრო სავალალო და უპატიებელია, რომ მან შეარცხვინა კაცი, რომელმაც თავი გასწირა ოჯახის ბედნიერებისთვის და მოუტანა ბედნიერებაც და უზრუნველი ცხოვრებაც. ცოლ-შვილის კეთილდღეობისთვის მიატოვა სამშობლო და ოჯახი, ცოლმა კი მართლა ღირსეულ კაცს იმით გადაუხადა სიკეთე, რომ ქმრის ლუკმით გაზულუქებული, ალბათ ლამაზი და ფუმფულა სხეული ვიღაც ოღრაშს მიუძღვნა. ბოდიშს ვიხდი უცენზურო სიტყვისათვის, მაგრამ მე ჩვევადა მაქვს, ყველა საგანს თავისი სახელი დავარქვა. დიახ! ოღრაშია ის არაკაცი, ვინც მეზობლის, მეგობრის, ნათესავის, პატიმრის, ჯარისკაცის და გაჭირვების გამო გადახვეწილის ცოლს შეაცდენს — ასერიგად ფიქრობდა ჩვენი წინაპარი, ასე ფიქრობს დღეს ნაღდი ქართველი.

არადა ეს ქალი ქმრისადმი გადარეულ სიყვარულს გვიმტკიცებს... სიყვარული მეძავ ქალსაც კი აპატიოსნებს — ჩემმა ერთ-ერთმა ნათლიამ მეუღლე ბორდელიდან გამოიყვანა, მაგრამ ეს მართლაც მზეთუნახავი სიკვდილამდე პატიოსნების განსახიერება იყო. არ ყოფილა ქალისა და კაცის ურთიერთობის ისტორიაში შეყვარებული ქალის ღალატის შემთხვევა, გარდა მანონ ლესკოსი. აგერ, თქვენი გაზეთის რესპონდენტიც ხომ მოღალატეა.

რჩევა და თანადგომა არ გამომივიდა, მაგრამ ძალიან მინდოდა გამოხმაურება.

P.S. აქვე დავძენ, რომ ერთ გვერდზე ორი ქალის გამოხატვა — უსახელოსი და შარავანდედმოსილისა, ღრმა ჟურნალისტური ხედვაა.

*ულრმესი მოკრძალებით*
*სიდამონ წერეთელი*

## სალათი „პალიტრა"



3-4 ცალი მოხარშული საშუალო ზომის მოგრძო კარტოფილი დაჭერით, დაუმატეთ წმინდად გახეხილი 2-3 ცალი სტაფილო, 50 გ უკურკო, დაკეპილი შავი ზეთისხილი, 2 ცალი დამწნილებული კიტრი, 1 ჭიქა ბარდა, წმინდად დაჭრილი 2 ძირი პრასი, თითო კონა ქინძი, ოხრახუში, კამა, ნიახური, მწვანე ხახვი, ტარხუნა, 2 ცალი ნედლი კიტრი, 3 ცალი მკვრივი უწვნო პომიდორი, 100 გ სოკოს მარინადი, შეკაზმეთ გემოვნებით შავი პილპილით, მარილით, მოასხით სამარხვო მაიონეზი, ფრთხილად აურიეთ. სასალათეში ჩაალაგეთ სალათის ფოთლები, ჩადეთ შიგ სალათი და მორთეთ ზეთისხილით.

**იუმორი**

— ღმერთო ჩემო, ეს რა მუსიკაა, — შეიცხადა ბებომ, — როცა შენი ხნისა ვიყავი, შტრაუსს ვუსმენდი.

— ბებო, ჩაიჭერი... ეს არ არის მუსიკა, დედამ მიქსერი ჩართო, — ეშმაკურად ჩაუკრა თვალი შვილიშვილმა.

# სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

მარინე თბილელი
1922-2002



... იმ წლებში პლეხანოვის გამზირზე ხშირად შევხვდებოდით ტანაშოლტილ ლურჯთვალა ქალიშვილს. მიდიოდა მშვენიერი, მსუბუქად და გამვლელთა მზერას იზიდავდა...

ეს იყო მარინე თბილელი.

პირველსავე როლებში გაცხადდა ქალბატონი მარინეს ნიჭის ძალა...

სხვადასხვა დროს მას მრავალი როლი აქვს ნათამაშები თბილისის რუსთაველის, მარჯანიშვილისა და სოხუმის თეატრებში, კინოში...

თავისი როლებიდან განსაკუთრებით უყვარდა თეკლა ბატონიშვილი („კრწანისის გმირები"), კეკელა („ძველი ვოდევილები"), მილენინა („დასაწყისი"), ნათელა აბაშვილი („კავკასიური



ცარცის წრე"), იორკის მთავრის მეუღლე („რიჩარდ III")...

ვერასოდეს დაივიწყებს მაყურებელი მარინე თბილელის სახასიათო, საოცარი სითბოთი გამსჭვალულ კინოროლებს: ფატიმა („ბაში-აჩუკი"), ბუბუსია („აბეზარა"), მართა („ქალის ტვირთი"), ალისა („თოჯინები იცინიან"), თაშნაურა („ჩირიკი და ჩიკოტელა") და სხვ.

„ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი, რითაც მარინე გამოირჩევა, ეს არის სცენური კულტურა. მისი თაობის მსახიობებს შორის სანიმუშოა მარინეს მეტყველება, პლასტიკა, პარტნიორისადმი პატივისცემა, სამსახიობო დისციპლინა და რაც მთავარია, ზომიერების გრძნობა.

იგი ერთგული გამგრძელებელია ქართული სამსახიობო ხელოვნების ტრადიციებისა", — წერდა დიდი მსახიობი აკაკი ვასაძე.

„იშვიათად შემხვედრია ასეთი პიროვნება... ის არ იყო მხოლოდ პარტნიორი და მსახიობი. თავის ნიჭიერებასთან ერთად არაჩვეულებრივად გულისხმიერი პიროვნება გახლდათ. ისე წავიდა ჩვენგან, რომ მის თვალზე ერთი ცრემლი არ მინახავს... მიუხედავად ყველაფრისა, ისეთი ემოციური და სიცოცხლით სავსე იყო, თამაში რომც არ გდომებოდა, შენდა უნებურად აგიყოლიებდა. სხვანაირი სიცოცხლე ჩქეფდა მასში... შამპანურივით შუშხუნა იყო — როდესაც უყურებდი, გეჩვენებოდა, რომ მის ნაფეხურებზე გაზაფხულის ყვავილები ამოდიოდა... იმდენად თავისთავადი იყო, ბევრი რეჟისორი ცდუნებას ვერ უძლებდა და იმის ნაცვლად, რომ მსახიობი სპექტაკლის მიზანსცენისთვის მოერგო, პირიქით, მას მარინეს უსადაგებდა", — იხსენებს მსახიობი ნინო ჩხეიძე.

მარინე თბილელს უყვარდა სიცოცხლე, ყოველ დილას სიმღერით ხვდებოდა, ახარებდა ჩიტების ჭიკჭიკი, ყვავილების სილამაზე...

კიდევ ერთი მშვენიერი სიცოცხლე დააკლდა ქვეყანას, კიდევ ერთი ლამაზი ქალი დააკლდა თბილისს...

# ქართული ინტერვიუ ამერიკული ინტერპრეტაციით

## ბინა გაძარცული დამხვდა, მშობლების საფლავი – დარბეული

უნდა გენახათ, რა ხდებოდა იმ დღეს ძველი კინოსტუდიის ეზოში, როგორ ხვდებოდნენ, როგორ ეფერებოდნენ... გამვლელ-გამომვლელები ღიმილით აყოლებდნენ თვალს... თითქოს წლებს შორის საზღვარი წაიშალა, დაიკარგა დროის ათვლა...

თვითონაც საოცარი სიყვარული და ერთგულება შეუძლია. და კიდევ... ხანდახან ისეთ სიურპრიზს შემოგთავაზებთ, თავს უბედნიერეს ადამიანად იგრძნობ... სულ ერთი ბეწო სიკეთეზეც იმხელა სითბოთი გიპასუხებს, შეიძლება სიხარულისაგან ატირდე... ვიდექით კინომსახიობთა თეატრის წინ და ვცდილობდი



გამომეცნო, რაზე ფიქრობდა ჰოლივუდიდან დაბრუნებული მსახიობი, რომელსაც საყვარელ ქალაქში მშობლების საფლავი დაურბიეს და სახლი გაუძარცვეს.

**— ლევან, შეცვლილია აქაურობა?**

— ძალიან.

**— რა არის შეცვლილი — ადამიანები, შენობები, გარემო, განწყობა თუ სხვა რამ?**

— ჩემი თბილისი ჩემი უბნიდან იწყება — ვაკიდან. ადრე ქუჩაში რომ გავდიოდით, ყველანი ერთმანეთს ვცნობდით, თუ პირადად არა, სახეზე მაინც. ახლა უბანში ერთ ნაცნობს თუ შევხვდები დღის განმავლობაში, ისე გვიხარია ორივეს, თითქოს წარმოუდგენელი რაღაც მოხდა... სრულიად უცხო სახეებით აივსო თბილისი...

**— თქვენი ახლანდელი ჩამოსვლა ძალიან არასასიამოვნო ფაქტს დაემთხვა — სახლი გაძარცული დაგხვდათ. თქვენი ბინის კარი რომ შეაღეთ, რა გრძნობა დაგეუფლათ?**

— უპირველესად შემზარა იმან, რომ მშობლების საფლავი დამხვდა დარბეული... რაც შეეხება სახლს... ამაზრზენია, როცა ვიღაც შენს პირად ცხოვრებაში ასე შემოდის, შენს ნივთებში იქექება, შენს ნაწერებს ჩხრეკს, დაუკითხავად მიაქვს თუნდაც უმნიშვნელო რამ, რაც შენში სასიამოვნო მოგონებებს აღძრავს... ეს ცუდი ფაქტია, მაგრამ ამის გამო მთელ თბილისსა და თბილისელებზე რომ გავნაწყენდე, არ იქნება სწორი. ჩემი ახლობელ-მეგობრებისგან საოცარი თანადგომა ვიგრძენი. ამიტომ ყველაფერს იუმორით ვუყურებ — ვამბობ, რომ ჩემი სახლის გაქურდვაში ბინ ლადენის ხელი ურევია...

**— ყველა გახარებულია თბილისში თქვენი დაბრუნებით, ყველას უნდა თქვენთან შეხვედრა, საუბარი. ასე იყო მაშინაც — წლების წინ, როცა თბილისიდან გაემგზავრეთ. ამ ყურადღებით განებივრებულისათვის ძნელი იყო უცხო ქვეყანაში, უცხო გარემოში თავის დამკვიდრება?**

— ყველაფერი უცებ და შემთხვევით მოხდა. ეს არ იყო გამიზნული, დაგეგმილი წასვლა ბედის საძებნელად. უბრალოდ, „სტალინის“ როლზე მივიღე რამდენიმე მიწვევა, მაშინ შემოქმედებითი პაუზა მქონდა და ჩემს ადგილას ალბათ არავინ გაუშვებდა იმ შანსს ხელიდან, რასაც ჰქვია — ჰოლივუდში თუნდაც ერთი როლი. მერე ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო და დრომაც სწრაფად გაირბინა, თანაც ლოს-ანჯელესში თითქმის მუდამ ერთნაირი ამინდია და ვერც გრძნობ წელიწადის დროთა ცვალებადობას. ფაქტობრივად, ყველაფერი ნულიდან დავიწყე. თითოეული მიღებული როლი დიდ განცდასთანაა დაკავშირებული. შენ „ერკინები“ ასეულობით ევროპელ თუ ამერიკელ მსახიობს. ეს ძალიან ძნელია — ფსიქოლოგიურადაც, ფიზიკურადაც, მორალურადაც, ამიტომ შეიძლება ერთ დღეს ყველაფერი მოგბეზრდეს და თქვა — მორჩა, მეტი აღარ შემიძლია, დავიღალე! ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა არაერთი ჩვენი თანამემამულე და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოსული რამდენიმე მსახიობიც. ბოლო ექვსი წელია, რაც დიდ სტუდიაში მუშაობის უფლება მივიღე. ამ ხნის მანძილზე ჰოლივუდში ვითამაშე 22 სატელევიზიო და 5 მხატვრულ ფილმში. გარდა ამისა, ფინალისაკენ მიდის ჩემი, როგორც დებიუტანტი რეჟისორის და პროდიუსერის ნამუშევარი — ჩემი ფილმი... არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მეგობრები მახსენებენ ტელესტუდიაში ჩემი სტუმრობის ამბავს (მკითხველს შევახსენებ, რომ ლევანის სატელევიზიო გამოსვლისას, პირდაპირ ეთერში დარეკა მისმა თანაკურსელმა, მსახიობმა რამაზ იოსელიანმა და ჰკითხა: — შენ წახვედი, ჩვენ, შენი ჯგუფელები დავრჩით. განა რას აკეთებ იქ ისეთს, რასაც აქ ვერ გააკეთებდი, ღირდა ამისათვის წასვლაო? ლევანის პასუხი კი ასეთი იყო — მეც იგივე შემიძლია გკითხო, განა რას აკეთებ აქ ისეთს, რომ იქ წასვლა არ ღირდაო. — ე.მ.)

ყოველი ნათამაშები როლი ჩემთვის არის დაახლოებით ის, რაც სპორტსმენისათვის საფინალო საერთაშორისო შეხვედრის მოგება. ჩანს მხოლოდ ფაქტი — რომ ვითამაშე ამა თუ იმ ფილმში, ხოლო ის, რომ 500 მსახიობს შორის როლზე მე ამირჩიეს, რა თქმა უნდა, არ ჩანს და მაყურებელს ეს არც აინტერესებს... რაც შეეხება იმ კითხვას, რა გამიკეთებია, აი, რაც ჩამოვთვალე, ის გავაკეთე და კიდევ ის, რომ ძალიან ბევრმა, ვისთანაც მიმუშავია, არ იცოდა, სად არის საქართველო. — ახლა იციან. ისიც იციან, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისია, რომ ქართული ღვინო პირველად აქ, ჩვენთან დაიწურა, ზოგმა კოლხეთის ისტორიაც კი იცის... ასე რომ, რაც შემიძლია, ჩემი იქ ყოფნით გავაკეთო ჩემი ქვეყნისათვის, იმას ვაკეთებ...




**— ჩემი თაობისათვის ძალიან ბევრს ნიშნავდა ნუგზარ ლორთქიფანიძის სპექტაკლი „წუთისოფელი ასეა“. მე ამ სპექტაკლს ლევან უჩანეიშვილის ერთგვარ ბენეფისს დავარქმევდი. თქვენ თუ გაქვთ სცენის ნოსტალგია, თუ გენატრებათ თქვენი თეატრი?**

— ნოსტალგია ხშირად შემომაწვება ხოლმე. სხვათა შორის, იყო მცდელობა, რომ აღგვედგინა ის სპექტაკლი — „წუთისოფელი ასეა“, მაგრამ კოსტიუმები თურმე რომელიღაც სხვა თეატრს წაუღია და დეკორაციაც აღარ არსებობს. ამიტომ ჩაიშალა ჩვენი ინიციატივა... სპექტაკლის აღდგენა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ მეც არ მაქვს დრო და მსახიობებიც დაფანტულები არიან. საოცრად მწყდება გული, რომ მიშა თუმანიშვილი აღარ არის ამქვეყნად. მე ამ თეატრში ბატონ მიშას გამო ვიყავი. მან ამერიკაში წერილის სახით გამომიგზავნა ვიდეოკასეტა — კინომსახიობთა თეატრის სცენაზე იდგა და მომმართავდა: — ლევან, დავიტანჯე, დამეხმარე, ჩამოდი, იქნებ დავდგათ სპექტაკლი... ვწუხვარ, რომ ცოცხალს ვერ ჩამოვუსწარი. გარდა იმისა, რომ ჩემი პედაგოგი, ხელმძღვანელი და თეატრის მთავარი რეჟისორი გახლდათ, ჩვენ ერთ ეზოში ვცხოვრობდით და მის თვალწინ გავიზარდე. ის იყო ხელოვნებაში ჩემი სულიერი მამა. მენატრება ის დრო, როცა ყველა ერთ ბედნიერ ოჯახად ვცხოვრობდით და უამრავი იმედით და ფანტაზიით ვიყავით აღსავსე. ვიცი, რომ ბატონ მიშას უხაროდა ჩემი შემოქმედებითი მივლინება (ასე დავარქმევ ჩემს ჰოლივუდში ჩასვლას) და ისიც, რომ მისი აღზრდილი „შეეჭიდა“ ჰოლივუდს.

**— საოცრად გავამაყდი, როცა ერთ ფილმში ქეჩოში ხელწავლებულს მიათრევდით ჰარისონ ფორდს..**

— ეს ქართული ხასიათია. ჩვენში შეჯიბრის, რაღაცის დამტკიცების და ნიშნის მოგების სურვილი ძევს. ცეკვებშიც კი გვაქვს ასეთი მომენტი — ფარიკაობა გაიხსენეთ — ორი მოცეკვავე ერთმანეთს ვაჟკაცობას უმტკიცებს... მგონი, სწორედ ამიტომ გამოიწვია ამ ეპიზოდმა ასეთი შეგრძნება...

**— თბილისში თქვენზე ამბობენ — ლევან უჩანეიშვილი არის მსახიობი, რომელიც კარგად ცეკვავს და მღერისო. ამ მხრივ თუ გაგიცნოთ ამერიკელმა მაყურებელმა?**

— რომ გითხრა, რომელიმე ფილმში ვმღერი ან ვცეკვავ-მეთქი, არ იქნება მართალი, მაგრამ ჩემს ძმასთან — ირაკლისთან ერთად ვამზადებ სიდის და კიდევ ორ სიმღერას, რომლებზეც ვაპირებთ მუსიკალური კლიპის გადაღებას. თუ მოვასწარით, საზაფხულოდ ამ პროგრამის ნაწილს საქართველოში ჩამოვიტანთ.

**— ირაკლი ჩამოვიდა თქვენთან ერთად?**

— არა, ქვეყანას მარტო ხომ არ დავტოვებთ, რომელიღაც ძმა ხომ უნდა დარჩეს იქ...

**— ის რას აკეთებს?**

— ირაკლი გახლავთ მუსიკოსი, კომპოზიტორი და პროდიუსერი.

**— ლევან, ქართველები თუ ხვდებით ხოლმე ერთმანეთს იქ, თუ იკრიბებით ხშირად?**

— ჯერ ერთი, ბევრი ქართველი არ არის, სულ რამდენიმე ოჯახია.. თანაც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველი წუთი გადატვირთული გვაქვს. იქ ყოფნა ჯუნგლებში ყოფნას ნიშნავს. წამით არ უნდა მოდუნდე, რომ არ დაიჩაგრო. მინდა გულისტკივილით აღვნიშნო ის ტრაგედია, რაც ამერიკაში დატრიალდა — ხარება ხარაბაძის დაღუპვას ვგულისხმობ... უამრავი საერთო გეგმა და პროექტი გვქონდა. მას ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეეძლო საქართველოსთვის... ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მივუსამძიმრებ მის მეგობრებს, ხალხს, ოჯახს, ხარებას დედას — ქალბატონ რუსიკო კიკნაძეს, რომელიც ჩემი მეგობარიც იყო და პარტნიორიც, ნანა მჭედლიძის ფილმში „დანაშაული მოხდა“ დედაჩემი განასახიერა, ხარებას მამას — ბატონ გოგის — რომელიც სხვათა შორის, ჩემს მამას თამაშობდა ფილმში „გამოცხადება“. როცა იქ ხარ, ყოველი შენი მეგობრის და ახლობლის წასვლა ასმაგად მტკივნეულია, რადგანაც ყველაფერს გაცილებით მძაფრად განვიცდით...

სხვა რა გითხრათ... ამერიკაში არიან სხვადასხვა დროს საქართველოში ნაცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენლები — სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები და საქართველოს ისე იხსენებენ, როგორც გამზრდელ დედას. დღე არ გავა, რომ არ დამირეკონ, არ მომიკითხონ, დამპატიჟონ... ჩვენ, ყველა ერთად, თავს საქართველოდან წასულ დიდ ოჯახად მივიჩნევთ.

**— ვინ და რა გენატრებათ იქ ყველაზე მეტად?**

— ალბათ ის ქუჩა, ის ხე, ის ეზო, რომელსაც მთელი ცხოვრება ვუყურებდი, ის ადგილი, სადაც ვმუშაობდი, სადაც გავიზარდე, თბილისი, ფოთი, სადაც ჩემი ბავშვობის დიდმა ნაწილმა გაიარა, შავი ზღვა, ჩემი მეგობრები — ყოველი მათგანი უცებ და ძალიან ხშირად ამოტივტივდება მეხსიერებაში...

**— სად არის თქვენი მოტოციკლი, რომლითაც დღეში ასჯერ მოივლიდით თბილისის ქუჩებს?**

— ჩემი მოტოციკლი გამგზავრებამდე ვაჩუქე ჩემს უფროს მეგობარს, უკეთილშობილეს ადამიანს, ძალიან კარგ ექიმს დათო ერისთავს, უფრო სწორად, მის ვაჟს — გიორგის. მიუხედავად ამისა, ხშირად მამამისი დაქროდა ხოლმე იმ მოტოციკლეტით თბილისის ქუჩებში გიტარაგადაკიდებული....

**— თქვენი წითელი „09“, რომელსაც თქვენი მეგობრები საკუთარ სახლად თვლიდნენ, ვის ერგო?**

— მანქანა დავუტოვე ჩემს ახლობლებს, რომლებმაც გაყიდეს. ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვში შევხვდი ქართველ გოგონას, მას, ვინც შეიძინა და მითხრა — შენს მანქანას ინსპექტორები შენ გარეშე რომ ხედავდნენ, ყოველ ნაბიჯზე მაჩერებდნენ, ბოლოს ასეთი პასუხი მოვიგონე — თავს ვაცოდებდი — მე ლევანის ცოლი ვარ, მიმატოვა, წავიდა და ამ მანქანის გარდა, არაფერი დამიტოვა-მეთქი.

ასე რომ, „ჩემი „09“-ის ისტორიაც კუკარაჩასთან არის დაკავშირებული.

**— კუკარაჩა როგორ გახსენდებათ?**

— კუკარაჩა ხომ მოკვდა?

**— მახსოვს, წასვლამდეც ზუსტად ასე პასუხობდით ამ კითხვაზე...**

— ხომ ხედავ, არ ვიცვლები, რამდენიმე ხნის წინ ქეთი დოლიძის პრემიერაზე ვიყავი მოსკოვში და ხუმრობა-ხუმრობაში მოვუყევი „კუკარაჩა 2“-ის ვარიანტი. ძალიან მინდა გადავიღოთ...

**— ალბათ ეს „ბოევიკი“ იქნება...**

— „ბოევიკი“ არა, მაგრამ უხვად იქნება ეფექტები და სანახაობითი ელემენტები.

**— ტრიუკებს თვითონ ასრულებთ?**

— რომ გითხრა, სახურავიდან სახურავზე ან თვითმფრინავიდან თვითმფრინავზე ვხტები ხოლმე-მეთქი, არ დაიჯერებ, მაგრამ ხანდახან მაინც მიწევს... ახლახან იტალიაში დავამთავრეთ ფილმ „ზანას“ გადაღება, სადაც უარყოფით გმირს ვთამაშობ. ჩხუბის უამრავი სცენა იყო ამ ფილმში, რომლებიც მოძრაობის კოორდინატორთან ერთად მეც დავდგი.

**— ლევან, როგორ ფიქრობთ, იქაური ცხოვრების წესი, მენტალიტეტი, გარემო თუ ჰგავს ქართულს?**

— არა... აბსოლუტურად სხვადასხვა პლანეტაა. კალიფორნია კიდევ ამ პლანეტაში ცალკე სამყაროა. ეს არის „ამერიკა, ამერიკა“... ეს არის, შეიძლება ითქვას, მსახიობების, მუსიკოსების, მოდელების მსოფლიო ნაკრები.... იქ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები უფრო ცხოვრობენ, ვიდრე ამერიკელები... ნოსტალგიას მიმსუბუქებს ის ფაქტი, რომ როცა სანტა-მონიკას, მალიბუს მხარეს ჩავივლი, ის ადგილები საოცრად წააგავს აჭარას, სამეგრელოს, არის ადგილები, რომლებიც რიკოთის უღელტეხილს მაგონებს, ძველ თბილისსაც ჰგავს ერთი პატარა მონაკვეთი. ხშირად მსმენია, რომ იქ ფრანგი პატარა საფრანგეთს, იტალიელი პატარა იტალიას, იაპონელი პატარა იაპონიას პოულობს... მე და ჩემს ძმასაც გვაქვს იქ პატარა საქართველო, პატარა თბილისი...

**— რომელ ცნობილ ჰოლივუდელ ვარსკვლავთან მეგობრობთ?**

— ძალიან ბევრთან... ჰარისონ ფორდთან, ერიკ რობერტსთან, კევინ სპეისთან... მეგობრობა იქ იმას არ ნიშნავს, რომ შენ უფლება გაქვს, ვინმეს ღამის ორ საათზე მიადგე გიტარით ხელში და დილამდე იქეიფო... მეგობრობა იქ ლანჩსა და ვახშამზე დაპატიჟებით, ვიწრო წრეში ხელოვნებაზე გულახდილი საუბრით გამოიხატება...

**— რა ბედი ეწია ნანა ჯორჯაძის ფილმს „27 დაკარგული კოცნა“, რომლის გამოც შარშან თბილისში ჩამოხვედით?**

— მის გამო ჰოლივუდში ორ როლზე ვთქვი უარი. „27 დაკარგული კოცნა“ დასრულდა, კანის ფესტივალზე კონკურსგარეშე აჩვენეს და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამ ფილმში ნუცა კუხიანიძის დებიუტი შედგა და მინდა აღვნიშნო, რომ ნუცას სახით არა მარტო ქართულ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მსოფლიო კინემატოგრაფს ეზრდება კაშკაშა ვარსკვლავი და უნდა მოვუფრთხილდეთ მას.

**— როგორც ვიცით, თქვენ იქ დააარსეთ საკუთარი კინოსტუდია, რომელსაც დაარქვით დედის სახელი — ტურფა.**

— დიახ, ეს იქნება კორპორაცია, რომელიც გააერთიანებს კინო, ტელე და მუსიკალურ სტუდიებს. ის პირველი ფილმი, რომელსაც ახლა ვამთავრებთ და ის მუსიკალური გეგმებიც დაკავშირებულია ამ კორპორაციასთან...

**— ისევ მალე ჩამოხვალ?**

— ზაფხულში ძალიან მინდა მოვაწყოთ ტურნე საქართველოს გარშემო, ჩავიდე ყველა კუთხეში, სადაც დიდი ხანია არ ვყოფილვარ... სამაისოდ ეკრანებზე გამოვა ფილმი — რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივი ნამუშევარი, რომელიც იმ პირველ რამდენიმე ბიზნესმენზეა, რომლებმაც საკუთარი საქმის კეთება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაიწყეს, მაშინ, როცა ამისათვის იჭერდნენ... ამ ფილმში შეფარულად პარალელებია გავლებული... ალბათ იცნობენ თავის თავს...

**— როგორ მიმართავთ მკითხველს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან?**

— დიდი მადლობა, რომ ეს ინტერვიუ წაიკითხეთ. მინდა იცოდეთ, რომ მე თუ რამეს ვაკეთებ უცხოეთში, პირველ რიგში ჩემი ხალხისა და სამშობლოსათვის. ყველაზე მეტად ის მიხარია, როცა გავიგებ რომ ესა თუ ის ფილმი ჩემს ქვეყანაში გაუშვეს, რომ ნახა და შემაფასა ქართველმა მაყურებელმა. ამ პატარა ოჯახური ტრაგედიის მიუხედავად მაინც მჯერა, რომ ყოველ ჩემს თანამემამულეს უხარია იმ ადამიანის წარმატება, რომელიც უცხოეთში სწავლობს, რაღაცას აკეთებს ისევ და ისევ თავისი ქვეყნისათვის. თუ მე რამეს მივაღწევ, უპირველესად ქართველების თანადგომა და აღიარება გამახარებს და აღმაფრთოვანებს.

*ეკა მახარაშვილი*

# „ყვითელი პრესის“ მოთავე...



...აი, ასე უნდა უყვარდეთ დიდი ფულის პატრონებს!

„თუკი მკითხავენ, ვინ მოახდინა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება, ვუპასუხებ: აწ გარდაცვლილმა უილიამ რანდოლფ ჰერსტმა... მე მხიბლავდა ეს ადამიანი — მისი მიამიტობა და გამჭრიახობა, სიკეთე და სიმკაცრე, განუსაზღვრელი ძალაუფლება და სიმდიდრე და, ამასთან, ყველაზე მეტად — მისი ბუნებრიობა“, — წერდა თავის ბიოგრაფიაში დიდი ჩარლი ჩაპლინი.

სხვათა შორის, გამოთქმას — „ყვითელი პრესა“ — თურმე პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონია და იგი სწორედ ჰერსტის სახელს უკავშირდება. იგი, დიდი ჰონორარების სანაცვლოდ, სტატიებს უკვეთდა საკაცობრიო ბოროტმოქმედებს — ჰიტლერს და მუსოლინის, სანტა-მონიკაში ააგო სენ-სიმონის ციხესიმაგრე, რომელშიც ბარე ნახევარი ევროპა მოთავსდებოდა. მან საყვარელ ქალს (რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე, 34 წლის მანძილზე იცხოვრა) მიუძღვნა ეს ციხესიმაგრე, ჰოლივუდი და მთელი თავისი იმპერია...

და ბოლოს, იგი ისე ხარჯავდა ფულს, როგორც მხოლოდ ძალზე თავისუფალ ადამიანს შეუძლია... ყოველივე ამას უინსტონ ჩერჩილი დაუმატებს: „დიდი სიმპათია მქონდა ამ ადამიანის — პირქუში და უბრალო ბავშვის მიმართ... რომელსაც უძვირფასესი სათამაშოებით თამაში უყვარდა“.

სიმდიდრე, უცილობლად, დიდ გავლენას ახდენს მისი მფლობელის ხასიათსა და ცხოვრებაზე. აი, რა თქვა ამის შესახებ იმავე ჩარლი ჩაპლინმა: „მე არასოდეს შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ისე მსუბუქად ფანტავდა მილიონებს, როგორც ჰერსტი. როკფელერს ტვირთად აწვა მდიდარი კაცის მორალური პასუხისმგებლობა; პირპორტ მორგანი ტკბებოდა სიმდიდრით მინიჭებული ძალაუფლებით, ჰერსტი კი უდარდელად, ხურდასავით ფლანგავდა აურაცხელ ფულს. იქნებ სწორედ ამით იყო გამორჩეული და სიმპათიური ჰერსტი — მუდამ ძალზე ბუნებრივად რომ ეპყრობოდა ფულს და პირდაპირი დანიშნულებით იყენებდა მას — უბრალოდ, ხარჯავდა...

ახალგაზრდობაში უილიამ რანდოლფ ჰერსტს შეეძლო ყველაფერი ეკეთებინა, რასაც კი მოისურვებდა. 50 წლისას კი ჰქონდა 30 გაზეთი (15 ყოველკვირეული), 8 რადიოსადგური, 5 კინოკომპანია, 5 მაღარო, 2 საკონსერვო ქარხანა, 1 უნივერმაღი, 2 მილიონი აკრი მიწა და კვარტალები სხვადასხვა ქალაქში. და ბოლოს, მთელ მის იმპერიას ემსახურებოდა 30 ათასზე მეტი ადამიანი.

თავის ჟურნალ-გაზეთებს იგი წონით აფასებდა — როგორც ხორცს. ხშირად მომხდარა ამგვარი რამ: ზის ჰერსტი თავისი საყვარლის, მარიონ დევისის საგრიმიოროში, ირგვლივ მიმოფანტულია მისი კუთვნილი ოციოდე გაზეთი და ჟურნალი. ჰერსტი რომელიმე მათგანს იღებს და ხელში წონის.

— რა ხდება რეკლამაში? რატომ დაიკლო ასე ძალიან წონაში ჟურნალმა? გადაეცით სალახანა რეი ლონგს, სასწრაფოდ ჩემთან გამოცხადდეს!

შემდეგ ყურადღებით სინჯავს სათაურებს.

— სუსტად ჟღერს, — ამბობს და მიუთითებს რომელიმე მათგანზე, — რატომ დაბეჭდეთ ეს მასალა პირველ სვეტში?

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ერთ დროს კონკურენტები, და არა მხოლოდ ისინი, ამბობდნენ, რომ ჰერსტი, როგორც ჟურნალისტი, მეტისმეტად უსუსური იყო.

„ბევრს ეგონა, რომ მოწინავე სტატიებს ჰერსტის გაზეთებში მის ნაცვლად ბრისბეინი წერდა, მაგრამ თავად ბრისბეინმა მითხრა, რომ ჰერსტმა ყველაზე კარგად იცოდა მოწინავეების წერა“, — ეს ისევ ჩარლი ჩაპლინია.

სწორედ რანდოლფ ჰერსტის შემოღებულია ის საგაზეთო სტილი, რომელიც დღემდე შენარჩუნებულია მრავალ გამოცემაში! მისი ნოვაცია და სტრატეგია გახლდათ ძალიან მსხვილი სასათაურო შრიფტი და ბევრი ფოტო. როგორც შეფი და თავისი საგაზეთო იმპერიის კოორდინატორი, იგი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. აი, მისი ვაჟის რამდენადმე მაღალფარდოვანი, მაგრამ სარწმუნო თვალსაზრისი:

„მისმა რეპორტიორებმა ბოლოს და ბოლოს, დაიწყეს ჩინოვნიკებისა და პოლიტიკანების ბნელი საქმეების გამოძიება და მხილება... ესენი იყვნენ საგამომძიებლო ჟურნალისტიკის პიონერები. ის მტკიცებულება, რომ „ყვითელი პრესა“ მხოლოდ ტირაჟის ზრდას და საეჭვო გემოვნების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, მხოლოდ საკითხის გამარტივებულად წარმოჩენაა. „ჯორნელს“ და „ამერიკენს“ ზერელედაც რომ გადაავლოთ თვალი, ნათელი გახდება, რომ საუკუნის დასაწყისში მამაჩემის მიერ გამოცემული ეს გაზეთები აქტიურად მონაწილეობდნენ ამერიკული საზოგადოების სრულყოფაში“.

სხვათა შორის, „ნიუ-იორკ ჯორნელში“ თავისი პუბლიკაციების გამოქვეყნება დიდ პატივად მიაჩნდათ მარკ ტვენსა და ემილ ზოლას.

ახლა კი ისიც ვთქვათ, რატომ ეწოდა პრესას „ყვითელი“. მიზეზი ის იყო, რომ გაზეთები იბეჭდებოდა უხარისხო ქაღალდზე, რომელიც თეთრი კი იყო, მაგრამ ძალზე სწრაფად ფუჭდებოდა და თვალსა და ხელს შუა ყვითლდებოდა. ცხადია, შემოსავლიანობის გამო არავინ გამოიყენებს მასობრივი, ერთდღიანი გამოცემებისთვის ცარცის ქაღალდს და ჰერსტიც არ იყო გამონაკლისი. დაბალი ხარისხის ქაღალდი საკმაოდ იაფი ჯდებოდა, თანაც ეს სულაც არ მოქმედებდა გამოცემის პოპულარობაზე, პირიქით, ქაღალდის სიიაფე საშუალებას იძლეოდა, მინიმუმამდე გაიაფებულიყო თავად გაზეთი, რის გამოც იგი უფრო მასობრივი ხდებოდა.

რაც შეეხება ჰერსტის პოლიტიკურ მიდრეკილებებს: სწორედ ეს ადამიანი განსაზღვრავდა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ამერიკაში პოლიტიკური დებატების ხასიათს. ერთნი მას ამერიკის ნამდვილ პატრიოტად მიიჩნევდნენ. სხვათა აზრით, ჰერსტი უპრინციპო საქმოსანი იყო, რომელსაც მხოლოდ თავისი ბიზნესი აინტერესებდა.

საინტერესოა, როგორი იყო ჰერსტი სიყვარულში, რადგან სწორედ ამ ექსტრემალური ემოციისას მჟღავნდება ადამიანის შინაგანი ბუნება. ამ მხრივ ძალიან ბევრის თქმა შეიძლება ჰერსტზე, შეიძლება სამაგალითოდაც კი ვაქციოთ მისი გრძნობა — აი, ასე უნდა უყვარდეთ დიდი ფულის პატრონებს!

როცა ერთმანეთი გაიცნეს, ჰერსტი უკვე 54 წლის იყო, მარიონ დევისი — მხოლოდ ოცის. ჰერსტი უკვე დიდი ხანია, საგაზეთო მაგნატი იყო, ცოლშვილიანი — ხუთი ვაჟიშვილის მამა, მარიონი კი — ბროდვეის კაბარეთა ამომავალი ვარსკვლავი.

**„დიდი სიმპათია მქონდა ამ ადამიანის — პირქუში და უბრალო ბავშვის მიმართ... რომელსაც უძვირფასესი სათამაშოებით თამაში უყვარდა“ — უინსტონ ჩერჩილი.**

ჰერსტს საოცრად ბუნებრივად ეჭირა თავი. თუ კარგ გუნებაზე იყო, ცოტა მოუხეშავად, მაგრამ მთელი გატაცებით ცეკვავდა საყვარელ „ჩარლსტონს“ და სულაც არ ანაღვლებდა სხვისი აზრი. ის ყოველთვის მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც აინტერესებდა.

მარიონის „დასაბმელად“ ჰერსტმა იმდენი ფული დახარჯა, რომ საიმდროოდ ყველა რეკორდი მოხსნა.

როცა ეკრანებზე მორიგი ფილმი გამოდიოდა მარიონის მონაწილეობით, ჰერსტის ნიშანზე მთელი მისი იმპერია მოქმედებას იწყებდა. გაზეთების პირველ გვერდებზე იბეჭდებოდა მარიონის ფოტოები, რეცენზიები ქება-დიდებას ასხამდნენ ამომავალ ვარსკვლავს, რადიო მის გენიალობას ირწმუნებოდა.

სასიყვარულო ბუდის, სენ-სიმონის ციხესიმაგრის მშენებლობაზე ჰერსტმა მოიწვია ყველაზე მოდური არქიტექტორი — ჯულია მორგანი, რომელმაც პირველივე სიტყვით მოარტყა მიზანში: „მე ავაგებ სახლს, რომლის გვერდით ლუდვიგ ბავარიელის ციხესიმაგრეები ქოხებად მოგეჩვენებათ“.

და დაიწყო... მთელ ევროპაში ყიდულობდნენ არქიტექტურის შედევრებს — ანტიკურ კოლონებს, პანელებს, ძველეგვიპტურ ჭერის ფილებს, ქანდაკებებს, ბუხრებს... სატვირთო მატარებლებს 7 წლის მანძილზე ყოველდღიურად ჩაჰქონდა სენ-სიმონში ეგვიპტის ფარაონებისა და რომაელი იმპერატორების სასახლეთა ნაწილები. მორგანმა რამდენჯერმე გადააკეთა პროექტი და სტილთა საოცარი ნარევი შექმნა. როცა მშენებლობა დასრულდა, მატარებლებით და თვითმფრინავებით დაიწყეს სპილოების, ნიანგების, აფთრების, სირაქლემების, კოალების, ეგზოტიკური ფრინველების ჩამოყვანა: ჰერსტის და დევისის საკუთარი ზოოპარკი ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო აშშ-ში.

უიქ-ენდზე სენ-სიმონში ჩამოდიოდნენ: ჩაპლინი, ვალენტინო, ფერბენქსი, გლორია სვენსონი, მერი პიქფორდი, მოგვიანებით — მარლენ დიტრიხი, გრეტა გარბო, კლარკ გეიბლი, შირლი ტემპლი, ბრეტ დევისი და მრავალი სხვ. აქ სტუმრობდნენ ბერნარდ შოუ და ჩერჩილი...

ჰერსტი რომ კვდებოდა (ეს იყო 1951 წელს), მუდამ მთვრალი მარიონი ოთახებში დალასლასებდა და ვერავის ცნობდა. მას ეჩვენებოდა, რომ სახლში საშინელი ხმაურია სტუმრების საუბრის გამო, რაც მომაკვდავს ტანჯავს. მარიონი უკანასკნელ წუთამდე თავს ევლებოდა ძვირფას ადამიანს — კოვზით კვებავდა, სახეზე ოფლს უმშრალებდა.

გარდაიცვალა თუ არა ჰერსტი, მისმა ოჯახმა ნეშტი სან-ფრანცისკოში გადაასვენა ტრადიციული დაკრძალვისათვის. ცხადია, დევისი არავის მიუწვევია. ჰერსტის ცოლმა, რომელსაც მრავალი წელი არ ენახა ქმარი, ბოლოს და ბოლოს, სიამოვნებით მიიღო ისეთი სახე, თითქოს მარიონ დევისის სახელი პირველად ესმოდა.

მარიონი კი, ამბობენ, ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა დაუსრულებლად: „ჩვენ მოვასწარით, ყველაფერი გვეთქვა ერთმანეთისთვის. არ ვიტანჯები იმის გამო, რომ ვერ ვესწრები დაკრძალვას“.

ჰერსტის დაკრძალვიდან სამი თვის შემდეგ, 54 წლის მარიონ დევისი, რომელიც უკვე მძიმე ალკოჰოლიკი იყო, პირველად გათხოვდა — ცოლად გაჰყვა ძველ ნაცნობს. 1961 წელს გარდაიცვალა. როგორც მსახიობი, ის აღარავის ახსოვდა. გაზეთები მხოლოდ მის ფულზე, ლოთობასა და ჰერსტთან კავშირზე წერდნენ...

*ოგონიოკი №6*

# საბნებზე ამოქარგული ლეგენდები



ქვილიტი (დალიანდაგებული ან ნაკუწებისგან შეკერილი საბანი) ჩვეულებრივი გადასაფარებელი არ გახლავთ. ის არის მოგონებების ფარდაგი, სიყვარულის დასტური, სიმშვიდის მომნიჭებელი. ქვილიტის კერვის პროცესი ხშირად ზეიმად იქცევა ხოლმე. არის ისეთი ქვილიტებიც, რომლის შეკერვაზეც ერის ნახევარი დამაშვრალა.

ოდითგანვე, ამერიკელი დაიბადებოდა თუ არა, მას ქვილიტზე აწვენდნენ, როცა ამერიკელი კვდებოდა, ესეც ქვილიტის ქვეშ ხდებოდა. ქვილიტი პირველიდან უკანასკნელ დღემდე ამერიკელის თანამგზავრი იყო. მის ცხოვრებაში ამ დალიანდაგებულ, მოქარგულ გადასაფარებელს პირველი ადგილი ეკავა. ტრადიციულად, ქვილიტს ახალი ქსოვილისგან არ ამზადებდნენ. მის ზედაპირს ჩვეულებრივ ნაკუწებისგან, ნახმარი კაბების ნაგლეჯებისგან, ფქვილის, შაქრის, თამბაქოს ტომრებისგან კერავდნენ. საცვეთისთვის კი აუცილებლად მთლიან ქსოვილს ხმარობდნენ.

## თავლიდან საწოლ ოთახში

ქვილიტისათვის ტომრებს არღვევდნენ და თეთრ ქსოვილს მხიარულ ფერებად ღებავდნენ. ეს გაითვალისწინეს ფირმებმა და თავიანთ საქონელს ყვავილებით ან პატარა ცხოველებით ჩითავდნენ. ქვილიტში ყრიდნენ მატყლს, ბამბას: ვისაც ამის საშუალება არ ჰქონდა, მასში გაზეთებს აკერებდა. ასეთი საბნები ცოტა უხეში იყო, მაგრამ ზამთარში — თბილი. ცნობილი ქვილიტებისგან უძველესი — 1704 წლით თარიღდება. მას გაზეთების შიგთავსი აქვს. უამრავ ქაღალდს შორის არის ჰარვარდის უნივერსიტეტის ლექციების განრიგი.

ქვილიტის გამოსაკრავად ხშირად იყენებდნენ დარღვეულ და ერთმანეთზე გადაკერებულ ქერის ტომრებს. ისე რომ, ტომრებმა თავლიდან საწოლ ოთახებში შეაღწიეს.

ქვილიტების ზედაპირზე ამოქარგული ფიგურები გვამცნობენ სხვადასხვა ამბავს, მოვლენას ან გვაცნობენ პიროვნებებს. ქვილიტს იშვიათად კერავდა მარტოქალი. კერვის პროცესი ნამდვილი ზეიმი იყო. ქალები დილით ადრე იკრიბებოდნენ და როცა ერთნი მხიარული ხუმრობით ნემსებს აცეკვებდნენ, სხვები სამზარეულოში კერძებს ამზადებდნენ, აცხობდნენ. მერე მამაკაცები მინდვრიდან ბრუნდებოდნენ და დღე ნადიმით, ცეკვა-სიმღერით მთავრდებოდა. ასე იქმნებოდა „ალბომი-ქვილიტები“, რომელსაც ხშირად იმ ახალგაზრდა ოჯახს ჩუქნიდნენ, რომელიც დასავლეთში მიემგზავრებოდა. ეს ქვილიტი აგონებდა ახალგაზრდა წყვილს შინ დარჩენილ ოჯახის წევრებს, მეგობრებს...

## სიყვარულით ნაკერი

ხშირად არჩევნების დროს პოლიტიკოსები თავიანთ პორტრეტებს ქვილიტებზე აქარგვინებდნენ. 1861 წელს, როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, ქალები აგროვებდნენ ქსოვილის ნაკუწებს, ერთმანეთს აკერებდნენ და თავიანთ ნახელავს ფრონტზე ჯარისკაცებს უგზავნიდნენ. მარტო ჩრდილოეთის შტატის არმიისთვის დედებმა, დებმა, ცოლებმა 250.000 ქვილიტი შეკერეს. ხშირად მამაკაცებს ფრონტზე საბანზე მეტად ის სიყვარული ათბობდათ, რომლითაც ის იყო შეკერილი. ერთ-ერთ ქვილიტზე იყო ასეთი წარწერა: „ჩემი ვაჟი ომშია. ვისაც ჩემი ქვილიტი გაათბობს, რომელსაც 6 დღეღამე ვკერავდი, გაიხსენოს თავისი დედა“.

## 20.000-ნაწილიანი ქვილიტი

დღეს ძველი ქვილიტები ძვირად ფასობს. აუქციონებზე მათი ფასი ხუთ-ექვსნიშნა ციფრებამდე აღწევს. ქვილიტები დღესაც იკერება. შიდსის მემორიალი ქვილიტი იყო — თითოეული პატარა კვადრატი იმუნური სისტემის დასუსტებით გარდაცვლილის გახსენება გახლდათ. 1992 წელს მათი რიცხვი 20.000-ს უდრიდა. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბრიტანეთის პრინც უილიამსს დაბადების დღეზე, ძველი ამერიკული ტრადიციისამებრ, ქვილიტი მიართვა.

*შტერნი №8*

# ელისეევთა დინასტია



80-იან წლებში, როცა სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტს გრიგორი რომანოვი ხელმძღვანელობდა, ძალიან პოპულარული იყო ანეკდოტი ემიგრანტზე, რომელმაც მოხუცებულობაში მოინახულა თავისი ბავშვობის ქალაქი. როცა მას ჰკითხეს, რა ხდება ახლა ლენინგრადშიო, მიუგო, — არაფერი შეცვლილა. ქალაქს რომანოვი მართავს, ელისეევი ძველებურად ვაჭრობსო. მართლაც, ელისეევის მაღაზიებს ლენინგრადში, ნევის გამზირზე და მოსკოვში, გორკის ქუჩაზე საბჭოთა დროშიც მხოლოდ ელისეევის გასტრონომად მოიხსენიებდნენ.



...1813 წელს იაროსლაველი პეტრე ელისეევი პეტერბურგში დასახლდა და პატარა მაღაზია გახსნა. საქმე კარგად წაუვიდა და ორი წლის შემდეგ პეტერბურგის საბაჟოში საკუთარი საწყობიც კი ჰქონდა ღვინოების შესანახად. პეტრე ელისეევი 1825 წელს გარდაიცვალა და ვაჟიშვილებს მოზრდილი კაპიტალი დაუტოვა. 1857 წლიდან ძმების — სერგეის, გრიგორისა და სტეპანის სავაჭრო სახლს უკვე „ძმები ელისეევები“ ეწოდებოდა. ელისეევების გემებს საუკეთესო ღვინო ჩამოჰქონდათ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. ღვინის გარდა ვაჭრობდნენ ჩაით, ყავით, ბრინჯით, ზეთით, შაქრით, რომით... მათი საქონელი ძალიან ხარისხიანი იყო და ძვირიც ღირდა.

1896 წლიდან ფირმის ერთპიროვნული მფლობელი გახდა გრიგორის ვაჟი — გრიგორი-უმცროსი. იგი ყმაწვილობიდანვე სწავლობდა სავაჭრო საქმეს, მისი ძმა კი, საბანკოს. 1903 წელს ელისეევის სურსათის მაღაზიამ ბინა დაიდო ახალ შენობაში, რომელიც საამისოდ საგანგებოდ ააგეს. ზღვა ხალხი მიაწყდა იქაურობას. მყიდველები გაოცებულები ათვალიერებდნენ ქანდაკებებით, ბროლის ვიტრინებით დამშვენებულ დარბაზს, რომელიც სავსე იყო ეგზოტიკური ნუგბარით. გახსნიდან რამდენიმე დღის შემდეგ მაღაზიას ეწვია ვინმე მოხელე, რომელმაც განაცხადა, — მაღაზიის დახურვა მოგიწევთ, რადგან ეკლესიის მახლობლად სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა აკრძალულიაო.

სხვა რა გზა ჰქონდათ, მაღაზიას ერთ ღამეში უკანა მხრიდან გაუკეთეს ცალკე შესასვლელი სპირტიანი სასმელების განყოფილებაში.

ელისეევები აფინანსებდნენ საქველმოქმედო ფონდებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, 1913 წელს სავაჭრო სახლის არსებობის 100 წლისთავზე გრიგორი ელისეევმა საზეიმოდ წარმოთქვა — ჩვენ ერთგულად ვემსახურებოდით მართლმადიდებლობას, რუსეთის მეფესა და სამშობლოსო.

ოჯახის თავკაცს მაინცდამაინც საზეიმო განწყობა არ ჰქონდა. მისი 5 ვაჟიდან არც ერთს არ სურდა მამის საქმის გაგრძელება. უფროსი ვაჟი, ვისი განსაკუთრებული იმედიც ჰქონდა მამას, ფიზიოლოგ პავლოვის ლექციებმა გაიტაცა და ქირურგობა ისურვა. დანარჩენები იურისპრუდენციასა და აღმოსავლეთმცოდნეობაში მუშაობდნენ. გრიგორი ელისეევს, რა თქმა უნდა, შეეძლო ემოქმედა თავის ვაჟებზე, მაგრამ თვითონაც აეწეწა ცხოვრება — 50 წლისას 30 წლის ქმრიანი ქალი შეუყვარდა და ცოლთან გაყრა ინდომა, მაგრამ მისმა მეუღლემ არაფრით არ ისურვა გაყრა და თავის მოკვლით დაემუქრა მოღალატე ქმარს, რაც გააკეთა კიდეც. ვაჟები დედას მიემხრნენ, ცოლის დაკრძალვას ელისეევი არ დასწრებია და ორი კვირის შემდეგ ჯვარი დაიწერა საყვარელ ქალზე. მათ რუსეთი დატოვეს და საფრანგეთში დასახლდნენ. სავაჭრო სახლის „ძმები ელისეევების“ უკანასკნელი მფლობელი გ. ელისეევი 1949 წელს გარდაიცვალა პარიზში.

რევოლუციის შემდეგ „ძმები ელისეევების“ ქონების ნაციონალიზაციისათვის არაფერს შეუშლია ხელი. პატრონები აღარსად ჩანდნენ. შესაძლოა ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა პერიოდშიც კი ელისეევების გვარი ოფიციალური ისტორიიდან არავის ამოუშლია და სახელგანთქმულ გასტრონომიულ მაღაზიებს მოსკოვსა და ლენინგრადში ტრადიციული სახელი შერჩა.

*დენგი №10*

*P.S. „ელისეევსკის“ გასტრონომიული სურნელი, ცოტა ხნის წინ თბილისშიც დატრიალდა...*

# ისადილეთ ერთად!



ოჯახურ წრეში სადილობა და ვახშმობა მოზარდს იცავს დეპრესიისა და ფსიქიკური მოშლილობისგან — დაადგინეს ესპანელმა მეცნიერებმა. ისინი ამტკიცებენ, რომ ფსიქიკის მოშლა შეინიშნება იმ მოზარდებში, ვის ოჯახებშიც არ არის მიღებული ოჯახური სადილები და დღესასწაულების აღნიშვნა. გამოკვლევის შედეგები ეფუძნება 259 ადამიანის გამოკითხვას (14-დან 23 წლის ასაკის). ექიმი ელენ კომპან პოვედა აგრეთვე დარწმუნებულია, რომ მშობლებისა და ბავშვების ერთმანეთთან ურთიერთობის ნაკლებობა არღვევს მოზარდის განვითარებას და ხელს უშლის მას კრიზისის დაძლევაში გარდატეხის ასაკში.

***კომსომოლსკაია პრავდა №42***

# სანელებელიც, წამალიც...



პირშუშხას ფესვებში ძალიან ბევრი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება და ვიტამინია, როგორიცაა C, B, PP, კალიუმი, კალციუმი, ფტორი და რკინა. გარდა იმისა, რომ ეს მწარე და ცხარე სანელებელი კერძებს აძლევს პიკანტურ გემოს, სამკურნალოცაა.

გაციებისა და ბრონქიტის დროს სასარგებლოა ამოსახველებლად მივიღოთ პირშუშხას წვენის და თაფლის ნარევი (1:1); თირკმელების ტკივილის დროს პირშუშხა ბრწყინვალე შარდმდენი საშუალებაა, ხელს უწყობს ქვიშის გამოდევნას. რადიკულიტისა და სახსრების ტკივილის დროს წყალში გახსენით პირშუშხას წვენი, დაიზილეთ მტკივნეული ადგილები და შემდეგ თბილად შეიხვიეთ.

***ოტდოხნი! №11***



# გულძმარვის დროს არ მიიღოთ სოდა

სიმძიმე, გულძმარვა, პირში მომჟავო გემო... ეს შეგრძნება ჩნდება, მაშინ, როდესაც საყლაპავ მილში აღწევს კუჭის მჟავე წვენი. თავი რომ დავაღწიოთ ამ მეტად უსიამოვნო შეგრძნებას, სასურველია, არ გადავტვირთოთ კუჭი საჭმლით, განსაკუთრებით კი, ძილის წინ; სადილის შემდეგ არ დაიხაროთ, არ შეასრულოთ მძიმე სამუშაო. როდესაც კუჭის წვა აუტანელი ხდება, მიიღეთ ნებისმიერი ანტიციდი და არავითარ შემთხვევაში, საჭმელი სოდა, რადგან მისი ზემოქმედებით კუჭში ჩნდება ბევრი ნახშირორჟანგის გაზი, რომელიც ბერავს კუჭს და აძლიერებს გულძმარვას. თუ ძმარვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მიმართეთ ექიმს, რადგან გულის წვამ შეიძლება საყლაპავი მილის დაავადება გამოიწვიოს, იგი ასევე მიანიშნებს კუჭის პრობლემებზე.

***ზდოროვიე №4***

# ყველაფერი, რაც დაგაინტერესებთ...

**ყველი კბილებს ათეთრებს.** არა მარტო კბილის პასტას, არომატულ ელექსირებს ან უშაქრო საღეჭ რეზინს შეუძლია შეუნარჩუნოს კბილებს ჯანმრთელობა და სითეთრე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კბილის კარიესის მთავარი მტერი თურმე ჩვეულებრივი ყველი ყოფილა. ეს სასარგებლო და გემრიელი პროდუქტი შეიცავს ბევრ კალციუმსა და ფოსფორს, რომლებიც 2 საათის განმავლობაში რჩება კბილის მინანქარზე და იცავს მას მჟავებისაგან, რომელსაც გამოყოფს ტკბილი საკვები და სასმელი, მის გამო ბაქტერიებს აღარც შესწევთ გამრავლების უნარი და კბილები ქათქათა და ჯანმრთელი რჩება.

ასე რომ, ჭამის დამთავრებისთანავე მიირთვით ნებისმიერი ყველის პატარა ნაჭერი...

**ფეხმძიმეებო, მიირთვით თევზს!** დანიელი ექიმები ფეხმძიმე მანდილოსნებს ურჩევენ საკვებში გაურიონ რაც შეიძლება მეტი თევზი და ზღვის პროდუქტი. ამ დასკვნამდე ექიმები მივიდნენ კოპენჰაგენში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად. გამოკითხვაში მონაწილეობდა 8.000 ფეხმძიმე მანდილოსანი, რომელთა რაციონში ჭარბობდა თევზის პროდუქტები, ყველამ ჯანმრთელი ბავშვი შვა და მშობიარობამაც ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა.

**დაძაბულობა არც ისე ძნელი დასაძლევია.** დაძაბულობას ადვილად დავძლევთ, თუ: მივირთმევთ მზესუმზირას, შაქარყინულს, მოვიშველიებთ კრიალოსანს, ხელის სავარჯიშო რგოლს.

ფსიქიატრები გვირჩევენ: კარგია ზღვის ტალღებში ლივლივი, ქვიშის საათისთვის თვალის მიდევნება. აკვარიუმში თევზების ცურვაზე დაკვირვება, ანტისტრესული წამალია შოკოლადი — ერთი ფილა საკმარისია დეპრესიის შესასუსტებლად.

**თამბაქოს ბოლი იწვევს სიყრუეს.** ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი საშიშია სიგარეტის ბოლი სასუნთქი ორგანოებისთვის. სტაჟიან მწეველებს უმეტეს შემთხვევაში, აწუხებთ ბრონქიტი და დაქვეითებული აქვთ იმუნიტეტი. ექიმების ბოლო გამოკვლევებმა კი აღმოაჩინა, რომ უფრო ხშირად ყრუვდებიან მწეველები. სიყრუის დიდი რისკი უჩნდებათ პასიურ მწეველებსაც, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან მწეველთა ოთახებში, ოფისებში, კლუბებსა და ა.შ. მათ, თურმე დაყრუების ორჯერ მეტი შანსი აქვთ.

**თურმე თავის ტკივილს გენები იწვევს.** ამერიკელმა მეცნიერებმა შეძლეს იმის დამტკიცება, რომ თავისი ტკივილი მემკვიდრეობითი დაავადებაა. ექიმების შეფასების თანახმად შაკიკით, რომელიც მჟღავნდება თავის ქალის ერთ ნახევარსფეროზე პულსირებული ტკივილით, დაავადებულია პლანეტის მოსახლეობის 12%.

ავტორების აზრით, ეს გამოკვლევა ხელს შეუწყობს „დამნაშავის“ მოძებნას, ანუ შაკიკის გენის აღმოჩენას და მის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტური საშუალების შექმნას.

**განტვირთვის ექვსი დღე.** გახდომა გსურთ? აი, დიეტაც, რომელიც 6 დღეზეა გათვალისწინებული — პირველ ორ დღეს გაგიძნელდებათ, რადგან მოგიწევთ შიმშილი, რომლის დაძლევაშიც დაგეხმარებათ რძე (უნდა მიიღოთ დღეში არანაკლებ 1 ლ). შემდეგ 2 დღეს მიიღეთ ნებისმიერი მოხარშული ან უმი ბოსტნეული, კარტოფილის გარდა. ბოლო ორ დღეს შეგიძლიათ თავი გაინებივროთ ცხოველური ცილებით — კვერცხი, ყველი, ხაჭო, ცოტა ხორცი... ამ დიეტის დროს უარი უნდა თქვათ მარილზე, სანელებლებსა და ცხიმებზე. სამაგიეროდ, 6 დღეში 2-3 კგ-ს დაიკლებთ.

ეს დიეტა შეიძლება გაიმეოროთ 3-4 თვეში ერთხელ.

# ტვინმა რომ არ გიღალატოთ...



რთული და მძიმე გონებრივი სამუშაოს შესრულება ან გამოცდის ჩაბარება რომ გაგიადვილდეთ და გააუმჯობესოთ ტვინისათვის სისხლის მიწოდება, არსებობს რამდენიმე ხერხი: ენერგიულად დაიზილეთ ყურები ზევიდან ქვევით, გაიკეთეთ შუბლზე მასაჟი, შეეცადეთ ყურადღება მოიკრიბოთ და მიაღწიოთ კონცენტრაციას, დადექით ღია ფანჯარასთან და რამდენიმეჯერ ძალით დაამთქნარეთ — მიაწვდით რა ასე ორგანიზმს მეტ ჟანგბადს, ხელს შეუწყობთ გონებრივ აქტიურობას, თუ მაინც შედეგს ვერ მიაღწიეთ და გონება არ გამოფხიზლდა, მაშინ შეჭამეთ ფილა შოკოლადი, რომელიც დაგმუხტავთ ენერგიით, ხოლო მასში შემავალი სეროტონინი გააძლიერებს ტვინს იმპულსებით, რაც თავისთავად გააქტიურებს მის მუშაობას.

***ზდოროვიე***

# შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**დღეს ექიმები ხშირად სვამენ დისბაქტერიოზის დიაგნოზს. რა დაავადებაა ეს, რამ გამოიწვია მისი გახშირება და რით შეიძლება ვუმკურნალოთ?**

***ნათია ლელაშვილი***

ადამიანის ნაწლავებში ჩვეულებრივ ბინადრობს ორი სახის მიკროორგანიზმი: 1) სასარგებლო ანუ არაპათოგენური ბაქტერიები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციონირების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, 2) პათოგენური ანუ დაავადების გამომწვევი ბაქტერიები, რომლებიც ჩვეულებისამებრ დათრგუნულ მდგომარეობაში არიან.

დისბაქტერიოზის დროს ირღვევა თანაფარდობა არაპათოგენურ და პათოგენურ მიკროორგანიზმებს შორის და შედეგად აქტიურდება პათოგენური მიკროფლორა, რაც თავის მხრივ ნაწლავების ფუნქციონირების რღვევას იწვევს.

დისბაქტერიოზის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია ანტიბიოტიკების დაუდევარი ხმარება. სწორედ ამ მიზეზთან უნდა იყოს დაკავშირებული დისბაქტერიოზის შემთხვევათა გახშირება მოსახლეობაში. ანტიბიოტიკი მოქმედებს არა მხოლოდ ამა თუ იმ დაავადების გამომწვევ ბაქტერიაზე, არამედ ნაწლავური ფლორის არაპათოგენურ — სასარგებლო მიკროორგანიზმებზეც და არღვევს მიკროფლორის ჰარმონიულობას, რასაც შედეგად დისბაქტერიოზის განვითარება მოსდევს.

დისბაქტერიოზს იწვევს აგრეთვე ქიმიოთერაპიული პრეპარატებით მკურნალობა, მწვავე ნაწლავური ინფექციები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადებები, იმუნიტეტის შესუსტება, ქირურგიული ოპერაციები, კვების არასწორი რეჟიმი, ძალიან შეზღუდული დიეტა და შიმშილი, ვიტამინების ნაკლებობა.

დისბაქტერიოზის სამკურნალოდ გამოიყენება ბიოლოგიური პრეპარატები (ბიოფიდუმბაქტერინი, ბაქტისუბტილი, ლინექსი), რომლებიც შეიცავს ცოცხალ არაპათოგენურ ბაქტერიებს და ხელს უწყობს ნორმალური მიკროფლორის აღდგენას ნაწლავებში.

**თითქმის ყოველდღე გვესმის: კანცეროგენები, კანცეროგენები... იქნებ აგვიხსნათ, რა არის ეს და რატომაა საშიში ადამიანისთვის?**

***მკითხველი***

კანცეროგენები სხვადასხვა ქიმიური ბუნების მქონე ნივთიერებებია, რომლებიც სუფთა სახით ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებისას იწვევს სიმსივნის განვითარებას. სადღეისოდ კანცეროგენულ აქტივობაზე გამოკვლეულია მრავალი ათასი ქიმიური ნივთიერება.

კანცეროგენულ ნივთიერებებს მიეკუთვნება: აზბესტი, ბენზპირენი, ბენზოლი, ვინილქლორიდი, კადმიუმი და მისი ნაერთები, ქვანახშირისა და ნავთობის ფისი, საყოფაცხოვრებო ჭვარტლი, თამბაქოს ბოლი.

უნდა ვიცოდეთ, რომ ნივთიერების ცნობა კანცეროგენად არ ნიშნავს იმას, რომ მასთან შეხვედრა აუცილებლად დამთავრდება სიმსივნის განვითარებით. კანცეროგენის აღმოჩენა ადამიანის ირგვლივ, კერძოდ მის საცხოვრებელ ბინაში, მხოლოდ სიგნალია იმისა, რომ არსებობს სიმსივნის განვითარების რისკი. რეალური საშიშროება კი სხვა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორი: 1) ნივთიერების კანცეროგენული აქტივობა (ძალა) და 2) ადამიანზე მოქმედი ნივთიერების კონცენტრაცია (დოზა).

**ვარ 55 წლის. სიგარეტს არ ვეწევი. მუდმივად მაქვს წნევა 180/120. რამდენად საშიშია ასეთი წნევა? დაბალი წნევის დროს ცუდად ვხდები. როგორ მოვიქცე?**

***გ. მიმინოშვილი, ახმეტა***

ნუ ეხუმრებით წნევას! არტერიული ჰიპერტენზია (წნევა) ერთ-ერთი ყველაზე ვერაგი დაავადებაა, რომელიც არაერთ უმძიმეს გართულებას იწვევს.

სწორედ წნევის შედეგია გულის იშემიური დაავადება (სტენოკარდია — გულის ტკივილი და ინფარქტი), თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა, თირკმლების დაზიანება, გულის უკმარისობის განვითარება. მაღალი წნევის ფონზე გულს გაზრდილი დატვირთვით უხდება მუშაობა, ხდება მისი გადაძაბვა; მაღალი წნევა კარგი ნიადაგია სკლეროზული ცვლილებების განვითარებისათვის სხვადასხვა ორგანოში. განსაკუთრებით საშიშია ქვედა ანუ დიასტოლური წნევა (120 მმ ვწყ.სვ.). როცა დიასტოლური წნევა 130-ს ასცდება, შემთხვევათა უმრავლესობაში იწყება მწვავე იშემიური (სისხლის მიწოდების დარღვევა) პროცესები სკლეროზულად შეცვლილი სისხლძარღვების ფონზე.

მუდმივი მაღალი წნევა დიდი რისკის წინაშე აყენებს თქვენს ჯანმრთელობას. ორგანიზმის შეგუება ასეთ წნევასთან, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ზიანს არ მოგაყენებთ. როგორც ჩანს, თქვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფარულად გქონდათ მაღალი წნევა და ორგანიზმიც თანდათან გადაერთო ამ რეჟიმზე. ეს შეგუება დროებითია, ამიტომ გირჩევთ ექიმის კონსულტაციით დაიწყოთ ანტიჰიპერტენზიული მკურნალობა.

ორგანიზმი როგორც მაღალ წნევას შეეგუა, ასევე თანდათან შეეგუება ნორმალურ წნევასაც.

***თამარ მამაცაშვილი***

# ავტოსაბურავები იწვევს ასთმასა და ბრონქიტს?

ამერიკელმა და შვედმა სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის თანახმადაც გაირკვა, რომ ავტომანქანის საბურავები საკმაოდ საშიშია: მტვერი, რომელიც წარმოიშობა რეზინის შეხებით ასფალტზე, სერიოზულ დაავადებებს იწვევს.

მაგალითად, მხოლოდ შვედეთში ატმოსფეროში ყოველდღიურად გამოიყოფა დაახლოებით 10 000 ტონა რეზინის მტვერი. ლოს-ანჯელესში — 5 ტონამდე, მაშინ როცა ეს უკანასკნელი ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად ითვლება. მთელ მსოფლიოში ამ გამოდევნილი სიბინძურის რაოდენობა 1 მილიონ ტონაზე მეტია.

მარტივი გაანგარიშებით შვედმა მეცნიერებმა განსაზღვრეს, რომ ყოველდღიურად შვედეთის ჩვეულებრივი მოქალაქე ჩაისუნთქავს 6 გ რეზინის მტვერს, ხოლო ამერიკელი — 13 გ-ს.

გარდა ამისა, მაშინაც კი, როცა საბურავი არ მოძრაობს, იგი გამოყოფს ქიმიური ნივთიერებების უმნიშვნელო რაოდენობას, რომელთა შორის განსაკუთრებით მავნე კანცეროგენებია ბენზარსენი და სხვა პოლიარომატული ნახშირწყალბადები; აგრეთვე რეზინში არის ნიტროზამინის 4 სახეობა, რომელიც ძალიან საშიში შხამია.

მკვლევართა შეფასებით, რეზინის მტვერში არის მეტი კანცეროგენული ნივთიერება, ვიდრე ძრავების გამონაბოლქვ გაზებში, რომელიც აქამდე გარემოს დაბინძურების ტრადიციულ წყაროდ ითვლებოდა.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №52***

# ასე შევებრძოლოთ წლებს



ხშირად თანამედროვე ადამიანის ბიოლოგიური საათები მთელი 15 წლით წინ „უსწრებს“ თანდაყოლილ ბუნებრივ რიტმს. თუმცა, შეგვხვედრია ისეთი ადამიანიც, რომელიც ასაკთან შედარებით 10-15 წლით ახალგაზრდად გამოიყურება.

ისმის კითხვა, — რატომ ჩქარობენ ადამიანები დაბერებას?

სხეულის „ცვეთა“ მხოლოდ 40%-ით არის დამოკიდებული მემკვიდრეობითობაზე, 60% კი ორგანიზმის ჟანგვა-აღდგენით რეაქციის სიჩქარეზე. ამ რეაქციების შედეგად წარმოიქმნება ე.წ. თავისუფალი რადიკალები, რომლებიც ხელს უშლის უჯრედების აღდგენას. სწორედ ეს პროცესი უნდა ვაკონტროლოთ. თავისუფალი რადიკალები წარმოიქმნება გარემომცველი აგრესიული ფაქტორების საპასუხოდ, რათა დაიცვას ორგანიზმი მთავარი მტრების — ჭუჭყიანი ჰაერის, ულტრაიისფერი გამოსხივების, ტოქსინებისა და პესტიციდებისგან. რა თქმა უნდა, შეიძლება ამ პროცესის დამუხრუჭება სამწლიანი პროგრამით, სადაც მნიშვნელოვანია პრინციპი: რა არ მივიღოთ და რამდენი, არამედ რამდენად ხშირად.

1. დაიცავით „ახალგაზრდობის დიეტა“ — ეს გახლავთ ცხოველური ცხიმების მიმართ (არაჟანი, რძე, კარაქი, ხორცი) გონივრული დამოკიდებულება. ამ პროდუქტების ზომიერი რაოდენობით მიღება არის ანტიოქსიდანტური დაცვის მთავარი წყარო.

2. მას, ვინც დღეში ორჯერ ჭამს, დღეგრძელობის დიდი შანსი აქვს. დღისით ჭამა სჭირდება ტვინს და არა სხეულს. მისი გამოტოვება აიძულებს ტვინს, იმუშაოს მეტი დატვირთვით (ორგანიზმი კი, ამ დროს დაღლილობის შედეგებისგან იცავს თავს თავისუფალი რადიკალების დახმარებით), სამჯერადი კვების დროს კი, ეს არ ხდება.

3. დღეში ერთი ვაშლი მაინც შეჭამეთ.

რაც უფრო მეტად უხარია ადამიანს სიცოცხლე და ერევა გრძნობებს, დღეგრძელობის მეტი შანსი აქვს.

ექიმებისგან ხშირად გაიგონებთ, ადამიანის კუნთოვანი სისტემა არათანაბრად არის გადატვირთული, სკამზე ჯდომაც კი მუშაობააო. მაგ. კომპიუტერთან მეტისმეტადაა დაძაბული კისერი და მარჯვენა ხელი. ამიტომ, უნდა გამოვრიცხოთ ერთგვაროვანი დატვირთვა.

როგორი სახის სამუშაოთიც არ უნდა იყოს ადამიანი დაკავებული (გონებრივი, ფიზიკური და ა.შ.), დღეში ორჯერ ნახევარ-ნახევარი საათით მაინც უნდა დაისვენოს. თუ სამსახურში ხართ, უნდა ადგეთ და 5 წუთი მაინც იაროთ... კიბეზე. თანაც კიბეზე დაშვება უფრო სასარგებლოა. შინ ყოფნისასაც იარეთ, ოღონდ... ოთხზე! ხერხემლისთვის ეს იგივეა, რაც ცურვა.

***ლიზა-გოროსკოპი №4***

# გაისინჯეთ პულსი!



პულსით ფსიქოლოგი ადამიანის ორგანიზმის არა მარტო ფიზიოლოგიურ მდგომარეობას შეიტყობს, არამედ — ხასიათს, ტემპერამენტს განსაზღვრავს.

მშვიდი და მაგარი ნერვების ადამიანებს რიტმული პულსი აქვთ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიჰყავთ, ზოგჯერ ახლობლებს სიჯიუტითაც კი აშინებენ. ძლიერ, მაგრამ იმავდროულად ფიცხ ადამიანებს გულის რიტმის მოკლე დარტყმები აქვთ (ამ პულსის მატარებელნი შესაძლებელია, ეწეოდნენ ანდა სასუნთქი ორგანოები აწუხებდეთ). ასეთები არ არიან სიტყვის პატრონები.

ძლიერი, არარიტმული, ქაოსური პულსი, მკვეთრი დარტყმებით მიანიშნებს ადამიანის ფეთქებად ხასიათზე — იმაზე, რომ არის სკანდალური, უყვარს მაგარი სასმელები, უპირატესობას ანიჭებს ხორციან და ცხარე საჭმელს, არ ეტანება სპორტს, არ უყვარს მოძრაობა — მას დარღვეული აქვს ნივთიერებათა ცვლა.

კეთილ, თავმდაბალ, მგრძნობიარე ადამიანებს მშვიდი, რიტმული პულსი აქვთ. მათი უარყოფითი თვისებაა: ინერტულობა, სიზარმაცე, ზოგჯერ პედანტურობა. წყნარი არარიტმული პულსი აქვთ მერყევ, სუსტნებისყოფიან, ემოციურ, არამდგრად, დეპრესიისკენ მიდრეკილ ადამიანებს.

სუსტი, ქაოსური პულსი აქვს სუსტი ნერვების პატრონებს, ავადმყოფებს, ხნიერებს, გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულებს, ენდოკრინოლოგიური პრობლემების მქონეთ. ქაოსური პულსი აქვთ აგრეთვე ნარკომანებს, ალკოჰოლიკებს, ანდა სტრესების გადამტან ადამიანებს.

*მეგაპოლის-ექსპრესი №9*


ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**



ოპერაციის გარეშე!!!
პლანტა
საგვარეულო მცენარეული ნაკრები
- ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური);
- ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები;
- კენჭოვანი დაავადებები;
- კისტა, ფიბრომა-მიომა;
- მასტოპათია (ფიბროადენომა)

მის: ქავთარაძის 16, ოთ. 431
☎ 877 49 61 48





სისხლში შაქრის საზომი აპარატები
სერტიფიცირებულია
კომპლექტი 95ლ
შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.
შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55



მიოზიტი, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი (მარილები), სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება, კისერმრუდობა), თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით: მანუალური თერაპია, ტრენაჟორები, მექანოთერაპია, აერობიკა.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფო (ყოფ. მიხაილოვის), I სართ, მანუალური თერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08



Frenkiel Diagnostics

ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“
გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა
☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე**


საშვილოსნოს ყელის ეროზია — საშვილოსნოს ეპითელიუმის (ამომფენი ქსოვილი) მთლიანობის დარღვევაა. პათოლოგია შეიძლება თვეების და ზოგჯერ წლის მანძილზე ისე არსებობდეს, რომ ადამიანი არ შეაწუხოს. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ყველა ქალის პროფილაქტიკური გასინჯვა გინეკოლოგთან წელიწადში ორჯერ.

საშვილოსნოს ყელის ეროზია შეიძლება გამოწვეული იყოს: შინაგანი სასქესო ორგანოების ანთების — საშვილოსნოს ეპითელიუმის მექანიკური ან ქიმიური დაზიანების შედეგად, ასევე ენდოკრინოლოგიური დარღვევების და სხვათა მიზეზით. ამიტომაც მკურნალობა, გამომწვევი მიზეზის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია.

დასაწყისში ექიმი მედიკამენტოზურ მკურნალობას ნიშნავს, რასაც ფიზიოთერაპიულ პროცესებს უმატებს, განსაკუთრებით, თუკი ქალი ახალგაზრდაა და ნამშობიარები არ არის. ასეთი სახის მკურნალობა აუცილებლად ზედმიწევნით ზუსტად უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი შესაძლოა არასასურველი იყოს.

გაითვალისწინეთ! დაავადება სიმსივნური პროცესების განვითარების წინარე დაავადებად ანუ რისკ-ფაქტორად ითვლება. ამიტომაც, თუკი 3 თვის მანძილზე საშვილოსნოს ყელის ეროზიის შეხორცება არ მოხერხდა, აუცილებელია მკურნალობის ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა: ელექტროდიათერმოკოაგულაცია, ელექტროკონიზაცია ან სხვა ქირურგიული მკურნალობის მეთოდები.

საშვილოსნოს ყელის ეროზიის არსებობისას შეუძლებელი ხდება საშვილოსნოში ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების შეყვანა (სპირალი), რადგანაც ამან შესაძლოა საშვილოსნოში ანთებითი ცვლილებები გამოიწვიოს. გარდა ამისა, პათოლოგიის არსებობისას არასასურველია მშობიარობა და აბორტები.

ხანგრძლივი პათოლოგიური პროცესის არსებობისას საშვილოსნოს ყელი რთულ და სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. ასეთი შეცვლილი საშვილოსნო მშობიარობის დროს ძლიერ ზიანდება, ჩნდება ნახეთქები. ზოგიერთი ამის შემდეგ პლასტიკურ ქირურგიას მიმართავს, თუმცაღა ამას შესაძლოა მხოლოდ კოსმეტიკური ეფექტი მოჰყვეს. თავად ქალი კი ბუნებრივი გზით ველარ შეძლებს მშობიარობას! ამასთან, ამ დროს შეუძლებელი ხდება სპირალის ჩადგმაც, რადგან საშვილოსნო ძლიერ დეფორმირებულია.

მედიკამენტოზური მკურნალობის დანიშვნისას (ან სხვა მეთოდით მკურნალობისას) ექიმები, როგორც წესი, პაციენტს ჰიგიენურ რეკომენდაციებს აძლევენ სქესობრივ ცხოვრებასთან

# ქალური პრობლემები



დაკავშირებით. მაგ., ქირურგიული ოპერაციის შემდეგ მკაცრად აკრძალულია სქესობრივი კონტაქტი, სანამ ექიმი არ დარწმუნდება, რომ ქსოვილი საბოლოოდ შეხორცდა. ეს პროცესი კი შესაძლოა 1-დან 6 თვემდე გაგრძელდეს.

სამწუხაროდ, ქალები ხშირად ექიმის რჩევას არ ითვალისწინებენ, რაც შემდგომი სერიოზული გართულებების საბაბი ხდება. სქესობრივი ცხოვრების დროს ზიანდება ის საფარი, რომელიც ელექტროდიათერმოკოაგულაციის შედეგად წარმოიქმნება. სისხლძარღვები სისხლმდენი ხდება.

გარდა ამისა, შესაძლოა მოხდეს ჭრილობის ინფიცირებაც. ეს კი რეციდივის მიზეზი ხდება, რასაც ანთებითი პროცესის საშვილოსნოზე, საკვერცხეებში, კვერცხსავალ მილებზე გავრცელება მოჰყვება. ამის საბოლოო შედეგი ძალზე სერიოზულია — უშვილობა!

შესაძლებელია სხვა გართულებებიც. მკურნალობის პროცესში მენსტრუაციული ციკლის შემდეგ საჭირო ხდება პათოლოგიური პროცესის გაკონტროლება, გარდა ამისა, ამ დროს აკრძალულია სქესობრივი ცხოვრება, ორსულობა, აბორტი.

საშვილოსნოს ყელის ეროზიისათვის ზოგჯერ დამახასიათებელია — ლორწოვანი, ჩირქოვანი, ზოგჯერ კი სისხლიანი გამონადენი, განსაკუთრებით სქესობრივი კონტაქტის შემდეგ.

გაითვალისწინეთ! ეროზიის დროული მკურნალობა თავიდან აგაცილებთ სერიოზულ გართულებებს.

**საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ანთება — ენდომეტრიტი** ხშირად მშობიარობის შემდეგ ვითარდება. მისი მიზეზი შეიძლება ძველი დაავადების გამწვავების, საშვილოსნოს არასრული შეკუმშვის (ჰიპოტონიის) ან საშვილოსნოს ღრუში მომყოლის ნაწილების დარჩენის შედეგად განვითარდეს.

მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტის სამკურნალოდ გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო (ანტიბაქტერიული) და საშვილოსნოს შესაკუმში საშუალებები.

იმ შემთხვევაში, თუ მომყოლის ნარჩენების გამოძევება არ მოხდა, დაავადების ქვემწვავე სტადიაში საშვილოსნოს გამოფხეკას მიმართავენ.

მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტი სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებს.

**საკვერცხეების კისტები** სხვადასხვაგვარია: ფოლიკულური, ყვითელი სხეულის, დერმოიდული და ენდომეტრული. ისინი ჩნდება ორგანიზმში ინფექციისა და ჰორმონალური დარღვევების შედეგად.

ფოლიკულური და ყვითელი სხეულის კისტა მკურნალობის შემდეგ ხშირად გაიწოვება. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა ხელახლა გაჩნდეს. თუ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო ან კისტა დიდი ზომისაა, აკეთებენ ოპერაციას. თუ საკვერცხის ნაწილი ჯანმრთელია, ოპერაციის დროს იღებენ მხოლოდ კისტას, მაგრამ როცა საკვერცხე კისტოზურად მთლიანად გადაგვარებულია, საკვერცხეს მთლიანად ამოკვეთენ. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია მრავალჯერადი ნორმალური ორსულობა და მშობიარობა.

***მაია მუხიგული***

# რაც სასარგებლოა, ის შესაძლოა მავნეც იყოს



ინგლისელი ვეგეტარიანელები შეაშფოთა გლაზგოს უნივერსიტეტის მეცნიერთა განცხადებამ, რომ კომბოსტოს, კარტოფილის და მწვანილის დიდი რაოდენობით მირთმევას შესაძლოა ცუდი შედეგი მოჰყვეს. კერძოდ, ბოსტნეულსა და ხილში წარმოქმნილი ნიტრატები კუჭის კიბოს იწვევს. განსაკუთრებით ბევრ ნიტრატს შეიცავს სათბურებში მოყვანილი პროდუქტები. მეცნიერები ჯერ მხოლოდ ცდილობენ ბოსტნეულისგან სიკვდილიანობის მექანიზმის გამოცნობას. კბილის ექიმებმა კი, სრული პასუხისმგებლობით განაცხადეს, რომ ვაშლი კბილების მტერია. თურმე, მისი სიმჟავე შლის მინანქარს და ამ ხილის ჭამის შემდეგ აუცილებელია პირის ღრუს გამორეცხვა. ბოლო დროს გამოყვანილია ვაშლის ახალი ჯიშები, რომლებშიც შაქრის შემცველობა აღემატება 15%-ს, რაც 4 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილის ტოლია. ექიმები ბავშვებს ურჩევენ წყალში გაზავებული ხილის წვენები სვან ეროზიისგან კბილების დასაცავად. აქამდე ცნობილი იყო, რომ ვაშლი მდიდარია C ვიტამინით. არადა, ზოგი ჯიში, რამდენიმე თვის შენახვის შემდეგ სრულიად კარგავს C ვიტამინს.

***ჯენტი***

# იცით თუ არა, რომ...

— სიყვარულის ვაშლი ანუ პომიდორი უხსოვარი დროიდან, როგორც ამას მეცნიერები ირწმუნებიან, ჩვ.წ.ალმდე V ს-ში იყო ცნობილი პერუელი ინდიელებისათვის. იგი ევროპაში ამერიკის აღმოჩენის შემდეგ მოხვდა. იტალიაში XVI ს-ში შეიტანეს, ცოტა მოგვიანებით კი — საფრანგეთში, სადაც მას „პომი დ’ ამურ“ — სიყვარულის ვაშლი უწოდეს, ალბათ ფორმითა და ფერით გულთან მსგავსების გამო.

— ევროპაში სიმინდის გამოჩენასაც ქრისტეფორე კოლუმბს უნდა ვუმადლოდეთ.

ესპანეთიდან ჩამოტანილი მცენარე ძალიან მალე გავრცელდა არა მარტო მთელ ევროპაში, არამედ აზიასა და აფრიკაში და მთელ მსოფლიოში ხორბლისა და ბრინჯის შემდეგ იქცა მესამე საკვებ პროდუქტად.

***ვოკრუგ სვეტა***


MEDI
მედი



უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია

კონტურული მაკიაჟი
თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე

სახის კანის გაახალგაზრდავება, ნაოჭების გასწორება
ოქროს ძაფებით, ბოტოქსის ინექციებით

ალ. ყაზბეგის გამზ №1 25-02-02 93 89 75

# შავი ზღვა — ნატოს პლაცდარმი?

ნატოში მოხვედრის იმედი აქვს ათ ქვეყანას. ალიანსში შესვლა, მათი აზრით, ხელს შეუწყობს მსოფლიოს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, კიდევ უფრო გააქტიუროს ტერორიზმთან ბრძოლა. ბუქარესტში გამართულ შეხვედრაზე ბალტიისპირეთის სამი ქვეყნის, სლოვენიის, სლოვაკეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ხორვატიის, ალბანეთისა და მაკედონიის მთავრობათა მეთაურებმა განაცხადეს, რომ აქტიურად იბრძოლებენ ტერორიზმის აღმოსაფხვრელად. მისასალმებელ დეპეშაში ბუშმა ხაზგასმით აღნიშნა, — 2002 წლის ნოემბერში პრაღაში გამართულ სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ისტორიულ ნაბიჯს გადადგამს იმ საზღვრე-



ბის მოსაშლელად, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ძველ კონტინენტზეო. ამგვარად, წლეულს ადგილი ექნება ალიანსის უპრეცედენტო გაფართოებას, რომლის მასშტაბებს ვერავინ წარმოიდგენდა 11 სექტემბრის მოვლენებამდე.

დასავლეთმა არ გაიზიარა კრემლის „შეშფოთება“ ნატოში ბალტიისპირელებისა და თავისი დანარჩენი ყოფილი ვასალების შესვლის გამო. ამერიკის აზრით, ნატოს გაფართოება სამხრეთის მიმართულებით განამტკიცებს რეგიონში სტაბილურობას და ხელს შეუწყობს ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლას.

***ნოვაია გაზეტა №12***

# ჰაველი მიდის

ვაცლავ ჰაველი 1989 წლის ჩეხოსლოვაკიის უსისხლო, „ხავერდოვანი რევოლუციის“ მთავარი მოქმედი გმირია და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ მას მერე პრეზიდენტის სავარძელი უკავია. მან მაღალი ინტელექტისა და კარგი პოლიტიკური ალღოს შეხამებით, შეძლო დისიდენტიდან თანამედროვე პოლიტიკურ ლიდერამდე „გაზრდილიყო“. მართალია, ჩეხეთში პრეზიდენტს საკმაოდ შეზღუდული ძალაუფლება აქვს, მაგრამ ყველა ძირითადი საკითხი სწორედ ჰაველის ჩარე-



ვის შემდეგ წყდება. თუმცა რეალური ძალაუფლება მემარჯვენე პოლიტიკოსის, პარლამენტის ლიდერის ვაცლავ კლაუსისა და მემარცხენე სოციალ-დემოკრატის, ქვეყნის პრემიერის მილოშ ზემანის ხელშია, სწორედ ჰაველი არის ის პოლიტიკოსი, ვისაც შეუძლია ამ ორი, სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკოსის მორიგება. ჰაველს მოსახლეობის 51% უჭერს მხარს. მიუხედავად ამისა, მან უკვე განაცხადა, რომ გაისიდან არათუ პრეზიდენტის პოსტს, არამედ ქვეყანასაც დატოვებს. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ის არის, რომ ჰაველი... ადამიანია და მისთვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო. 1996 წელს მას გარდაეცვალა მეუღლე. იმ დღიდან ერთი წელიწადიც არ იყო გასული, რომ ცოლად შეირთო 20 წლით უმცროსი მსახიობი დაგმარ ვეცკრნოვა. ჩეხებისთვის კარგად იყო ცნობილი ჰაველის სუსტი სქესისადმი „კეთილგანწყობა“, მაგრამ ამ ფაქტმა მაინც ყველა აღაშფოთა. პრესაში გამოჩნდა იმ ვიდეოფილმების კადრები, სადაც დაგმარი დედიშობილა იწონებს თავს ობიექტივის წინაშე. დაიწყეს მისი ყოფილი საყვარლების მოგონებების ბეჭდვაც. ვაცლავის რეპუტაცია შეირყა. ამას დაერთო კონფლიქტი ძმასთან. მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტებმა ვაცლავების ოჯახს ჩამოართვეს ლუცერნას სასახლე, რომელიც პრაღის ცენტრში დგას. პოსტკომუნისტურმა მთავრობამ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება დაიწყო. ძმებმა სასახლე ვერ გაიყვეს. დავა იმდენად გამძაფრდა, რომ სასამართლოში (სადაც სასახლის გაყოფის საქმე განიხილებოდა) ძმები ჰაველების ცოლები ერთმანეთს ხელითაც კი შეეხნენ.

თუმცა მხოლოდ ეს ფაქტები არ არის მიზეზი იმისა, რომ ჰაველი ქვეყნის დატოვებას გეგმავს. „სტაჟიან მწეველ“ ვაცლავ ჰაველს 1996 წელს ცალი ფილტვი ამოჰკვეთეს. ექიმებმა ურჩიეს, წლის უმეტესი ნაწილი თბილ ქვეყნებში გაატაროს. სწორედ ამიტომ ჰაველმა პორტუგალიის სანაპიროზე მშრალი, თბილი კლიმატით ცნობილ პატარა საკურორტო ქალაქ ალგარვიში ვილა შეიძინა. იგი მემუარების დაწერას აპირებს და ოცნებობს იმ დღეებზე, როდესაც ვერანდაზე მჯდომი, ცოლთან ერთად ყავას მიირთმევს და ზღვის წარმტაცი ხედით დატკბება. მაგრამ საკითხავია, შეძლებს კი ჰაველი პოლიტიკის გარეშე ცხოვრებას ანდა გაძლებს ჩეხეთი უჰაველოდ?

***ნიუ ზუიქი***

# ჟურნალისტების მთავარი მეგობარი

აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში ორი ღირსშესანიშნავი მოვლენა დაემთხვა ერთმანეთს. ჯერ ქვეყნის პრეზიდენტი ჰაიდარ ალიევი ოფიციალურად გამოაცხადეს ჟურნალისტების ყველაზე დიდ მეგობრად, მერე — პოლიციამ ხელჯოხებით დაარბია 26 პოლიტიკური პარტიის არასანქცირებული მიტინგი, რომელზეც პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას ითხოვდნენ.



შესაძლოა ვინმეს მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობა უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ არა აზერბაიჯანული პრესის პროფესიონალებს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე აზერბაიჯანის პრესის თავისუფლების შესახებ მოხსენების გაკეთებამდე, ალიევმა თავისთან მიიწვია დიდი გაზეთებისა და საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელები. პრეზიდენტის მითითებით, გაზეთების მრავალმილიონიანი ვალი, რომელიც მათ სახელმწიფო გამომცემლობა „აზერბაიჯანისა“ მართებთ, „გაყინეს“. ამას მოჰყვა ის, რომ აზერბაიჯანელ ჟურნალისტთა დამცველმა კომიტეტმა „რუხმა“ გამოკითხვა ჩაატარა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელთა შორის და მათ ერთხმად აღიარეს — ყველაზე კარგად გვიცავს ჰაიდარ ალიევი, ამიტომაც ის ჩვენი მთავარი მეგობარიაო.

აზერბაიჯანში სიტყვისა და პრესის ასეთი თავისუფლება არასოდეს ყოფილაო, — განაცხადა კმაყოფილმა პრეზიდენტმა, თუმცა ჟურნალისტებს ისიც ურჩია, — კარგად მოიქეცით, თორემ მეგობრობა არასოდეს არ არის ცალმხრივიო.

ჟურნალისტებს მალე მიეცათ ყოფაქცევაში „ფრიადის“ მიღების საშუალება. მათ არ გააშუქეს მიტინგი. თუმცა რიგით მოქალაქეებამდე თითქმის არანაირი ცნობა არ მიდის, რადგან გაზეთები მოსახლეობისათვის გაუგებარ ლათინურ შრიფტზეა გადაყვანილი, ტელევიზია კი დიდი ხანია ზედმეტს არაფერს ამბობს. ისე რომ, პრეზიდენტის ფრაზა — მინდა ყოველთვის თქვენს მეგობრად დავრჩეო, ახდენილი სურვილია.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №12***

# რუსეთზე საშიში მისი კრახია

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის თქმით, რუსები საგარეო პოლიტიკაში დიპლომატიაზე უფრო კვლავაც უპირატესობას ანიჭებენ სამხედრო პოტენციალს, ეკონომიკაში კი მაღალ ტექნოლოგიებს ნედლეულით ვაჭრობას ამჯობინებენ. მაგრამ ეს ვერ იცავს რუსეთს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებზე შექმნილი საფრთხისგან.

რუსეთი უახლოეს მომავალში ნატოში არ შევა, მაგრამ ძალზე სასურველია რუსეთ-ნატოს მხოლოდ ერთობლივი კონსულტაციების მოქმედების რეჟიმი და არა გადაწყვეტილებების მიღება.

როგორც ჩანს, ზბიგნევ ბჟეზინსკიმ რუსეთზე აზრი ორი მიმართულებით შეიცვალა. მისი ვარაუდით, ის წარმოადგენს საერთოდ დასავლეთისთვის და კერძოდ, ევროპისთვის საფრთხეს, და მეორე — თავად ხდება ჩინეთისა და ისლამის მხრიდან აგრესიის ობიექტი, რაც მას, როგორც გეოპოლიტიკურ რეალობას, გაქრობით ემუქრება. ეს კი დასავლეთისთვის ძალზე სახიფათო და მიუღებელია.

***ველტი №45***

# ბინ ლადენზე ინფორმაციაში ცხვრის ფარას იძლევიან

პენტაგონმა გადაწყვიტა, დასაჩუქრების სრულიად ახალი ფორმა შემოიღოს. დაპირებული 25 მლნ დოლარის ნაცვლად ის პირი, ვინც ნომერ პირველი ტერორისტისა და მისი ახლობლების ადგილსამყოფელს შეატყობინებს ხელისუფალთ, მიიღებს საქონელს, ცოტაოდენ ადგილობრივ ფულსა და ჭის ამოსათხრელად დახმარებას. ერთი შეხედვით, ეს თითქოს უაზრობაა, სინამდვილეში კი ავღანელებს ამგვარი ბარტერი ხელს აძლევთ. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ფულად ჯილდოს ავღანელები როგორღაც ვერ აცნობიერენ და ვერც მისი მოხმარების გზებს ხედავენ, ამიტომაც ცხვრის ფარას ამჯობინებენ. თუმცა, ჯერჯერობით არც ამ ჯილდოს მსურველი ჩანს, რადგან პოტენციურ ინფორმატორებს არა აქვთ იმის იმედი, რომ მათი სახელი არ გამჟღავნდება და მაშინ ცხადია, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდებათ „ოჯახური კეთილდღეობა“.

***ვაშინგტონ თაიმსი***

# ტერორისა და ბერლუსკონის წინააღმდეგ

1999 წელს მოკლეს იტალიის შრომის მინისტრის მრჩეველი მ. დ'ანტონი. ტერაქტზე პასუხისმგებლობა იკისრა „წითელმა ბრიგადებმა“. მიუხედავად ამისა, იტალიაში მაინც არ დაიჯერეს, რომ ეს ორგანიზაცია აღდგა. რამდენიმე კვირის წინ ეს ეჭვი გაქარწყლდა, ბოევიკების მორიგი მსხვერპლი კვლავ შრომის მინისტრის მრჩეველი მარკო ბიაჯი გახდა. მკვლელებმა რიტუალი ჩაატარეს — მოკლულთან განსაკუთრებული ნიშანი დატოვეს, გაზეთებს და რედაქციებს კი 26-გვერდიანი დოკუმენტი გაუგზავნეს — სასამართლო ბრალდება და განაჩენი, აგრეთვე შეტყობინება განაჩენის აღსრულების თაობაზე.

ამჟამად იტალია კვლავ განიცდის კრიზისს. რომში გაიმართა ქვეყნის ისტორიაში უდიდესი მანიფესტაცია. მშრომელთა პროტესტი მიმართული იყო როგორც ბერლუსკონის მთავრობის სოციალური პოლიტიკის, ასევე ტერორიზმის ახალი ტალღის წინააღმდეგ. მანიფესტაციაში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 2 მლნ ადამიანი მონაწილეობდა. მანიფესტანტები პროფკავშირების მეთაურობით გამოვიდნენ ბერლუსკონის კაბინეტის მიერ მომზადებული იმ რეფორმის წინააღმდეგ, რომელიც მნიშვნელოვნად გააადვილებს მუშებისა და მოსამსახურეების სამსახურიდან დათხოვნას. პროფკავშირებმა, რომელიც იტალიაში 12 მლნ ადამიანს აერთიანებს, გადაწყვიტა ძალა აჩვენოს არა მარტო მთავრობას, არამედ ტერორისტებსაც. „წითელი ბრიგადები“ შესაძლოა იტალიის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცეს ისევე, როგორც ეს იყო 70-იან წლებში... მაშინ „კომუნისტური პარტიის წითელმა ბრიგადებმა“ 117 ადამიანი იმსხვერპლეს, მათ შორის ცნობილი პოლიტიკოსი ალდო მორო. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ იტალიაში შექმნილი სიტუაცია ხელს უწყობს ტერორიზმის დაბრუნებას და სოციალურ ომს. ბერლუსკონის მთავრობას ეს კარგს არაფერს უქადის. იტალიელები იხსენებენ, რომ 1994 წელს რომში გამართულმა მილიონიანმა დემონსტრაციამ საპენსიო რეფორმების წინააღმდეგ მთავრობის კრახი გამოიწვია. მთავრობას მაშინაც სათავეში მილიარდერი სილვიო ბერლუსკონი ედგა.



***ვლასტი №11***

# მოკლედ

**ასოშიეიტედ პრესის ცნობით**, მუსლიმი ტერორისტების შემდეგი სამიზნე შეიძლება ინდოეთის კულტურის ძეგლები გახდეს. პაკისტანის ექსპერიმენტულმა დაჯგუფებამ განაცხადა, რომ ააფეთქებს თაჯ-მაჰალის მავზოლეუმს, მინარის კოშკს და სხვ. ძეგლებს გაძლიერებულად იცავენ.

**როიტერი** იტყობინება, რომ აშშ-ის მოქალაქე ქალბატონი უოლ ფანკი თანახმაა გადაიხადოს 2 მლნ დოლარი კოსმოსში 7-დღიანი ფრენისთვის. კოსმოდრომი მდებარეობს პოლინეზიის კუნძულებზე, ტონგის სამეფოში. ადრე ტონგის პატარა სახელმწიფო მხოლოდ რაგბის გუნდით იყო ცნობილი, ახლა კი შეიძლება კოსმოსური ტურიზმის საკუთარ ინდუსტრიაზეც იფიქროს.

**სამმა ინგლისელმა ქალბატონმა**: ენ დენიელმა, პომ ოლივერმა და კეროლაინ ჰემილტონმა სტარტი აიღო კანადის კუნძულ უორდ ჰანტიდან. ისინი ფეხით მიემართებიან ჩრდილოეთ პოლუსისკენ და იმედოვნებენ, რომ 60 დღეში გაივლიან დაახლოებით 760 კილომეტრს. სპორტსმენები, რომელთაგან ყველაზე უფროსი 50 წლისაა, ამ ექსპედიციისთვის 9 თვე ემზადებოდნენ.

**ჩეჩნეთში** უჩვეულო ამბავი მოხდა — აქაურებმა უკმაყოფილება გამოთქვეს არა ფედერალების, არამედ მეზობელი ინგუშების მიმართ. ნადტერეჩნის რაიონის მეთაურმა ა. ზავგაევმა ინგუშები ჩეჩნეთის მიწების მიტაცებაში დაადანაშაულა და მალგობეკისა და სუნჯინის რაიონების დაბრუნება მოითხოვა. ზავგაევი აცხადებს, რომ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რეგიონში შეიძლება კიდევ ერთი ომი დაიწყოს.

# მობრძანდით ქურთისტანში

ჩრდილოეთ ერაყის მოსახლეობა იმედოვნებს, რომ თუკი ამერიკელები სადამ ჰუსეინს ჩამოაგდებენ, მათ ტერიტორიას, რომელიც ქურთებითაა დასახლებული და 11 წელიწადია ფაქტობრივად დამოუკიდებელია, შესაძლოა ავტონომიის უფლება მიენიჭოს. ქურთისტანის მთავარ ქალაქ არბილში მშენებლობებია გაჩაღებული — დიდი სტადიონიც კი შენდება, რომელსაც მაკდონალდსის ემბლემები ამშვენებს. მშენებლობის ხელმძღვანელის თქმით, მართალია, აქ მაკდონალდსი ჯერ არ შემოსულა, მაგრამ ქურთები დასავლეთის ამ ერთ-ერთ სიმბოლოს მალე დაიმსახურებენ... არბილი ნამდვილ დედაქალაქს ემსგავსება. აქაეს ცენტრალური ბანკის თანამედროვე შენობა, რომლის არქიტექტორი ქურთი ქალბატონია. ფუნქციონირებს ქურთული ენის შემსწავლელი აკადემია და დემოკრატიის ინსტიტუტი. ქალაქის ცენტრში გააშენეს ახალი პარკი ამფითეატრებით, სადაც ადგილობრივი მუსიკოსები ბახსა და ქურთულ ტრადიციულ მელოდიებს ასრულებენ. ქურთისტანის ტერიტორია ერაყის 15%-ს შეადგენს. აქ 25 წლის მანძილზე მიმდინარეობდა გააფთრებული ომე-



ბი, რომლებმაც ასობით ათასი ქურთის სიცოცხლე შეიწირა და უამრავი ქალაქი და სოფელი ნანგრევებად აქცია. მიუხედავად ერაყელებთან მრავალწლიანი უთანხმოებისა, ქურთები თავიანთ ქვეყანას მაინც ერაყთან მჭიდრო კავშირში მოიაზრებენ. საქმე ის არის, რომ ერაყის გარდა, გარე სამყაროსთან დასაკავშირებლად ქურთისტანს ერთადერთი გზა რჩება, რომელიც თურქეთთან აკავშირებს. ანკარას კი ნებისმიერ დროს შეუძლია მისი გადაკეტვა. გარეგნულად ქურთისტანს ყველა ატრიბუტი აქვს დამოუკიდებელი ქვეყნისა — საკუთარი არმია, დროშა, ტელესადგურები, სკოლები, ენა. და რაც „მთავარია“, ფირნიშები ქალაქების შემოსასვლელებში: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქურთისტანში“. თუმცა, ამავე დროს ქურთები ერაყულ ფულს დინარს ხმარობენ (სადამამდელი პერიოდის ბანკნოტებს), რომელსაც შვეიცარიაში ბეჭდავენ და პასპორტებადაც ერაყული, 1991 წლამდელი პასპორტების ასლები აქვთ.

***ნიუ ზუიქი***

# დიპლომატი ცაშია?

სად გაქრა თალიბთა დიპლომატიური წარმომადგენელი პაკისტანში აბდელ სადამ ზაეეფი? იგი ხშირად ჩანდა ტელეეკრანზე. ანტითალიბური კამპანიის დაწყების პირველ



დღეებში ზაეეფი პაკისტანის უშიშროებამ დააპატიმრა და ამერიკის ჯარებს გადასცა. ერთ-ერთი ცნობით, სპარსეთის ყურეში მდგარ ამერიკულ სამხედრო ხომალდზე გადაიყვანეს. არავინ იცის, რომელი კანონით დაატუსაღეს, — ჩვეულებრივ დიპლომატებს ორ დღეს აძლევენ, რომ ჩაბარდნენ, მათ პერსონა ნონ გრატად აცხადებენ და გამგზავრების ადგილის თავისუფლად არჩევის საშუალებას აძლევენ. ვაშინგტონში განაცხადეს — შეერთებულ შტატებს სრული უფლება ჰქონდა დიპლომატის დასაპატიმრებლადო. თუმცა საერთაშორისო საზოგადოებრიობის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ იძულებულნი გახდნენ, ეთქვათ — ზაეეფი დიდი ხანია ჩვენთან არ არისო. სახელმწიფო დეპარტამენტმა პენტაგონისკენ გაიშვირა ხელი, პენტაგონმა — იუსტიციის სამინისტროსკენ. ეს უკანასკნელი კი აცხადებს — თალიბი სახელმწიფო დეპარტამენტში მოიკითხეთო. ერთი კია, სამივე უწყება დაბეჯითებით აცხადებს — თალიბი დიპლომატი არც ერთი ამერიკულ სამხედრო გემზე არ იმყოფება და არც შეერთებული შტატების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეაო. ჟურნალისტები ხუმრობენ — თალიბი დიპლომატი ამერიკელებმა ცაში ააფრინეს და ის დედამიწის თანამგზავრად იქცაო.

***იტოგი 9***



## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

*ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.*

*მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.*

*ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...*

# ბედის მაინც კმაყოფილია

რაც არ უნდა უკმაყოფილონი ვიყოთ ცხოვრებით, განვლილ ბოლო ათ წელიწადს თუ გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ, რომ ბევრი რამ კარგიც მოხდა — რაც მთავარია, ექსტრემალურ სიტუაციაში გაძლება და ყოფის სწრაფი ცვალებადობის შეგუება ვისწავლეთ...

არავის დაგვავიწყდება დანგრეული ეკონომიკა და ცარიელი მაღაზიები როგორ შეიცვალა ქუჩებში და ბაზრებთან აღმოცენებული უსახური ჯიხურებით. შესაძლებელია, თავის დროზე ეს აუცილებელი იყო დამშეული ხალხის გამოსაკვებად, მაგრამ საშინლად ამახინჯებდა გარემოს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, დამთრგუნველად რომ მოქმედებდა...

რამდენიმე ხანში ჯიხურები აიღეს. ბევრი ქუჩა და ბაზრის გარეთა ტერიტორია მოსუფთავდა და მაღაზიებიც გაიხსნა; თუმცა ეს ტრაგედია აღმოჩნდა ამ ჯიხურების მფლობელებისა თუ იქ მომუშავე ადამიანებისათვის, — მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი 50$ ქირასაც კი იხდიდნენ (პლუს ენერგიის გადასახადი). სულ მოკლე ხანში დაუნდობელმა ყოფამ ეს ხალხი აიძულა სწრაფად მოეძებნა ლუკმაპურის შოვნის ახალი გზა.

ერთ ჩემს ნაცნობს მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზება დასჭირდა, რათა საარსებო წყარო გამოენახა... ჯერ კატლეტებისა და კარტოფილის პიურეს კეთება დაიწყო და ქუჩა-ქუჩა ბენზინგასამართ სადგურებში დაატარებდა, მერე ეს პროდუქტი ბუტერბროდით შეცვალა. რომ იტყვიან, „ძაღლივით დაწანწალებდა“ და საღამოს ფეხები ისე სტკიოდა, ტელევიზორის ცქერის თავიც არ ჰქონდა... თავს კი ირჩენდა, მაგრამ დაღლილ-დაქანცულს ოცნებად ჰქონდა სადმე, ერთ ადგილზე გაჩერებისა და ვაჭრობის უფლება მოეპოვებინა, მუხლი ზოგჯერ მაინც რომ მოეხარა. როცა მთავრობამ გარე ვაჭრობა დაუშვა, მაშინღა ამოისუნთქა... ბაზრობაზე ნანახი სავაჭრო ურიკის მიხედვით ააწყო თავისი ურიკა — ზომები აიღო, იშოვა თუნუქის ფურცლები და შეკრა-შეღება. პატარა გაზქურა კი ნაცნობისაგან ითხოვა. ლიცენზიისათვის საბურთალოს გამგეობას მიაკითხა და რამდენიმე ხანში ქოლგის ქვეშ დაიწყო ჰოთდოგის გაყიდვა. პირველივე დღეს 120 ცალი გაყიდა (თითო 60 თეთრად) — ეს კი 17კგ სოსისია (1 კილოგრამიდან 17-18 ცალი გამოდის). ამ ანგარიშით, ცალი სოსისი 25 თეთრი ჯდებოდა და სულ 10 თეთრის ღირებულების პურს მოითხოვდა — ესე იგი, ერთი ჰოთდოგი დაახლოებით 40 თეთრის საფასურს შეიცავდა (მეტნაკლებად, ვალუტის კურსის მიხედვით) და 20 თეთრის მოგებას იძლეოდა. მართალია, ამ მოგებით ვაჭრობა დიდხანს არ გაგრძელებულა და მალე თბილისი ჰოთდოგის ურიკებმა აავსო, მაგრამ ჩემი ნაცნობი ბედის მაინც კმაყოფილია — ამ ვაჭრობით დღეში 10 ლარი მაინც რჩება. ეს კი თვეში 300 ლარია და 300 ლარით ერთი პატარა ოჯახის არსებობა გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეიძლება.

***ნიკო გორგი***

**P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**

# საქართველოს თამბაქოს ბაზარზე თამაშის წესები, ჯერჯერობით, უცვლელია

**— ამ ბოლო დროს ტელევიზიაში ისევ გაჩნდა ქართული სიგარეტის რეკლამა. არადა, ცოტა ხნის წინ გახმაურებული სკანდალის გამო ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ საქართველოში წარმოებული თამბაქოს პროდუქცია სანამ ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილ ახალ სტანდარტებს არ გაუტოლდებოდა, დღის სინათლეს ვერ იხილავდა. რა მოხდა, ნუთუ ასეთ მცირე პერიოდში გახდა შესაძლებელი ქართველი მრეწველების „გარდაქმნა“ და ქართული სიგარეტის შეძენაც გულდამშვიდებით შეგვიძლია ეროვნული პროდუქციის გასაღებით დაინტერესებულ მწეველებს?**

***არჩილ გურგენიძე, თბილისი***



საქართველოს თამბაქოს ნაწარმის ბაზარი ზუსტად სამი თვის წინ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 310-ე ბრძანებამ ისე ძლიერად შეარყია, რომ ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ათწლიან ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა — საქართველოს თამბაქოს წარმოება, პროტესტის ნიშნად, საერთოდ გაჩერდა!

გასულ კვირას კი იმავე სამინისტროს № 57-ე ბრძანებამ, „თამბაქოს ნაწარმში და მის კვამლში ტოქსიკური ნივთიერების, ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის ზღვრულად დასაშვები დონის დამტკიცების შესახებ“, ფაქტობრივად, თავდაყირა დააყენა სწორედ მისი „წინამორბედი“ ბრძანება. ასე რომ, ამირან გამყრელიძის ახალმა ბრძანებამ საქართველოს თამბაქოს ბაზარზე თამაშის წესები ჯერჯერობით უცვლელად დატოვა, ანუ უცვლელია ის ძველი ნორმები, რომლის მიხედვითაც თამბაქოში ნიკოტინის შემცველობა 1,3 მგ-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო კუპრისა — 15.0-ს.

როგორც მეწარმეები და თამბაქოს იმპორტიორები აცხადებენ, სახელმწიფომ ამ ე.წ. დათმობით, ფიქსირებული გადასახადის კუთხით, 23.1 მლნ ლარი „შეინარჩუნა“. უმთავრესი კი ის არის, რომ თამბაქოს ბაზარი საკმაოდ დიდი მასშტაბის დეფიციტს გადაურჩა. ეს გარდაუვალი იყო, თუკი აიკრძალებოდა იმ 18 დასახელების სიგარეტის რეალიზაცია, რომელიც 310-ე ბრძანების მიხედვით კუპრისა და ნიკოტინის შემცველობის ნორმებს ვერ აკმაყოფილებდა. აღნიშნულ პროდუქციაზე დეფიციტს, ბუნებრივია, კონტრაბანდული, დაბალფასიანი და ჯანმრთელობისთვის ასევე მავნე სიგარეტი შეავსებდა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მეზობელ ქვეყნებში დღეისათვის თამბაქოს ნაწარმში კუპრის შემცველობის შედარებით მაღალი დონეა დაშვებული. სხვათა შორის, შავ სიაში მოხვედრილი სიგარეტი მთლიანად ქვეყანაში იმპორტირებული თამბაქოს 42%-ს იკავებს, ხოლო ადგილობრივ წარმოებაში კი მთელ 80%-ს.

თავის დროზე „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის საკმაოდ ხმამაღალმა განცხადებამ, რომ აღნიშნული ბრძანება სხვა არაფერია, თუ არა კონტრაბანდისტების ღია სურვილი, გააკონტროლონ მთლიანად საქართველოს თამბაქოს ბაზარი, ქართველი ჩინოვნიკები გაანაწყენა.

შპს „მარდის“ გენერალური დირექტორი ზურაბ ნოღაიდელს შესჩიოდა, რომ ისინი „იძულებულნი არიან შეაჩერონ თამბაქოს პროდუქციის იმპორტი, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია აღარ შეიძენს დაახლოებით 2 მლნ ლარის ღირებულების აქციზურ მარკას“...

ასეა თუ ისე, მთელი ეს ორომტრიალი თამბაქოს იმპორტიორებისთვის სასურველი შედეგით დასრულდა.

№ 57-ე ბრძანებით, ყველა მარკის ფილტრიან სიგარეტში ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის ზღვრულად დასაშვები დონის შემცირება მხოლოდ 2003 წლის პირველი იანვრიდან უნდა მოხდეს. უფრო ზუსტად კი ნიკოტინის შემცველობა 1.2 მგ-მდე უნდა დავიდეს, ხოლო კუპრის 12.0-მდე, მაგრამ ეს რეჟიმი მხოლოდ 2005 წლამდე იმუშავებს. ბრძანების მიხედვით, 2005 წლის პირველი იანვრიდან თამბაქოში ნიკოტინის შემცველობამ კიდევ უფრო უნდა დაიწიოს და იგი 1.0 მგ-ს უნდა გაუტოლდეს, ხოლო კუპრი — 10.0-ს.

რაც შეეხება უფილტრო სიგარეტს, სამინისტრო ალბათ ცალკე ბრძანებას მოამზადებს.

***ლელა წითლანაძე***



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### როგორ ხდება მამობის აღიარება?

**— ვარ მარტოხელა დედა, მყავს 22 წლის ვაჟი. მამამ ისურვა მისი შვილად აღიარება. ჩემი ვაჟი ამაზე თანახმაა, მაგრამ არ სურს მამის გვარზე გადასვლა. გთხოვთ განგვიმარტოთ, ვის უნდა მივმართოთ აღნიშნულის დასამტკიცებლად?**

***ნ. მჭედლიშვილი, თბილისი***

— ვინაიდან თქვენი ვაჟი სრულწლოვანია, მას გააჩნია სრული უფლება თვითონ აირჩიოს გვარი. მამობის აღიარება კი ხდება სასამართლოს წესით. ამ უფლების მოსაპოვებლად ვაჟის მამამ განცხადებით უნდა მიმართოს რაიონულ სასამართლოს (მამის ან შვილის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

### რა შეღავათები აქვთ მე-2 ჯგუფის მარტოხელა ინვალიდებს?

**— ვარ მე-2 ჯგუფის მარტოხელა ინვალიდი. რა შეღავათებით შემიძლია ვისარგებლო კომუნალური და სხვა სახის გადასახადების გადახდისას?**

**მკითხველი**

— მარტოხელა, შრომისუუნარო მე-2 ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც არა ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი, ეკუთვნით პენსია 14 ლარის ოდენობით, ასევე ყოველთვიური დამატებით სოცდახმარება თვეში 22 ლარის ოდენობით. თუ ინვალიდი თბილისის მცხოვრებია, იგი თავისუფლდება საოჯახო ნარჩენების გატანის გადასახადის გადახდისაგან 100%-ით; წყალზე — 50%-იანი შეღავათია; გარდა ამისა, ეძლევა 20 კუბური მეტრი გაზით უფასოდ სარგებლობის უფლება ყოველთვიურად; სარგებლობენ 50%-იანი სატელეფონო (სააბონენტო) გადასახადის შეღავათით. ასევე, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო „იუსაიდის“ პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი სოცუზრუნველყოფის განყოფილებების მიერ შედგენილი სიების თანახმად, 4 თვის განმავლობაში — გასული წლის დეკემბრიდან, მიმდინარე წლის იანვარი-თებერვალი-მარტის ჩათვლით, უფასოდ სარგებლობენ 250 კილოვატსაათი ელექტროენერგიით.

ხოლო მე-2 ჯგუფის ინვალიდები, რომელთაც მარჩენალი ჰყავთ, სახელმწიფოსაგან რაიმე დამატებითი შეღავათით არ სარგებლობენ.

### რატომ ფასობს ძვირად დალმატინის ჯიშის ძაღლი?

**— არსებობს მოსაზრება, თითქოს დალმატინის ჯიშის ძაღლი ძვირად ფასობს მისი წარმომავლობის გამო. რა თვისებებით გამოირჩევა ეს ჯიში ჩვეულებრივი ძაღლებისგან და რატომ ანიჭებენ მას უპირატესობას?**

**ალ. გერსამია, თბილისი**

— გემოვნებაზე არ დაობენ, თუმცა... გასულ საუკუნეებში დალმატინის ჯიშის ძაღლი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინგლისში, სწორედ ისეთი თვისებების გამო, როგორიცაა ძალა, გამბედაობა და უშიშრობა. იქნებ დალმატინელთა წარმომავლობის საიდუმლო იმ დაცვის სამსახურშიც იმალება, რომელსაც ეს ძაღლები ერთგულად ასრულებენ. მოგზაურობის დროს დალმატინის ჯიშის ძაღლები მუდამ თან ახლდნენ ბრიტანელ დიდგვაროვნებს და ამიტომაც მათ „ეტლის ძაღლი“ შეარქვეს. ცხენის მსგავსად, ისინი დაუღალავად წინ მიუძღოდნენ ეტლს და ნებისმიერ სიტუაციაში მზად იყვნენ დაეცვათ თავიანთი პატრონი. პირველი „დალმატინ-კლუბი“ ინგლისში 1890 წელს შეიქმნა.

### ფრისტაილი წინა საუკუნეში ცირკის სანახაობა იყო

**— მიმდინარე წელს გამართული ზამთრის ოლიმპიადის მიმდინარეობისას შევიტყვე, რომ ფრისტაილი სპორტის სრულიად ახალი სახეობაა. გთხოვთ აგვიხსნათ რატომ?**

***მოსწავლეთა ჯგუფი***

— ფრისტაილი (თავისუფალი სტილი) მართლაც, როგორც ოლიმპიური თამაშების სახეობა, ძალიან ახალგაზრდაა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სათხილამურო სპორტის ეს სახეობა მანამდე არ არსებობდა. XX საუკუნის დასაწყისში იგი სათხილამურო კურორტზე გამართულ ცირკის სანახაობად ითვლებოდა. მოგვიანებით დაარსდა სათხილამურო-საბალეტო სკოლა, სადაც დიდი ინტერესით ითვისებდნენ ფრისტაილის ილეთებს, მაგრამ დამოკიდებულება მის მიმართ მხოლოდ ბოლო წლებში შეიცვალა. კერძოდ, შეიქმნა ფრისტაილის თაყვანისმცემელთა ორგანიზაცია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 1992 წელს ალბერვილის ზამთრის ოლიმპიადაზე ფრისტაილმა როგორც სათხილამურო სპორტის ერთ-ერთმა სახეობამ, ოფიციალური სტატუსი მიიღო.

***მკითხველთა შეკითხვების მიხედვით პასუხები მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 30 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2150 |
| ევრო | 1,9317 |
| ინგლ. ფუნტი | 3,1570 |
| რუსული რუბლი | 0,0710 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,6592 |



შპს „გეოკორი“
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
☎: 33-26-75; 38-24-02

„ბონსერვისის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37 (საღამოს);
899-51-51-09; 899-902-091

საუკეთესო
ასლგადამღები
აპარატები
გარანტიით,
ფასდაკლებით
შესაძლებელია:
განვადება
ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო
ქსეროასლები
შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოხარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ☎: 96 32 89

ლაზერული პრინტერის კარტრიჯები
HP LJ 5L/6L, 5P/6P, 1100, 1200, 2000, 4000...
მაღალი ხარისხი, დიდი რესურსი, დაბალი ფასები
C3906A - 41$ C4092A - 41$
C7115A - 41$ C4127X - 80$
ქენონ CANNON E30 - 80$
ანგარიშსწორება ლარებში
მაღაზიები:
იპოტელი — გამსახურდიას 4 ☎ 33 14 25
ტიტანი - პუშკინის 10 ☎ 92 30 83

ბეჭდები, შტამპები,
ფლექსოგრაფიული
ფორმა, სავიზიტო
ბარათები,
წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

ევროპული დონის და დიზაინის
საუნის
ღუმელები
ავტომატიკით,
დამონტაჟებით,
მრავალწლიანი
გარანტიით. ყვალანაირი
ელექტრომონტაჟი
უმაღლეს დონეზე.
☎ 63-59-49; 899-56-27-26



## თარაზულად:


5. წლევანდელი „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი „კინემატოგრაფიული მოღვაწეობისათვის“


6. ალერგიული დაავადება, გამოწვეული მცენარის მტვრით


9. გზის საფარი

10.

ქალის გულმკერდი

11. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო


15. სწორის მონაკვეთი, რომელიც ბერძნულიდან ითარგმნება როგორც „კუთხიდან კუთხეში მიმავალი“


17. შემოკლებული სახელწოდება


18.


19. (პროცესი)


20. სისხლძარღვი, რომელიც გულიდან აწვდის სისხლს სხეულის ყველა ორგანოს


24. ცხოველთა სამყარო


25. ჯუჯა კაცუნა


26. „მთავარი დამნაშავე“ მალარიის გავრცელებაში


29. რძის ნაწარმი


32.


33. „მფრინავ მაიკლად“ წოდებული მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელი



34.


35. (ანსამბლი)

## შვეულად:


1. ლითონზე შესრულებული გრავიურის ნაირსახეობა


2. ქალაქი უკრაინაში, ზღვისპირა ნავსადგური


3. ჩხუბში „გამოსაყენებელი“ საკონდიტრო ნაწარმი


4. ცნობების შესაგროვებელი ფურცელი



5. მაიონიზირებელი გამოსხივება


7. ღმერთი, რომელსაც ძველი რომაელები დამარცხებული მტრის იარაღს უძღვნიდნენ


8. ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი


12. დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი (ახლო წარსულში)


13. ზღვის ფრინველი


14. ზეთისხილის ზეთი


16. სიარული გასაკაჟებლად


21. ქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელიც გილიოტინაზე გაუშვეს სიტყვებით: „რესპუბლიკას გენიოსები არ სჭირდება!“,


22. სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში, რომელსაც უძლვნა ლექსი მიხეილ სვეტლოვმა


23. ვინმესთან საქმიანობით ან სწავლით დაკავშირებული


27. საპალნე ცხოველი


28. უცხო ქვეყნის ფული


30. ცალკეული ციხესიმაგრე საბრძოლო გამაგრებათა სისტემაში


31. ჯანმრთელობის ერთ-ერთი მახასიათებელი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №12 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სანიტარი; 6. პოლიგონი; 9. აზურიტი; 10. ჰავანა; 11. სტინგი; 15. აპერიტივი; 17. კრისი; 18. რაცია; 19. ელექტრა; 20. ემულსია; 24. ცენტი; 25. კაკაო; 26. წლოვანება; 29. ქლიავი; 32. საფარი; 33. ფორსაჟი; 34. ეპიგრაფი; 35. ფლამინგო.

**შვეულად:** 1. ბიკინი; 2. კრუზი; 3. კორტი; 4. აგენტი; 5. სეკატორი; 7. ირიგაცია; 8. არაბიკა; 12. სპექტაკლი; 13. შვებულება; 14. ქსილიტი; 16. საშინაო; 21. პენელოპე; 22. არაქისი; 23. საჯარიმო; 27. ცვაიგი; 28. მანტია; 30. გოლფი; 31. გუელი.

## მილოცვა



თბილისში ცხოვრობს უსაყვარლესი ბიჭი – **დაჩი ლაშქარაშვილი**.

2 აპრილს დაჩი 7 წლის ხდება და ბევრი საგმირო საქმის ჩადენას აპირებს. ეს ყველაზე მეტად მის დაიკოებს და ძამიკოებს – *ვიტის, გიოს, მარიამს, რატის და ნიტას* უხარიათ.

**შოთა უფლისაშვილს!**

საყვარელო ბაბუ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ბებოსთან ერთად. გვიყვარხართ და გვენატრებით.

*თაკო, ნათია, გივი, ნანული*

## ბინები

იტალიურ ეზოში, სუფთა, იზოლირებული, 3-ოთახიანი ბინა, 2-სართულიანი სახლის I სართულზე, ლოჯიით, ტელეფონით, სარდაფით, დიდი ეზოთი. ფასი $ 16.000. მის: ჩუღურეთის რ-ნი, ჯავახიშვილის ქ. №30. ტ: 96-71-53

იყიდება ან იცვლება ნაკლებფართიან ბინაზე, 3-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, საბურთალოზე, მე-2 სართულზე, ბ/აირით, რკინის კარით, მანქანის სადგომით, ნუცუბიძის ქუჩაზე, პოლიციასთან. ტ: 32-72-16

4-ოთახიანი – 140 კვმ ბინა ლოჯიით, ჭავჭავაძის გამზირზე, არასტანდარტული პროექტი, დიდი ჰოლი, ჩაშენებული კარადები, ორი სააბაზანო-ტუალეტი, 3 აივანი, სარდაფი. ტელ: 77-86-05; 899 90-18-26

ვაკეში, ფალიაშვილის №98-ში, ახალაშენებული საცხოვრებელი ბინის მე-7 სართული, საერთო ფართით – 360 კვმ (სუფთა ფართი – 250 კვმ), მანსარდით, ლიფტით, ავტოფარეხით. გაყიდვა შეიძლება ცალ-ცალკეც. ს/ფ $130.000. ტელ: 66-31-07 (საღამოს); 899 58-25-72

იყიდება ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## გთავაზობთ სამუშაოს

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

გაიხსნა ოფისი. არის 5 ვაკანსია. გვჭირდება განათლებული, ენერგიული, სალად მოაზროვნე თანამშრომლები 17-50 წლამდე. გამომუშავება 200-300 ლარი. იჩქარეთ, მიმდინარეობს შერჩევა. მის: მ. „რუსთაველი", ჭოველიძის ქ. №2. IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 899 50-68-25. ქალბატონი ელისო

ინტერნაციონალური სასწავლო სააგენტო გთავაზობთ დასაქმებასა და სწავლას AU-PAIR პროგრამით, პარიზში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში; აგრეთვე, სტუდენტურ და ტურისტულ ვიზებს. მის: წერეთლის გამზ. №95ა. (მანეჟი). ოთხშაბათს, პარასკევს, 14-15 სთ.

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

## მომსახურება

თმის მოცილება სახესა და სხეულის სხვა ნაწილებზე, მცენარეული ნაყენით, დამუშავებული რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, ფიტოთერაპევტის, დოცენტ ვიტალი ხინტკირიას მიერ. მის: მ. „მარჯანიშვილი", სანკტ-პეტერბურგის (ყოფ. ლენინგრადის) ქ. №8. მიღება 11-18 სთ.

გთავაზობთ: გახდომას შიმშილის გარეშე, მცენარეული ნაყენისა და სამასაჟო კრემების გამოყენებით (თვეში 10-15 კგ წონის დაკლებით); სახის მოვლის საუკეთესო საშუალებებს და სიმაღლეში ზრდას, 2-დან 20 წლამდე, 2-4 სმ-ის მომატებით. მის: ბელინსკის ქ. №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46. ზანდა

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა; თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-20 ლარი. აგრეთვე, არსებობს კოსმეტიკისა და პარიკმახერის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: ალმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

სილამაზის სალონი „მიმი": შეჭრა – 4-5 ლარი, დავარცხნა – 5 ლარი, მელირება – 15 ლარი, ქიმიური დახვევა-გასწორება – 20-25 ლარი; სადღესასწაულო ვარცხნილობა – 12-15 ლარი; მანიკიური, პედიკიური; კოსმეტოლოგიური მომსახურება. მის: მ. „რუსთაველთან", (ზემელზე), მიწისქვეშა გადასასვლელში. ტელ: 99-63-14. 10-19.30 სთ

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ! არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

ვაკეთებთ ყოველგვარი რბილი ავეჯის რესტავრაციას (სამეულები, ტახტები, საწოლები, მატრასები, სკამები და ა.შ), გარანტიით. ტელ: 72-40-90. შოთა

სახლის სახურავები, მანსარდები, მოწყობა და გადახურვა თუნუქით, კრამიტით, შიფერით იაფად, გარანტიით, საჭირო მასალების ჩათვლით. ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

შპს ბ.მ. დიზაინი! ფირმა აწარმოებს სამღებრო სამუშაოებს, ევრო და კაპიტალურ რემონტს, ნებისმიერ დონეზე, სხვადასხვა ფერში, უცხოური შპალერით. მის: მინელის №3. ლევანი, ნუგზარი. ტელ: 32-66-91; 899 57-05-37. ზურა

სიახლე მშენებლობაში: ბელგიური დაზგა-დანადგარებით ვაწარმოებთ უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა ფერისა და ფორმის ფასადის აგურს, ზომებით – 29,5X9,5 სმ. ფასი 40 თეთრი. შეკვეთები მიიღება წინასწარ. ტელ: 37-29-97. ზაზა. 893 32-04-89. დათო

გეპატიჟებათ ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"!. საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

## მკურნალობა

შპს სამკურნალო ცენტრი „ფანასკერტელი"! თბილისში პირველად ამოქმედდა მანუალური თერაპიის კაბინეტი, სადაც ხდება სამკურნალო მცენარეების და მალამოების მასაჟირება, მანიპულაცია პათოლოგიურ კერებში, კანის სიღრმეში. შეზელილი სამკურნალო თერაპია ქმნის კანქვეშა მიკროდეპოს, რაც იმით არის საუკეთესო, რომ სამკურნალო საშუალების შეწოვა ხდება თანდათანობით – 24 საათის განმავლობაში. ეს კი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ერთბაშად მიღებული წამლის ზემოქმედება. მკურნალობა: ოსტეოქონდროზი, იშიაზი, სახსრების ანთება და სხვა. მკურნალობს რესპუბლიკის პრემიის ლაურეატი მცენარეების კვლევის დარგში, ფიტომანუალური თერაპევტი, დოცენტი ვიტალი ხინტკირია. მის: მ. „მარჯანიშვილი", სანკტ-პეტერბურგის ქ. №8. მიღება ყოველდღე (კვირის ჩათვლით), 11-18 სთ.

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, მოკლე დროში, ყველა ასაკში, აღმდგენი აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით – უახლესი მეთოდით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, სამშობიარო ტრავმას, ცერებრალურ დამბლას. ტელ: 899 55-05-75

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ალერგიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ლოგონევროზის (ენაბლუობა), ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, იმუნიტეტის დაქვეითების, დიაბეტის გვერდითი მოვლენების მკურნალობა გერმანიაში შექმნილი უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას №16, ყოფილი მშენებლობის სამინისტროს შენობა, მე-13 სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 39-58-77

სამკურნალო ცენტრი „ლაზერი" მკურნალობს უახლესი მეთოდებით თერაპიულ, გინეკოლოგიურ, ნევროლოგიურ, დერმატოქირურგიულ ავადმყოფებს ეფექტურად, ლაზერული აპარატურით. ფასები – მისაღები. ბავშვებისთვის მკურნალობა – ფასდაკლებით. მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05; 38-27-52. გოგი

ბრონქული ასთმის, ალერგიული და სასუნთქი გზების ქრონიკულ დაავადებათა გამოკვლევა და მკურნალობა მაღალი შედეგებით. მის: რკინიგზის საავადმყოფო, V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება. ექიმი ზურაბ გიორგაძე. ტ: 99-33-36; 893 30-36-99

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობა ახალი, კომბინირებული, არაფარმაკოლოგიური და ფარმაკოლოგიური მეთოდით: აპარატ „ელექტროეფექტორის" და მედიკამენტების (გაცემა უფასოა) საშუალებით. მის: რესპუბლიკური საავადმყოფო (ვაჟა-ფშაველას №29), მე-4 სართ. მარცხენა მხრიდან, ბოლო – №481 ოთახი. მიღება 10-12 სთ, კვირის გარდა. წინასწარი ჩაწერა: 66-04-67

საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრმა, ექიმმა-ჰომეოპათმა, განაახლა პაციენტების მიღება: ნევროზი, შიშები, ენურეზი, კუჭის, ნაღვლის ბუშტის, თირკმლების დაავადებები; პროსტატიტი, პოდაგრა და სხვა. მის: თევდორე მღვდლის №11. საგზაო პოლიკლინიკა, კაბ. №23. 13-16 სთ. ტელ: 39-47-28. მაკა

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ეველინა ლოლაძე*. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ეველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

ლომთათიძესთან საზღვარგარეთიდან მოწვეული ექიმები მკურნალობენ: მყესის ზედა როკების, მენჯბარძაყის ანთებებს; ხერხემლის გამრუდებას, რადიკულიტს, თავბრუს ხვევას, თმის ცვენას, სებორეას, ფსორიაზს, პროსტატიტს, ბუასილს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრუნებას, ტროფიკულ წყლულს; მეჭეჭების მოშორება. გინეკოლოგიაში – ეროზიას, კლიმაქტერიულ სინდრომს, ფიბრომიომას, კისტას, უშვილობას, ციკლის დარღვევას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. ხდება სწრაფი დიაგნოსტიკა. გვაქვს მცენარეებზე დამზადებული საპონი. მის: ალმაშენებლის 113. კაბ. 17. ახალი პოლიკლინიკა. ლომთათიძე. ტ: 95-74-29 (სამს)

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, სასქესო ორგანოებზე, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. ტელ: 95-83-54 (სამს); 39-00-70; 39-25-57 (ბინა); 899 56-96-61

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## განათლება

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი კომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

მოვამზადებ ინგლისურში ნებისმიერ დონეზე. მის: ოზურგეთი, გაგარინის №12. ტელ: 6-33-70; 899 17-91-26. მაიკო კომახიძე

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82 (სამს); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

ასოციაცია „პოსეიდონი" გთავაზობთ: 1) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესწავლას; 2) მოქმედ ბუღალტერთა გადამზადება-სერტიფიცირებას; 3) საოფისე ბუღალტრული კომპიუტერული პროგრამების შესწავლას; 4) უცხო ენების შემსწავლელ კურსებს (საბაზო, ბიზნეს-ინგლისური, გერმანული და სხვა). გაითვალისწინეთ: ასწავლიან უმაღლესი დონის სპეციალისტები! მის: ძმები ზუბალაშვილების ქ. №17. ტელ: 98-73-31

ასოციაცია „პოსეიდონი" გთავაზობთ გიდი-თარჯიმნისა და ტურიზმის გიდის კურსებს. სწავლის დამთავრების შემდეგ თქვენ დამოუკიდებლად შეძლებთ ყველა დონის ტურისტული ჯგუფის მაღალ დონეზე მომსახურებას. პროგრამა ითვალისწინებს უცხოელ ტურისტებთან მუშაობის ურთიერთობა-თავისებურებებს. სწავლის საფასურში შედის პრაქტიკული მეცადინეობები და ექსკურსიები. მის: ძმები ზუბალაშვილების ქ. №17. ტელ: 98-73-31

## იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

სერიოზული კომპიუტერი Pentium-3, 600MHz, Asus P3V133, 20Gb Quantum 7200Rpm, 256 Mb, Asus V3800 TNT2-Vanta VIDEO, ALS4000 SOUND, 20w ГДШ Speakers, U.S. Robotics 56k External Modem, View-Sonic E-651 15. მონიტორი, სრული პროგრამული უზრუნველყოფით: Win-XP, Office XP, Adobe, AVP, Fonts, Games, Music, Klips, Video. ფასი $650. ტელ: 95-87-33

იყიდება ჩაის და სადილის კობალტის სერვიზი – ლურჯი, „რაკუშკა" – 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-09-35; 96-19-40 ლეილა

ანტიკვარული თოფი „ლებო", ძალიან კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი $2.500. ტელ: 34-56-65

ძველებური, გერმანული ვიტრინა, ზედა ნაწილი – სამმხრივი ბროლის მინით, ქვემოთ – 2 კარიანი. $200. ტელ: 23-07-65

ყავისფერი, გერმანული როიალი „ბლუტნერი", საუკეთესო მდგომარეობაში, 1,90სმX1,50სმ, ნახევრად საკონცერტო. ფასი $7.500. ტელ: 96-09-35

## შევიძენ

ძველ ლეიბებს, საბნებს, ბალიშებს და მათ თეთრეულს. მაკულატურის სახით, წონით. მოგემსახურებით ტრანსპორტით. ტელ: 33-40-48. იუზა

## სხვადასხვა

გაინტერესებთ სასიყვარულო პრესა? იკითხეთ ყველგან სასიყვარულო პრესის ლიდერი, გაზეთი „სიყვარულის სამყარო" და მისი დამატება, ახალი გაზეთი „სიყვარულის კოქტეილი". ფასი 30 თეთრი. რედაქციაში ფუნქციონირებს დაოჯახების კლუბი. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ, ოთახი №210. (შესასვლელი ჭოველიძის ქუჩიდან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59 (10-18 სთ)


უფასო განცხადებების გაზეთი
სიტყვა და საქმე
33-10-03 33-10-05 36-30-04
ფასიანი განცხადება ჩარჩოში – ტელ: 822-009-003
40 გვერდზე



ყოველ ნომერში: 7000-მდე განცხადება,
დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი

### ბაქარ (ბათო) ფიცხელაურის მონატრება



როგორი ძნელია დედისათვის, გაზეთით გითხრას – შვილო, ბაქარ, მენატრები! ჩემი ტკივილი ხარ, შვილო... რომელსაც განკურნება არ უწერია. ვაი, იმ დედის სიცოცხლეს, ვისაც შვილმკვდარი დედა ჰქვია.

27 მარტს ორი წელი გახდა, შვილო, რაც შენი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა. ციდან მოწყდა ერთი ლამაზი ვარსკვლავი, რომელიც 19 წელი კაშკაშებდა და ამშვენებდა ბუნებას, ოჯახს, სამეზობლოს და სამეგობროს.

შენი სიცოცხლის მოკლე გზაზე, კარგი სახელის მეტი, არაფერი დაგიტოვებია, შვილო. ამიტომაც ყველა სიყვარულით და სინანულით გიხსენებს, ჩემო იმედო.

იძინე ტკბილად, შენი კარგი მამიკოს გვერდით. უფალს ვთხოვ, სასუფეველში ამყოფოს შენი სპეტაკი და ლამაზი სული, ამინ!

*შენი ტანჯული დედა*

### ლილი ჭონიაშვილის გახსენება



ვიცით, რომ „წუთისოფლის სტუმრები ვართ", რომ სიკვდილი გარდაუვალია, მაგრამ შეგუება მაინც გვიჭირს... მძიმეა განშორება, ჩვენო ლილი... ვერავინ შეავსებს იმ სიცარიელეს, რაც ახლობელი ადამიანის შემდეგ რჩება. სიკვდილი ტრაგედიაა, არა მხოლოდ ოჯახისათვის, არამედ ახლობლებისთვისაც – ყოველი ადამიანი ხომ განუმეორებელია...

უეცრად და უტანჯველად წახვედი ამ ქვეყნიდან. ყოველთვის და ყველაფერზე აუჩქარებელი იყავი, სიკვდილით კი აჩქარდი. 31 მარტს, შენს დაბადების დღეს უშენოდ პირველად შევხვდით. ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი იმქვეყნად შენს ლამაზ სულს.

*მეგობრები*

### პაატა ესიაშვილის ხსოვნას!



შენდამი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა არ მაძლევს იმის საშუალებას, შევურიგდე იმ აზრს, რომ შენ აღარ ხარ. გვიჭირს აწმყოთი ცხოვრება, ჩვენო პაატა. უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს – 31 მარტს. სიცოცხლის განახლებისა და ყვავილობის დროს, შენ რომ გიყვარდა, ლამაზ გაზაფხულზე მოევლინე ამ ქვეყანას. სულ 41 გაზაფხულს მოესწარი. 4 ივნისს ბოროტმოქმედთა ტყვიას გადაურჩი, მძიმედ დაჭრილი, ჯერ ისევ მოუშუშებელი ჭრილობებით დაბრუნდი იმ სამსახურში, სადაც გული გიხმობდა. 19 წელი იბრძოდი უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ. გასული ზაფხულის იმ შავბედით 8 ივნისს, ყველაზე რთულ და ძნელ გზაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ბოროტმოქმედთა და არაკაცთა ტყვიამ შეიწირა შენი ლამაზი სიცოცხლე. ღმერთი მათ აზღვევინებს მომხდარზე, შენ კი, ჩემო პაატა, ცათა სასუფეველი გარგუნა ღმერთმა. სანამ მე ვიცოცხლებ, შენც იცოცხლებ ჩემთან ერთად, მე კი ვილოცებ შენს დატოვებულ ხატზე და ჯვარზე, რომელსაც გულით ატარებდი ყოველთვის.

საით მივდივარ? რა გველის? ვიგონებ იმ ლამაზ, ბედნიერ წლებს, როცა ჩემ გვერდით იყავი და იმ მწარედ მოსაგონარ დარიგებას: „არ შეუშინდე ცხოვრებას, იცოდე, პოლიციელის მეუღლე ხარ. დაუწყნარებელ და არეულ დროში, მე შეიძლება მოვკვდე, მაგრამ გიტოვებ ქალვაჟს... მე კი ვიტოვებ შენს იმედს". ვიცი, რა მძიმეა ცხოვრების გზა და სულ უფრო მძიმე გახდება... გავა დრო, ისევ მოვა გაზაფხული, მოვა წელიწადის ყველა ლამაზი დრო. ძნელი იქნება ტკივილების ატანა უშენოდ... ალბათ სიხარულიც იქნება – ისიც უშენოდ და მაინც შენთან ერთად... შენ მომცემ ამის ძალას, პაატა... და ჩუმად, თანდათან დაშრება ცრემლი, სიკეთე აუცილებლად იზეიმებს ბოროტებაზე, ცხოვრება გაგრძელდება, „გადავლახავთ სიკვდილ-სიცოცხლის არარსებულ, მაგრამ მაინც საზარელ საზღვარს, თოვლივით დადნება შიში და ერთ სულ და ერთ ხორც ვიქცევით ყველა..."

*მეუღლე გიული გომარელი*

### ჯუმბერ ბუცხრიკიძის მონატრება



ჩვენო საყვარელო მამა, 30 მარტი შენი დაბადების დღეა, 69 წელი შეგისრულდებოდა. რა ბედნიერები ვიქნებოდით შენი ოჯახის წევრები, ეს თარიღი შენთან ერთად რომ აღგვენიშნა, მაგრამ ვაი, რომ შენს საფლავზე გვიხდება მოსვლა ანთებული სანთლებით, ცრემლიანი თვალებით და უამრავი ყვავილით.

ვდგავართ შენს ცივ სამარესთან, თავდახრილები, უსაზღვრო მწუხარებით სავსენი და ვერ ვპოულობთ სიტყვებს, დედის სანუგეშოდ, რომელსაც შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერავინ ვუვსებთ. ყოველდღე შენს სურათს ეაასება, სიზმრებსა და მოგონებებში გეფერება, უფალს შესთხოვს, ნათელში ამყოფოს შენი სული. გვიჭირს უშენობა შენს შვილებსაც. ცხოვრება გრძელდება, მაგრამ შენი ამქვეყნიდან წასვლით მოყენებულ ტკივილს ვერაფერი ცვლის. ძალიან გვაკლია შენი სითბო და ალერსი, უსაზღვროდ გვენატრები, თუმცა ეს სიტყვები სრულად ვერ გამოხატავს იმ გრძნობას, რაც თან ახლავს შენთან სამუდამო განშორებას. შენი მეუღლე და შვილები ყოველთვის ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი სულისათვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური ახალთერჯოლის მიწა.

*შვილები: ვალერი, ლუიზა, ინვა ბუცხრიკიძეები*

### ვიგენტი ინაურის ხსოვნას



ეს ცხოვრება ეშმაკის და ღმერთის ბრძოლაა, ნათქვამია. ბრძოლის ველი კი კაცის გული ყოფილა. გული, რომელიც ტკივილს ყოველთვის ვერ უძლებს. ვერც შენმა გულმა გაუძლო... მოგონებები სევდიანი ფილმივით ჩაგვრჩა გონებაში. ეს დღეებია, სულ შენზე ვფიქრობთ – ხან რომელი კადრი წარმოგვიდგება, ხან რომელი, ახლობლებზე ზრუნვით, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე წუთები. იოლად არ დანებებულხარ წუთისოფელს. ბედისწერამ ჯერ შვილად ნაზარდი ძმისწულები გამოგაცალა ხელიდან, მერე დედაც დაილუპა...

გვჯერა, რომ შენი კაცობითა და გულწრფელობით სამუდამოდ დავვიდგები. მხარში ზეციური სასუფევლიდან.

*დათიკო გრძელიშვილი, ვენერა მირზაშვილი*

### თეა გაბუნიას გახსენება

გუშინ 9 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, თეა... მართალია, სიკვდილს არავინ ელის და ყველას მოულოდნელად ეწვევა ხოლმე, მაგრამ 18 წლის გოგონას დაღუპვა იმდენად თავზარდამცემი იყო, შენი ახლობლები დღესაც ვერ მოვსულვართ გონზე. გაზაფხულის პირველი თვე, ტკივილს, გაუსაძლის მონატრებას და უსამართლობის მძაფრ პროტესტს იწვევს, რადგან 31 მარტი შენი უცაბედი ტრაგედიით გაგვითენდა 9 წლის წინ, როდესაც ავაზაკურმა სიმუხთლემ მოგისწრაფა იმედებით და სიცოცხლის წყურვილით აღსავსე მომავალი.

ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა.

გვახსოვარ, გვენატრები, გვაკლიხარ...

*ნუგზარ ნოდია*

### ელვარდი კაჭარავას ხსოვნას!

ოთხი წელი სრულდება 18 ივნისს, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ, ბაბუ. ვინ იფიქრებდა, დილით გადასულს, შუადღისას დაგილამდებოდა, შენი ფეხით წასულს, სახლში მოგასვენებდნენ.

71 წლის ასაკში, სიცოცხლის მოყვარული, წამში იქეცი მარადისობად. ისე უცებ წახვედი, თითქოს ვერ გავაცნობიერეთ, რა მოხდა. ოთხი წელია, აღარ გვესმის შენი ხმა: „ბაბუა გენაცვალოთ, ოთო, კუსა". ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. ჩვენგან დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს სასუფეველში.

*შვილიშვილები: ოთიკო, ელვარდი (კუსა)*

### ბორია ტორონჯაძის მონატრება!



ჩემო ბორია, 3 აპრილი შენი დაბადების დღეა. ოთხი თვე ხდება, რაც ჩვენგან მოულოდნელად, ნაადრევად, ჩუმად და უსიტყვოდ წახვედი. ჩვენ ხომ ამდენი ხნით ერთმანეთს არ დავშორებივართ. ძნელია იმის დაჯერება, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ. შენს სურათს და ცივ სამარეს არ აკლია სანთლები, სიყვარულის ცრემლები და ყვავილები. გვენატრები, არასოდეს დაგივიწყებთ.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და კეთილი სული.

*მეუღლე მერი ხუბუა*

### ვენერა და ვახტანგ ჩოჩიების ხსოვნას!

ძალიან გვიჭირს თქვენზე მოსაგონარის დაწერა, ჩვენო ძვირფასო დედა და მამა. ჩვენთვის ყოველთვის ცოცხლები იქნებით. თქვენ ხომ 62-65 წლის ასაკში წახვედით ჩვენგან. უკვე მეცამეტე და მეთორმეტე გაზაფხული მოდის მას შემდეგ, რაც თქვენ მარადისობისკენ მიმავალ გზას გაუდექით. აქ დაგვიტოვეთ გაუთავებელი ტკივილი, რომელიც ამდენი წლის შემდეგაც კი არ განელებულა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები. ჩვენგან დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

*შვილები: ალდონა, დარეჯანი, მალხაზი; შვილიშვილები*

### მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები

1. ხორციელის შაბათი — 24 თებერვალი (9 მარტი);
2. დიდი მარხვის მე-2 შაბათი — 17 (30) მარტი;
3. დიდი მარხვის მე-3 შაბათი — 24 მარტი (6 აპრილი);
4. დიდი მარხვის მე-4 შაბათი — 31 მარტი (13 აპრილი);
5. თომას კვირის სამშაბათი — 1 (14) მაისი;
6. სულთმოფენობის წინა, სულის შაბათი — 9 (22) ივნისი;
7. დიმიტრის შაბათი — 20 ოქტომბერი (2 ნოემბერი).

**წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო სულსა მონისა და მხევლისა შენისასა (სახელები), სადა იგი არა არს ქირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.**

### ჯემალ (რევაზ) ნიკოლაიშვილის ხსოვნას!



ჩვენო საყვარელო მამიკო! ორმოცი დღე შიილევა მას შემდეგ, რაც ამქვეყნად აღარა ხარ.

მძიმე გამოცდა მოგიწყო ცხოვრებამ, მამა! ოჯახსა და საქმეზე თავდადებული, ავადმყოფობამ ლოგინს მიგაჯაჭვა. რამდენჯერ შებრძოლებიხარ სიკვდილს, მაგრამ სულით არასოდეს დაცემულხარ. თვითონ განაწამებს, მუდამ სხვები გებრალებოდა. გიყვარდა მოყვასი, უსაზღვროდ გიყვარდა პატარა ბექა. შენ ხომ მისთვის მხოლოდ ბაბუა არ იყავი, შენ მისთვის მეგობარიც იყავი, ძმაკაცი (როგორც შენ გიყვარდა თქმა) და მისი ბავშვური ოცნებების მესაიდუმლე.

რამხელა ტკივილია ცხოვრება უშენოდ. როგორ გვაკლიხარ და გვენატრები ყველას.

ჩვენო კეთილო, თბილო და დაუვიწყარო ადამიანო, უფალს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შვილები ლია, მაკა, მეუღლე მარგო, ბექა*

### ლია უშვერიძე ყაჭეიშვილის ხსოვნას!



ორი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ძალიან გვენატრები, გვენატრება შენი სითბო, სიყვარული, ყურადღება – ყველას თანაბრად რომ უნაწილებდი. სწორედ ამიტომაც გაგყვა უკანასკნელ გზაზე ზღვა ცრემლი და სიყვარული, რომელსაც შენ ღირსეულად იმსახურებდი. დატოვე შესანიშნავი შვილები, შვილიშვილები, ახლობლები, მეგობრები, რომლებიც შენი წარსულით იამაყებენ.

*კუბლაშვილების ოჯახი*

### კახა ჩხეიძის ხსოვნას!



40 დღე გავიდა, კახუნა, უშენოდ, 40 ტკივილიანი და ტირილიანი დღე! მეგონა, ჩემთვის ცხოვრება აღარ გაგრძელდებოდა, მაგრამ უკვე 40 დღე გავძელი, გავძელი ჩვენი შვილების გამო, შენი ცხოვრების გასაგრძელებლად, შენი უამრავი ოცნების ასახდენად. გავძელი იმიტომ, რომ შენს თორნიკეს, დემეტრეს და პატარა გუბაზიკოს, მთელი ცხოვრება ველაპარაკო შენზე, შენს კეთილ გულზე, შენს უსაზღვროდ დიდ სიყვარულზე, შენს უანგარო მეგობრობაზე და ვაჟკაცურ სულზე, შენს ხანმოკლე და ძალიან ლამაზ ცხოვრებაზე. შენი სამი ვაჟ, არ შეარცხვენს შენს დანატოვარ სახელს, რომელიც მთელი ცხოვრება დაეხმარება მათ და გზას გაუკვალავს.

ჩემო კახუნა! იცოდე, რომ მე შენზე ადრე მოვკვდი, მაშინ, როცა გავიგე, რაც გჭირდა. უბრალოდ, მაშინ შენთვის, ახლა კი შენი ბიჭებისთვის ვაგრძელებ სუნთქვას. ტკივილამდე მიყვარხარ და მენატრები, ჩემო დიდო სიყვარულო და უფრო დიდო ტკივილო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი მაკა*

### შურა ნაჭყებიას გახსენება



40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო შურა დეიდა. ჩუმად, უპრეტენზიოდ დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება.

ზღვა ყვავილებით და ცრემლით გაგაცილეთ საუკუნო გზაზე. ძალიან გვაკლიხარ, შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს, რადგან შენი სიყვარული მათ მიმართ უსაზღვრო იყო.

გვჯერა, რომ შენი ალალი ცხოვრებით, სასუფეველში დაიმკვიდრებ სამუდამო ბინას. ჩვენ კი არასოდეს დაგივიწყებთ.

*ლანდა, გოგი ოდიშარიები*

### გია და ზაზა შპეტიშვილების ხსოვნას!



შვიდი უნუგეშო, ტკივილიანი წელი გავიდა, ჩემო გია, შენი ტრაგიკულად დაღუპვიდან. ეს ტკივილი უსაზღვრო იყო ობლად დარჩენილი დათოსა და ზაზასთვის. მაგრამ, რა ვიცოდით, წინ უარესი უბედურება თუ გველოდა.

შვილო, ზაზა, გაუსაძლისია უშენოდ განვლილი ერთი წელი. ახლა 12 წლის უნდა იყო. ვერაფრით ევავსებთ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს, თავს ვარიდებთ შენზე საუბარს, არ გვინდა, ტკივილი განვუახლოთ ერთმანეთს. თუმცა, ცალ-ცალკე, ყველა მწარედ გტირით.



ოცდაშვიდი დღე ებრძოდი მოულოდნელ და ვერაგულ სენს, მაგრამ შენმა პატარა სიცოცხლემ ვერ აჯობა სიკვდილს. ვერაფერი გიშველეთ, ჩემო სიცოცხლევ. შენ და მამიკომ, დათო დამიტოვეთ ნუგეშად, მაგრამ დედას შენ ენატრები, შენი ხმის გაგონება უნდა. გაოგნებული ვარ, შვილო, ვერ ვაცნობიერებ ჩემს უბედურებას. შენს სურათებს ვეფერები ყოველდღე, ჩემო მოუსვენარო, ცელქო ბიჭო. მსუბუქი იყოს შენთვის და მამიკოსთვის მარტყოფის მიწა.

*შენი დედიკო ცირა ხამიცაშვილი*

### დათო მარსაგიშვილის გახსენება



ჩემო საყვარელო შვილო, უკვე თერთმეტი წელი შესრულდება 31 მარტს, რაც ჩემთან აღარ ხარ. შენმა ლამაზმა, უბოროტო სულმა მარადისობაში გადაინაცვლა. ვერ ვეგუები უშენობას, უშვილობას, მარტოობას.

მომაკლდა შენი სიყვარული. უშენოდ სიცოცხლე სიმწარეა ჩემთვის. გელოდები და ვფიქრობ, თითქოს დამიბრუნდები. მენატრება შენი დაძახებული „დედა". შენს უცნობ შვილსაც ენატრები, აინტერესებს, როგორი მამა ჰყავდა. ედიშერი ხომ არც გინახავს, ისე წახვედი ამ ქვეყნიდან.

უძლურია სიტყვები შენს მონატრებაზე, ჩემო დათო. გაუსაძლისია ჩემი ცხოვრება. უზომოდ მიყვარხარ და მენატრები, ჩემო ერთადერთო.

დაე, ჩემ მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში. შენი ხსოვნა სულ ჩემს გულშია, ჩემო საყვარელო, უბედურო შვილო.

*დედა ლია ავსაჯანიშვილი*

### ნათია ძიგრაშვილის მონატრება



5 აპრილი მოვიდა, ნათო, შენი დაბადების დღე. მაგრამ, ვაი, რომ უშენოდ უნდა შევხვდეთ ამ ძალიან ლამაზ და ძალიან მწარე დღეს. ნათო, რომ იცოდე, როგორ ძალიან გვენატრები, ჩვენო ხაამაყო, თვალებხატულა გოგო. რა გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე. ვის შეუძლია, ანუგეშოს შენი გამწარებული მშობლები, რით შევუვსოთ უშენობა, შენს ფრთამოტეხილ და-ძმას? ჩვენ ისღა დაგვრჩენია, თვალცრემლიანებს, 5 აპრილს საფლავზე შევიკრიბოთ, 14 წმინდა სანთელი ავანთოთ და უფალს შევავედროთ შენი ლამაზი, უმანკო სული, რათა დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა. გვიყვარხარ და გვენატრები.

*დეიდაშვილები: სოფიკო, ლევანი, ლაშა*

### დათო გოცირიძის მონატრება



მეექვსე წელია, უშენოდ ვხვდებით გაზაფხულს. შენი წასვლით განადგურებულია შენი დედა. ამ ხნის მანძილზე ცრემლი, ლოცვა არ მოგკლებია.

უსაზღვროა ტკივილი – რასაც უშენობა ჰქვია. წახვედი და დაგვიტოვე ტკივილი. მოგონებებით სავსე ცხოვრება და დიდი სიყვარული.

*მანანა სუთიაშვილი*

### დაგვიანებული გამოსათხოვარი

კიდევ ერთი ნაღდი თბილისელი, თბილისზე უზომოდ შეყვარებული და თავდადებული კაცი დააკლდა ჩვენს დედაქალაქს – **სერგო ტიმაკოვი.**

კაცმა, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება თბილისის ისტორიის, მისი ცხოვრების წესის, კოლორიტის, ისტორიული მასალების და ნივთების შეგროვებას მოანდომა.

ალბათ მრავალ თბილისელს ახსოვს ამ ათიოდე წლის წინ „მერანის" საგამოფენო დარბაზში მოწყობილი ბატონი სერგოს პერსონალური გამოფენა, რომელიც თბილისის წარსულს ეძღვნებოდა, სადაც წარმოდგენილი იყო უამრავი ფოტომასალა, პუბლიკაციები, ნივთები, რომლებიც ბატონმა სერგომ დიდი რუდუნებით და სიყვარულით მოაგროვა. მის მადლიან ხელებს რამდენი ძველებური ნივთისათვის დაუბრუნებია უწინდელი ბრწყინვალება, რამდენი ისტორიული მასალა გადაურჩენია და შემოუნახავს მომავალი თაობებისათვის.

დადიოდა ქალაქში ერთი უბრალო, თავმდაბალი, თბილისზე უზომოდ შეყვარებული კაცი და რაოდენ სიმბოლურია, რომ იგი თბილისობის დღესასწაულის დღეს აღესრულა. მისი ცხოვრება დასტურია იმისა, რომ სიყვარულმა და ერთგულებამ ეროვნება არ იცის. მინდა ყველა თბილისელის სახელით ქედი მოვიხარო მისი ნათელი სულის წინაშე და დაგვიანებული მადლობა გადავუხადო იმ სიყვარულისა და თავდადებისათვის, რომლითაც მას ჩვენი თბილისი უყვარდა.

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მისი სათაყვანებელი თბილისის მიწა.

*თბილისელები*

### მერაბ გეგეშიძის ხსოვნას!

შვიდი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო ბიძია. ძნელია ასეთ მწარე ხვედრთან შეგუება, მაგრამ ვინ წაუვა განგების ნებას?! ტკივილის მომგვრელია გაზაფხული ჩვენთვის. დაბადების და გარდაცვალების თვეც რომ მარტია?! გარეწარი ადამიანის ხელმა გიმსხვერპლა. ნუთუ, შეიძლებოდა ისეთი სრულფასოვანი, უწყინარი ადამიანის ისეთი სიკვდილით მოკვლა, როგორიც შენ გერგო წილად? სამი შვილი დაგრჩა. პატარა მამუკა ხშირად გიხსენებს ცრემლმორეული. რა უბედურად დატოვე მთელი ოჯახი. როგორ გატყდა, კლდესავით ძლიერი შენი მეუღლე, ენერგიაგამოცლილი აგრძელებს შენი წყნარი ოჯახის ტრადიციებს. როგორ გიყვარდა ჩვენი შვილები და მეუღლეები. ჩვენი დანახვა უზარმაზარ სიხარულს გგვრიდა. როგორ გინდოდა, შენი საყვარელი მეუღლისა და შვილებისთვის გეცქირა. ძნელია ჩვენთვის უშენობა, ვერ გაგვინელდა შენი უეცარი წასვლით გამოწვეული ღრმა მწუხარება. გვჯერა, რომ შენი ცხოვრებით, სასუფეველში დაიმკვიდრებ ბინას. ჩვენგან დანთებული სანთლები გზას გაგინათებს იმქვეყნად. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ! ნათელში იყოს შენი ლამაზი სული!

*ნანა და მაია გვარამიები*

### გიორგი შალამბერიძის ხსოვნას!



ბატონო გიორგი! თქვენი სახელი საქართველოსთან, ქართულ ენასთან ასოცირდება. დიდია თქვენი დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი, რადგან ჩვენს ქვეყანას და ენას სწორედ ახლა სჭირდება მოსიყვარულე, მომფერებელი მამულიშვილები. თქვენ ხომ ყოველ სიტყვას, ქართულად ამოსათქმელს, როგორც შვილს, როგორც საყვარელ არსებას, ისე ეფერებოდით. არა მარტო დიდი მეცნიერი, დიდი ადამიანიც ბრძანდებოდით – მშვიდი, ღირსეული, ტკბილად მოუბარი, მიმტევებელი. ღმერთმა შეაძლებინოს მომავალ თაობას თქვენნაირი წინაპრების დაფასება.

*კვირისპალიტრელები*

მზია ქირთბაიას ოჯახს თანავუგრძნობთ დედის

**ქიონია ქირთბაიას**

გარდაცვალების გამო.

*თანაკურსელები*



შვილი გიზო უჩაიძე; რძალი ქეთინო ხარძეიშვილი; შვილიშვილები: დათო, უჩა; და ციალა, სიძე გაიოზი; დისშვილი ზაზა ბიძინაშვილი; ძმისშვილები: თემური, დათო ვასაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ეთერ ილიას ასული ალერწიანი**

*გასვენება:* 2 აპრილს, სამტრედიაში.



შვილი ლია; სიძეები: სოსო კიკაძე, ალეკო ციცქიშვილი, თენგო ღონღაძე; შვილიშვილები: მაკა, ნატო, ლევან კიკაძეები; შვილთაშვილი ბორია ციცქიშვილი; სონია ჩადუნელი, ვალერი, გულო კიკაძეები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნატა სებისკვერაძე-ხაბელაშვილი**

ხაშურის საქპრესის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე ფილიალის უფროსს *ლია კიკაძეს*, დედის, ქალბატონ

**ნატა სებისკვერაძე-ხაბელაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გულო, ვალერი კიკაძეები; ვეფხია და ირმა ხაჩიძეები; სულიკო და ლალი ეპიტაშვილები; ალეკო ციცქიშვილი, თენგო ღონღაძე, ვაჟა გელაშვილი იუწყებიან

**გიორგი (გრიშა) უნაფქოშვილის გარდაცვალებას**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

*პანაშვიდი:* 1 აპრილს.

*დაკრძალვა:* 2 აპრილს, სოფელ პატარძეულში.

# ციური ოინები



2000 წლის მაისში მონგოლეთში მომხდარ ამ უცნაურ შემთხვევაზე მთელი მსოფლიოს პრესა წერდა:

საღამოს შინ დაბრუნებულმა მწყემსმა თავისი იურტის წინ კოხტად დალაგებული აგური დაინახა და გაკვირვებულმა ჰკითხა ცოლს, — საიდან გაჩნდაო. შეშინებულმა ქალმა უპასუხა — ციდან ნარნარად ჩამოდიოდა, თავადვე ეწყობოდა ერთიმეორეზეო.

იმ ხანებში იურტის თავზე არანაირი თვითმფრინავი ან შვეულმფრენი არ გამოჩენილა, თანაც თვითმფრინავიდან აგური რომ ჩამოეყარათ, მიწაზე დაცემისთანავე ქვიშად იქცეოდა. საგულისხმოა, რომ იმ მხარეში აგური იშვიათობაა.

შიშით თავზარდაცემული მწყემსი სოფლის შამანს მიადგა საშველად. მან ურჩია, აგურს ხელი არ დააკარო, ეგ ეშმაკის საქმეა, როგორც მოიტანა, ისევე გააქრობსო. გავიდა რამდენიმე დღე. ამასობაში ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. საიდან აღარ ჩამოვიდნენ ჟურნალისტები თუ პარანორმალურ მოვლენათა შემსწავლელები. თითო აგურიც კი წაიღეს სახსოვრად და გამოსაკვლევად. ორიოდე თვის შემდეგ მწყემსის ვაჟმა ციური ნობათით მშვენიერი სახლი წამოჭიმა...

მე-19 საუკუნეში რუსეთის პრესა წერდა პოლტავის გუბერნიის ქალაქ კაბელიკში მომხდარი უცნაურობის შესახებ: თურმე ახალგაზრდა ცოლქმარი შუაღამისას გააღვიძა კარზე საშინელმა ბრახუნმა. კაცმა სასწრაფოდ გააღო კარი და მაშინვე მარჯვედ რომ არ მიეხურა, საიდანღაც წამოსული აგური თავში მოხვდებოდა. არავინ იცოდა, საიდან მოდიოდა ეს ამდენი აგური რამდენიმე საათის განმავლობაში. არც მათ და არც ახლომახლო სამშენებლო მასალა არავის ჰქონდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე კვირა. ახალგაზრდები ისე შეაწუხა ამ მოვლენამ, რომ ბინა გამოიცვალეს და ძლივს ეღირსნენ სიმშვიდეს.

პარანორმალური შემთხვევების მკვლევართათვის ცნობილია ციდან სხვადასხვა საგნის „წვიმა“ — ეს შეიძლება იყოს ნამცხვრის კოლოფები, მანქანის ბორბლები, ტყვია-წამალი, კენჭები, სხვადასხვა ქვეყნის ფული. 1861 წელს ინგლისური გემის „გლორიას“ გემბანზე ცვენა დაიწყო აგურებმა და მალე კარგა მოზრდილი გორა გაჩნდა. „წვიმა“ მოულოდნელად შეწყდა პორტთან მიახლოებისას.

ამ უცნაურ მოვლენებს მეცნიერება ვერ ხსნის.

***ნლო №47***

# მიკლა ბირა — ძაღლქალა



ნოსტრადამუსი გვაშინებს — 2166 წელს ადამიანისა და ცხოველის ჰიბრიდს გამოიყვანენ, შავი, ბანჯგვლიანი მონსტრი გამრავლდება და 500-წლიან ომს გააჩაღებს ადამიანების წინააღმდეგო.

1990-იანი წლების დასაწყისში ამ შეჯვარების იდეის მომხრეთა ახალი ტალღა აზვირთდა. ამერიკელმა მეცნიერმა ჯოზ სიბელიმ საკუთარი ლოყის ქსოვილიდან გამოყოფილი დნმ შეუჯვარა ძროხის წინასწარ დამუშავებულ კვერცხუჯრედს. ექსპერიმენტი ერთი კვირა გრძელდებოდა — უჯრედი ვითარდებოდა.

ერთი კანადელი ბიოლოგი ფიქრობს, რომ ამგვარი ჰიბრიდი ადამიანს ემგვანებოდა, ოღონდ უჯრედებს განსხვავებული თვისება ექნებოდა.

გერმანელმა მეცნიერებმა, საბედნიეროდ, შეწყვიტეს ექსპერიმენტი დნმ-ის მეშვეობით ადამიანისა და ღორის ჰიბრიდის გამოყვანისა, თორემ შესაძლოა გაჩენილიყო არსება, რომელიც 95%-ით ადამიანი იქნებოდა.

თქმულებები ადამიან-ცხოველის შესახებ ყველა ხალხში ოდითგან არსებობს. პლუტარქე გვამცნობს, რომ მწყემსმა კორინთოელ დესპოტს პერიანდრეს ტყავის ჩანთით მიუყვანა ჩვილი, რომელსაც სახე, თავი და ხელები ადამიანისა ჰქონდა, ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილი — ცხენისა. იგი ბავშვივით ტიროდა. პროსპერ მერიმეს ნოველის „ლოკისის“ გმირი კაცდათვა გრაფი გარეგნობით ადამიანია, შინაგანად ისეთი ცხოველური ნიშნები აქვს, რომ გამოჩენისთანავე აფრთხობს ცხენებსა და ძაღლებს. ნოველის დასასრულს გრაფი ქორწინების ღამეს ყელს გამოღადრავს ცოლს... გავიხსენოთ ზღაპრული ჰარპიები (ამ ფრინველებს თავი და მკერდი ქალისა აქვთ), ბუკენტავრი (ნახევარხარი), კენტავრი (ნახევარცხენი), გორგონა (ქალის თავი, რომელსაც თმის მაგიერ გველები ასხია), მერმეიდი (ქალთევზა), მინოტავრი (ხარისთავიანი კაცი), სირენა (ქალისთავიანი ჩიტი), სფინქსი (კაცისთავიანი არსება, რომელსაც ხარის ტანი, ლომის ფეხები და არწივის ფრთები აქვს)... ანდა — ქართული მითების გმირი ოჩოკოჩი, ტყის კაცი — ნახევრად ცხოველი...

1944 წელს მექსიკაში აღმოაჩინეს თიხის და ქვის ფიგურების უცნაური კოლექცია — 33. 500 სტატუეტი ადამიანისა და ცხოველის ჰიბრიდისა. ფანტაზიაა ეს თუ იმ შორეულ წარსულში მართლა ატარებდნენ ამგვარ ექსპერიმენტებს?..

უნგრეთის პატარა სოფელში ცხოვრობს გოგონა-მხეცი, სახელად მიკლა ბირა. მას ნადირის ალღო აქვს, ესმის ყველა ცხოველ-ფრინველის „ენა“, გონებრივი განვითარებით ბევრად აჭარბებს თანატოლებს. გარეგნობით გოგონა თეთრ პუდელს ჰგავს. თავზარდაცემულ თანასოფლელებს ახალშობილის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს. ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები იკვლევენ გოგონას ორგანიზმს, რომელიც რაღაც საშუალოა ცხოველსა და ადამიანს შორის. მათი ფიქრით, მიკლა დროთა განმავლობაში ძაღლს უფრო დაემსგავსება. ახლაც ხანდახან ლაპარაკის დროს ყეფასაც გამოურევს ხოლმე, ხოლო თითებზე ბრჭყალები ეზრდება.

სხვა მოსაზრებით, მიკლა ბირა მუტანტია, რომელიც ქვეყანას მოევლინა ამო-ს მიერ ადამიანებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად. ალბათ ეს თვალსაზრისი უფრო ახლოსაა სიმართლესთან, რადგან სწორედ იმ დროს, როცა მიკლა ჩაისახა, მისი სოფლის ახლოს მფრინავი თეფშები შენიშნეს...

***ორაკული №4***




# საცოლე სიზმრიდან...

## ბებია გაიანემ საქართველოს მომავალიც იცოდა

ანზორ მესხმა 38 წლისამ შეირთო ცოლი. ასე წუნიაობის გამო არ დაუგვიანია. პირიქით — საკმაოდ მიმზიდველს ბევრი ქალიშვილის ოცნება შეუფერადებია, მაგრამ...

— იმ ერთადერთს ველოდი, ვინც ბედმა ჩემთვის გააჩინა და ვიცოდი, უსათუოდ შევხვდებოდი...

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1979 წელს ჯარში გამიწვიეს. ერევანში მოვხვდი. მაშინ დისკოთეკები ახალი ხილი იყო. ჩვენც ხშირად დავდიოდით. იმ ცეკვა-თამაშში შემიყვარდა კარინე სიმონიანი, რომელმაც ქართულიც მშვენივრად იცოდა, რადგან დედამისი თბილისში გაზრდილი სომეხი იყო. გადაწყვეტილი მქონდა, როგორც კი სამსახურს მოვრჩებოდი, ცოლად მომეყვანა. მისმა მშობლებმა აღმითქვეს, თუ დიდი ბებია გაიანე მოგცემთ ნებას, დაგვილოცნიხართო.



კარინეს მამის ბებია გაიანე ლამის ასი წლისა იყო, ცნობილი მკითხავი და მისანი. ამის შესახებ მოგვიანებით გავიგე. რა მაქვს დასაწუნი-მეთქი, — გავყოყოჩდი და ბებია გაიანეს ვეწვიე. იმ ღამით იქ დამტოვეს, რადგან ცოტა ნასვამიც ვიყავი.

დილით, საუზმეზე, ყავა რომ დავლიე, მოხუცმა ჩემი ფინჯანი გადააბრუნა — გიმკითხავებ, მაგრამ მანამდე დაწვრილებით მომიყევი, რაც წუხელ გესიზმრაო.

სიზმარი არ მინახავს-მეთქი, — გულწრფელად ვუთხარი.

შეუძლებელია, არ გენახა, რადგან წუხელ საგანგებო ბალახის ნახარში დაგალევინე. ახლა ეს დააყოლე და გონება გაგინათდებაო, — და წითელი ღვინის მსგავსი სითხე მომაწოდა. ცოტა ხანში მსუბუქი თავბრუსხვევა ვიგრძენი, მერე კი მართლა საოცარი სიცხადით აღვიდგინე ღამის ზმანება... სანთლებით განათებულ დიდ ოთახში ვიდექი და ვიცოდი, ბედის წიგნს ვკითხულობდი, რომელშიც ამოვიკითხე ბევრი რამ, მათ შორის ჩემი საბედოს სახელი — ნინო. ისიც, რომ ნინოს რაღაც ფიზიკური ნაკლი ექნებოდა და ამით უნდა მეცნო!..

ბებია გაიანემ სევდიანად გვითხრა, — აბა, რაღა გითხრათ, ბავშვებო... ხომ ხედავ, ანზორ, სხვა ბედი გქონია და იმას უნდა დაელოდოო.

**— დაუჯერეთ მოხუცს?!**

— არც ვაპირებდი, მაგრამ... ორ თვეში კარინე მოიტაცეს... ამის მერე კი ბებია გაიანეს ნაწინასწარმეტყველები ვირწმუნე და ბედს დაველოდე.

**— აგიხდათ რამე?**

— ბევრი რამ: ახლობლებს დაკარგავ, ორი პატარა შენი გასაზრდელი დარჩებაო, — მითხრა. ავტოკატასტროფაში ძმა და რძალი დამეღუპა. ძმისშვილები მე დავზარდე. დედა ავად გაგიხდება, ტყუილად არ იწვალოთ, კიბო აქვს და დაიღუპებაო, — როგორც კი აიტკივა დედაჩემმა გვერდები, ექვს თვეში ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა. 1989 წელს შენს სამშობლოში დიდი ტრაგედია დატრიალდებაო, — ვფიქრობ, 9 აპრილს გულისხმობდა. ისიც მითხრა, — ქართველ პრეზიდენტს მოკლავენო. ამიტომ არ მჯერა, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა...

ბებია გაიანეს რამდენიმე წინასწარმეტყველება ჯერ არ ამხდარა. ზოგადად ვიტყვი — 4-5 წელი სასიკეთო ცვლილებები არ გვექნება ალბათ. 2005 წლამდე ორი ახალგაზრდა პოლიტიკოსის სიკვდილია მოსალოდნელი... ამის შემდეგ გამოჩნდება ისეთი და იმდენი მტყუან-მართალი, რასაც ხალხი ვეღარ აიტანს და ბუნტიც მოხდება. ბუნტს ისევ გაჭირვება მოჰყვება... 2010 წლის შემდეგ დაგვიდგება მხოლოდ ნანატრი სიმშვიდე.

**— ამბობენ, 2012 წლისთვის სამყაროს დასასრულია ნავარაუდევიო...**

— ბებია გაიანეს მსგავსი არაფერი უთქვამს!

**— მეუღლე როგორ იპოვე?!**

— ნინო ჩემმა ძმისშვილმა მაპოვნინა. ცოტა ზარმაცია ლექსო და ახლობელს ინგლისურის მასწავლებელთან მივაყვანინე. დამირეკა მასწავლებელმა — დავალებებს არ ასრულებსო. წავყევი ლექსოს მასწავლებელთან და დამხვდა იქ ისეთი ანგელოზი, სულ დამავიწყდა, რისთვის ვიყავი მისული, თან სახელიც დაემთხვა და... მარცხენა ხელით წერდა, რადგან მარჯვენაზე ორი თითი ჰქონდა წაწყვეტილი — ბავშვობაში მას და მის ძმას დინამიტი გასკდომიათ თამაშისას... დავახლოვდით, დავქორწინდით და უკვე წლინახევრის მარიამიც გვყავს. არ ვიცი, შეიძლება ეს უკვე ფსიქოლოგიური მომენტია და ჩემგან მომდინარეობდა, მაგრამ ნინოზე დაქორწინება რომ გადავწყვიტე, სიზმრად ბებია გაიანე „მეწვია“ და უცნაურად დამლოცა: „ცხოვრებისა არ შეგეშინდეს, ბოლოს მაინც ყველაფერი კარგად იქნებაო“. ასე მგონია, რაღაც განსაცდელი მელოდება, გამაფრთხილა, მაგრამ ღვთის ნებას წინ ვინ გადასდგომია! არც მე ვაპირებ წინასწარ თვალების დათხრას, მით უმეტეს, თუ ბოლოს ყველაფერი კარგად იქნება!

**— ბებია გაიანე ცოცხალია?**

— არა, 1982 წელს გარდაიცვალა.

**— სასწაულების გჯერათ?**

— რა თქმა უნდა! ამ რწმენით ვცხოვრობ უკვე რამდენი წელიწადია და სხვათა შორის, საოცრად ადვილია ასე ცხოვრება!

***ინგა ჯაყელი***

# მუცელში ჩავუხტი და კნუტივით გავიტრუნე



თჰი კუენი ახლა 30 წლისაა. დაიბადა ვიეტნამის სოფელ ბაოკში. 8 თვისამ გაიარა, წლისა უკვე ლაპარაკობდა. გოგონა მშობლებს წარამარა უმეორებდა, — თქვენი შვილი არა ვარო და მათთვის „დედა“ და „მამა“ არასოდეს დაუძახია. იმასაც ამბობდა, აქაური კი არა, სოფელ ვინიდან ვარო. მეზობლად მართლაც იყო ასეთი სოფელი. უცნაური გოგონა უამბობდა „დედობილ-მამობილს“, როგორ იმსხვერპლა უბედურმა შემთხვევამ...

ერთ ზაფხულს ბაოკში ვინელი ქალი ჩამოვიდა. კუენმა უმალ იცნო სტუმარი, თამამად მიცუნცულდა და მუსაიფი გაუბა. ქალს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა. გოგონამ უთხრა, — მე ჩუანი ვარ, მამაჩემს ლიენი ჰქვია, ვინში ცხოვრობს. ნუთუ არ გახსოვვარ, ათი წლის წინ მოვკვდი და ახლა ხელახლა დავიბადეო.

შინ დაბრუნებულმა ქალმა ცხადია, თანასოფლელებს უამბო ეს უცნაური ამბავი. გაიხსენეს, რომ ლიენს მართლაც ჰყავდა ქალიშვილი, რომელიც ატმის კურკამ დაახრჩო.

გარდაცვლილი გოგონას მამიდა წავიდა თვითმარქვია ძმისწულის სანახავად. კუენი დიდი სიხარულით შეეგება, სახელიც დაუძახა, მიეფერა. ქალმა ვერ იცნო — მის წინ სრულიად უცხო ადამიანი იდგა. კუენმა გაახსენა მამიდას, როგორ ჩააკვდა ხელში...

მალე კუენი ეწვია სოფელ ვინს. უშეცდომოდ დაადგა ლიენის სახლის გზას. იცნო ყველა ნათესავი. გამოსაცდელად მამის მაგიერ ბიძაზე მიანიშნეს, მაგრამ მას მთელი ოჯახი ბრწყინვალედ ახსოვდა. კუენმა აღწერა მისი დაკრძალვის ცერემონიალი და თქვა, როგორ სევდიანად უყურებდა გოგონას გასვენებას უცხო ლამაზი ქალი. „მე თვითონ ავირჩიე იგი ხელახალი შობისთვის, ვისკუპე და მის მუცელში ჩავხტი, კნუტივით მოვიკუნტე და გავიტრუნე. იმ წუთიდან დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება“, — ამბობდა კუენი.

თჰი კუენის დედამ გაიხსენა, — ვინში ახლობლებთან სტუმრობისას როგორ შეესწრო პატარა გოგონას დაკრძალვას...

***ტალისმანი***

## „საზალდო-სალადო“ გვერდის პასუხები

I. თაგვი.

II. **რებუსი**

გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

III. წვიმა.

# აფრიკა და ფეხბურთი?

## ჩივაძის ნაკრებმა „ბაფანა ბაფანა“ „გადათელა“

*რაგბიში უფრო ძლიერი გუნდი გვყოლია, ვიდრე ფეხბურთშიო — დაუჩივლიათ საქართველოს ნაკრებთან გამანადგურებელი მარცხის შემდეგ სამხრეთ აფრიკელებს. ეს მათ რომ არ ეთქვათ, ისედაც ყველასათვის ნათელი იყო, თუმცა ასეთი უსუსური თუ იქნებოდა, ფიფას რეიტინგში საქართველოს ნაკრებზე 37 საფეხურით მაღლა მდგომი „ბაფანა, ბაფანა“, არავის ეგონა. არადა, თამაშამდე ისე ბაქიბუქობდნენ აფრიკელები, კაცი იფიქრებდა — ნეტავ დიდი ანგარიშით არ მოგვიგებდნენო. თამაშმა ცხადყო, რომ „ბაფანა, ბაფანა“, ჩვეულებრივი აფრიკული გუნდია, სხვა არაფერი და ის, რომ ჩვენი ყოფილი მეტოქე მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს, ფიფას წესების „დამსახურება“ უფროა, ვიდრე „ბაფანა, ბაფანას“ ძლიერი გუნდობისა — ფიფას კანონებით მუნდიალზე ხუთმა აფრიკულმა ნაკრებმა უნდა ითამაშოს — სამხრეთ აფრიკა, უბრალოდ, მათ შორის ერთ-ერთია.*

*ისე არ გამოვიდეს, საქართველოს ნაკრებს დამსახურება დავუკარგოთ. ჩივაძის გუნდმა წაუგებელი სერია გაახანგრძლივა, უფრო მეტიც — შეურაცხმყოფელი ანგარიშით მოუგო თანამედროვე გაგებით მსოფლიო ფეხბურთში ასე თუ ისე ნორმალურ გუნდად ცნობილ „ბაფანა, ბაფანას“ და მიმდინარე სეზონში ჩინებული სტარტი აიღო.*


EPA/2002

### საქართველო-სამხრეთ აფრიკა 4:1

**27 მარტი. თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 17.000 მაყურებელი**

***საქართველო:*** *გვარამაძე (ჭანტურია 68), კობიაშვილი, შაშიაშვილი, რეხვიაშვილი, საჯაია (აბრამიძე 78), ბურდული (დარასელია 46), ამისულაშვილი, ჯამარაული, ქეცბაია (ქემოკლიძე 46), დემეტრაძე, იაშვილი (ალექსიძე 82)*

სამხრეთ აფრიკასთან სათამაშოდ ქართველ ლეგიონერთა დიდი ნაწილი თბილისში ვერ ჩამოვიდა, რამაც საშა ჩივაძეს ექსპერიმენტების განხორციელების საშუალება მისცა. ახალწვეულებმა მწვრთნელს გაუმართლეს. თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და ასე გაგრძელდა სრული ორი ტაიმის მანძილზე. აფრიკელები მოედნის ცენტრში ცდილობდნენ ქართველთა შეტევების ჩაშლას და რაც ყველაზე მეტად იყო თვალში საცემი, აშკარა უხეშობასაც არ ერიდებოდნენ, რის გამოც მსაჯმა 30-ე წუთზე გაძევებულ ერთ აფრიკელს მეორე ტაიმის დაწყებიდან ოციოდე წუთში მეორეც მიაყოლა და ფაქტობრივად, თამაშის ბედიც საბოლოოდ გადაწყდა. ტაიმში კობიაშვილმა და დემეტრაძემ ორი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს, მასპინძლებს სამჯერ კიდევ მართებდათ გატანა, მაგრამ ორჯერ იაშვილმა და ერთხელ იმავე კობიაშვილმა ვერ გამოიყენეს საგოლე მომენტები. მთელი ამ დროის მანძილზე, გვარამაძე თითქმის უსაქმოდ იყო. მეორე ტაიმი ჩივაძის გუნდმა, პირველთან შედარებით, ნელ ტემპში დაიწყო და თამაშიც ძირითადად ცენტრში გაჩაღდა. ათი კაცით სტუმრებს შეტევაზე გადასვლა უჭირდათ, თუმცა ერთი გოლი მაინც გაქვითეს, რასაც დემეტრაძემ და შეცვლაზე შესულმა რატი ალექსიძემ ორი გოლით უპასუხეს და ანგარიში გამანადგურებელი გახადეს. ჩვენმა ნაკრებმა მთლიანობაში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაც ნამატჩევს სტუმრებმაც აღნიშნეს. პრესკონფერენციაზე აფრიკელთა დამრიგებელმა ჯომო სონომ რომელსაც თვით პელეს გვერდით უთამაშია, ჩვენი გუნდის მისამართით კეთილი სიტყვები არ დაიშურა და აღნიშნა, ასეთ მეტოქესთან შესუსტებული შემადგენლობით მოგება შეუძლებელიაო. ისე, არც მასპინძლებს უთამაშიათ სრული შემადგენლობით და ეს არგუმენტი სტუმართა თავკაცს არ გამოადგება. სხვათა შორის, შესაძლოა საქართველოს ნაკრებმა სწორედ ჯომო სონოს ცოდვა დაიდოს — „ლოკომოტივზე“ შერცხვენის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე დაიწყეს საუბარი. შეცვლიან თუ არა პატივცემულ სონოს აფრიკელები, მათი საქმეა, ჩვენ კი ჩვენი ვთქვათ — ალექსანდრე ჩივაძის დაუმარცხებელი სერია გრძელდება და ამ სერიის გაგრძელებასთან ერთად, საქართველოში ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბება გულშემატკივრის თვალში სულ უფრო და უფრო რეალური ხდება.

### 27-28 მარტი. ამხანაგური შეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| **ბოსნია-მაკედონია** | **4:4** | **ლიხტენშტეინი-ჩრდ.ირლ.** | **0:0** |
| **პოლონეთი-იაპონია** | **0:2** | **ლუქსემბურგი-ლატვია** | **0:3** |
| **ესტონეთი-რუსეთი** | **2:1** | **უელსი-ჩეხეთი** | **0:0** |
| **რუმინეთი-უკრაინა** | **4:1** | **ირლანდია-დანია** | **3:0** |
| **სენეგალი-ბოლივია** | **2:1** | **ალბანეთი-აზერბაიჯანი** | **1:0** |
| **ხორვატია-სლოვენია** | **0:0** | **ჰოლანდია-ესპანეთი** | **1:0** |
| **მოლდოვა-უნგრეთი** | **0:2** | **ავსტრია-სლოვაკეთი** | **2:0** |
| **საუდ.არაბეთი-ურუგვაი** | **3:2** | **საფრანგეთი-შოტლანდია** | **5:0** |
| **არგენტინა-კამერუნი** | **2:2** | **გერმანია-აშშ** | **4:2** |
| **ტუნისი-ნორვეგია** | **0:0** | **ინგლისი-იტალია** | **1:2** |
| **შვედეთი-შვეიცარია** | **1:1** | **პორტუგალია-ფინეთი** | **1:4** |
| **მალტა-ანდორა** | **1:1** | **ეკვადორი-ბულგარეთი** | **3:0** |
| **საბერძნეთი-ბელგია** | **3:2** | **ბრაზილია-ჰოლანდია** | **1:0** |

სამშაბათს და ოთხშაბათს მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესმა ნაკრებმა მოსინჯა ძალები. რასაკვირველია, ჩვენს ყურადღებას ყველაზე მეტად იმ გუნდების მატჩები იპყრობდა, რომლებიც საქართველოს ნაკრების მეტოქენი არიან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. თავს ლაფი დაესხა ოლეგ რომანცევის გაწვრთნილ რუსეთის ნაკრებს, რომელიც ესტონეთში დამარცხდა იქაურ გუნდთან 1:2. ანგარიში მით უფრო გასაკვირია, რომ რომანცევმა ტალინში სათამაშოდ ნაკრების თითქმის ყველა ლიდერი იხმო. გადამწყვეტი გოლი რუსებმა თამაშის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე გაუშვეს.

საპატიო ფრეს მიაღწია შვედეთში ჩვენი გუნდის კიდევ ერთმა მომავალმა მეტოქემ — შვეიცარიის ეროვნულმა ნაკრებმა — 1:1. სტუმართაგან ერთადერთი გოლი კაბანიასმა გაიტანა. დუბლინში 42.000 მაყურებლის თვალწინ მიკ მაკარტის გაწვრთნილმა ირლანდიის ნაკრებმა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა დანიელებს, სამი უპასუხო გოლი ჰარტის, კინისა და მორისონის ანგარიშზეა. ალბანელებმა ტირანაში აზერბაიჯანს უმასპინძლეს და ტარეს მიერ 39-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოუგეს.

დანარჩენი მატჩებიდან ყველაზე დიდ ინტერესს ინგლისი-იტალიისა და ჰოლანდია-ესპანეთის შეხვედრები იწვევდა. ლიდსში სვენ გორან ერიქსონის ნაკრები 1:0-ს უგებდა იტალიელებს რობი ფაულერის გოლის შემდეგ, მაგრამ მოედანზე ვინჩენცო მონტელას გამოჩენამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. „რომას“ ფორვარდმა ჯერ ულამაზესი გოლი გაუტანა მასპინძელთა მეკარე ჯეიმსს, შემდეგ კი მაკარონეს წაქცევისათვის დანიშნული პენალტიც გამოიყენა და ინგლისელთა შვედ მწვრთნელს ამ პოსტზე დანიშვნის შემდეგ პირველად აგემა წაგების სიმწარე. ჰოლანდიისა და ესპანეთის ნაკრებთა შეხვედრა სანახაობრივად არ გამოდგა ისეთი, როგორისაც მოელოდნენ. გადამწყვეტი გოლი ფრანკ დე ბურმა პირველი ტაიმის 32-ე წუთზე გაიტანა. სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია იაპონიის ნაკრების სენსაციური გამარჯვება ვარშავაში პოლონეთთან 2:0, უკრაინელთა განადგურება რუმინეთში, არგენტინისა და კამერუნის ნაკრებთა ფრედ დასრულებული მატჩი — 2:2, ყველაზე დიდი სენსაცია კი პორტუგალიაში დაფიქსირდა, სადაც იქაურმა ნაკრებმა ფინეთთან 1:4 წააგო.

# ეფენბერგი „ფულემში“ გადადის



ინგლისური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მიუნხენის „ბაიერნის“ ლიდერი და კაპიტანი შტეფან ეფენბერგი მიმდინარე სეზონის დასრულებისას, ბავარიულ კლუბს დატოვებს და პრემიერლიგის „ფულემში“ გადავა, რომელსაც ფრანგი სპეციალისტი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ჟან ტიგანა უდგას სათავეში. „ფულემი“ ცნობილი ეგვიპტელი მილიარდერის, მუჰამედ ალ ფაიედის გუნდია. სავარაუდოა, რომ ეფენბერგს ამ კლუბში იმაზე ნაკლებ ჰონორარს არ დაუნიშნავენ, რასაც ახლა იღებს „ბაიერნში“. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ „ეფე“ „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ გადავიდოდა. ამ ვარიანტის გამორიცხვის შემდეგ, ბავარიელთა კაპიტანი მადრიდში იმყოფებოდა იქაური „ატლეტიკოს“ შეფებთან მოსალაპარაკებლად. არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე და სავარაუდოა, რომ საბოლოო არჩევანს სკანდალურად ცნობილი გერმანელი სწორედ „ფულემზე“ შეაჩერებს.

# „ლიდსის“ ქომაგებს თურქები არ ჰყვარებიათ

ინგლისის „ლიდს იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა, რომლებიც ცნობილნი არიან რასისტული შეხედულებებით, კიდევ ერთხელ გამოიჩინეს თავი „ლიდსისა“ და „ლესტერის“ შეხვედრისას, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაიმართა. დაახლოებით 2000 ლიდსელი გულშემატკივარი მთელი ორი ტაიმის მანძილზე შეურაცხყოფდა „ლესტერის“ თურქ ფეხბურთელს მაზი იზეტს. აგვისტოში, „ლესტერის“ ახალი სტადიონის პრეზენტაციაზე სწორედ „ლიდს იუნაიტედს“ უნდა ეთამაშა, მაგრამ „ლესტერის“ პრეზიდენტმა ჯონ ლიმ განაცხადა, რომ არავითარი სურვილი არ აქვს, სტადიონის გახსნაზე მისი გუნდის მეტოქედ „ლიდსი“ იხილოს.

# ბატისტუტა პრემიერლიგაში?



არცთუ წარმატებული გამოდგა მიმდინარე სეზონი არგენტინის უკანასკნელი ათწლეულის საუკეთესო ფორვარდის — გაბრიელ ბატისტუტასათვის. შარშანდელი სეზონისგან განსხვავებით, წლეულს „რომაში“ „ბატი-გოლმა“ თავი ვერაფრით გამოიჩინა და სავარაუდოა, რომ იგი სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს რომაულ კლუბს. მისი შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა რამდენიმე კლუბმა. რასაკვირველია, ყველაზე მეტად ინგლისური გუნდები აქტიურობენ, პრემიერლიგაში დიდი ფასი აქვთ სერია A-ს „მობერებულ“ ვარსკვლავებს. ლონდონის „ჩელსის“ იტალიელი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი თვლის, რომ ბატისტუტა ყველაზე უკეთ, სწორედ პრემიერლიგაში ითამაშებს. იგი დაინტერესებულია არგენტინელის შეძენით. „ბატი გოლის“ გადაბირება ჟან ტიგანას „ფულემსაც“ სურს. თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არა კლუბის გამოცვლაზე, არამედ მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ფიქრობს.

# მალდინი ვერ მომჯობინდა

„ატალანტას“ წინააღმდეგ მატჩში რამდენიმე თვის წინ მიღებული ტრავმა შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს „მილანისა“ და იტალიის ნაკრების კაპიტანს პაოლო მალდინის. აგერ უკვე მესამე თვეა მალდინი ვერ თამაშობს და შეიძლება ისეც კი მოხდეს, რომ „სკუადრა აძურას“ კაპიტანი, კორეა-იაპონიის გარეშე დარჩეს. „ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, მშვიდად ველი ტრავმის მოშუშებას, მაისში სრულ მზადყოფნაში ვიქნები“ — დააიმედა მალდინიმ იტალიელთა გულშემატკივრები. რამდენად წაადგება ოთხი თვის უთამაშებელი ფეხბურთელი „სკუადრა აძურას“ კორეა-იაპონიაში, ძნელი სათქმელია.

# გაიყიდა პელეს მაისური



კრისტის აუქციონზე ₰220.000-ად გაიყიდა მაისური, რომლითაც ლეგენდარულმა პელემ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ითამაშა. სავაჭრო დაწესებულებისთვის ათნომრიანი მაისური იტალიელ რობერტო როსიტოს ჩაუბარებია, რომლისთვისაც პელეს თავად გაუცვლია მაისური ფინალის დამთავრების შემდეგ. „რელიკვიის“ ასეთ ფასად გაყიდვამ თავად „ფეხბურთის მეფეც“ გააოცა, იგი ვარაუდობდა, რომ მაისური დაახლოებით ₰50.000-ად გაიყიდებოდა.

# მარიო ჟარდელი ვალენსიაში?

ესპანური „ვალენსიას“ მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ ლისაბონის „სპორტინგის“ ბრაზილიელი ბომბარდირის, მარიო ჟარდელის შეძენა სურს. ჟარდელი, რომელიც „სპორტინგში“ თურქული „გალათასარაიდან“ გადავიდა, ახლაც ბრწყინვალე ფორმაშია და გოლი გოლზე გააქვს. ადრე თავად ჟარდელმა გამოთქვა ესპანეთის პრიმერადივიზიონში თამაშის სურვილი და გამორიცხული არ გახლავთ, მომავალი სეზონიდან მართლა „ვალენსიაში“ ამოყოს თავი. მით უმეტეს, რომ ვალენსიელები მაღალი კლასის ფორვარდების ნაკლებობას განიცდიან და მათივე მწვრთნელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟარდელის სათამაშო სტილი ზედგამოჭრილია „ვალენსიასათვის“.

# მარჩელო ლიპი ტურინში რჩება



ტურინის „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო ბეტეგამ განაცხადა, რომ „იუვეს“ მთავარი მწვრთნელის — მარჩელო ლიპის პოზიციები, კლუბში ურყევია და რა შედეგითაც არ უნდა დაასრულოს ლიპიმ სეზონი, იგი გუნდს მომავალ სეზონშიც გაუძღვება. შეგახსენებთ, რომ მარჩელო ლიპის გადადგომის შესახებ იტალიაში ჭორები მას შემდეგ დაირხა, რაც „ბებერმა ქალბატონმა“ ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა, რასაც „პარმასთან“ განცდილი მოულოდნელი მარცხი მოჰყვა.

იტალიელ მიმომხილველთა აზრით, „იუვენტუსს“ მეტად გაუჭირდება სკუდეტოსათვის ბრძოლა, ვინაიდან საერთო აზრით, „იუვეს“ ბევრად უფრო რთული მატჩები ელის, ვიდრე მის უშუალო კონკურენტს — მილანის „ინტერს“.

# ქართულ ჭადრაკს ნინო გურიელი გაუძღვება

პარასკევს თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. ეს პატივი წილად ხვდა ცნობილ ქართველ დიდოსტატს ნინო გურიელს, ვიცე პრეზიდენტის პოსტი დავით გურგენიძეს ერგო, თანათავმჯდომარედ კი საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი აირჩიეს. პარასკევს გამართული ყრილობა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენითაც აღინიშნა — ლეგენდარულმა ნონა გაფრინდაშვილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თავს ანებებს დიდ ჭადრაკს.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მფa4-b3!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



# წლევანდელი „შავკანიანი" „ოსკარი"...



ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში „ოსკარი" პირველად გადასცეს ჰოლივუდში და არა სხვა რომელიმე სასახლეში, როგორც ეს აქამდე ხდებოდა — საამისოდ საგანგებოდ აშენდა ულტრათანამედროვე კომპლექსი და კინოთეატრი „კოდაკი". დარბაზში, მარჯვე კონფიგურაციის წყალობით, 2.200-დან 3.500-მდე ადგილი შეიძლება გაჩნდეს.

წლევანდელი, რიგით 74-ე ცერემონია მიჰყავდა ცნობილ შავკანიან მსახიობს, თავად ოსკაროსანს ვუპი გოლდბერგს. ამერიკელებს ძალიან უყვართ ვუპის ოხუნჯობა, აფასებენ მის სიკეთესა და დიდ ქველმოქმედებას.

ოსკარის გადაცემის ღამეს ამერიკის რამდენიმე ქალაქში სინქრონულად იქმნება ჰოლივუდისმაგვარი ატმოსფერო — წითელი ხალიჩებით, ლიმუზინებით, პაპარაცებით, საღამოს კაბებით, ძვირფასი სამკაულებით... მასში მონაწილეობისთვის მდიდრები დიდ ფულს იხდიან, რაც ადგილობრივი მასშტაბის ქველმოქმედებას ხმარდება.

ვუპი გოლდბერგის გარდა, წლევანდელ ცერემონიაში მონაწილეობდნენ: ჯონ ტრავოლტა, ჰიუ გრანტი, სანდრა ბალოკი, ჯოდი ფოსტერი, ბარბრა სტრაიზანდი, მელ გიბსონი და სხვა ვარსკვლავები. პოლ მაკარტნიმ შეასრულა თავისი „ვანილის ზეცა", იმავე სახელწოდების ფილმიდან. სიმღერა წარდგენილი იყო „ოსკარზე" კატეგორიაში „ორიგინალური სიმღერა", მაგრამ პრიზი მისცეს რენდი ნიუმენს სიმღერისთვის „შენ რომ არ მყავდე" (ფილმი „Monsters, incorporated").

თავად მაკარტნიმ „ოსკარი" მიიღო 1970 წელს, როცა „ბითლზები" დაჯილდოვდა სიმღერისთვის „დაე, იყოს".

„ოსკარის" 25 კატეგორიას ანიჭებენ, ხოლო საჩუქრებს არგუნებენ მათ, ვისაც ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო არ ხვდა. 175 ნომინანტს გადაეცა „სასაჩუქრო კალათები". თითოეული დაახლოებით 20 ათას დოლარადაა შეფასებული. მათში, რა თქმა უნდა, დევს Lancom-ის კოსმეტიკა, (200 დოლარის), Codiva-ს შოკოლადი (150 დოლარის), საათი Ebel-ი (1450-1600-დოლარიანი), ციფრული კამერა „Hewlett-Packard"-ი (500-დოლარიანი), მექსიკაში დასასვენებელი საგზური და სხვ.

ამბობენ, ორგანიზატორებმა ბევრი დრო დახარჯეს ვარსკვლავების ტანსაცმლის ზომების დასადგენად და გემოვნებისა და სურვილების გასათვალისწინებლადო. მაგალითად, ალისია კეისს არ ესიამოვნებოდა ბრილიანტის საყურეეების ჩუქება, რადგან მომღერალი აფრიკის საბადოებში მონური შრომის წინააღმდეგიაო...



**P.S.** „ოსკარის" ცერემონიის სიურპრიზი იყო ორი შავკანიანი მსახიობის — ძალიან ცნობილი **დენზელ ვაშინგტონისა** და ნაკლებად ცნობილი **ჰოლი ბერის** დაჯილდოება.



ოსკაროსანმა შავკანიანმა მსახიობმა **სიდნეი პუატიემ** ამჯერად ეს ჯილდო მიიღო კინემატოგრაფში გაწეული დიდი ღვაწლისთვის მსახიობ **რობერტ რედფორდსა** და რეჟისორ **არტურ ჰილერთან** ერთად.

**„ბრწყინვალე გონება"** „ოსკარზე" 8 ნომინაციით იყო წარდგენილი. გაიმარჯვა ოთხ ნომინაციაში: საუკეთესო ფილმი, რეჟისურა, ქალის მეორეხარისხოვანი როლი, სცენარი-ეკრანიზაცია.

**„ბეჭდების მბრძანებელი"** 13 ნომინაციით იყო წარდგენილი, მიიღო ოთხი: ოპერატორის ნამუშევარი, სპეცეფექტები, მუსიკა, გრიმი.

**„მულენ რუჟი"** — 8 ნომინაციიდან 2 ხვდა: მხატვრის ნამუშევარი და კოსტიუმები.

**„შავი შევარდნის ვარდნა"** — 4 ნომინაციიდან მიიღო ორი: ხმა და მონტაჟი.

**„ჰოსფორდ პარკი"** — „ოსკარზე" წარდგენილი იყო 5 ნომინაციით, მიიღო მხოლოდ ერთი — ორიგინალური სცენარისთვის.

**„პერლ ჰარბორი"** — 3 ნომინაციიდან გაიმარჯვა ერთით — ხმის საუკეთესო მონტაჟისთვის.

საუკეთესო სრულმეტრაჟიან ანიმაციურ ფილმად დასახელდა **„შრეკი"**, რომლის მთავარი სიახლე ადამიანის მსგავსი კომპიუტერული მიმიკაა.

## სიგიჟიდან გამოსასვლელი გზა





„ოსკარის" ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ჩაცხრა. პრიზები განაწილდა. წლის საუკეთესო ფილმად აღიარეს კინორეჟისორ რონ ჰოვარდის დრამა „ბრწყინვალე გონება", რომელიც გვიამბობს შიზოფრენიით დაავადებული ნობელის პრემიის ლაურეატის ჯონ ფორბს ნეშის ცხოვრებაზე, რომელიც გამარჯვებული დაბრუნდა რეალობაში.

...ქალს გულს უხეთქავს საწოლზე ქამრებით დაბმული ქმრის ყურება, რომელსაც ელექტროშოკს უკეთებენ, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ არის. მან ხომ შვილი კინაღამ აბაზანაში ჩაახრჩო. კაცი ირეალურ სამყაროში გადასახლდა, მისი გიჟური წარმოსახვების ატანა უკვე შეუძლებელია... ალისია (ჯენიფერ კონელი) ხვდება, რომ ჯონთან ძველებურად ბედნიერი ველარ იქნება — მის გენიოს ქმარს პარანოიკული შიზოფრენია შეეყარა.

დღეს ნეში 73 წლის არის (სხვათა შორის, „ოსკარის" დღესასწაულსაც დაესწრო). რონ ჰოვარდის დრამაში მის როლს თამაშობს რასელ კროუ.

ასეთ სახეს ავსტრალიელი მოყვარული ფერმერისგან არავინ ელოდა, მით უმეტეს, რომ „გლადიატორში" სულ სხვა ამპლუაში მოევლინა მაყურებელს — სანდლებსა და კილტში გამოწყობილ მამაც და მებრძოლ გმირად, რომის გადამრჩენელად. ეს იყო მსახიობის გამარჯვება და მას ამ გმირისთვის „ოსკარი" მიანიჭეს. ამჯერად კი „ბრწყინვალე გონებაში" რასელ კროუ არენაზე ვეფხვების ნაცვლად თავის სხეულში ჩასახლებულ დემონებს ებრძვის. ამ როლზე მსახიობი გულმოდგინედ მუშაობდა, ნეშის თეორიას და ბიოგრაფიას სწავლობდა...

ნეში 1928 წელს ვირჯინიაში დაიბადა. 28 წლისა თავისი ნაშრომების გამო „ახალი მათემატიკის ბრწყინვალე ვარსკვლავად" მონათლეს. ენერგიულ, ათლეტური აღნაგობის ნეშს ცოლად მშვენიერი ქალი ჰყავდა. კარიერის ზენიტში იგი მოულოდნელად სულიერად დაავადდა, დაკარგა სამსახური და მეუღლე...

დევნის მანიით შეპყრობილი დიდი მათემატიკოსი გერმანიაში გარბის... ერთხელ, სექსუალური ძალადობისთვის მამაკაცთა ტუალეტში აპატიმრებენ.

შიზოფრენია არ იკურნება, მაგრამ ნეშმა აჯობა ამ დაავადებას. თანაც, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ მაშინ, როცა მკურნალობას თავი დაანება.

— ეს იმიტომ მოხდა, რომ ჯონი მშვიდ და წყნარ ცხოვრებას ეწეოდა, — თქვა ალისიამ, რომელიც ნეშმა შარშან შეირიგა...

— გადაღებებზე ცოლ-ქმარი ერთად დადიოდა, — ამბობს რასელ კროუ, — ხანდახან ნეშს ვეკითხებოდი, ჩაის ან ყავას ხომ არინებებთ-მეთქი. ის კი პასუხად ჩაის სმაზე 15-წუთიან ლექციას მიკითხავდა.

ჰოლივუდს უყვარს გენიოსობისა და სიგიჟის ზღვარზე მყოფი ტიპები.

„ბრწყინვალე გონება" 8 ნომინაციაზე იყო წარდგენილი, ამიტომ არავის უეჭვია, რომ ერთ ოსკარს რასელ კროუც გამოჰკრავდა ხელს. ასე არ მოხდა. „ბრწყინვალე გონება" წლის საუკეთესო ფილმად აღიარეს, ოთხი ოსკარიც მიანიჭეს, მაგრამ მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის ჯილდო დენზელ ვაშინგტონს ხვდა...

ეს როლი ოსკარის გამო არ მითამაშიაო, — იღრიჯება კროუ. საერთოდ, კროუს რეჟისორები მძიმე ადამიანად მიიჩნევენ — ბევრს არ ესალმება, უზომოდ ეწევა, არ იცინის, ხანდახან რომელიმე ხუმრობაზე თუ აჭიხვინდება. გაუპარსავსა და ლუდნაყლაპს ტყისმჭრელის პერანგი აცვია ხოლმე. მის შემხედვარეს გიკვირს, მაინც რა ნახა მეგ რაიანმა ამ ტიპშიო. სულ არ ანაღვლებს, ჰოლივუდში მასზე ვინ რას ფიქრობს.

— ყველაფერს კაცობრიობის კეთილდღეობისთვის უნდა ქმნიდე, — ისე ამბობს კროუ, თითქოს ნობელის პრემიის კომიტეტის წინაშე იდგეს.

რასელ კროუ ინტერვიუებს არ აძლევს ჟურნალისტებს. ამბობს, ჯონ ნეშის როლის თამაშზე იმდენი დრო დავკარგე, რომ ახლა ჩემთვის ყველა წუთი ძვირფასიაო.

## ოსკართან დაკავშირებული ამბები

### პირობა შეასრულა

ოსკარების გადაცემის შარშანდელ ცერემონიალს დიდი მღელვარებით ადევნებდა თვალს პატარა ქალაქ სმირნაში მცხოვრები კბილის ექიმი თედ ასპსი. 26 წლის წინ მან წინდაუხედავად განაცხადა, — ჩვენი თანამოქალაქეებიდან თუ ვინმე მიიღებს ოსკარს, სმირნელ პატარებს უფასოდ დავურიგებ კბილის პასტასო. შარშან კი, როგორც ყველა კინომოყვარულს მოეხსენება, ოსკარი ჯულია რობერტსმა დაიმსახურა — ჯულია კი სწორედ სმირნაში დაიბადა და გაიზარდა. ცერემონიის მეორე დღესვე თედ ასპსმა პირობა შეასრულა...

### მოდა და ოსკარი

„ოსკარი" მარტო კინემატოგრაფიული მოვლენა როდია. ეს მოდების პრესტიჟული ჩვენებაცაა, სადაც თოფმოდელები კინოვარსკვლავები არიან. ამ დეფილეში ადგილის მოსაპოვებლად დიზაინერები ადრევე იწყებენ ბრძოლას.

ყველაფერი კი 1990 წელს დაიწყო, როცა „ოსკარის" ცერემონიამდე ცოტა ხნით ადრე ჟურნალ Womens Wear Daily-ში ორი მსახიობის სურათი დაიბეჭდა — არმანის თეთრ სამეჯლისო კაბაში გამოწყობილი კიმ ბესინჯერი და შარვლიანი კოსტიუმით დამშვენებული ჯოდი ფოსტერი. ამ ფოტოებმა მისცა ბიძგი კინობიზნესის ინდუსტრიაში მოდისადმი ინტერესის გაღვიძებას. 1991 წელს არმანი ჰოლივუდის ვარსკვლავებს ველარ იგერიებდა, რომლებიც ექსკლუზიურ კაბებს უკვეთავდნენ. მას მერე ცერემონიალზე მიწვეულ ყველა ქალს მხოლოდ საუკეთესო მოდის სახლებში საგანგებოდ შეკერილი კაბები ეცვა.

2001 წლის ცერემონიის შემდეგ პრესაში წერდნენ ნიჭიერ რეჟისორ სტივენ სოდერბერგზე, რომლის ფილმმაც „ოსკარი" მიიღო, მაგრამ უფრო მეტად აღელვებდათ იმავე ფილმში მთავარი როლის შემსრულებლის, ასევე ოსკაროსანი ჯულია რობერტსის შავი კაბა, რომელიც ვალენტინოს დიზაინით იყო შეკერილი.

ჩასაცმელის შერჩევის თადარიგს ვარსკვლავები ადრე იჭერენ, ხოლო მოდელიერები ვარსკვლავისათვის ბრძოლას უფრო ადრე — შემოდგომიდან იწყებენ. თუ კუტიურე ვარსკვლავის მეგობარია, მაშინ პირდაპირ შინ უგზავნის კასეტას დეფილეს ჩანაწერით და აუცილებელი მინაწერით: „ყველაფერი, რაც მოგეწონებათ — თქვენია". ასე იქცევა დონატელა ვერსაჩე, რომლის ერთ-ერთი კლიენტია ჯენიფერ ლოპესი. ამასთან, კაბა ვარსკვლავებს ერთი ცენტიც არ უჯდებათ.

მოდელიერები თავს იყრიან ლოსანჯელესის საუკეთესო სასტუმროებში და მსახიობებს უამრავ სამოსს სთავაზობენ. ვარსკვლავთა სტილისტები არჩევენ საუკეთესოს და ხშირ შემთხვევაში აღარც აბრუნებენ. ზოგი კაბა



ლორა ჰელენ ჰერინგის ბრილიანტებით მოოჭვილი მაშიები

ორმოცდაათი ათასი დოლარი ღირს, მაგრამ ეს რა არის...

ამას წინათ ჰოლივუდის დიზაინერმა ენ ბოუენმა განაცხადა, — ჩემი ბრილიანტებით მოოჭვილი წითელი აბრეშუმის კაბა, რომლის ღირებულება ხუთი მილიონი დოლარია, თავის ვარსკვლავს ელისო. ამ საოცრების ჩამცმელს ცერემონიის დღეს მცველთა ამალა უნდა გაჰყოლოდა...

2002 წლის ოსკაროსან ჰოლი ბერის ქალის საუკეთესო როლისთვის „ოსკარი" რომ არ მიეღო, ეს ჯილდო კოსტიუმის გამო მაინც უნდა მიენიჭებიათ. დაუვიწყარი იყო ფერების საოცარი შერწყმა, ქსოვილის ფაქტურა...

20-იანი წლების მოდას შეახსენებდა საზოგადოებას ოდრი ტოტუს კაბა. იგი ერთდროულად იყო ქალური, სექსუალური, სადა და, ამავე დროს, მეტად თანამედროვედ გამოიყურებოდა.

ჯენიფერ ლოპესს ეცვა ლოკოკინებით მოხატული თეთრ-ვარდისფერი ჰაეროვანი კაბა, რომელიც, ცოტა არ იყოს, იაფფასიან შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ეტყობა, ვარდისფერი ძალიან მოსდით თვალში ვარსკვლავებს. ნიკოლ კიდმანსაც ტორტივით სართულებიანი ვარდისფერი კაბა ემოსა და ვარდისფერივე სამკაულები ამშვენებდა.

ამერიკელთა საყვარელ ჯულია რობერტსს არმანის შავი კაბა ემოსა.

„ოსკარის" ჰიტი იყო ლორა ელენ ჰერინგი. იგი ასი ათას დოლარიანი ბრილიანტებით მოოჭვილი მაშიებით იწონებდა თავს...

## ცეროდენა ბარმენი

დიდ ბრიტანეთში საუკეთესო ბარმენი გამოავლინეს — ვინმე ნაიჯელ ჰაველ-სმითი.

ნაიჯელი 28 წლისაა, მაგრამ დიდ ბრიტანეთში ყველაზე ცეროდენა და ყველაზე პოპულარული ბარმენია — მისი სიმაღლე სულ 1,35 მ-ია. დახლთან რომ კლიენტებს მოემსახუროს, ნაიჯელი ლუდის ყუთზე დგება. ცეროდენა ბარმენთან გასაუბრების მსურველთა უზარმაზარმა არმიამ პაბი „ნიუ ინსი" დასავლეთ მინდლენდის საგრაფოს ყველაზე ხმაურიან და სახელგანთქმულ დაწესებულებად აქცია.

გულკეთილი ბარმენი კლიენტების ხუმრობას კეთილი ღიმილით პასუხობს. სამაგიეროდ, ნაიჯელი უკვე პაბის მენეჯერის მთავარი თანაშემწე გახდა, ორი-სამი წლის შემდეგ კი საკუთარი პაბის გახსნაც აქვს განზრახული. სიყვარულშიც უმართლებს. „ნაიჯელი შეუდარებელია — მისი მომცრო ტანის მიღმა დიდბუნებოვანი ადამიანი იმალება". — არწმუნებს ყველას მისი 20 წლის საცოლე დანიელა ჰილი.

***სპიდ-ინფო №11***



## ბრუნეიელ ტარზანს ჯუნგლებში მოსწყინდა

ბრუნეის სასულთნოში გაოცებისაგან თვალებგაფართოებულ ბრუნეიელებს იმ ერთ მშვენიერ, მზიან დღეს ბევრს ნახავდით — მათ თვალწინ ტარზანი იდგა. იგი ტყიდან ტანსაცმელშემოფლეთილი და წელამდე თმამოშვებული გამოვიდა. 27 წლის განდეგილი ხალხს სწორედ იმ ადგილას გამოეცხადა, საიდანაც 7 წლის წინ გაქრა. მას შემდეგ მისი მეზობლები ამბობდნენ, ჯინის მაგვარმა ქალმა გაიტაცაო.

სინამდვილეში კი, რისთვის გაწირა თავი ახალგაზრდა ბრუნეიელმა, ჯერჯერობით, უცნობია. რა თქმა უნდა, ჯინი-ქალის ამბავი ზღაპარია. ტარზანს ექიმი-ფსიქიატრები გამოიკვლევენ. თავად ახალგამომცხვარი ტარზანი კი ბრძანებს, რომ ამ ხნის მანძილზე ხილკენკრითა და ხის ქერქით იკვებებოდა, ტანს მდინარეში იბანდა და იქვე იკლავდა წყურვილს. ორად ორი რამ უღონებდა გულს — შინაურების მონატრება და ქვეწარმავლები, რომლებთანაც არცთუ ისე სასიამოვნო შეხვედრები ჰქონია.

ახლა ტარზანს გადაწყვეტილი აქვს (მას ავანგი ჰქვია) ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს და სხვებივით მუშაობა დაიწყოს.

***ოტდოხნი №11***

## ერთგული ლამები



თურმე ლამა საოცრად ამაყი და უკარება ცხოველია. უცნობებს არ ეკარება. თვინიერი გარეგნობის მიუხედავად ისინი საკმაოდ მეგობრულნი და შემტევნი ყოფილან. ერთგულად იცავენ იმ გარემოს, სადაც ბინადრობენ, არ ეპუებიან არც ადამიანებს, არც მხეცებს.

ინგლისელი ფერმერის ედვარდ დორელის ფერმას გარს მშვენიერი წიწვნარი აკრავს. სწორედ ეს კორომი გახდა ათასი ჯურის ბრაკონიერისათვის შემოსავლის წყარო. ყოველ წელს მას აკლდებოდა 3-4 მშვენიერი ხე. რა არ იღონა ფერმერმა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ერთ დღეს დორელმა მეგობარი ფერმერისაგან ლამები შეიძინა. მას შემდეგ კორომში ხეს წიწვიც კი არ დაჰკლებია.

ალმოჩნდა, რომ ეს ლამაზი ცხოველები ძაღლებზე უფრო ერთგულად იცავენ გარემოს.

***მირ ნოვოსტეი №10***



## მეუღლის ლოგინში [illegible]

შუაღამით ინდოელი გლეხი რუბი ბარჯაი უჩვეულო ხვრინვამ გააღვიძა. მეუღლე ეგონა. გადაყო ხელი, იფიქრა შევაღვიძებო, მაგრამ ვიღაცის გრძელ ბეწვს შეეხო. ბარჯაი წამოხტა და მთვარის შუქზე საშინელი სურათი დაინახა: მეუღლის გვერდით ვეფხვს ტკბილად ეძინა.

გლეხმა მეუღლე ჩუმად გამოიყვანა ოთახიდან, კარი ჩაკეტა და პოლიციაში დარეკა. პოლიციელები მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მივიდნენ. საბედნიეროდ, ვეფხვს არ გაუღვიძია.

ცხოველს ნემსი გაუკეთეს, შეკრეს და წაიყვანეს. საოცარია, როგორ შეაღწია სახლში ვეფხვმა და როგორ ალმოჩნდა საწოლ ოთახში.

ამბობენ, ცოლ-ქმარი ცოცხალი მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ დაღლილ ცხოველს ძილი მორევიაო.

***მეგაპოლის-ექსპრესი №11***

## ქალაქის მერი სკოლის გამოცდებზე ჩაფლავდა...

მვალიმუ მასუდ მვაჰიმამ, რომელიც აგერ უკვე სამი წელია წარმატებით მართავს ნახევარმილიონიან მომბასას (კენია), გადაწყვიტა საშუალო სკოლის გამოცდების ჩაბარება. მაგრამ რად გინდათ? ამხელა ქალაქის მერი სამარცხვინოდ ჩაფლავდა.

მეცნიერებისაკენ ლტოლვა მვაჰიმას მას შემდეგ გაუძლიერდა, რაც მინისტრმა უჰურუ კენიატამ მერებისა და ქალაქის საბჭოების წევრთათვის განათლების ცენზი შემოიღო. „მერის განათლების შეძენის სურვილი მისასალმებელია, — ამბობს სკოლის სასწავლო ნაწილი, — 60 წლისამ 18 წლის ახალგაზრდები გამოიწვია. გული არ უნდა გაიტეხოს, ბეჯითად იმეცადინოს და კიდევ ერთხელ სცადოს გამოცდების ჩაბარება".

ჩაფლავება ჩაფლავებად, მაგრამ მერს სხვა მხრივ გაუმართლა — საუცხოო სარეკლამო სვლა გამოუვიდა: მომავალ არჩევნებში გამოცდებში გმირული დამარცხება მომბასას მკვიდრთა ხმების უმრავლესობას მოუტანს.

***ეხო პლანეტი №11***

## ჩიტის მოტანილი ამბები



**მისი „პატარა" სისუსტე.** ახალგაზრდა შესანიშნავ მსახიობს, ვაინონა რაიდერს სასამართლო პროცესი ელის ქურდობის ბრალდებით. იგი ბევერლი-ჰილზის ერთ-ერთ ბუტიკში გამოიჭირეს, როცა რამდენიმე ნივთს ფარულად დამცველ მაგნიტურ კლიფსებს აცლიდა და დიდ ჩანთაში ტენიდა. მოსაპარ საქონელს შორის იყო ტანსაცმელი, ქალის ჩანთა და თმის სამაგრები — სულ 5 000 დოლარის ღირებულებისა. რატომ გააკეთა ეს, რაიდერმა ვერაფრით ახსნა. ახლა მისი ადვოკატი თუმცა აცხადებს, ყოველივე გაუგებრობის ბრალია, ჩემს კლიენტს ფიქრადაც არ მოსვლია რაიმეს აწაპვნა და ყველაფერი მალე გაირკვევაო, მაინც იგრძნობა, რომ თვითონაც შეცბუნებულია. ვაინონას დამპატიმრებელი პოლიციელებიც შეწუხებულები არიან. „არავითარი ისტერიკა, თავაზიანი და კეთილგანწყობილი, პირდაპირ ნამდვილი ლედია!" — მხრებს იჩეჩს ლეიტენანტი გარი ჯილმონდი.

ამ „სისუსტის" მიზეზი მალე აღმოაჩინეს — იმ უძირო ჩანთის ფსკერზე ურეცეპტო ძლიერმოქმედი პრეპარატები იპოვეს.

**ცელქი ბაბუა.** კოშიცეში (აღმოსავლეთ სლოვაკეთი) დაიჭირეს სატელეფონო ტერორისტი, რომელიც... 90 წლისაა.

ასაკისათვის შეუფერებლად ცელქ ბერიკაცს ძალიან ჰყვარებია პოლიციაში რეკვა და ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებაში ვითომ ჩადებული ბომბების შესახებ განცხადების გაკეთება. თურმე განსაკუთრებით სოცუზრუნველყოფის განყოფილებას „წყალობდა". სამართალდამცველთა მოთმინების ფიალა უკანასკნელმა სატელეფონო ზარმა აავსო — ბაბუა იტყობინებოდა, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრზე თავდასხმაა მოსალოდნელი. სამი დღის შემდეგ სატელეფონო ტერორისტის ბინაში კოშიცეს პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი შეიჭრა. პენსიონერმა ბრალდება კატეგორიულად უარყო, თუმცა ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ მოხუცისა და სატელეფონო ხულიგნის ჩანაწერი იდენტური იყო. ნათესავები მკაცრად გააფრთხილეს — ბერიკაცს თვალყური ადევნეთო. გამოძიებას ჯერ არ გადაუწყვეტია, აგებინოს თუ არა პასუხი ცელქ ბაბუას. აი, გინესის რეკორდების წიგნში რომ აუცილებლად მოხვდება, როგორც ყველაზე ხანდაზმული სატელეფონო ტერორისტი, ეს უეჭველია.

**კალვინ კლაინი ბრუნდება.** ცნობილი ამერიკელი დიზაინერი სამშობლოში ბრუნდება. რამდენიმე წელია, რაც კალვინ კლაინი მილანში ცხოვრობს და მუშაობს. აქვე წარუდგენდა ხოლმე ახალ კოლექციებს მაყურებელს.

11 სექტემბრის ტერაქტებმა დიზაინერს პატრიოტული გრძნობა გაუღვიძა და გადაწყვიტა, მშობლიურ ქალაქზე იზრუნოს — ახლა მის ახალ კოლექციებს მხოლოდ და მხოლოდ ნიუიორკში ნახავენ. ამბობენ, მილანში გულდაწყვეტილები არიან კალვინ კლაინის თაყვანისმცემლები, თუმცა გაგებით მოეკიდნენ მის გადაწყვეტილებასო.

**მამაკაცები მობრძანდნენ ჰალსტუხითა და ერთ ადგილას ფოთოლაფარებულები.** ნიგერიის ანგლიკანური ეკლესია ამიერიდან ჯვარს აღარ დასწერს წყვილებს, თუ პატარძლებს ძალზე გულამოჭრილი კაბები ეცმევათ. „ჯვრისწერაზე პატარძლები ჩაცმის ნაცვლად, თანდათან შიშვლდებიან" — ჩივის არქიეპისკოპოსი ადებოლა ადემოვო.

„ვერ გამიგია, მაინც რა მოსწონთ ქალებს ამ სიშიშვლისა? — კითხულობს აღშფოთებით არქიეპისკოპოსი, — საკურთხევლის წინ ნახევრად ტანსაცმელშემოძარცულები დგებიან, გვერდით კი ნიკაპამდე საკინძეშეკრული ნეფე დგას. თუ ასეა, მაშინ მამაკაცები მობრძანდნენ ჰალსტუხითა და ერთ ადგილას ფოთოლაფარებულები. ერთი სიტყვით, — დაასკვნა არქიეპისკოპოსმა, — ან ჩაიცვით, ან ტაძარში აღარ დაგინახოთ. აქ ღამის კლუბი კი არ გვაქვს".

## „...გიგზავნით ფოსტით!"



— ასეთი უცნაური ელექტრონული წერილი მიიღო გიზის პირამიდების კომპლექსის დირექტორმა ზაბი ჰაგასმა.

ამერიკის ქალაქ ტოლედოს მკვიდრი ვინმე ჯანეტ სტივისტერი სინდისმა შეაწუხა, ერთხელ, ეგვიპტეში მოგზაურობისას, როცა პირამიდებს ათვალიერებდა, პატარა კენჭი წამოიღო სამახსოვროდ. მას შემდეგ საბრალო ტურისტყოფილს ძილი გაუტყდა — ხუმრობა ხომ არ იყო, ეგვიპტეს მისი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის, მართალია, სულ მცირე, მაგრამ მაინც ნაწილი წაართვა. გაზეთებში გამოქვეყნებულმა სტატიებმა ძველეგვიპტური რელიკვიების ძარცვა-ქურდობის შესახებ ხომ სულ გადარია. ყველაფერმა ამან აიძულა, პირამიდების კომპლექსის დირექტორის წინაშე დანაშაული მოენანიებინა და რესპუბლიკის მონაპოვარი კაიროში შეკვეთილი ფოსტით გაეგზავნა.

***ჩასტნაია ჟიზნ***

## იმეილით მოსარგებლე ძაღლები



წარმოიდგინეთ, რომ შინიდან ასობით კილომეტრით დაშორებულ ქალაქში იმყოფებით და მობილურ ტელეფონზე მიიღეთ ცნობა, რომელიც თქვენს სახლში მძარცველის შეჭრას იუწყება. დაურეკავთ პოლიციას. ისინი მივლენ და მძარცველს დააკავებენ, მაგრამ საკითხავია, შეტყობინება ვინ გამოგიგზავნათ? — ცხადია, თქვენმა ოთხფეხა მეგობარმა, რომელიც სახლის საპატრონოდ დატოვეთ. კი, მაგრამ, როგორო, იკითხავთ.

ტოკიოს აკუსტიკურ ლაბორატორიაში შემუშავებული უნიკალური აპარატი სწორედ ამის შესაძლებლობას იძლევა.

მაცუმი სუძუკიმ, ასობით ძაღლი გამოიკვლია და დაადგინა, რომ ძაღლები სხვადასხვა ტონალობის ყეფით გამოხატავენ აგრესიას, სიხარულს, სიამოვნებასა თუ საშიშროებას. სუძუკიმ დაადგინა, რომ საშიშროების შემთხვევაში ყველა ძაღლი ერთი და იმავე ტონალობის იმპულსებს გამოსცემს. მეცნიერმა შექმნა ამ იმპულსთა „დამჭერი" აპარატი, რომელიც ასეთი სიგნალის მიღების შემდეგ, წინასწარ მიცემული სატელეფონო თუ პეიჯერის ნომერზე განგაშის სიგნალს აგზავნის.

აკუსტიკურმა ლაბორატორიამ უკვე დააპატენტა ეს გამოგონება. ეს ელექტრონული სიგნალიზატორი ასანთის კოლოფის ხელაა და ძაღლის საყელურზე მაგრდება.

***ნიუ ზუიქი***

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებს ამოიკითხავთ.

გ ა ე რ თ ე თ დ ა დ ა ი ს ვ ე ნ ე თ ჩ ვ ე ნ თ ა ნ ე რ თ ა დ

ა ე ა ქ დ უ ი ი ა ა ე რ ო დ ი ვ თ ე ე ა ი ნ ი ტ ო უ

**გ.** არკადი გაიდარის მოთხრობა „ჩუკი და ..."; **ა.** უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა; **ე.** ვინ იყო ეროვნებით აინშტაინი; **რ.** წვრილად დაჭრილი ხორცისა და ბოსტნეულისაგან დამზადებული კერძი; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ე.** საეკლესიო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს; **თ.** მართლმსაჯულების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **დ.** ქალაქი გერმანიაში, სადაც პირველად აშენდა ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი; **ა.** სამხედრო ნადავლი; **დ.** მდინარე ევროპაში; **ა.** „სკრა, ..., ქარელი, გორი"; **ი.** მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **ს.** პატარა თევზსაჭერი გემი; **ვ.** მამაკაცური პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ე.** მცენარე, რომლის ფესვებს სააღდგომო კვერცხების შესაღებად იყენებენ; **ნ.** შტატის სახელწოდება, სადაც ამერიკელები ბირთვული იარაღის გამოცდას აწარმოებენ; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **თ.** ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **ჩ.** გარეული ფრინველი შაშვისებრთა ოჯახიდან; **ვ.** თენგიზ აბულაძის სახელგანთქმული ტრილოგიის ერთ-ერთი ფილმი; **ე.** დგამი, რომელიც შედგება ერთმანეთის თავზე რამდენიმე რიგად მოწყობილი თაროებისაგან; **ნ.** ბუდისტების სამოთხე; **თ.** მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ ჩიჩილაკს; **ა.** ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **ნ.** ხაშის გასაზავებლად აუცილებელი ბოსტნეული; **ე.** საჭრელ და ძირითად კბილებს შორის განლაგებული კბილი; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **თ.** ძველი ბერძნული ქალაქი ბეოტეაში; **ა.** ვაზის ლერწი, ყურძნის ორი მტევნით; **დ.** საჯარო კამათი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დრეიფი; **ა.** აბრაზია; **ი.** ისთვუდი; **ს.** სტიმული; **ვ.** ვადა; **ე.** ეგრისი; **ნ.** ნიორი; **ე.** ეშაფოტი; **ჩ.** ჩურჩული; **ვ.** ვივიენი; **ე.** ეტიკეტი; **ნ.** ნესკაფე; **თ.** თუშეთი; **ა.** ამერიკა; **ნ.** ნირი; **ე.** ელჩი; **რ.** რაეო; **თ.** თაბუნი; **ა.** ალიანსი; **დ.** დასაევი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ერთი დრო არის შერჩების.**

CMYK

## №12 (286) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 747 მკითხველი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 265-მა ქალმა და 472-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი მინისტრი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველი უშიშროების მინისტრისადმია ყველაზე მეტად კეთილგანწყობილი. **7,04** საშუალო ქულით ვალერი ხაბურძანია პირველ ადგილზეა. მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,29) დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. მაქსიმალური ქულით კი რესპონდენტთა 25-მა შეაფასა.

შემდეგ ადგილზე კობა ნარჩემაშვილია, საშუალო ქულაა 6,67. ეს მინისტრს სულ უმნიშვნელო სხვაობით ჩამორჩება ლევან ძნელაძე — 6,65 საშუალო ქულით იგი მესამე ადგილზეა. თუმცა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით პირიქითაა — მკითხველთა 20-მა — შინაგან საქმეთა, ხოლო 22-მა საგადასახადო შემოსავლების მინისტრს დაუწერა მაქსიმალური — 9 ქულა.

როცა აღნიშნული მინისტრები თავიანთ პოსტებზე ახალი დამტკიცებულნი იყვნენ, ჩვენი რეიტინგის საშუალებით მკითხველმა თითქმის ამ თანმიმდევრობით უწინასწარმეტყველა მათ წარმატებული კარიერა. მაშინდელ რეიტინგში ნინო ჩხობაძეს წინ ალეკო კარტოზია უსწრებდა. ახლა კი — პირიქითაა. რეიტინგში კარტოზიას „ჩამოლაბორანტების“ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ალბათ გახმაურებული „მასწავლებელთა ორი ყრილობაა“. ხოლო ჩხობაძის მაშინდელი „წარუმატებლობის“ მიზეზი კი ყველას კარგად მოეხსენება — რამდენი სჯა-ბაასის შემდეგ დაინიშნა იგი მინისტრის პოსტზე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ადრინდელ გამოკითხვებში ძველი მინისტრების დროს მკითხველი ძალოვანი მინისტრების მიმართ ყველაზე ნაკლებ სიმპათიას აფიქსირებდა. ბოლო დროს კი განწყობა მკვეთრად შეიცვალა. რესპონდენტები აშკარად კეთილგანწყობილნი არიან მათ მიმართ. როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი აზრი რადიკალურად შეიცვალა, რაც, ალბათ, პიროვნული ფაქტორითაა განპირობებული, რადგანაც სისტემაში ცვლილებები ჯერ შეუმჩნეველია (შეგახსენებთ, რომ სულ რამდენიმე კვირის წინ ჩატარებულ გამოკითხვაში — „რომელი უწყება ამართლებს თავის არსებობას საქართველოში ყველაზე მეტად?“ — პოლიცია ბოლო ადგილზეა). მაგრამ, რადგანაც პირველ პირებს საზოგადოება ნდობას უცხადებს, იმედია, სისტემაში სასიკეთო ცვლილებები დაიწყება და მინისტრების რეიტინგიც არ დაეცემა.




საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 34 წლის თბილისელი **მამუკა გურგენიძე.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 3 აპრილს, 17 საათზე.

## №13 (287) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლეიცინეიში.*

**№13 (287) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 3 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 4 აპრილის 13 საათამდე.**

© თბილისი

### თემა №13 (287) — პოპულარული ძმები

**რომელი ძმები იმსახურებენ თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№13(287) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ძმები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ივლიანე და გოგა ხაინდრავები | |
| 2 | შოთა და არჩილ არველაძეები | |
| 3 | ლევან და დავით ბერძენიშვილები | |
| 4 | მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები | |
| 5 | ელდარ და გიორგი შენგელაიები | |
| 6 | ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეები | |
| 7 | ფრიდონ და დავით ინჯიები | |
| 8 | ცოტნე და გიორგი გამსახურდიები | |
| 9 | რომა და თემურ რცხილაძეები | |

*მკითხველის ლეიცინეი*

**დაასახელეთ ქართველ პოლიტიკოსთაგან ყველაზე გაწონასწორებული პიროვნება**

✓ ______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________

ასაკი ______ ტელეფონი ______

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### *მკითხველის ლეიცინეის შედეგები*

**დაასახელეთ მარტის თვის ყველაზე სკანდალური მოვლენა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | განხეთქილება მოქალაქეთა კავშირში (მუშბი-კრივი სმაკ-ში) | 23,1% |
| 2. | ამერიკელი სამხედროების შემოსვლა | 15,2% |
| 3. | ჭყონიას წინადადება პრეზიდენტისთვის 2 წლით უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ | 11,7% |
| 4. | კახა ბაკურაძის გადადგომა (განთავისუფლება) | 6,4% |
| 5. | რუსეთის „დუმის“ რეაქცია ქართულ-ამერიკული სამხედრო თანამშრომლობის შესახებ | 5,9% |
| 6. | მაკა ასათიანი პანკისში | 5,1% |
| 7. | კახა კალაძის განცხადება | 1,8% |
| 8. | ასლან აბაშიძის განცხადება „რუსთავი 2“-ის ეთერში | 1,5% |
| 9. | სკანდალი უნივერსიტეტში (სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები) | 1,3% |
| 10. | ზუგდიდში გამსახურდიების სახლის გაძარცვა | 0,9% |

**მარტის თვის სკანდალური მოვლენის დასახელება რესპონდენტთა 9,6%-ს გაუჭირდა.**

*მკითხველის რეიტინგში 542 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________



ედუარდ შევარდნაძე, თემურ ჭყონია

**ნ.ლ.** — ზურიკო, ჭადრაკს რატომ აღარ თამაშობ?
**ზ.ჟ.** — მიტომ, ჩემო ნიკო, რომ მეფეს რო ვკიდებ ხელს, შევარდნაძე მგონია და ტანში მაჟრიალებს.

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

**ნ.ლ.** — თავს გაუფრთხილდი, ზურიკო, ასლანმა შემოგითვალა, თუ ჩამივარდა ხელში, „სკალპი“ უნდა ავხადო დოლზე გადასაკრავადო!
**ზ.ჟ.** — რაო?! არც მე მინდა თავი თავად, არც მას მივცემ დოლის ტყავად!!. — თქვა ეს და, თავზე სამართებელი დაისვა!

***თენგიზ თალაკვაძე, ნაგომარი***

**ნ.ლ.** — იცი, ზურა, რამდენი გაქო გუშინ პრეზიდენტმა?
**ზ.ჟ.** — ვაიმე, ბატოო ნიკო, ამაზე მეტი კიდევ რამე უნდა დამემართოს?!

***რეზო აბედათელი, მარტვილი***

**ნ.ლ.** — აფიციანტ!!!
**ზ.ჟ.** — რას ინებებთ, ბატონო?
**ნ.ლ.** — აჭარის ლომის ხორცის კატლეტს და ჩაცივებულ თოფაძეს!

***ვასო ნახუცრიშვილი, ბრეთი***

**ახლო მომავლის დიალოგი:**
**ზ.ჟ.** — თქვენ მოგმართავთ, ღვაწლმოსილო მოქალაქევ!
**ნ.ლ.** — ვინ არი შენი მოქალაქე?!

***გიორგი ჯანელიძე, თბილისი***



ნიკო ლეკიშვილი, ზურაბ ჟვანია

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 142 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ნ.ლ.** — ბიჭო, ზურა, ხომ გაფრთხილებდი, არ გასწავლის ეგ კაცი ხეზე ცოცვას-თქო.

ვერ შეიშვნეთ კარგი ცხოვრება? ურტყით ახლა შენ და სააკაშვილმა მეტროთი „კრუგები“!

***„ჭყონდიდელი“, ქუთაისი***

**ზ.ჟ.** — დესერტად რას მიირთმევდით?
**ნ.ლ.** — „მოქალაქეთა კავშირი“, თუ შეიძლება.
**ზ.ჟ.** — იცით, ცოტა მოთმენა მოგიწევთ, ჯერ მზად არ არის.

***ვ. ტაბიძე, თბილისი***

**ზ.ჟ.** — დამნაშავე ვარ, ჩემო ბატონო,
ჩემი თავი და თქვენი მახვილი.
**ნ.ლ.** — კარგი, „მწვანეებს“ შევევედრები,
ბოტანიკოსის თუ აქვთ ადგილი!

***მანანა ტაბიძე, თბილისი***

**ზ.ჟ.** — ნიკო, სპილოები დაფრინავენ?
**ნ.ლ.** — გაგიჟდი, ზურა?
**ზ.ჟ.** — შევარდნაძემ თქვა.
**ნ.ლ.** — ნუ, მთლად კარგად ვერა, მაგრამ დაბალ სიმაღლეზე რაღაცას ახერხებენ.
(ანეკდოტიდან).

***კ. თაყაიშვილი, ბორჯომი***

**ზ.ჟ.** — ბ-ნო ნიკო, გთხოვთ თქვენს მეგობრებთან ერთად დატოვოთ მოქალაქეთა კავშირის რიგები.
**ნ.ლ.** — ატამანს ნუ აუხირდები, ზურაბ. მან თუ მოინდომა, ისევ მუშთაიდის ბაღის კარუსელზე დაგსვამს და მერე იტრიალე ბარამიძესთან ერთად მწვანე ოცნებებში.

***ზურა ქართველიშვილი, თბილისი***

**ნ.ლ.** — რით ვერ ისწავლე ჩემს მაგალითზე, ამ კარიდან რომ გავედი, იმ კარიდან შემოვედი, პარლამენტარობაც შევინარჩუნე და მაგარ ბიზნესებშიც ვარ გაჩითული, ჟიგული გავყიდე და იმ ფულით კოკა-კოლაც ავამუშავეთ, აბა?!

***მარიკა ქართლელი, თბილისი***

**ნ.ლ.** — ბატონო ზურაბ! სახელისუფლო ატესტაცია თუ გაიარე?
**ზ.ჟ.** — გავიარე და ჩავიჭერი კიდეც, ფულით სავსე ტომარას ცარიელი ვამჯობინე, საზიდავად უფრო იოლი მეგონა.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

ფოტო განწყობისთვის



-ვაუ! ,,ოსკარები" ჩვენია ...




4/IV უკანასკნელი მეოთხედი
მაგნიტური დღეებია:
1/IV — 14-დან 16 სთ-მდე
5/IV — 4-დან 6 სთ-მდე

## ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). „კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ნაძალადევის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ივანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ვაკეში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვეშაპურის დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე — არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში — თვის III კვირის ოთხშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

(13) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________ სიტყვა და საქმე

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

ვიხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№13 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 4 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე



ყურადღება!
სატირულ-იუმორისტული ჟურნალი
«ფილთაქვა»
სამუშაოდ იწვევს მწერალ-იუმორისტებს.
გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ნამუშევრები — მცირე ზომის იუმორისტული მოთხრობები, პამფლეტები, ფელეტონები, იუმორესკები.
გასაუბრებაზე მობრძანდით რედაქციაში ხუთშაბათს, 4 აპრილს, 16 საათზე.
მისამართი: აკურის ქ. № 8. ტ.: 33-20-34
(სპორტის სასახლის უკან)

ფირმა „ბერმუხა"
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

## ფსიქოლოგები გვირჩევენ...

თავი რომ დავიცვათ წყენისაგან, მივმართოთ შემდეგ ხერხს: თუ ვინმე ცდილობს გაგაბრაზოთ ან გაწყენინოთ, უბრალოდ წარმოიდგინეთ ის ადამიანი შიშველი... დაე, იმტვრიოს თავი, როდესაც ის ბრაზობს, რატომ გელიმებათ თქვენ.

* * *

ორი მეგობარი საუბრობს:

— მოდი, ჩემთან წავიდეთ.

— შენთან რა გვინდა?

— ცოტა დავლიოთ.

— არ შემიძლია!

— რატომ?

— შენს ცოლთან მეძინა...

— დიდი ამბავი, მაგასთან მეც კი მძინავს და რა, სახლში აღარ უნდა შევიდე?



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში".